

სასამართლო პრაქტიკა
ამერიკის შეერთებულ
შტატებსა და ევროპაში

კარი II

თავი I

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა

შენკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ

249 U.S. 47

ფაქტები: შენკმა – რომელიც მოცემული დროისათვის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი იყო – და მისმა კოლეგებმა შეერთებული შტატების წევრად აღიარებას დაუგზავნეს დოკუმენტი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ ენინააღმდეგება განვევა შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-13 შესწორებას¹.

სახელმწიფოს წარმომადგენლები დაობდნენ, რომ შენკმა და მისმა კოლეგებმა წააქეზეს წევრად აღიარება, რათა მათ ხელი შეეშალათ განვევისათვის. შესაბამისად, შენკი და მისი კოლეგები, 1917 წლის შპიონაჟის აქტის თანახმად, ცნეს დამნაშავეებად საჯარისო ფორმირებებში დაუმორჩილებლობის გამოწვევისათვის და დაუმორჩილებლობის გამოწვევის მცდელობისათვის, ასევე, სამხედრო განვევის ხელის შეშლისათვის მაშინ, როდესაც შეერთებული შტატები საომარ მდგომარეობაში იმყოფება. შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებისას შენკი და მისი კოლეგები დაობდნენ, რომ შპიონაჟის აქტის დარღვევის მტკიცება მათი გამონათქვამების გამო ენინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ შესწორებას. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა შენკის და მისი თანამოაზრეების დამნაშავეობა, მოსამართლე ჰოლმსმა გადაწყვეტილებაში გადმოსცა აზრი, რომელშიც ჩაისახა **ამკარა და მყისიერი საფრთხის დოქტრინა**. ხსენებული დოქტრინა პირველი შესწორების ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია.

¹ „შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ან სხვა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც შეერთებული შტატების იურისდიქცია ვრცელდება, არ უნდა არსებობდეს მონობა ან იძულებითი შრომა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის“, მუხლი 2. „კონგრესი უფლებამოსილია, სათანადო საკანონმდებლო აქტებით განახორციელოს და სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული ნორმა“, მე-13 შესწორება, მუხლი 1.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

მოსამართლე ჰოლმსმა წარმოადგინა სასამართლოს მოსაზრება: სადავო დოკუმენტი, რომელიც შენკმა და მისმა თანამოაზრეებმა გაავრცელეს, აცხადებდა, რომ განვევა წარმოადგენს დესპოტიზმს მის უწმინდეს ფორმაში და შეცდომას კაცობრიობის წინაშე, რაც შეესაბამება უოლ სტრიტის რჩეულთა ინტერესებს. დოკუმენტში ვკითხულობთ მონოდებას: „ნუ შეშინდებით!“ თუმცა დოკუმენტი წვევამდელებს ისეთი მშვიდობიანი ქმედებებისაკენ მოუწოდებდა, როგორცაა აქტის კონსტიტუციურობის საკითხის დაყენება და მისი გასაჩივრება. დოკუმენტის ბოლო გვერდზე დაბეჭდილი იყო მონოდება „დაიცავი შენი უფლებები!“ დოკუმენტი უარყოფდა უფლებას, რომლის მიხედვითაც, აშშ-ს მოქალაქეებს სხვა ქვეყნებში გზავნიან სხვა ქვეყნის მოქალაქეების მოსაკლავად და იქვე დასძენდა, რომ სიტყვებით შეუძლებელი იყო ამ ცივისსხლიანი პროცესის აღწერა. რა თქმა უნდა, დოკუმენტი არ გაიგზავნებოდა, თუკი ის მიზნად არ ისახავდა ადრესატებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას. ერთადერთი ზეგავლენა, რაც ამ მიმართვას წვევამდელებზე უნდა მოეხდინა, იყო ის, რომ წვევამდელებს წინააღმდეგობა გაენიათ განვევის პროცესისათვის.

თუკი მივიჩნევთ, რომ სადავო დოკუმენტის მიზანი იყო განვევის პროცესისათვის ხელის შეშლა, აღნიშნული მაინც დაცულია პირველი შესწორებით. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბევრ ადგილას და ჩვეულებრივ ვითარებაში მსგავსი განცხადების გაკეთება განმცხადებლის კონსტიტუციური უფლება იქნებოდა. თუმცა ყოველი ქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომელშიც ხორციელდება ესა თუ ის კონკრეტული ქმედება. გამოხატვის თავისუფლების დაცვის ყველაზე ზუსტი მექანიზმიც კი არ დაიცავდა პირს, რომელიც თეატრში წარმოდგენის დროს იყვირებდა, რომ ხანძარი გაჩნდა და ამით ხალხს პანიკაში ჩააგდებდა. საკითხი ასე დგას: არის თუ არა სიტყვები წარმოთქმული ისეთ მდგომარეობაში და ისეთი სახით, რომ შეუძლია, გამოიწვიოს აშკარა და მყისიერი საფრთხე, რომლის აღმოფხვრის უფლებაც კონგრესს გააჩნია. მთავარი საკითხი ამ შემთხვევაში არის ქმედების მყისიერების საკითხი.

როდესაც ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, ბევრი რამ, რაც მშვიდობიან დროს დასაშვებია, შესაძლოა, იმდენად ხელისშემშლელი აღმოჩნდეს შედეგისათვის, რომ მასთან შეგუება შეუძლებელი შეიქნას; რადგან ხალხი იბრძვის და ვერც ერთი სასამართლო ვერ მიიჩნევს მას კონსტიტუციით დაცულ უფლებად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დადგინდება განვევისათვის ხელის შეშლა, მაშინ,

შესაძლოა, დადგეს პასუხისმგებლობა იმ გამონათქვამებისათვის, რომლებმაც ეს ხელის შეშლა გამოიწვია. 1917 წლის კანონი დასჯადად მიიჩნევს როგორც განვევისთვის ხელის შეშლის განზრახვას, ასევე, უშუალო ქმედებას – ხელის შეშლას. თუ ქმედება (საუბარი ან რაიმე წერილობითი დოკუმენტის გავრცელება), მისი მიზანი და განზრახვა ერთი და იგივეა, მაშინ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ გამიზნული შედეგის დადგომა არ არის ქმედების დანაშაულად აღიარების საფუძველი.

1919 წელი

აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ

250 U.S. 616

ფაქტები: აბრამსი და ხუთი სხვა პირი რუსეთში დაიბადნენ. ისინი დაკავების დროს შეერთებულ შტატებში ცხოვრობდნენ და შესაბამისი განათლებაც ჰქონდათ მიღებული. თუმცა შეერთებულ შტატებში 10 წლის განმავლობაში ცხოვრებისას ნატურალიზაციის განაცხადით შესაბამისი სააგენტოებისათვის არ მიუმართავთ. ოთხმა მათგანმა ჩვენების მიცემის დროს განაცხადა, რომ ისინი ანარქისტები იყვნენ და არ სჯეროდათ რაიმე ფორმის მთავრობის. მეხუთე მათგანმა განმარტა, რომ იგი სოციალისტი იყო და არ სჯეროდა კაპიტალიზმის.

აბრამსმა (ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის) 1918 წლის 27 ივლისს შეიძინა სტამბა, რომელიც განთავსებული იყო ნიუ-იორკში ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფში. ბრალდებულებმა 5000 პროკლამაცია დაბეჭდეს და დაარიგეს. პროკლამაცია დასათაურებული იყო შემდეგნაირად: „შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების ჰიპოკრატია“.

აბრამსს და ოთხ სხვა პირს ბრალი დასდეს იმ ბროშურების დაბეჭდვასა და გავრცელებაში, რომლებშიც აბრამსი და მისი თანამოაზრეები დაუპირისპირდნენ შეერთებული შტატების საექსპედიციო დაჯგუფების გაგზავნას რუსეთში ახალი კომუნისტური რევოლუციური მთავრობის დასამარცხებლად. მათ ასევე მოუწოდეს სამხედრო ქარხნების და ფაბრიკების მუშებს, რომ გაფიცულიყვნენ. პროკლამაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მუშათა კლასის პირველი მტერი კაპიტალიზმია და ბრალდებულები მუშებს გამოღვიძებისკენ მოუწოდებდნენ. პროკ-

ლამაციაში ეწერა, რომ პრეზიდენტი ვილსონი მშიშარა იყო და ვერ ბედავდა ღიად განეცხადებინა: „ჩვენ, კაპიტალისტურ ქვეყნებს, არ შეგვიძლია პროლეტარული რუსეთის არსებობის ატანა“.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობამ, მათ შორის, მოსამართლე კლარკმა დაადგინა, რომ ბროშურის დაბეჭდვა და გავრცელება ომის დროს არ იყო დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით. მოსამართლე კლარკის გადაწყვეტილებას დიდი გავლენა არ მოუხდენია პირველი შესწორების განმარტებაზე, თუმცა მოსამართლე ჰოლმის განსხვავებული აზრი, რომელსაც მოსამართლე ლუის ბრანდისი შეუერთდა, შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლების სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

უმრავლესობის აზრი მოსამართლე კლარკმა წარმოადგინა: პროკლამაციის ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ამ პუბლიკაციის მიზანი იყო, საომარი კრიზისის დროს გამოენვია ხალხის უკმაყოფილება და ამბოხება, ჯანყი და რევოლუცია ამ ქვეყანაში; ასევე, პუბლიკაციის მიზანი იყო, ჩაეშალა ამ ქვეყნის და მისი ევროპელი მოკავშირეების სამხედრო გეგმები. ცხადია, რომ პროკლამაციის ავტორები მიზნად ისახავდნენ შეერთებული შტატებისათვის ხელის შეშლას ომის წარმოებაში, რაც გამოიხატა მუშების მონოღებაში გაფიცვისაკენ. შესაბამისად, წინა ინსტანციის სასამართლომ სწორად იმოქმედა, როდესაც აბრამსი და მისი მოკავშირეები დამნაშავედ ცნო.

მოსამართლე ჰოლმის განსხვავებული აზრი: ბრალდება მთლიანად დამყარებულია ორი ბროშურის დაბეჭდვაზე. პირველ ბროშურაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტის ლაჩრული დუმილი რუსეთში ინტერვენციასთან დაკავშირებით ავლენს ვოშინგტონში პლუტოკრატიული ბანდის ტყუილებს. საკმაოდ მარტივია იმის უარყოფა, რომ ფრაზა მეორე ბროშურაში, „შეერთებულ შტატებში მომუშავე რუსი ეროვნების მუშები ამზადებენ ტყვია-წამალს მათი ახლობლების მოსაკლავად“ და მონოღება, რომ ისინი გაიფიცონ – წარმოადგენს ომის წარმოების მიზნით საჭირო მასალის შექმნისათვის ხელის შეშლას, 1918 წლის შპიონაჟის აქტის თანახმად, ქმედება სისხლისამართლებრივად დასჯადია, როდესაც ჩადენილია „ისეთი განზრახვით, რომელიც მიზნად ისახავს შეერთებული შტატებისათვის ომის წამოებაში ზიანის მიყენებას და ხელის შეშლას.“ ჩემი აზრით, ასეთი განზრახვა ამ საქმეში დადგენილი არ არის.

არასოდეს მქონია მიზეზი, ეჭვი შემეტანა იმაში, რომ კანონის საკითხები, რომლებიც ამ სასამართლომ *შენკის*, *ფროვერკის* და *დებსის* საქმეებში განიხილა,

არასწორი იყო. იმავე საქმეების ლოგიკიდან გამომდინარე, ასევე არ შემაქვს ეჭვი, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფოს უფლება აქვს, დასაჯოს პირი, რომელიც მეორე პირს მკვლელობის ჩადენაში დაარწმუნებს. შეერთებული შტატების სახელმწიფოს უფლება აქვს, დასაჯოს ის პირი, რომელიც წარმოთქვამს, ან მიზნად ისახავს, რომ წარმოთქვას სიტყვები, რომლებიც ქმნის რეალური ზიანის აშკარა და მყისიერ საფრთხეს. ასეთი შეზღუდვის უფლება შედარებით მეტია ომის პირობებში, ვიდრე მშვიდობის დროს, რადგან ომი ქმნის საშიშროებას, რომელიც მშვიდობის დროს არ არსებობს.

თუმცა სიტყვის თავისუფლების პრინციპები ერთი და იგივეა ომისა და მშვიდობის დროს. მხოლოდ რეალური ზიანის დადგომის აშკარა საფრთხე აძლევს კონგრესს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვების დანესების უფლებას. არ მგონია, ვინმემ იფიქროს, რომ უცნობი კაცის მიერ საიდუმლოდ დაბეჭდილი ერთი სულელური ბროშურა საფრთხეს შეუქმნიდა შეერთებულ შტატებს ომის წარმოებაში.

ამ საქმეში ბრალდებულებს ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ორი ბროშურის დაბეჭდვისათვის, რომელთა დაბეჭდვის უფლება, ჩემი აზრით, მათ ისევე აქვთ, როგორც შეერთებული შტატების მთავრობას აქვს უფლება, გამოაქვეყნოს შეერთებული შტატების კონსტიტუცია – რომელზეც ამაოდ მიუთითებენ ბრალდებულები.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ ბრალდებულებს წაართვეს კონსტიტუციით აღიარებული სიტყვის თავისუფლება.

1919 წელი

ნიარი მინესოტის წინააღმდეგ

283 U.S.697

ფაქტები: მინესოტის ერთ-ერთი კანონი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად მიიჩნევდა „ბოროტი, სკანდალური და ცილისმწამებლური“ გაზეთებისა და პუბლიკაციების გამოცემას. კანონის ტექსტში ეწერა, რომ ყველა პირს, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ამგვარ დამრღვევად იქნება მიჩნეული, აეკრძალება გაზეთისა თუ პუბლიკაციის გამოცემა.

ჰენეპინის ოლქის პროკურორმა და შემდგომში პოპულისტმა გუბერნატორმა – ფლოიდ ოლსონმა სასამართლოში უჩივლა გაზეთს „Saturday Press“, ზემოთ მითითებული კანონის საფუძველზე. სარჩელში, რომელიც ოლსონმა სასამართლოში შეიტანა, აღნიშნული იყო შემდეგი: გაზეთი აცხადებდა, რომ სამართალ-დამცავი ორგანოები და მოხელეები უძლურნი იყვნენ, გამოევიდნათ და დაესა-ჯათ სათამაშო ბიზნესში, ალკოჰოლის კონტრაბანდასა და რეკეტულ საქმიანო-ბაში ჩართული პირები, რომლებიც „ებრაელი განგსტერის“ მფარველობით სარ-გებლობდნენ.

შტატის პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ „Saturday Press“-მა დაარღვია კანონი. მან სამუდამოდ აუკრძალა მოპასუხეებს მსგავსი „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა „Saturday Press“-ის ან სხვა რაიმე და-სახელების გამოცემის მეშვეობით.“ შტატის უზენაესმა სასამართლომ მხარი და-უჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოპასუხე ნიარმა შეერთებულ შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: შტატის უზენაესი სასამართ-ლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლოს თავმჯდომარე ჰუგსმა წარმოადგინა სასამართლოს გადაწყ-ვეტილება: აღნიშნული კანონი, რომელიც ითვალისწინებს გაზეთზე ან გამოცე-მაზე ზენოლას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, წარმოადგენს არა-ჩვეულებრივ, თუ არა უნიკალურ ფენომენს, რომელიც მეტად მნიშვნელოვან საკითხებს უკავშირდება. ის სცილდება ადგილობრივ ინტერესებს, რაც ამ საქმე-შია წარმოდგენილი. დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ პრესის და სიტყვის თავისუფლება შტატების ჩარევისაგან დაცულია კონსტიტუციის მე-14 შესწო-რებით: დადგენილია, რომ ეს არის ფუნდამენტური უფლება. მე-14 შესწორებაში მოცემული გარანტიის გასამყარებლად შტატებს აქვთ უფლება, რომ მიიღონ კა-ნონები საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უსაფრთხოების და მორალის დასაცავად. თუმცა ამ უფლების საზღვრები თითოეულ კონკრეტულ საქმეში ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს. სიტყვის და პრესის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შტატებს შეუძლიათ, დასაჯონ მისი ბოროტად გამოყენება. სიტყვა „თავისუფლება“ ამ ფრაზაში („სიტყვისა და პრესის თავისუფლება“) თავისი ის-ტორია და ქვეტექსტი აქვს და ამ კონკრეტულ საქმეში ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც თავისუფლების ისტორიული კონცეფცია, ასევე ის საკითხი, არღვევს თუ არა სადავო კანონი თავისუფლების არსებით ატრიბუტებს. ამისათვის მნიშვ-ნელოვანია, რომ სასამართლომ განიხილოს სადავო კანონის მიზანი და მისი მოქ-მელების შედეგები.

პირველი. სადავო კანონი არ ისახავს მიზნად ინდივიდების და კერძო პირების შეცდომების გამოსწორებას. ამ შემთხვევაში ცილისწამებისაგან დაცვის მექანიზმები კვლავ არსებობს და ხელმისაწვდომია. შტატის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონი „მიმართულია არა ცილისწამებისკენ, არამედ იმ არსებული პიზნესისკენ, რომელიც ცილისწამებაზე მეტს მოიცავს.“ ის გამიზნულია სკანდალური საკითხების გასაგვრცელებლად, რაც სავალალო საზოგადოებრივი მორალისთვის და კეთილდღეობისთვის და რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ სიმშვიდეს; ასევე, პროვოცირებას უწევს შეურაცხყოფას და დანაშაულის ჩადენას. იმისათვის, რომ გაზეთის ან პუბლიკაციის შემდგომი გამოცემა აიკრძალოს, არ არის აუცილებელი, დადგინდეს იმ განცხადებების სიმცდარე, რომელიც პუბლიკაციაშია მოყვანილი. ამ საქმეში სადავო არ გამხდარა გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორე. სადავო გახდა – და კანონიც მოითხოვს რომ სადავო გახდეს – პუბლიკაციის „ბოროტი განზრახვა“. ცილისწამებისას დევნისგან განსხვავებით, არ არის სავალდებულო, რომ სახელმწიფომ დაამტკიცოს ბოროტი განზრახვა. თუმცა გადაწყვეტილება ამ საქმეში მიღებულ იქნა მხოლოდ პუბლიკაციის ფაქტის დამტკიცებით. კანონის თანახმად, პუბლიკაციას იცავს არა მხოლოდ სიმართლე, არამედ ისიც, რომ სიმართლე გამოქვეყნებულია კეთილი განზრახვით და გამართლებული მიზნით.

მეორე. კანონი ვრცელდება არა მხოლოდ კერძო პირების შესახებ სკანდალურ და ცილისწამებლურ განცხადებებზე, არამედ იმ საგაზეთო პუბლიკაციებზეც, რომლებშიც მოთხრობილია კორუფციაში, დანაშაულსა და სერიოზულ დარღვევებში საჯარო მოხელეების მონაწილეობის შესახებ. ასეთი ბრალდებები, ცხადია, საჯარო სკანდალს ქმნის. კანონის მიხედვით, ისინი სკანდალური და ცილისწამებლურია იმ პუბლიკაციების მიმართ, რომლებიც საჯარო მოხელეების სავარაუდო გადაცდომებს ავლენენ.

მესამე. კანონის მიზანი არ არის სასჯელი, მისი ჩვეულებრივი გაგებით. კანონის მიზანია გაზეთის ან რაიმე პუბლიკაციის აკრძალვა. შტატის სასამართლოს მიხედვით, ამ კანონის მიღების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ცილისწამებისათვის სისხლის სამართლებრივ დევნას შედეგად არ მოსდევს „სკანდალის ეფექტურად ჩახშობა.“ ასეთი ჩახშობა კი მიიღწევა გამოცემის აკრძალვით. სწორედ ეს შეზღუდვაა კანონის მიზანი და მისი მოქმედების შედეგი.

მეოთხე. ეს კანონი მოქმედებს არა მხოლოდ მოპასუხე გაზეთის ან გამოცემის „ჩახშობად“, არამედ ის გამომცემლისათვის ეფექტურ ცენზურასაც აწესებს. როდესაც დადგინდება, რომ გაზეთი ან გამოცემა არის „ბოროტი, სკანდალური და ცილისწამებლური“ და მას შეზღუდვენ, მაშინ მისი გამოცემის განახლება განიხილება, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა და ისჯება ჯარიმით ან

პატიმრობით. ასე რომ, საკითხი – შეძლებს თუ არა პირი პუბლიკაციის გამოქვეყნებას იმავე ან სხვა საჯარო მოხელის შესახებ - დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ კონკრეტულ საქმეში კი მოპასუხეებს აეკრძალათ „ბოროტი, სკანდალური და ცილისმწამებლური“ გაზეთის გამოქვეყნება, გავრცელება, საკუთრებაში ქონა, გაყიდვა და დარიგება. კანონი არ იძლევა არავითარ განმარტებას, გარდა სიტყვებისა „ბოროტი, სკანდალური და ცილისმწამებლური“; და პუბლიკაციები, რომლებიც ოფიციალური პირების მიერ ჩადენილ გადაცდომებს ეხება, ამ კატეგორიაში შედის. თუ პროცედურულ დეტალებს ჩაუვლრმავდებით, დავინახავთ შემდეგს: კანონის მოქმედების შედეგი არის ის, რომ საჯარო მოხელეებს შეუძლიათ, სასამართლოში უჩივლონ გამომცემლებს სკანდალური და ცილისმწამებლური საგამომცემლო საქმიანობისათვის, განსაკუთრებით, თუ ეს გამოცემა საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე, სამსახურებრივ გულგრილობაზე საუბრობს. თუ გამომცემელი ან მესაკუთრე მოსამართლეს არ წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლითაც იგი დაამტკიცებს, რომ პუბლიკაცია სწორ ინფორმაციას შეიცავს და გამოქვეყნებულია კეთილი განზრახვით და გამართლებული მიზნებით, მის მიერ გაზეთის შემდგომი გამოცემა დასჯადია – რამდენადაც სასამართლოს უპატივცემულობად არის მიჩნეული. სწორედ ეს არის ცენზურის არსი.

შემდგომი საკითხია, ეწინააღმდეგება თუ არა აღნიშნული კანონი პრესის თავისუფლების კონცეფციას, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა. კონსტიტუციური დაცვის ფარგლების განსაზღვრისას, ზოგადად და უნივერსალურად მიღებულია, რომ პრესისა და სიტყვის თავისუფლების გარანტია გულისხმობს წინასწარი შეზღუდვების აკრძალვას. ინგლისში საკანონმდებლო ხელისუფლების – როგორც ლიცენზიის გამცემის – წინააღმდეგ ბრძოლაც სწორედ პრესისათვის ცენზურის დაწესების აკრძალვით დამთავრდა. ბლექსტონმა კი ასე აღწერა თავისუფლება: „პრესის თავისუფლება თავისუფალი სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელი ელემენტია; ეს თავისუფლება კრძალავს პრესისათვის წინასწარი შეზღუდვის დაწესებას. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ თითოეულ თავისუფალ ადამიანს აქვს უფლება, საზოგადოებას გააცნოს ნებისმიერი გრძნობა, რომელიც მას ეუფლება; ამის აკრძალვა კი პრესის თავისუფლების განადგურებას ნიშნავს. მაგრამ თუ იგი არასწორ და არაკანონიერ რაიმეს გამოსცემს, მაშინ იგი პასუხს აგებს საკუთარი უგუნურებისათვის.“

საყოველთაოდ მიღებულია, რომ სანქციები პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის აუცილებელია საზოგადოების დასაცავად; საერთო სამართლის წესები, რომლებიც ცილისმწამებელს პასუხისმგებლობას აკისრებს, არ უქმდება სიტყვისა და პრესის თავისუფლების კონსტიტუციური დაცვის შედეგად.

სისხლის სამართლებრივი ცილისწამების კანონმდებლობა სწორედ ამ მყარ საფუძველზე დგას. ასევე არსებობს სასამართლოების უფლება, სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველზე დასაჯონ ქმედება, რომელიც სასამართლო ხელისუფლების სათანადო განხორციელებას ხელს უშლის.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, აკრძალულია თუ არა ყველა წინასწარი შეზღუდვა. ეს უდავოა, თუმცა დაცვა წინასწარ შეზღუდვებთან მიმართებაში არ არის აბსოლუტური. შეზღუდვის დაშვება აღიარებული და კანონიერად ცნობილია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. უდავოა, რომ სახელმწიფო აღმოფხვრის სამხედრო განწვევისთვის ხელის შეშლას და საჯარისო ნაწილების ზუსტი ციფრის და დისლოკაციის ადგილის გამოქვეყნებას. იმავე საფუძველით, სახელმწიფოს უფლება აქვს, შეზღუდოს უხამსი პუბლიკაციები; ასევე, უფლება აქვს, დაიცვას საზოგადოებრივი უსაფრთხოება ძალადობის და კანონიერი ხელისუფლების დამხობის მოწოდებისგან. ეს შეზღუდვები ამ საქმეში არარელევანტურია და არ ეხება საქმის არსს. არც იმის გარკვევა ევალება სასამართლოს, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს უფლება, შეეზღუდა პუბლიკაცია კერძო პირების უფლებების დაცვის მიზნით.

ამის გამო, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო კანონი წარმოადგენს პრესის თავისუფლების იმ გარანტიების დარღვევას, რომლებიც მეთოთხმეტე შესწორებით არის აღიარებული და ვრცელდება შტატებზე. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ეს გადაწყვეტილება ეფუძნება სადავო კანონის მოქმედებას და მისი მოქმედების შედეგებს და არა იმ განცხადებების სიზუსტეს, რომელიც შტატის სასამართლოში გახდა სადავო. ის, რომ პუბლიკაციაში მოხსენიებული საჯარო მოხელეები, შესაძლოა, სრულიად უდანაშაულონი არიან, ზეგავლენას ვერ მოახდენს დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, კანონი არაკონსტიტუციურ შეზღუდვას ანესებს პუბლიკაციებზე.

1931 წელი

სიდისი F-R Publishing Corp-ის წინააღმდეგ

113F2d (2d circ. 1940)

ფაქტები: უილიამ ჯეიმს სიდისი ოდესლაც საჯარო ფიგურა იყო. საზოგადოება მისგან დიდ საქმეებს და სერიოზულ ნაბიჯებს მოელოდა. 1910 წლისათვის

მის მიმართ პრესას ლეგიტიმური ინტერესი გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ექსტრავაგანტულობისა და გამორჩეულობის გამო. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში პრესის დაინტერესების მოტივებს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

საქმის განხილვის მომენტში სიდისი პოლიტიკოსი, საჯარო ადმინისტრატორი ან სახელმწიფო მოხელე არ იყო. იგი საჯარო ფიგურა კიდეცაა რომ ყოფილიყო, უორენისა და ბრანდეისის აზრით, გამჟღავნებული პირადი ინფორმაცია შეიცავდა ფაქტებს, რომელთა „საზოგადოებრივი განხილვისგან დაფარვის უფლება ყოველ ადამიანს აქვს.“

თუმცა ამგვარი მოსაზრების საპირისპიროდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ დაუშვებელი იყო პრესაში პირადი ცხოვრების დეტალების გაშუქების აკრძალვაზე აბსოლუტური იმუნიტეტის დანესება.

გადანწყვეტილება: მეორე სააპელაციო ოლქის სასამართლომ დაასკვნა, რომ საზოგადოებრივი განწყობის გათვალისწინებით, უგუნურობა იქნებოდა ამგვარი ინფორმაციის გახეთქებაში, წიგნებსა და ჟურნალებში გამოქვეყნების აკრძალვა სასამართლოს ძალით.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საზოგადოების უფლება – იყოს ინფორმირებული, ინდივიდის პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის ინტერესზე უფრო მნიშვნელოვანია. უორენსა და ბრანდეისს ამ საქმეში საჯარო პირებისათვის ნიღბის ჩამოშორება სურდათ. სასამართლო უფრო შორს წავიდა, „სულ მცირე – აღნიშნეს მათ – ჩვენ ვუშვებთ იმ საჯარო პირის „პირადი ცხოვრების“ უფლების შეზღუდვას, რომელმაც „საჯარო ფიგურის“ სტატუსს მიანიჭა.“

სასამართლომ ჩათვალა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიდისი საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა, მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს და საზოგადოებრივ მიღწევებს შესაძლოა, ამგვარი ყურადღება დასაშვები გაეხადა. ნიუ-იორკში დაბეჭდილმა სტატიამ გაახმაურა უცნაური პიროვნების ცხოვრების დეტალები, რომელიც მყისიერად მოექცა საზოგადოებრივი ინტერესისა და ყურადღების ცენტრში.

უორენი და ბრანდეისი სრულად აცნობიერებდნენ, რომ პირადი საიდუმლოების დაცვის ინტერესი აუცილებლად მოვიდოდა კონფლიქტში საზოგადოების უფლებასთან – ინფორმაციის მიღებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ისეთმა საჯარო ფიგურამ, როგორცაა ოფიციალური თანამდებობის პირი, საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობას უნდა შესწიროს პირადი ცხოვრების საიდუმლოება და

პირადი ცხოვრების ნაწილი საჯარო განხილვისა და შესწავლის საგნად აქციოს. თუმცა საჯარო პირებიც კი არ არიან ვალდებული, ბოლომდე „გაშიშვლდნენ“.

სასამართლოს ამ საქმეში არ განუხილავს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად დაექვემდებარება სრულ დაცვას გამოქვეყნებული მასალები. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და მისი გამჟღავნება, შესაძლოა, იმდენად ინტიმური და უნებართვო იყოს მსხვერპლის პოზიციიდან გამომდინარე, რომ შეურაცხყოფა საზოგადოების გრძნობებსაც მიაყენოს. მაგრამ როდესაც ფოკუსში მოქცეულია საჯარო დეტალები, სინამდვილესთან შესაბამისი კომენტარები პიროვნების ჩაცმულობაზე, გამოსვლებზე, ჩვევებსა და სხვა დეტალებზე, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ზღვარის გადალახვა არ ხდება.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, მეზობლებისა და საჯარო ფიგურების წარუმატებლობა ყოველთვის არის საზოგადოებრივი ინტერესისა და დისკუსიების საგანი.

1940 წელი

ჩაპლინსკი ნიუ ჰემპშირის წინააღმდეგ

315 U.S. 568

ფაქტები: მოსარჩლე ჩაპლინსკი, რომელიც იელოვას მონმეების სახელით ცნობილი სექტის წევრი იყო, დასაჯეს ნიუ ჰემპშირის კანონის დარღვევისათვის, რომელიც ადგენდა:

„არც ერთ პირს არ აქვს უფლება, შეურაცხმყოფლად, ცინიკურად ან გამაღიზიანებლად მიმართოს მეორე პირს, რომელიც კანონიერად იმყოფება ქუჩაში ან სხვა საჯარო ადგილზე; ასევე, ეკრძალება შეურაცხმყოფელი ან ცინიკური მიმართვა ან ხმაურის გამოწვევა მეორე პირის თანდასწრებით, თუკი ეს საქციელი მიზანად ისახავს ამ პირის შეურაცხყოფას ან მის მიერ მისი კანონიერი ფუნქციების ან საქმიანობის შესრულებისათვის ხელის შეშლას“.

ჩაპლინსკი შაბათ დღეს ქალაქ როჩესტერში მისი სექტის ლიტერატურას ავრცელებდა. მოქალაქეებმა მარშალს პრეტენზიით მიმართეს, რომ ჩაპლინსკი შეურაცხყოფას აყენებდა რელიგიას და მას „რეკეტს“ უწოდებდა. მარშალმა მოქალაქეებს აუხსნა, რომ ჩაპლინსკი კანონიერად იქცეოდა, თუმცა ჩაპლინსკი

გააფრთხილა ხალხის უკმაყოფილების თაობაზე. მოგვიანებით, ჩაპლინსკი პოლიციელმა დააკავა და პოლიციის განყოფილებაში მიჰყავდა, როდესაც მათ გზად მარშალი ბოვერინგი შეხვდათ. ჩაპლინსკი დაადანაშაულეს ქალაქ როჩესტერში საჯარო ადგილას (მერიის შენობის კიბეზე) მარშალისათვის შემდეგნაირი მიმართვისთვის: „შენ დაწყველილი კრიმინალი და ფაშისტი ხარ და როჩესტერის მთელი მთავრობაც ფაშიტებისგან ან ფაშიტების აგენტებისგან შედგება“.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგინა მოსამართლე მერფიმ: სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არ არის. არსებობს კარგად განსაზღვრული და ვინროდ ფორმულირებული შეზღუდვები, რომლებიც გარკვეული სახის გამოხატვას არეგულირებს. ეს შეზღუდვები მოიცავს უხამსობას, მკრეხელობას, ცილისწამებას და შეურაცხყოფელი ან ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას/ ძალადობისკენ მოწოდებას; ანუ ეს არის გამოხატვა, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას, ან არღვევს წესრიგს და საზოგადოებრივ სიმშვიდეს. იმავდროულად, შეზღუდვა არ ეხება იდეების გადმოცემას და იმგვარ გამოხატვას, რომელსაც სოციალური ღირებულება აქვს.

მოსარჩლე დაობს, რომ სადავო აქტი არღვევს სამ კონსტიტუციურ უფლებას: სიტყვის, პრესის და რელიგიის თავისუფლებას. თუმცა სასამართლო ამ საქმეს მხოლოდ სიტყვის თავისუფლების კონტექსტში განიხილავს, რადგან სადავოა ზეპირი განცხადება და არა წერილობითი სიტყვა. ასევე არ შეიძლება, რომ საჯარო მოხელის გალანძღვა იმგვარად, როგორც ამ საქმეში გვხვდება, რელიგიის თავისუფლების კუთხით განვიხილოთ.

წინა გადაწყვეტილებებში შტატის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო კანონის მიზანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. კანონის მიხედვით, არ არის აკრძალული რაიმე გამოხატვა, გარდა იმ სიტყვებისა, „რომლებიც პირდაპირ იწვევს ძალადობას იმ პირის მხრიდან, ვის მიმართაც არის ეს სიტყვები ან შენიშვნა ნათქვამი“. ასევე აღინიშნა, რომ „ინდივიდუალური შუღლის გაღვივება“ არ არის განსაზღვრული იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს ის პირი, რომლის წინააღმდეგაც სიტყვებია მიმართული. „ინდივიდუალური შუღლის გაღვივება“ განისაზღვრება იმის მიხედვით, გამოიწვევს თუ არა ეს სიტყვები საშუალო ინტელექტის ადამიანში ჩხუბის სურვილს. შესაბამისად, კანონი კრძალავს პირისპირ ისეთი სიტყვების გამოთქმას, რომლებიც ჩხუბს გამოიწვევს. ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი, რომელიც ამგვარად არის ფორმულირებული, პირველ შესწორებას ეწინააღმდეგება. სადავო კანონი ვინროდ არის ფორმულირებული,

კრძალავს მხოლოდ გარკვეულ ქმედებას და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შესაბამისად, არ ვეთანხმებით აპელანტის არგუმენტს, რომ კანონი ბუნდოვანია.

1941 წელი

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ

376 U.S. 254

ფაქტები: ალაბამას შტატის სამი არჩეული კომისრიდან ერთ-ერთმა, სალივანმა, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაქვეყნა სარეკლამო განცხადება. მოსარჩელემ ეს განცხადება ცილისმწამებლურად მიიჩნია. სარეკლამო განცხადების რამდენიმე ფრაგმენტი შეიცავდა არასწორ ფაქტებს და ეხებოდა პოლიციის ქმედებას სტუდენტების მიერ სამოქალაქო უფლებების დასაცავად გამართულ დემონსტრაციაზე. სალივანი დაობდა, რომ სარეკლამო განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომელშიც კონკრეტულ პირზე არ იყო საუბარი, სინამდვილეში, მას ეხებოდა, რადგან პოლიციის დეპარტამენტის ზედამხედველობა სწორედ მისი მოვალეობა იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ აღნიშნული განცხადებები წარმოადგენდა ცილისწამებას, რაც ნიშნავდა, რომ სამართლებრივი ზიანი იგულისხმებოდა ფაქტობრივი ზიანის შესახებ მტკიცების გარეშე. ნაფიცმა მსაჯულებმა საქმე სალივანის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და „ნიუ-იორკ ტაიმსს“ 500 000 დოლარის გადახდა დააკისრეს. შტატის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მოპასუხემ შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება გაუქმდა და დაბრუნდა წინა ინსტანციაში ხელახლა განსახილველად.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბრენანმა: ამ საქმეში პირველად ის უნდა გავარკვიოთ, თუ რამდენად ზღუდავს კონსტიტუციის პირველი შესწორება შტატის უფლებამოსილებას, პირს დააკისროს ზიანის ანაზღაურება ცილისწამების შესახებ საქმეში, რომელიც საჯარო მოხელის მიერ არის აღძრული მისი ოფიციალური უფლებამოსილების შესრულების კრიტიკასთან დაკავშირებით.

1960 წლის 29 მარტს „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა ერთგვერდიანი სა-რეკლამო განცხადება „ყურადღება მიაქციეთ მათ ხმას“. განცხადება შემდეგ-ნაირად იწყებოდა:

„დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა, რომ ათასობით სამხ-რეთელი შავკანიანი სტუდენტი ჩართულია ფართო არაძალადობრივ დემონსტ-რაციაში, რომელიც მიზნად ისახავს, განამტკიცოს ადამიანების უფლება ღირ-სეულ ცხოვრებაზე – როგორც ეს გარანტირებულია შეერთებული შტატების კონსტიტუციითა და უფლებათა ბილით. სტუდენტთა არაძალადობრივი დემონს-ტრაციები ტერორის უპრეცედენტო ტალღას აწყდება მათი მხრიდან, ვინც არ იცავს აღნიშნულ დოკუმენტებს; თუმცა ეს დოკუმენტები მთელი მსოფლიოსათ-ვის თანამედროვე თავისუფლების მოდელად იქცა.“ კონკრეტული შემთხვევების აღწერის შემდეგ განცხადებაში ილუსტრირებული იყო „ტერორის ტალღა“. იქვე, დასკვნის სახით წარმოდგენილი იყო მონოდება თანხების მოძიებისკენ სტუდენ-ტთა მოძრაობის ხელშესაწყობად, ხმის უფლების მოსაპოვებელი ბრძოლისათვის და სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად მოძრაობის ლიდერის, მარტინ ლუთერ კინგისათვის, რომელსაც მონტგომერის ოლქის სასამართლოში ბრალი ედებოდა ცრუ ჩვენების გამო.

ტექსტის ბოლოში ჩამოთვლილი იყო 64 პირის სახელი, რომლებიც ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ საზოგადოებრივ, რელიგიურ, პროფესიული კავ-შირების და ხელოვნების სფეროში. სარჩელის საფუძველი გახდა ტექსტის მესამე და მეექვსე პარაგრაფები:

მესამე პარაგრაფი – „როდესაც მონტგომერში, კაპიტოლ ჰილთან შეკრებილ-მა სტუდენტებმა იმღერეს სიმღერა „*My Country tis of thee*“, დემონსტრაციიდან უნივერსიტეტში დაბრუნებული მათი ლიდერები სასწავლებლიდან გარიცხეს. ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით შეიარაღებულმა პოლიციის ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს უნივერსიტეტის ტერიტორიას. როდესაც თავისი მეგობრე-ბისადმი სოლიდარობის ნიშნად უნივერსიტეტის მთელმა სტუდენტობამ პრო-ტესტი გამოთქვა და უარი თქვა რეგისტრაციაზე, უნივერსიტეტის სასადილო ჩაკეტეს, რათა სტუდენტებს იძულებით ეშიმშილათ.“

მეექვსე პარაგრაფი – „სამხრეთელმა კანონდამრღვევებმა კვლავ და კვლავ დაშინებისა და ძალადობის მორიგი კამპანიით უპასუხეს მარტინ ლუთერ კინგისა და სხვა აქტიური სტუდენტების მშვიდობიან საპროტესტო მოძრაობას. მათ ყუმბა-რები ესროლეს მარტინ ლუთერ კინგის სახლს, სადაც მისი ახალგაზრდა ცოლი და შვილი შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. კინგს არაერთხელ მიაყენეს შეურაც-ხყოფა; მარტო განვლილი წლის განმავლობაში იგი შვიდჯერ დააკავეს სიჩქარის

გადაჭარბებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის და მსგავსი წერილმანი სამართალდარღვევისათვის. ახლა კი მას ბრალად წაუყენეს ცრუ ჩვენების მიცემა, რისთვისაც კინგს, შესაძლოა, 10 წლამდე პატიმრობა მიუსაჯონ.“

იმის მიუხედავად, რომ არც ერთ განცხადებაში არ არის მოხსენიებული მოსარჩლის სახელი, იგი დაობს, რომ სიტყვა „პოლიცია“ ეხება სწორედ მას, როგორც მონტგომერის ოლქის პოლიციის კომისარს; რომ სწორედ მას ადანაშაულებენ უნივერსიტეტის ტერიტორიისათვის „აღყის შემორტყმაში“. მოსარჩლე ასევე დაობს, რომ განცხადება სასადილო პოლის ჩაკეტვასთან დაკავშირებით პირდაპირ ეხება პოლიციას და, კონკრეტულად, პირადად მას. რაც შეეხება განცხადების მეექვსე პარაგრაფს, მოსარჩლე აცხადებს, რომ რადგან დაკავებას ძირითადად პოლიცია ახორციელებს, ესე იგი, განცხადება მარტინ ლუთერ კინგის დაკავებასთან დაკავშირებით ეხება მას, როგორც პოლიციის კომისარს და ასევე მას ეხება ფრაზა „სამხრეთელი კანონდამრღვევები“. მოსარჩლე დამატებით აცხადებს, რომ „ტაიმსში“ გამოქვეყნებული განცხადება გაგებულია, როგორც მისი და მონტგომერის პოლიციის დადანაშაულება მშვიდობიანი საპროტესტო აქციების „დაშინებასა და ძალადობაში“; ასევე, კინგის სახლის დაბომბვაში, მის შეურაცხყოფაში და ცრუ ჩვენებისთვის მის ბრალდებაში.

უდავოა, რომ ზემოთ მოყვანილ ორ პარაგრაფში ზოგიერთი ფაქტი არასწორია და ზუსტად არ აღწერს მონტგომერიში განვითარებულ მოვლენებს. სტუდენტები დემონსტრაციის დროს მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნს და არა სიმღერას „My Country tis of thee“. ცხრა სტუდენტი მართლაც გარიცხეს უნივერსიტეტიდან, თუმცა ისინი გარიცხეს ოლქის სასამართლოში სადილის მოთხოვნის გამო. მთელი სტუდენტობა პროტესტის ნიშნად არ გაფიცულა, გაიფიცა სტუდენტობის უმეტესი ნაწილი; მათ რეგისტრაციაზე კი არ განუცხადებიათ უარი, არამედ ერთი დღე ყველა ლექცია გააცდინეს. არც სასადილო ოთახი ჩაუკეტავთ, მხოლოდ ის სტუდენტები არ დაუშვეს სადილად, ვისაც სადილის ბილეთი არ აუღია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია უნივერსიტეტის შენობის გარეთ იდგა, მათ ალყა არ შემოურტყამთ შენობისთვის და არც დემონსტრაციასთან დაკავშირებით ყოფილან გამოძახებულნი. მარტინ ლუთერ კინგი მხოლოდ ოთხჯერ დააკავეს და პოლიციელი მის შეურაცხყოფას უარყოფს. რაც შეეხება კინგის სახლის დაბომბვას, ის მართლაც დაბომბეს ორჯერ, თუმცა, მოსარჩლე დაობს, რომ პოლიციამ ყველაფერი გააკეთა დამნაშავეთა გამოსავლენად.

ალაბამას კანონის თანახმად, საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს სადამსჯელო ზიანის ანაზღაურება (punitive damages), თუკი იგი თავდაპირველად წერილობით არ მოითხოვს ინფორმაციის საჯაროდ უარყოფას და მოპასუხე

ამაზე უარს არ განაცხადებს. მოსარჩლემ ასეთი წერილობითი მოთხოვნა გაგზავნა, თუმცა „ტაიმსისგან“ ასეთი პასუხი მიიღო: „ჩვენ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვართ თქვენი პოზიციით იმის თაობაზე, რომ სარეკლამო განცხადება პირადად თქვენ გეხებათ. თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ დამატებით გვაცნობოთ – მაინც რატომ მიგაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნული სარეკლამო განცხადება თქვენ შესახებაა“.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ სარეკლამო განცხადება წარმოადგენდა ცილისწამებას, როგორც ასეთს. ეს ნიშნავს, რომ განცხადების ხელმომწერები პასუხისმგებლობის ქვეშ ხვდებოდნენ, თუკი დადგინდებოდა, რომ მათ გამოაქვეყნეს განცხადება და განცხადება შეეხებოდა მოპასუხეს. ნაფიც მსაჯულებს ასევე განუმარტეს, რომ ვინაიდან სარეკლამო განცხადება *per se* ცილისმწამებლური იყო, ამ შემთხვევაში, კანონი პასუხისმგებლობას ადგენს მხოლოდ გამოქვეყნების ფაქტის გამო, არსებობს სიმცდარის და ბოროტი განზრახვის პრეზუმფცია; ზიანის დამტკიცება საჭირო არ არის, მისი პრეზუმფცია არსებობს. *per se* ცილისწამების დროს ასევე შესაძლებელია სადამსჯელო ჯარიმის დაკისრება, განსხვავებით ზოგადი ზიანის ანაზღაურებისგან, რომელიც მიზნად არ ისახავს კომპენსაციას; თუმცა მისთვის საჭიროა „ბოროტი განზრახვის“ დადგენა. ალაბამას შტატის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოსამართლის ინსტრუქციებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ალაბამას კანონი კონსტიტუციურად არასრულყოფილია და სათანადოდ არ იცავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას პირველი და მეოთხედი შესწორების თანახმად. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია მოპასუხის მხარდასაჭერად.

ამ საქმეში ის უნდა გადაწყვიტოთ, თუ რამდენად არღვევს სიტყვისა და პრესის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიებს პასუხისმგებლობის წესი, რომელიც საჯარო მოხელეების სამსახურებრივი საქმიანობის კრიტიკასთან არის დაკავშირებული.

სასამართლო არ ეთანხმება ალაბამას შტატის უზენაეს სასამართლოს, რომელმაც განმარტა, რომ მეოთხედი შესწორება ეხება შტატის მოქმედებას და არა კერძო ქმედებას. შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს არგუმენტი უადგილოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამოქალაქო სარჩელთან კერძო პირებს შორის, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომლის კონსტიტუციურობაც დღეს ამ სასამართლოში სადავო გახდა. ამ შემთხვევაში, ტესტს წარმოადგენს არა ის, თუ რა ფორმით განხორცი-

ელდა შტატის უფლებამოსილება, არამედ – განხორციელდა თუ არა ასეთი უფლებამოსილება მისი ფორმის მიუხედავად.

მეორე არგუმენტი, რომელშიც სასამართლო მოპასუხეს არ ეთანხმება, კომერციულ გამოხატვას ეხება. სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სარეკლამო განცხადება არ არის კომერციული გამოხატვა, იმის მიუხედავად, რომ რეკლამის სახით გამოქვეყნდა და მის გამოქვეყნებაში თანხაა გადახდილი.

მოპასუხე ასევე ეყრდნობა არგუმენტს, რომ ცილისმწამებლური განცხადებები არ არის დაცული პირველი შესწორებით. სასამართლო ადგენს, რომ პირველი შესწორება ავტომატურად არ იცავს ცილისმწამებლურ განცხადებებს, რადგან ის ფაქტი, რომ განცხადება ცილისმწამებლურია, არ გამორიცხავს მის დაცვას.

სადავო სარეკლამო განცხადება ნამდვილად იმსახურებს კონსტიტუციურ დაცვას, რადგან პროტესტის და წინააღმდეგობის გამოხატვას წარმოადგენს. თუმცა რჩება კითხვა: განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სიმცდარეს ხომ არ გამოჰყავს ასეთი გამოხატვა კონსტიტუციური დაცვის ფარგლებიდან?

პირველი შესწორების ინტეგრეტაციის შედეგად მიღებული გარანტიები განუხრელად უარყოფს გამოხატვის დანეხებას სიმართლის ტესტისათვის, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელიც სიმართლის მტკიცების ტვირთს სპიკერს აკისრებს.

მცდარი განცხადებები გარდაუვალია თავისუფალ დებატებში, ამიტომ საჭიროა მათი დაცვა, რათა გამოხატვის თავისუფლებას „სუნთქვის“ საშუალება მიეცეს.

კონსტიტუციური გარანტიების მიხედვით, საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ ცილისმწამების საქმეებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ისინი არ დაამტკიცებენ, რომ განცხადება გაკეთდა „ბოროტი განზრახვით“.

1964 წელი

შეერთებული შტატები ობრაიენის წინააღმდეგ

391 U.S. 367

ფაქტები: 1966 წლის 31 მარტის დილას დევიდ პოლ ობრაიენმა და მისმა სამმა თანამოაზრემ დაწვეს სამხედრო სამსახურის სერტიფიკატები სამხრეთ ბოსტონის სასამართლოს შენობის კიბეებზე.

ობრაიენს ამ ქმედებისთვის ბრალდება წაუყენეს. მისი საქმე მასაჩუსეტსის ოლქის სასამართლომ განიხილა, იგი დამნაშავედ ცნეს და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. ობრაიენი არ უარყოფდა სერტიფიკატის დაწვის ფაქტს. სასამართლოს წინაშე მან განაცხადა, რომ სერტიფიკატის საჯაროდ დაწვის საშუალებით ხალხს ომის საწინააღმდეგო მოსაზრებების გაზიარებისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ხალხს უნდა „გადაესინჯა დამოკიდებულება შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურისა და თანამედროვე კულტურაში მის როლთან დაკავშირებით და შესაბამისად, გაეთვალისწინებინა მისი პოზიცია.“

ბრალდების თანახმად, მან „მოწმობის დაწვით განზრახ და გაცნობიერებულად შეურაცხყო, გაანადგურა და უარყო რეგისტრაციის სერტიფიკატი (სამხედრო სამსახურის ფორმა №2), რითაც დაარღვია შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის 462(ბ) მუხლის 50-ე ნაწილი“. აღნიშნული მუხლი საყოველთაო სამხედრო წვრთნისა და სამსახურის შესახებ 1948 წლის აქტის ნაწილია.

1965 წელს კონგრესის მიერ კანონმდებლობაში შეტანილი შესწორების თანახმად, დანაშაულად ითვლებოდა ყოველი ქმედება, რომლითაც პირი „გააყალბებდა, შეცვლიდა, გაცნობიერებულად გაანადგურებდა, შეურაცხყოფდა ან სხვაგვარად დააზიანებდა ასეთ სერტიფიკატს“. 1965 წლის შესწორებით კონგრესმა 1948 წლის აქტს ზემოხსენებული ნორმა დაუმატა, რომლითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაუქვემდებარა არა მხოლოდ ის, ვინც „გააყალბებდა, შეცვლიდა ან სხვაგვარად დააზიანებდა“ სერტიფიკატს, არამედ ისიც, ვინც მას „გაცნობიერებულად გაანადგურებდა ან გაცნობიერებულად შეურაცხყოფდა“.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და აღდგა საოლქო ინსტანციის გადაწყვეტილება და განაჩენი, რომლითაც ობრაიენი გაამტყუნეს.

სასამართლოს მოსაზრება: უნდა აღინიშნოს, რომ 1965 წლის შესწორება პირდაპირ არ ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, ამიტომ ობრაიენის საწინააღმდეგო არგუმენტაცია გაუგებარია. თვით ეს შესწორება შეეხება ქმედებას, რომელსაც კავშირი არ აქვს სიტყვის თავისუფლებასთან. ის კრძალავს სამხედრო სამსახურის სისტემის მიერ გამოცემული სერტიფიკატის გაცნობიერებულად განადგურებას, ასეთი ქმედება კი აუცილებლად აზრის გამოხატვას არ გულისხმობს. შესწორება არ განასხვავებს საჯაროდ და კერძოდ განადგურებას და დასჯადად არ აცხადებს მხოლოდ აზრის გამოხატვის მიზნით განადგურებას. კანონი, რომელიც კრძალავს სამხედრო სამსახურის სერტიფიკატის განადგურებას, ისევე არ ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, როგორც ავტოტრანსპორტის შესახებ კა-

ნონი, რომელიც კრძალავს მართვის მონმობის განადგურებას, ან საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს საბალანსო წიგნებისა და სხვა ჩანაწერების განადგურებას.

ობრაიენი აცხადებს, რომ 1965 წლის შესწორება არაკონსტიტუციურია მასთან მიმართებაში და იმთავითვე არაკონსტიტუციური იყო მისი მიღება. ობრაიენის აზრით, კონგრესი ამ შესწორების შეტანისას მიზნად სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ისახავდა. თუმცა ამ არგუმენტს ცალკე განვიხილავთ.

ობრაიენი აღნიშნავს, რომ 1965 წლის შესწორება არაკონსტიტუციურია მასთან მიმართებაში, რადგან მისი ქმედება – რეგისტრაციის მონმობის დაწვა, წარმოადგენდა კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სიმბოლურ გამოხატვას. მისი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას და მისი მოქმედებაც ამ დეფინიციას ექვემდებარება, რადგან მან ეს გააკეთა „ომისა და განწვევისადმი წინააღმდეგობის გამოსახატად“.

მიუღებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელითაც პირი ცდილობს საკუთარი იდეის გადმოცემას, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „გამოხატვა“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ ობრაიენის ქმედებაში დამტკიცებული კომუნიკაციური ელემენტი საკმარისია კონსტიტუციის პირველი შესწორების ასამოქმედებლად, ეს არ ნიშნავს, რომ რეგისტრაციის მონმობის განადგურება კონსტიტუციით დაცული მოქმედებაა. ხელისუფლების ინტერესის ხარისხის განსაზღვრისათვის სასამართლომ რამოდენიმე აღწერილობითი ტერმინი გამოიყენა: იძულებითი, არსებითი, დაქვემდებარებული, უზენაესი, უდავო, ძლიერი. მიუხედავად იმისა, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ტერმინები, აშკარაა, რომ ხელისუფლების მხრიდან რეგულირება გამართლებულია: თუ ის ხელისუფლების კონსტიტუციურ უფლებამოსილებას არ ცდება; თუ განავითარებს ხელისუფლების მნიშვნელოვან ან არსებით ინტერესს; თუ ხელისუფლების ინტერესი არ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას; თუ კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვა არ აღემატება ამ ინტერესის განხორციელების აუცილებლობას. საყოველთაო სამხედრო წვრთნისა და სამსახურის შესახებ აქტის 462(ბ)(3)-ე მუხლის 1965 წლის შესწორება აკმაყოფილებს ყველა ამ მოთხოვნას და შესაბამისად, შესაძლებელია ობრაიენის დადანაშაულება მის დარღვევაში.

სამხედრო სამსახურის სერტიფიკატი სხვა ფუნქციებთან ერთად იმის დამატკიცებელიცაა, რომ კონგრესს აქვს მისი უპასუხისმგებლოდ და შეუზღუდავად განადგურების ალკვეთის და მისი მუდმივი ვარგისიანობის უზრუნველყოფის

ლეგიტიმური და არსებითი ინტერესი და ამიტომ სჯის იმ ადამიანებს, ვინც გაცნობიერებულად და განზრახ გაანადგურებს ან შეურაცხყოფს მას.

რეგისტრირებული პირებისთვის სამხედრო სამსახურის სერტიფიკატის გაცემა ხელს უწყობს იმ სისტემის სათანადო ფუნქციონირებას, რომელიც კონგრესმა არმიის შესაქმნელად ჩამოაყალიბა. ერის ინტერესებში შედის მაქსიმალურად ეფექტურად ფუნქციონირებადი სამხედრო სისტემა, რომელსაც შეუძლია, ადვილად და სწრაფად მოახდინოს ცვალებად მოვლენებზე რეაგირება.

აშკარაა, რომ 1965 წლის შესწორება ხელისუფლების ამ არსებითი ინტერესის დაცვას ისახავს მიზნად. არ არსებობს ალტერნატიული საშუალება, რომელიც უფრო სრულყოფილად და ზუსტად უზრუნველყოფს სამხედრო სამსახურის სერტიფიკატების სათანადო მოქმედებას, ვიდრე კანონი, რომელიც კრძალავს მათ შეურაცხყოფას და განადგურებას – 1965 წლის შესწორება მხოლოდ ასეთ ქმედებებს კრძალავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ინტერესი და 1965 წლის შესწორების მოქმედებაც მოიცავს მხოლოდ ობრაიენის ქმედების არაკომუნიკაციურ ასპექტს. სახელმწიფო ინტერესის და 1965 წლის შესწორების ფარგლებში ხელყოფისაგან დაცულია სამხედრო სამსახურის სისტემის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირება. ობრაიენმა თავისი სარეგისტრაციო სერტიფიკატის გააზრებული განადგურებით განზრახ ხელყო სახელმწიფო ინტერესი. მხოლოდ მისი ქმედების ამ არაკომუნიკაციური შედეგისათვის ცნეს იგი დამნაშავედ.

ობრაიენი ამბობს, რომ 1965 წლის შესწორება არაკონსტიტუციურია, რადგან, მისი თქმით, კონგრესის „მიზანი“ იყო „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა“. ეს არგუმენტი სადავოა, რადგან დამკვიდრებული პრინციპების თანახმად, კონგრესის მიზანი არ წარმოადგენს საფუძველს ამ კანონის ანტიკონსტიტუციურად ცნობისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ სამხედრო წვრთნისა და სამსახურის შესახებ აქტის 1965 წლის შესწორება კონსტიტუციურად არის მიღებული და გამოყენებული, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა საოლქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, არ არის საჭირო ობრაიენის მოთხოვნის გათვალისწინება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლო შეცდა, როდესაც დაამტკიცა მისი დანაშაული არამესაკუთრის მდგომარეობის რეგულირების საფუძველზე.

მოსამართლე მარშალს არ მიუღია მონაწილეობა ამ საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში.

მოსამართლე ჰარლენი დაეთანხმა გადაწყვეტილებას.

მოსამართლე დაგლასს ჰქონდა განსხვავებული აზრი, რომლის თანახმად, ამ საქმეში ძირითად, მაგრამ გადაუწყვეტელ კონსტიტუციურ საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ანტიკონსტიტუციური იყო სამხედრო სამსახურში განვება ისეთ დროს, როდესაც ომი არ იყო გამოცხადებული.

1968 წელი

ბრანდენბურგი ოჯაიოს წინააღმდეგ

395 U.S 444

ფაქტები: კუ კლუქს კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი, ცინცინატის ტელევიზიაში ახალი ამბების წამყვანს დაუკავშირდა და დაპატიჟა კუ კლუქს კლანის შეკრებაზე, რომელიც ჰამილტონის ოლქში ერთ-ერთ ფერმაში იმართებოდა. ორგანიზატორების დახმარებით, კორესპონდენტი და ოპერატორი შეკრებას დაესწრნენ და გადაიღეს ის. მასალების ნაწილი გადაიცა ადგილობრივი ტელევიზიით და, მოგვიანებით – ტელევიზიების ეროვნული ქსელითაც. გადაღებულ მასალაში ნაჩვენებია იყო კუ კლუქს კლანის სამოსში ჩაცმული თორმეტი პირი. ისინი შეკრებილი იყვნენ ხის ჯვრის გარშემო, რომელიც მოგვიანებით დაწვეს. ამ მოვლენების დროს ფერმაში მხოლოდ შეკრების მონაწილეები, კორესპონდენტი და ოპერატორი იმყოფებოდნენ. შეკრების დროს გაკეთებული განცხადებები ფილმის ჩვენებისას ნაკლებად გასაგები იყო ჩანერის ხარისხის გამო, თუმცა ცალკეული ფრაზებიდან შეიძლებოდა შავკანიანების და ებრაელების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებების ამოცნობა. ფილმის მეორე ნაწილში ნაჩვენებია იყო კლანის ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მოსარჩლე. მან შეკრებაზე ასეთი განცხადება გააკეთა:

„ეს ორგანიზატორების შეკრებაა. კლანს ოჯაიოს შტატში ყველაზე მეტი წევრი ჰყავს. ჩვენ რევანშისტული ორგანიზაცია არ ვართ, მაგრამ თუ ჩვენი პრეზიდენტი, კონგრესი და უზენაესი სასამართლო გააგრძელებენ თეთრი რასის შევიწროებას, ჩვენ, შესაძლოა, რევანშისტული ზომებიც მივიღოთ. ოთხ ივლისს მოვაწყობთ შეკრებას კონგრესთან, სადაც ოთხასი ათასი ადამიანი მოვა. ამის შემდეგ ორად გავიყოფით: ერთი ნაწილი გაემართება ფლორიდაში, ქალაქ სანტ ოკესტინში, მეორე ნაწილი კი – მისისიპიში. გმადლობთ“.

მეორე ფილმში ნაჩვენებია ექვსი პიროვნება, რომელთაგანაც ერთ-ერთი მოსარჩლეა. ისიც ზემოთ მოყვანილის მსგავს განცხადებას აკეთებს, თუმცა ფრაზა მოსალოდნელი რევანშის შესახებ გამოტოვებულია. იგი დამატებით ამბობს: „პირადად მე ვფიქრობ, რომ შაკეანიანები აფრიკაში უნდა დაბრუნდნენ, ხოლ ებრაელები – ისრაელში“. შეკრების ზოგიერთი მონაწილე შეიარაღებული იყო, თუმცა მოსარჩლეს იარაღი არ ჰქონდა.

ბრალდება ამ საქმეში ეყრდნობოდა ზემოაღნიშნულ ფილმს და მასში გაკეთებულ განცხადებებს, საიდანაც დადგინდა მოსარჩლის ვინაობაც. ბრალდებამ მტკიცებულებების სახით ასევე წარადგინა ფილმში გამოჩენილი რამდენიმე საგანი: პისტოლეტი, გადაჭრილი თოფი, ლულიანი თოფი, საბრძოლო აღჭურვილობა, ბიბლია და კლანის წევრების „კაპიშონიანი“ სამოსი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლოს ერთობლივი მოსაზრება: კუ კლუქს კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი, დამნაშავედ ცნეს ოჰაიოს შტატის სინდიკალიზმის აქტის თანახმად. აქტის მიხედვით, დასჯადად ცხადდებოდა „მოწოდება დანაშაულის, საბოტაჟის, ძალადობის ან არაკანონიერი ქმედების ჩადენისკენ პოლიტიკური ან ინდუსტრიული რეფორმის მისაღწევად“. აღნიშნული კანონი ასევე კრძალავდა ნებისმიერი ჯგუფის, საზოგადოების ან პირთა ჯგუფის ნებაყოფლობით შეკრებას კრიმინალური სინდიკალიზმის მონაწილეთა ან სწავლების მიზნით. ბრანდენბურგი 1000 დოლარით დააჯარიმეს და 10 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. ბრანდენბურგმა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა, სადაც ოჰაიოს სინდიკალიზმის აქტის ანტიკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა – პირველი და მეოთხმეტე შესწორების თანახმად.

ოჰაიოს სინდიკალიზმის აქტი 1919 წელს მიიღეს. ამ სასამართლომ 1927 წელს მხარი დაუჭირა კალიფორნიის შტატის სინდიკალიზმის აქტს, საქმეში ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ (274 U.S 357). კალიფორნიის შტატის სინდიკალიზმის აქტის ტექსტი საკმაოდ ჰგავს სადავო კანონს. საქმეში ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ, სასამართლომ მხარი დაუჭირა აქტს, რადგან „პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებისათვის ძალადობის მოწოდება შეიცავს ისეთ საშიშროებას, რომელიც, შესაძლოა, აიკრძალოს“. თუმცა შემდგომ გადაწყვეტილებებში მოხდა ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ საქმეში ჩამოყალიბებული დოქტრინის დისკრედიტირება, მათ შორის, საქმეში დენისი შეერთებული შტატების წინააღმდეგ. სხვა გადაწყვეტილებებში კი გამოჩნდა დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, სიტყვისა და პრესის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების მიხედვით, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ძალის გამოყენების ან კანონის დარღვევის

მონოდება, თუ ასეთი მონოდება არ არის პირდაპირ მიმართული უკანონო ქმედების ნაქეზებაზე ან მის მყისიერ გამონევაზე. მხოლოდ აბსტრაქტული სწავლება იმისა, რომ საჭიროა ძალადობრივი ქმედება, არ არის იგივე, რაც ჯგუფის მომზადება და ადამიანების იძულება, რომ ჩაიდინონ ძალადობრივი ქმედება. კანონი, რომელიც ზემოაღნიშნულ განსხვავებას არ ცნობს, არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას.

შესაბამისად, ოჰაიოს სადავო აქტი არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას. აქტის თანახმად, დასჯადია „ძალადობისკენ ან ძალადობრივი საფრთხის შექმნისკენ მოწოდება, როგორც პოლიტიკური ან ინდუსტრიული რეფორმის საშუალება; ასევე ისევეა ასეთი მოწოდების შემცველი პუბლიკაციების გავრცელება და გამოფენა, ან ჯგუფის ნებაყოფლობითი შეკრება კრიმინალური სინდიკალიზმის სწავლების მიზნით“. ამ შემთხვევაში, მოსამართლის ინსტრუქციები ნაფიცი მსაჯულებისთვის ვერ შეცვლის აქტის საკმაოდ მკაცრ ფორმულირებას, რომელიც ერთმანეთისგან არ მიჯნავს მონოდებას უკანონო ქმედების ნაქეზებისგან.

შესაბამისად, ჩვენ მხარს აღარ ვუჭერთ საპირისპირო დოქტრინას, რომელიც ჩამოყალიბდა საქმეში ვიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ.

1969 წელი

Red Lion Broadcasting Co. Inc-ი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ

395 U.S. 367

ფაქტები: Red Lion Broadcasting ლიცენზირებული მაუწყებელია პენსილვანიის შტატში, ისევე როგორც WGCB რადიო. 1964 წლის 27 ნოემბერს რადიომ გადასცა ბილი ჰარგისის ინტერვიუ, რომელიც იხილავდა ფრედ კუკის წიგნს „გოლდვოტერი – მემარჯვენე ექსტრემისტები“. ჰარგისმა განაცხადა, რომ კუკი ერთ-ერთი გაზეთიდან გააგდეს მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, რომ იგი მუშაობდა ერთ-ერთ კომუნისტურ გამოცემაში და ახლა კი დანერა წიგნი, რომელიც მიზნად ისახავს ბარი გოლდვოტერის ლანძღვას. ფრედ კუკმა ამ გადაცემის შემდეგ მოითხოვა უფასო პასუხის უფლება, რადგან მან დაასკვნა, რომ

გადაცემაში ადგილი ჰქონდა მის „პიროვნებაზე შეტევას“. ამ მოთხოვნაზე მაუნ-ყებელმა კუკს უარი განუცხადა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შეერთებული შტატების კომუნიკაციების ფედერალურ კომისიას მიმართეს. კომუნიკაციების ფედერალურმა კომისიამ დაასკვნა, რომ ჰარგისის ინტერვიუ წარმოადგენდა კუკის „პიროვნებაზე შეტევას“ და შესაბამისად Red Lion-მა დაარღვია სამართლიანობის დოქტრინა (ჩამოყალიბდა საქმეში Times-Mirror Broadcasting Co., 24 P & F Radio Reg. 404 {1962}), რომლის მიხედვითაც მაუნყებელი ვალდებული იყო, კუკისთვის გაეგზავნა ინტერვიუს ჩანაწერი და შეეთავაზებინა მისთვის საპასუხო საეთერო დრო, იმის მიუხედავად, გადაიხდიდა თუ არა მის საფასურს ფრედ კუკი. კომისიის პრაქტიკის შესაბამისად ჩამოყალიბებული წესის მიხედვით, როდესაც სადავო საკითხების პრეზენტაციისას ხდება იდენტიფიცირებული პირის ან ჯგუფის მხრიდან შეტევა კონკრეტული პირის პატიოსნებაზე, ხასიათზე, ღირსებასა და მსგავს პიროვნულ მახასიათებლებზე, მაუნყებელი ვალდებულია, გონივრულ ვადაში (არანაკლებ ერთი კვირისა) ასეთ პირს მიაწოდოს გადაცემის ამ ნაწილის ჩანაწერი და შესთავაზოს მას პასუხის უფლება. კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვისას კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კომისიის გადაწყვეტილება კონსტიტუციური და სწორი იყო. Red Lion Broadcasting-მა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სასამართლოს აზრი წარმოადგინა მოსამართლე ვაითმა: წლების მანძილზე კომუნიკაციების ფედერალური კომისია ტელე და რადიო მაუნყებლებისგან მოითხოვდა, რომ საზოგადოებრივი საკითხების და მოვლენების განხილვისას მათ სადავო საკითხის ორივე მხარე წარმოედგინათ და სამართლიანი რეპორტაჟი მოემზადებინათ. ეს მოთხოვნა ცნობილია, როგორც სამართლიანობის დოქტრინა. ეს დოქტრინა მაუნყებლობის წარმოშობის პირველივე წლებიდან დამკვიდრდა და დღემდე შენარჩუნდა. ეს წესი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბდა და განვითარდა. ის განსხვავდება კომუნიკაციების აქტის 315-ე წესისგან, რომელიც ადგენს, რომ პოლიტიკურ კანდიდატებს თანაბარი საეთერო დრო უნდა დაეთმოს.

სამართლიანობის დოქტრინის ისტორია და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა იმაზე მეტყველებს, რომ წინამდებარე საქმეში კომუნიკაციების ფედერალური კომისია თვითნებურად კი არ მოქმედებდა, არამედ კონგრესის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკას ახორციელებდა.

1927 წლამდე სიხშირეების განაწილება მთლიანად კერძო სექტორის რეგულირების სფერო იყო, რაც ქაოსს იწვევდა. ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ სამაუწყებლო სიხშირეები შეზღუდულ რესურსს წარმოადგენდა, რომლის გამოყენებაც სახელმწიფომ მოაწესრიგა. სახელმწიფო კონტროლის გარეშე სიხშირეთა გამოყენება იწვევდა სხვადასხვა მაუწყებლის ხმათა თანხვედრას. საბოლოოდ, შეიქმნა რადიოს ფედერალური კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იყო ლიცენზიების გაცემაზე, მისი პირობების შეცვლასა და გაუქმებაზე. ფედერალური კომისია ლიცენზიებს გასცემდა საზოგადოებრივი „უნარის, ინტერესის და აუცილებლობის“ შესაბამისად. მოგვიანებით კომისიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ ლიცენზიის გაცემაზე, არამედ სამაუწყებლო საშუალებებით საზოგადოებისათვის საინტერესო თემების განხილვაზეც. შესაბამისად, მაუწყებელს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ მოეხდინა საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი თემების ადეკვატური გაშუქება და გაშუქების პროცესში საშუალება მიეცა ყველა დაპირისპირებული მხარისათვის, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები.

„იმის გათვალისწინებით, რომ „საზოგადოებრივი ინტერესი“ ნათლად მოიცავს სადავო საკითხების გარშემო დებატების გაშუქებას; აგრეთვე, იმის გამო, რომ კომუნიკაციების ფედერალურმა კომისიამ მისი შექმნის დღიდანვე დაადგინა სამართლიანობის დოქტრინა; აგრეთვე, იმ ფაქტის გამო, რომ კონგრესმა არ გამორიცხა ანალოგიური ნორმები და მხარი დაუჭირა კომუნიკაციების ფედერალური კომისიის დამატებით ძალისხმევას ასეთი ნორმების შემუშავებაში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის დოქტრინის და „პიროვნებაზე შეტევის წესის“ დადგენა კონგრესის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების კანონიერი გამოყენებაა“.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები დაობდნენ, რომ სამართლიანობის დოქტრინა და „პიროვნებაზე შეტევის წესი“ ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას, რადგან ეს წესები არღვევს მაუწყებლების გამოხატვის თავისუფლებას. მოსარჩელები დაობდნენ, რომ მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ მათ მიერ მიღებული სიხშირე ისე, როგორც მათ სურთ; მათი აზრით, მათ უფლება აქვთ, უარი უთხრან ნებისმიერ პირს ამ სიხშირის გამოყენებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლიანობის დოქტრინა და მისი ერთ-ერთი კომპონენტი „პიროვნებაზე შეტევის წესი“ არ არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას. მართალია, პირველი შესწორება რელევანტურია მაუწყებლობის შემთხვევაშიც, მაგრამ მსმენელის და მაცურებლის უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაუწყებლების. რადგან საზოგადოებას უფლება აქვს,

მიიღოს ინფორმაცია სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში.

სასამართლო არ დაეთანხმა იმ პოზიციას, რომ „პიროვნებაზე შეტევის წესის“ გამო მაუწყებლები აღარ გააშუქებენ სადავო საკითხებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არგუმენტი სპეკულაციაა და ამისგან დასაცავად არსებობს კომუნიკაციების ფედერალური კომისია.

იმის გათვალისწინებით, რომ სიხშირეები შეზღუდული რესურსია და სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ შეზღუდული რესურსის დანაწილებაში; ასევე, იმ ფაქტის გამო, რომ პირს ხელი არ მიუწვდება ამ სიხშირეების გამოყენებაზე სახელმწიფოს დახმარების გარეშე, სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ნორმები და წესები კანონიერი და კონსტიტუციურია.

1969 წელი

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ

403 U.S. 713

ფაქტები: 1971 წელს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“, ხანგრძლივი ანალიზისა და აწონ-დაწონვის შემდეგ გადაწყვიტა, გამოექვეყნებინა საიდუმლო გრიფით აღნიშნული ე.წ. პენტაგონის დოკუმენტები, რომლებიც აღწერდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიეტნამის ომში ჩართვის პროცესს. შეერთებული შტატების სახელმწიფომ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გადაწყვეტილება, მიმართა ფედერალური ოლქის სასამართლოს, რომელმაც დროებითი შეზღუდვა დაუწესა გაზეთს პენტაგონის დოკუმენტების გამოქვეყნებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე მოსამართლემ უარი უთხრა სახელმწიფოს წარმომადგენლებს მუდმივი შეზღუდვის დაწესებაზე. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს და შეზღუდვა გაუხანგრძლივა „ნიუ-იორკ ტაიმსს“.

ამასობაში საქმეში „ვოშინგტონ პოსტიც“ ჩაერთო. სახელმწიფომ იგივე მოიმოქმედა „პოსტის“ წინააღმდეგაც, თუმცა, კოლუმბიის ოლქის სასამართლომ გაზეთის მხარე დაიჭირა. სახელმწიფომ გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომაც „პოსტის“ წინააღმდეგ შეზღუდვა არაკანონიერად მიიჩნია. შესაბამისად, „ვოშინგტონ პოსტს“ შეეძლო, გამოექვეყნებინა პენტაგონის დოკუმენტები, ხოლო „ნიუ-იორკ ტაიმსს“ – არა.

1971 წელს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ

საქმეზე: ყველა გაზეთს შეერთებულ შტატებში უფლება ჰქოდა, გამოექვეყნებინა პენტაგონის დოკუმენტები. თუმცა პრესა თავდაპირველად არ იყო კმაყოფილი იმით, რომ სასამართლომ ვერ გადაწყვიტა საკმაოდ დაძაბული ბრძოლა ინფორმაციის თავისუფლებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციებს შორის. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ენერა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მტკიცების იმ მძიმე ტვირთის ზიდვა, რითიც გაამართლებდა წინასწარი შეზღუდვის დაწესებას პრესაზე.

ამ საქმეზე ცხრა განსაკუთრებული მოსაზრება დაინერა (მეტი ვერც დაინერებოდა შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის გამო). თითოეული მათგანი ასახავს მოსამართლეების განსხვავებულ შეხედულებებს პრესის როლთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში.

სასამართლოს ერთობლივი მოსაზრება: ჩვენ წარმოებაში მივიღეთ საქმეები, სადაც სახელმწიფო ცდილობს, შეზღუდვა დაუნესოს „ნიუ-იორკ ტაიმსსა“ და „ვოშინგტონ პოსტს“ იმ საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებაზე, რომლის სათაურია „შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესი ვიეტნამთან დაკავშირებით“.

წინასწარი შეზღუდვების ნებისმიერი სისტემა ამ სასამართლოს წინაშე ანტიკონსტიტუციურობის მძიმე პრეზუმფციით განიხილება. შესაბამისად, სახელმწიფოს აკისრია მტკიცების საკმაოდ მძიმე ტვირთი, რომ გაამართლოს მსგავსი შეზღუდვის კანონიერება. შეერთებული შტატების სამხრეთ ნიუ იორკის ოლქის სასამართლომ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საქმეში და კოლუმბიის ოლქის სასამართლომ და კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლომ „ვოშინგტონ პოსტის“ საქმეში დაადგინეს, რომ სახელმწიფომ ვერ გადალახა აღნიშნული მტკიცების ტვირთი. ჩვენ ვეთანხმებით.

როგორც აღინიშნა, ამ საქმეზე ცხრავე მოსამართლემ განსაკუთრებული აზრი წარმოადგინა, აქედან შვიდი თანმხვედრი და ორი განსხვავებული (მათ შორის იყო სასამართლოს თავმჯდომარის – მოსამართლე ბურგერის განსხვავებული აზრი). ქვემოთ მოყვანილია მნიშვნელოვანი მოსაზრებების მოკლე მიმოხილვა.

მოსამართლე ბლეკისა და დუგლასის განსაკუთრებული აზრი: მოსამართლეებმა ბლეკმა და დუგლასმა აბსოლუტისტური მიდგომა აირჩიეს. მათ აღნიშნეს, რომ პირველი შესწორების თანახმად, წინასწარი შეზღუდვები დაუშვებელი იყო ნებისმიერ შემთხვევაში. მათი მოსაზრების მიხედვით, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც სასამართლოს უფლებას მისცემს, შეზღუდოს პრესის თავისუფლება „თანასწორობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების ან ეროვნული უსაფრთხოების“ სახელით.

მოსამართლე ბრენანის განსაკუთრებული აზრი: მოსამართლე ბრენანმა

აირჩია მიდგომა, რომელიც სასამართლომ დაადგინა საქმეში ნიარი მინესოტის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ სასამართლოს პრესის შეზღუდვის უფლება ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა და როდესაც სახელმწიფო დაამტკიცებდა, რომ არსებობს „გარდაუვალი, პირდაპირი და მყისიერი საშიშროება იმისა, რომ შეიქმნება მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის საზღვაო ტრანსპორტის უსაფრთხოებას.“

მოსამართლე სტიუარტისა და ვაითის განსაკუთრებული აზრი: მოსამართლეებმა სტიუარტმა და ვაითმა უარყვეს აღმასრულებელი ხელისუფლების არგუმენტი, რომ სასამართლოს უფლება აქვს, გასცეს ბრძანება პრესის შეზღუდვაზე, თუ დადგინდება „მძიმე და გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე საზოგადოებრივი ინტერესისათვის“. მათი აზრით, საჭიროა, სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ ინფორმაციის გავრცელება „აუცილებლად მიაყენებს პირდაპირ, მყისიერ და გამოუსწორებელ ზიანს ჩვენს ქვეყანას და მის ხალხს“.

მოსამართლე მარშალის განსაკუთრებული აზრი: მოსამართლე მარშალმა აირჩია „კანონის უზენაესობის“ მიდგომა, რომელიც უმრავლესობის წარმომადგენელმა ბევრმა მოსამართლემ გაიზიარა. ამ კონცეფციის და მოსამართლე მარშალის განსაკუთრებული აზრის მიხედვით, არ არსებობს რაიმე კანონმდებლობა, რომელიც მხარს დაუჭერდა ამ საქმეში აღმასრულებელი ხელისუფლების მოთხოვნას. საინტერესოა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობამ აღნიშნა – ისინი მხარს დაუჭერდნენ შეზღუდვას ამ საქმეში, თუკი საამისოდ კანონიერი საფუძველი იარსებებდა. თუმცა, მათი აზრით, ეს მაინც ცენზურა იქნებოდა.

1971 წელი

ბრანზბურგი ჰეიესის წინააღმდეგ

408 U.S. 665

ფაქტები: ბრანზბურგის საქმეზე სასამართლომ 3 სააპელაციო საჩივარი განიხილა. სამივე საჩივარი იმ რეპორტიორების მიერ იყო შეტანილი, რომლებიც დიდმა ჟიურიმ მოწმის სტატუსით დასაკითხად გამოიძახა.

პირველი საჩივარი შეეხებოდა ჟურნალ „ლუისვილ კურიერის“ რეპორტიორის პოლ ბრანზბურგის მიერ 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიას. აღნიშნული პუბლიკაცია აღწერდა მარიხუანიდან ჰაშიშის მიღების პროცესს. ჟურნალისტი ნარკოტიკის დამზადების პროცესს თავად დაესწრო, ხოლო სანაცვლოდ მონაწილეებს კონფიდენციალობის დაცვას დაჰპირდა. გამოქვეყნებულ სტატიაში პროცესის მონაწილეთა კონფიდენციალობა მართლაც დაცული იყო. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ბრანზბურგი ქვეყნის დიდმა ჟიურიმ მოწმედ გამოიძახა, თუმცა ჟურნალისტმა ჩვენებების მიცემასა და ინფორმაციის წყაროს გამჟღავნებაზე უარი განაცხადა. უარის საფუძველად მან „კენტუკის შტატის ჟურნალისტური პრივილეგიების შესახებ“ კანონი, კონსტიტუციის პირველი შესწორება და კენტუკის კონსტიტუცია დაასახელა. შტატის სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუცია და კანონი ჟურნალისტს არ აძლევს უფლებას, ჩვენება არ მისცეს იმ მოვლენების შესახებ, რომელთა მოწმეც თავად იყო.

ბრანზბურგის მოწმედ კიდევ ერთხელ დაბარება დიდმა ჟიურიმ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც 1971 წელს გამოქვეყნდა სტატია კენტუკის ქალაქ ფრანკფურტში ნარკოტიკების მოხმარების შესახებ. სტატიის ნაწილი ასევე ეყრდნობოდა კონფიდენციალური წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას. ბრანზბურგმა გაასაჩივრა დიდი ჟიურის მიერ მისი მოწმედ გამოძახება და სასამართლოს ძალით მოიპოვა იმუნიტეტი, რომელიც ჟურნალისტს „კონფიდენციალური კავშირების, წყაროების ან ინფორმაციის“ გამჟღავნებისაგან იცავდა. თუმცა იგი დაავალდებულეს, ჩვენება მიეცა იმ მოვლენების თაობაზე, რომელსაც პირადად შეესწრო. ჟურნალისტმა ჩვენების მიცემაზე კვლავ უარი განაცხადა.

გადაწყვეტილება: აშშ-ის მეცხრე ოლქის სასამართლომ არ გაიზიარა ბრანზბურგის არგუმენტები ჟურნალისტური პრივილეგიების შესახებ და დაავალდებულა ის, მიეცა ჩვენება.

მეორე საჩივარი: პოლ პაპასმა მასაჩუსეტსის ქალაქ ბედფორდის სატელევიზიო სადგურ WTEV-ის ჟურნალისტმა მოამზადა რეპორტაჟი სამოქალაქო არეულობის შესახებ. პაპასს განზრახული ჰქონდა დასწრებოდა „შავი პანტერების“ კონფერენციას, თუმცა ჯგუფის წევრები მას არ ენდნენ. გასამხედროებულ „შავი პანტერები“-ს დაჯგუფებას ხელისუფლება განიხილავდა როგორც ორგანიზაციას, რომელიც „თეთრი საზოგადოების“ წინააღმდეგ პარტიზანულ ომს გეგმავდა.

მოგვიანებით დაჯგუფების წევრებმა პაპასს ნება დართეს, შესულიყო ჯგუფის მთავარ შტაბში იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი არ გაამჟღავნებდა იქ ნანახსა

და მოსმენილს. ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალა ამ ვიზიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას მართლაც არ ეყრდნობოდა. მოგვიანებით იგი ქვეყნის დიდმა ჟიურიმ დაიბარა. ჟურნალისტი გამოცხადდა, მაგრამ უარი განაცხადა გაეცა პასუხები იმ შეკითხვებზე, რომლებიც „შავი პანტერების“ შტაბში მომხდარ მოვლენებს ეხებოდა. პაპასი კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებულ პრივილეგიაზე მიუთითებდა. იგი ხელმეორედ გამოიძახეს, მაგრამ ამჯერად ჟურნალისტიმ სასამართლოში გამოცხადებაზეც კი უარი თქვა.

გადანყვეტილება: აშშ-ის მეცხრე ოლქის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არც ერთი ზემოთ დასახელებული ინტერესის არსებობა არ დასტურდებოდა. შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა პაპასის წინააღმდეგ გამოტანილი ყველა განჩინება.

მოტივაცია: მასაჩუსეტის უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ჟურნალისტის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტური პრივილეგიების არარსებობის დადასტურება ინფორმაციის მოპოვების პროცესზე „გამყინავ ეფექტს“ იქონიებდა და დაადგინა, რომ საჩივარი იყო „არაპირდაპირი, თეორიული და უსაფუძვლო“.

მესამე საჩივარი: ერლ კოლდუელი, „ნიუ-იორკ ტაიმის“ დასავლეთ სანაპიროს ბიუროს ხელმძღვანელი, კალიფორნიაში „შავ პანტერებთან“ დაკავშირებულ თემატიკაზე მუშაობდა და გასამხედროებულ დაჯგუფებას იკვლევდა. იგი ფედერალურმა დიდმა ჟიურიმ გამოიძახა და ვიდეო თუ სხვა ტიპის ჩანაწერების სახით არსებული ინტერვიუებისა და სხვა მასალების წარდგენა მოსთხოვა. კოლდუელის ადვოკატებმა შესძლეს გამოიძახებინათ თაობაზე ბრძანების შეჩერება, თუმცა დიდმა ჟიურიმ ხელმეორედ გამოიწერა უწყება მონმედ გამოცხადებისა და ჩვენებების მიცემის მოთხოვნით.

კოლდუელმა კვლავ გაასაჩივრა ეს ბრძანება და მიუთითა, რომ დიდ ჟიურირზე თუნდაც საიდუმლოდ მისი გამოცხადება, მოსპობდა „შავ პანტერებში“ ინფორმაციის წყაროსთან ყოველგვარ კავშირსა და ურთიერთობებს. ფედერალურმა საოლქო სასამართლომ გასცა დამცავი ბრძანება, რომლითაც ინფორმაციის წყაროს დასახელებისა და მასალების გამჟღავნებასთან დაკავშირებით ჟურნალისტზე დაკისრებული ვალდებულებები გააუქმა. დიდი ჟიურის უფლებამოსილების ვადა ამ დროისთვის ამოიწურა.

ცოტა ხანში დიდი ჟიური ახალი შემადგენლობით შეიკრიბა და კოლდუელი მონმის სტატუსით კვლავ დაიბარეს. ამჯერად ჟურნალისტის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი სასამართლოს უპატივცემულობაში დაადანაშაულეს.

გადანყვეტილება: აშშ-ის მეცხრე ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ

ჟურნალისტს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება მისთვის განდობილი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, თუმცა ამავდროულად ეკისრება ვალდებულება, გამოცხადდეს სასამართლოში დიდი ჟიურის მიერ გამოძახებისთანავე.

მოტივაცია: სასამართლომ სხვაგვარი შეფასება მისცა საქმეს. საკითხის განხილვისას იმის თაობაზე, იყო თუ არა კოლდუელი ვალდებული, წარმსდგარიყო დიდი ჟიურის წინაშე, სასამართლომ დაადგინა:

1) კონსტიტუციის პირველი შესწორება, მონმედ გამოძახების შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის კვალიფიციურ პრივილეგიას ითვალისწინებს;

2) სასამართლომ გაიზიარა ჟურნალისტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ იძულება ჩვენების მიცემაზე დააბრკოლებდა მის ინფორმატორებს და მისი ჩანაწერების ცენზურას გამოიწვევდა;

3) სასამართლომ მიიჩნია, რომ კოლდუელს შეეძლო თავი აერიდებინა მონმედ გამოცხადებისათვის მანამ, ვიდრე არ იარსებებდა მისი იძულებისათვის აუცილებელი გარემოებები.

ინფორმაციის წყაროს გამჟღავნების მოთხოვნისათვის სასამართლომ შეიმუშავა ინტერესთა დაბალანსების სამნაწილიანი ტესტი: (1) რელევანტურობა, (2) სხვა ალტერნატიული წყაროს არარსებობა და (3) საზოგადოებრივი ინტერესი.

1972 წელი

CBS-ი ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის წინააღმდეგ

412 U.S. 94

ფაქტები: ამ საქმეში მოსარჩლე მხარე იყო ეროვნულ დემოკრატიული კომიტეტი და ბიზნესმენთა მოძრაობა ვიეტნამში მშვიდობის შენარჩუნებისათვის (ბმვ), რომელიც ვიეტნამის კონფლიქტში აშშ-ს ჩარევის მონინააღმდეგე ბიზნესმენთა ეროვნული ორგანიზაციაა. 1970 წელს ბმვ-მ კომუნიკაციის ფედერალურ კომისიაში შეიტანა საჩივარი კოლუმბიის ოლქის ქალაქ ვოშინგტონში რადიოსადგურ WTOP-ის წინააღმდეგ, რომლითაც ასაჩივრებდა რადიოსადგურის უარს, საეთერო დრო მიეყიდა ბმვ-სთვის, ვიეტნამის შესახებ ერთწუთიანი განცხადებების

სერიების გასავრცელებლად. WTOP-ი, სხვა მაუწყებლებთან ერთად ატარებდა პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც უარს ეუბნებოდა კერძო პირებსა და ჯგუფებს წინააღმდეგობრივ საკითხებზე შეხედულებების გასავრცელებლად ერთჯერადი მცირე სარეკლამო დროის მიყიდვაზე. WTOP-მა განაცხადა, რომ უარი რეკლამის განთავსებაზე სამართლიანი იყო, რადგან რედაქცია არაერთი საჭირობოროტო თემის, მათ შორის ვიეტნამის ომის, სრულ და სამართლიან გაშუქებას აწარმოებდა. WTOP-მა ასევე წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ რადიოსადგურის ეთერში ადრე არაერთხელ გადაიკა კრიტიკული მოსაზრებები ვიეტნამის კონფლიქტის საკითხზე აშშ-ის პოლიტიკის შესახებ. თუმცა, ბმვ-მ არ გაიზიარა WTOP-ის მოსაზრება სამართლიანი გაშუქების თაობაზე. ბმვ-ს არ წარმოუდგენია საკუთარი მოთხოვნის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებები.

ოთხი თვის შემდეგ, 1970 წლის მაისში ედკ-მ კომისიაში შეიტანა საჩივარი, რომელშიც მითითებული იყო: „კონსტიტუციის პირველი შესწორებისა და კომუნიკაციის შესახებ აქტის საფუძველზე, მაუწყებელი არ არის უფლებამოსილი, საეთერო დროის მიყიდვაზე მუდმივად უარი უთხრას ისეთ გაერთიანებებს, როგორცაა ედკ. საეთერო დრო ამ ორგანიზაციებს ფულადი სახსრების მოსაზიდად ან საჯარო საკითხების თაობაზე კომენტარების გასაკეთებლად სჭირდებათ.“

ედკ-მ განაცხადა, რომ იგი საეთერო დროის შესყიდვას დემოკრატიული პარტიის პოზიციის დაფიქსირებისა და ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით გეგმავდა.

კვკ არ დაეთანხმა მოპასუხეების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ „უფლებამოსილ“ კერძო პირებსა და ჯგუფებს აქვთ უფლება, შეისყიდონ სარეკლამო დრო საჯარო საკითხებზე კომენტარის გასაკეთებლად, მიუხედავად იმისა, გადაუხვია თუ არა მაუწყებელმა „სამართლიანი მაუწყებლობის დოქტრინას“.

კომუნიკაციების შესახებ აქტის ისტორიის, სადავო დებულებების და მის საფუძველზე კომისიის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინფორმაციის გავრცელების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების განხილვის შემდეგ, კომისიამ არ დააკმაყოფილა ედკ-სა და ბმვ-ს საჩივრები. თუმცა კომისიამ გაიზიარა ედკ-ს პოზიცია, იმის თაობაზე, რომ კანონი ითვალისწინებდა პოლიტიკური პარტიების უფლებას,² ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით საეთერო დროის შესყიდვის თაობაზე.

² კომისიის დადგენილება ბმვ-ს მიერ მოყვანილი „სამართლიანი მაუწყებლობის დოქტრინის“ წინააღმდეგ და ედკ-ს მიერ ადვოკატირებული არგუმენტების (პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ უფლება, შეისყიდონ საეთერო დრო ფულადი სახსრების მოსაზიდად) სასარგებლოდ, არ გასაჩივრებულა სასამართლოში და შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხის თაობაზე.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ გააუქმა კომისიის დადგენილებები.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ მიიჩნია, რომ სამაუწყებლო კომპანიების ხისტი პოლიტიკა რეკლამების განთავსებაზე უარის თქმის შესახებ, აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ შესწორებას; სასამართლომ საქმე კომისიაში დააბრუნა, პირველი შესწორებით გარანტირებული ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლების უზრუნველყოფისათვის საჭირო ინსტრუქციების შესამუშავებლად.

სააპელაციო სასამართლომ ხმათა უმრავლესობით გააუქმა კომისიის დადგენილება და განაცხადა: „საჯარო საკითხებზე განცხადებებისათვის საეთერო დროის შესყიდვაზე დაწესებული შეზღუდვა არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სხვა სახის ფასიანი განცხადებები არ იზღუდება“.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სამაუწყებლო სიხშირეები განეკუთვნება შეზღუდული, ამონურვადი რესურსების რიცხვს. იგი ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი და აქედან გამომდინარე, პირველი შესწორება ანესებს „შეზღუდულ“ უფლებას რედაქტირებული რეკლამების განთავსებაზე. სასამართლომ დაასკვნა, რომ მაუწყებლის პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ კომერციული რეკლამების განთავსებას ითვალისწინებდა, ანტიკონსტიტუციური დისკრიმინაცია იყო.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სასამართლომ არ გასცა ბრძანება ედკ-სა და ბმვ-ს განცხადებების უპირობო განთავსების შესახებ, არამედ საქმე კომუნიკაციის ფედერალურ კომისიაში დააბრუნა, რათა კომისიას განესაზღვრა „გონივრული პროცედურები და რეგულაციები იმის თაობაზე, თუ რომელი რეკლამა უნდა განთავსებულიყო ეთერში და რომელი არა.“

სასამართლომ განიხილა ასევე საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლებოდა მაუწყებლის უარი რეკლამის გაშვებაზე, განხილულიყო როგორც მთავრობის ქმედება, რომელიც კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებულ უფლებებს არღვევდა.

სასამართლოს ამ საქმის განხილვამდე არასდროს უმსჯელია საკითხზე, შეიძლება თუ არა ლიცენზირებული მაუწყებლის ქმედების აღქმა, როგორც „მთავრობის ქმედებისა“, პირველი შესწორებით გარანტირებული უფლებების კონტექსტში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მაუწყებლები წარმოადგენენ მთავრობის ინსტრუმენტებს პირველი შესწორებით დაცული უფლებების რეალიზაციისათვის, რადგან ლიცენზირებულ მაუწყებლობებს გადაცემული აქვთ

საზოგადოებრივი საკუთრების ნაწილი და მოქმედებენ როგორც „რწმუნებულები“ ან „საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი პირები“.

ამგვარი სტრუქტურა განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ კერძო გაზეთს და ლიცენზირებულ მაუწყებლობას. კერძო საკუთრებაში არსებული გაზეთის უფლებამოსილება – განავითაროს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური შეხედულებები – განსაზღვრულია მხოლოდ ორი ფაქტორით: პირველი, მკითხველის და რეკლამის დამკვეთების მოზიდვა ფინანსური წარმატების უზრუნველყოფის მიზნით; და მეორე, პროფესიული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა. ლიცენზირებული მაუწყებელი ფართო ჟურნალისტური თავისუფლებით სარგებლობს, მაგრამ არა იმ მოცულობით, როგორც კერძო გაზეთი. ლიცენზირებული მაუწყებლობა ვალდებულია, უზრუნველყოს ორი განმსაზღვრელი ინტერესის ბალანსი – რა არის მისი, როგორც კერძო პირის ინტერესი და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას, როგორც „საზოგადოებრივ რწმუნებულს“.

„სამართლიანი მაუწყებლობის დოქტრინის“ თანახმად, კომუნიკაციის ფედერალური კომისია ვალდებულია გაარკვიოს და შეაფასოს ის, თუ რამდენად მზადაა ლიცენზიის მიმღები ანგარიში გაუწიოს საზოგადოების მთავარ ინტერესს – იყოს სრულად და სამართლიანად ინფორმირებული. კომისიის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ასევე იმის განსაზღვრა, თუ „ვის და როდის უნდა დაეთმოს საეთერო დრო“ კონკრეტულ ვითარებაში. მთავრობის ჩარევის ალბათობის გათვალისწინებით, სასურველია, გამოხატვის შინაარსის კონტროლის წინააღმდეგ მიმართული კონსტიტუციით გარანტირებული პრინციპები ნაკლებად მკაცრი იყოს რეკლამასთან დაკავშირებით.

1973 წელი

მილერი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ

413 U.S. 15

ფაქტები: ამ საქმეში მოსარჩლე დამნაშავედ ცნეს იმ სექსუალური ლიტერატურის დაგზავნისათვის, რომელიც მიმღებებს არც გამოუწერიათ და არც წინასწარ მოუთხოვიათ. მოსარჩლე მილერი მოცემული დროისთვის მასობრივ საფოსტო კამპანიას ატარებდა: ეწეოდა რეკლამირებას ილუსტრირებული წიგნე-

ბისა, რომლებსაც თვითონ „მოზრდილთა“ ლიტერატურას უწოდებდა. დაგზავნილი მასალა რეკლამას უწევდა ოთხ წიგნს – „სქესობრივი აქტი“, „კაცი-ქალი“, „ილუსტრირებული სექსორგიები“ და „პორნოგრაფიის ილუსტრირებული ისტორია“, აგრეთვე, ფილმს „სამხედრო სქესობრივი აქტი“. სარეკლამო ბროშურა შეიცავდა სქესობრივი აქტის ილუსტრაციებს. ამ ილუსტრაციებზე ჩანდა თითო ან მეტი ქალი და კაცი შიშველ მდგომარეობაში, ჩართული სქესობრივ კავშირში, ღიად ნაჩვენები გენიტალიებით. მოსარჩლის მიერ ერთი კონვერტი გაიგზავნა ნიუპორტის პლაჟზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში. რესტორნის მენეჯერმა გაგზავნილი კონვერტი დედამისთან ერთად გახსნა. ამის შემდეგ აღშფოთებულმა ადრესატებმა პოლიციას მიმართეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩლე გაასამართლეს კალიფორნიის შტატის კანონის თანახმად, რომლის მიხედვითაც, დანაშაულად ცხადდება „უხამსი მასალების გაცნობიერებულად და განზრახ გავრცელება“. შტატის პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ მათ წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა შეეფასებინათ კალიფორნიის შტატში არსებული საზოგადოებრივი სტანდარტებით. ნაფიცმა მსაჯულებმა მოსარჩლე დამნაშავედ ცნეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აპელაციის დროს ძალაში დარჩა. მიღერმა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

მოსამართლე ბურგერმა წარმოადგინა სასამართლოს უმრავლესობის აზრი: საქმე ეხება შტატის სისხლის სამართლის კანონის გავრცელებას იმ შემთხვევაზე, როდესაც ღია სექსუალური მასალები დაიგზავნა იმ პირებთან, რომლებსაც რაიმე ფორმით არ გამოუთქვამთ მათი მიღების სურვილი. ამ სასამართლომ უკვე რამდენჯერმე დაადგინა, რომ შტატებს გააჩნიათ ლეგიტიმური ინტერესი, აიკრძალოს უხამსი მასალების და ლიტერატურის გავრცელება და გამოფენა. ეს ინტერესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მასალის გავრცელების ფორმა ქმნის საფრთხეს, რომ ის შეურაცხყოფს მიმღების გრძნობებს ან მას ნახავენ არასრულწლოვნები. სწორედ ამიტომ მოგვეთხოვება, რომ უხამსი მასალებისათვის განვმარტოთ სტანდარტი, რომელსაც შტატები გამოიყენებენ ამ სფეროში ურთიერთობების დასარეგულირებლად ისე, რომ არ დაირღვეს კონსტიტუციის პირველი შესწორება – რომელიც შტატებზე მეთოთხმეტე შესწორების ძალით ვრცელდება.

სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ უხამსი გამოხატვა არ არის დაცული პირველი შესწორებით. პირველი და მეთოთხმეტე შესწორებები არასოდეს ყოფი-

ლა განხილული, როგორც აბსოლუტური. თუმცა, ჩვენ აქვე ვაცნობიერებთ გამოხატვის თავისუფლების რეგულირების საშიშ ტენდენციას. შტატის კანონები, რომლებიც უხამსობას არეგულირებს, ფრთხილად და ვინროდ უნდა იქნას ფორმულირებული.

ასეთ საქმეებში საქმის განმხილველისათვის გზამკვლევი პრინციპები შემდეგია: ა) „თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების“ შედეგად, მიიჩნევა თუ არა „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალებს, როგორც სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღმძვრელს; ბ) ასახავს თუ არა მოცემული მასალები სქესობრივ მოქმედებებს აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით, რაც შტატის კანონით არის განსაზღვრული; გ) მოკლებულია თუ არა მოცემული მასალები სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს. ეს სასამართლო არ აღიარებს და არ ტოვებს ძალაში – როგორც კონსტიტუციურ სტანდარტს – „განსაკუთრებით მოკლებული სოციალურ ღირებულებებს“, რომელიც დადგინდა საქმეში *მემუარი მასაჩუსეტის წინააღმდეგ*. ამ სტანდარტს საყოველთაო პრაქტიკა არასოდეს მოჰყოლია.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ფუნქცია არ არის, შტატებს მარეგულირებელი სქემები შევთავაზოთ. ეს მათი საკანონმდებლო ორგანოების პასუხისმგებლობაა. თუმცა, შესაძლებელია, რომ წარმოვადგინოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა უნდა განმარტოს შტატის კანონმა მოცემული სფეროს დარეგულირების მიზნით:

○ ნორმალური, გაუკუღმართებული, ნამდვილი ან სიმულაციური სქესობრივი აქტის აშკარად შეურაცხმყოფელი წარმოდგენა ან აღწერა.

○ მასტურბაციის, ერექციული ფუნქციის, გენიტალიების აშკარად შეურაცხმყოფელი წარმოდგენა ან აღწერა.

სექსი და სიშიშველე არ შეიძლება დემონსტრირებულ იქნას შეზღუდვის გარეშე იმ ფილმებში და სურათებზე, რომლებიც საჯარო ადგილებშია გამოფენილი ან გასაყიდადაა წარმოდგენილი. როგორც მინიმუმ, სქესობრივი აქტის აშკარად შეურაცხმყოფელ აღწერას ან წარმოდგენას სერიოზული ლიტერატურული, მხატვრული ან მეცნიერული ფასეულობა უნდა გააჩნდეს – რათა პირველი შესწორების დაცვის ქვეშ მოხვდეს. მაგალითად, სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად არის ასახული ადამიანის ანატომიური ილუსტრაციები, რომლებიც სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოიყენება. იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ფაქტის და კანონის ძალიან სადავო და მგრძნობიარე საკითხები, უნდა დავეყრდნოთ ნაფიცი მსაჯულების სისტემას, – მტკიცებულებათა წესებთან, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და დაცვის სხვა მექანიზმებთან ერთად.

ცხადია, მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ფედერალური და შტატის სასამართლოები ერთგვარი წნეხის ქვეშ მოექცნენ უხამსობის სტანდარტის დადგენისას. თუმცა დღეს, 1957 წელს, პირველად ამ სასამართლოს ისტორიაში ჩვენ ვადაგენთ სტანდარტებს, რომლებიც „მძიმე პორნოგრაფიას“ იმ გამომხატვისგან გამიჯნავს, რომელიც პირველი შესწორებით არის დაცული.

შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, პირველი შესწორებით დაწესებული შეზღუდვები არ განსხვავდება შტატების მიხედვით; თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არსებობს ერთიანი ეროვნული სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არის „აშკარად შეურაცხმყოფელი“ ან „სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღმძვრელი“. ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ ერთიანი კონსენსუსი შედგეს ამ საკითხზე. როდესაც საქმის განმხილველს ევალება დაადგინოს, მიიჩნევს თუ არა „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალებს „სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღმძვრელს“ თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით, არარეალისტური იქნება რაიმე აბსტრაქტულ ფორმულირებაზე დაფუძნებული პასუხის მოთხოვნა. შეჯიბრებითობის სისტემა – ნაფიცო მსაჯულებით, რომლებიც ფაქტს ადგენენ – ისტორიულად ყოველთვის იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ფაქტის განმხილველი უფრო მეტად დაყრდნობოდა საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებს და უფრო ნაკლებად ეხელმძღვანელა კანონით დადგენილი ინსტრუქციებით.

ჩვენ ვადაგენთ, რომ არც კონსტიტუციურად საზრიანია და არც რეალისტურია, რომ მაინის შტატის ხალხმა იგივე მასალა აიტანოს, რაც საჯაროდ არის გამოფენილი ლას ვეგასში ან ნიუ იორკში. ხალხის გემოვნება და ამ საკითხისადმი მიდგომა შტატების მიხედვით განსხვავდება და ეს განსხვავებული მიდგომები არ უნდა აღმოიფხვრას აბსოლუტური, ერთიანი სტანდარტით.

მიგვაჩნია, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ნაფიცმა მსაჯულებმა საკითხი უნდა განიხილონ „კალიფორნიის შტატის თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების“ გათვალისწინებით, ემსახურება დაცვის მიზანს და კონსტიტუციურად ადეკვატურია.

ჩვენ ვადაგენთ, რომ:

1. განმტკიცდეს როტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ საქმეზე დადგენილი პრინციპი, რომ უხამსობა არ არის დაცული პირველი შესწორებით;

2. ასეთი მასალა შეიძლება დარეგულირდეს შტატების მიერ, ზემოაღნიშნული სტანდარტების მიხედვით, „აშკარად მოკლებული სოციალურ ღირებულებებს“ სტანდარტის გამოუყენებლად;

3. უხამსობა უნდა განისაზღვროს „თანამდეროვე საზოგადოებრივი სტანდარტების“ მისადაგებით და არა „ეროვნული სტანდარტებით“.

ამრიგად, აღნიშნული გადაწყვეტილებით გაუქმდა *მემუარსი მასაჩუსეტის წინააღმდეგ* საქმით დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, აკრძალვა ეფუძნებოდა შემდეგ სტანდარტს – „აშკარად მოკლებული სოციალურ ღირებულებებს“ და განმტკიცდა სამწვეროვანი ტესტი, რომელიც დადგინდა საქმეში როტი *შეერთებული შტატების წინააღმდეგ*.

1973 წელი

გერცი რობერტ უელშის წინააღმდეგ

418 US 323

ფაქტები: 1968 წელს ჩიკაგოს ერთ-ერთი პოლიციელი, ნუჩიო, ახალგაზრდა მელსონის მკვლელობისთვის დააკავეს. მას პასუხისმგებლობა დააკისრეს მეორე ხარისხის მკვლელობისათვის. გარდაცვლილის ოჯახმა დაიქირავა ცნობილი ადვოკატი ელმერ გერცი, რათა დაეცვა მათი ინტერესები სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას. მოპასუხემ 1969 წელს გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „რობერტ ნუჩიო და ომი პოლიციის წინააღმდეგ“. სტატიის თანახმად, რობერტ ნუჩიოს ჩვენება მცდარი იყო, ხოლო მთელი პროცესის არსს წარმოადგენდა კომუნისტების ძალისხმევა, მიმართული ადგილობრივი პოლიციის დისკრედიტაციისკენ. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ელმერ გერცმა, სხვა პირებთან ერთად, რობერტ ნუჩიოს მოუწყო აღნიშნული საქმე. ავტორი წერდა, რომ გერცი ადრე ბრალდებული იყო სისხლის სამართლის დანაშაულში და მას კომუნის მონიწივეს უწოდებდა. გერცმა რობერტ უელშს ცილისწამებისთვის უჩივლა. ნაფიცმა მსაჯულებმა გერცის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა, ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეზეც უნდა გავრცელდეს სტანდარტი, რომელიც ჩამოყალიბდა საქმეში „ნიუ იორკ ტაიმსი“ *სალივანის წინააღმდეგ*. ამ სტანდარტის თანახმად, საჯარო პირს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ არ დამტკიცდება, რომ ცილისმწამებლური განცხადებები გაკეთდა განზრახ – მათი სიმცდარის გამო – ან უყურადღებობის მიზეზით.

შესაბამისად, რადგან გერცმა ვერ დაამტკიცა განცხადებების განზრახ სიმცდარე, აგრეთვე, სიმართლის დაუდევრად ან გაუფრთხილებლად უგულებელყო-

ფა, ოლქის სააპელაციო სასამართლომ საქმე მის წინააღმდეგ გადაწყვიტა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე პაუელმა: ინდივიდი, რომელიც არც საჯარო მოხელეა და არც საჯარო პირი, სარგებლობს ცილისწამების წინააღმდეგ პირველი შესწორებით დადგენილი გარანტიების დაცვით. სასამართლომ თავდაპირველად განიხილა სტატიაში წარმოდგენილი განცხადებები და დაადგინა, რომ გერციისათვის არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუკისრებიათ ოდესმე და მას არც კომუნისტური პარტიის ღონისძიებებში მიუღია მონაწილეობა. გაზეთის რედაქტორებს კი არავითარი ზომები არ მიუღიათ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს მცდარი მოსაზრება, თუმცა ფაქტების მცდარად გადმოცემას კონსტიტუციური ფასეულობა არ გააჩნია. მცდარი ფაქტების არც განზრახ და არც გაუფრთხილებლად გადმოცემა არ უწყობს ხელს საზოგადოებრივ საკითხებზე ხელშეუვალ, ჯანსაღ და ღია დებატებს. თუმცა სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ თავისუფალ დებატებში გარდაუვალია შეცდომების დაშვება. ამრიგად, უნდა არსებობდეს გარკვეული თავისუფალი მოძრაობის საშუალება, რადგან შეცდომებისათვის დასჯა გარკვეულ რისკს უქმნის სიტყვისა და პრესის თავისუფლების დაცვას. ჩვენს გადაწყვეტილებებში აღინიშნა, რომ მკაცრი პასუხისმგებლობის წესმა, რომლის მიხედვითაც, მაუნყებლები და რედაქტორები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მათ მიერ გადმოცემული ფაქტების სიზუსტე, შესაძლოა თვითცენზურის უპრეცედენტო მასშტაბებამდე მიგვიყვანოს. ასევე, არასათანადოა მედიის დაცვა მხოლოდ გამოქვეყნებული განცხადების სიმართლეზე დაყრდნობით.

თვითცენზურის თავიდან აცილება ერთადერთი საკითხი არ ყოფილა. სასამართლომ იმსჯელა ინდივიდის ცილისმწამებლური განცხადებებისგან დაცვის შესახებაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო პირებისათვის დაცვის მექანიზმი შეიძლება იყოს თვითდახმარება. ეს გულისხმობს ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებას, რათა შეენიწაღმდეგო მცდარ განცხადებას, ან გამოასწორო მცდარი ფაქტი და ამით შეამცირო რეპუტაციის შელახვის სავალალო შედეგი. საჯარო მოხელეებს და საჯარო პირებს, როგორც წესი, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაციის საშუალებების გამოსაყენებლად, ვიდრე კერძო ინდივიდებს. შესაბამისად, კერძო ინდივიდებისათვის ზიანის მიყენების უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს და სახელმწიფოსაც უფრო გაზრდილი აქვს მათი დაცვის ინტერესი. ამის შემდეგ სასამართლომ ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ

არიან საჯარო პირები და საჯარო მოხელეები საზოგადოების მხრიდან უფრო მეტი კონტროლის ქვეშ: „ინდივიდი, რომელიც გადაწყვეტს, რომ სახელმწიფო სამსახურში იმუშაოს, იღებს გარკვეულ შედეგებს, რომელიც ამ სამსახურს სდევს თან. იგი თავს უქვემდებარებს საზოგადოების მხრიდან უფრო მეტ კონტროლს, ვიდრე კერძო პირი“. უზენაესმა სასამართლომ საქმეში გარისონი ლუიზიანას წინააღმდეგ აღნიშნა, რომ საზოგადოების კონტროლი და ინტერესი საჯარო მოხელეებისადმი არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ოფიციალური ფუნქციებით. საზოგადოებრივი ინტერესი ვრცელდება ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც კავშირი აქვს პირის კომპეტენტურობასთან: მათ შორისაა მისი პირადი თვისებები, პატიოსნება, არასათანადო მოტივაცია და სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პირის საქმიანობის შედეგზე.

კერძო პირს კი უფლება აქვს, ჰქონდეს უფრო მეტი დაცვა, ვიდრე საჯარო მოხელეს, რადგან კერძო პირებს არ დაუკავებიათ საჯარო თანამდებობა და არც საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში იღებენ აქტიურ მონაწილეობას; აგრეთვე, მათ უარი არ უთქვამთ საკუთარი სახელის და ღირსების დაცვაზე. შესაბამისად, კერძო ინდივიდების შემთხვევაში არა მხოლოდ მეტი შანსი არსებობს ზიანის მიყენებისა, არამედ ისინი მეტად იმსახურებენ ცილისმამბებლური განცხადებებით მიყენებული ზიანისგან დაცვას.

ამრიგად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეუსაბამო იქნებოდა, კერძო ინდივიდების შემთხვევაზე „ნიუ იორკ ტაიმსის“ სტანდარტი გაგვევრცელებინა. თუმცა, ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ დაიწყო იმის განხილვა, შეიძლებოდა თუ არა აპელანტის კერძო პირად მიჩნევა. იმის მიუხედავად, რომ გერცი რამდენიმე წლის წინ ქალაქის მერის მიერ შექმნილი განსახლების კომიტეტის წევრი იყო, საქმის განხილვის დროს მას რაიმე საჯარო თანამდებობა არ ეკავა. სასამართლომ განიხილა ის საკითხიც, რომ საკმაოდ ცნობილ საქმეში ადვოკატობამ მას პოპულარობა მოუტანა. თუმცა, ამ ლოგიკით, ყველა იურისტი საჯარო პირად უნდა იქნას ცნობილი. „ნიუ იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ საქმის სტანდარტის გამოყენება კი ნამდვილად მიუღებელია, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა არ არის პირის საჯარო ფიგურად განხილვის ერთადერთი საფუძველი. ხანდახან პირი შეიძლება საჯარო ფიგურა გახდეს, როდესაც იგი საკუთარი ნებით ჩაერთვება კონკრეტულ, შეზღუდულ საზოგადოებრივ საქმეში. ასეთ შემთხვევაში, არ შეიძლება, რომ ეს პირი საჯარო ფიგურად განვიხილოთ ნებისმიერ ვითარებაში. თუ პირი არ არის პოპულარული და უეჭველად ცნობადი, იგი არ უნდა განიხილებოდეს საჯარო პირად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. უმჯობესია, რომ პირის საჯარო

ფიგურად განხილვის საკითხის გადაწყვეტისას განვიხილოთ ინდივიდის საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის კონტექსტი და ხასიათი, – შეეძლო თუ არა ამ ფაქტორებს ცილისწამების საფუძვლის შექმნა.

ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული კონცეფციის მიხედვით, აპელანტი არ არის საჯარო ფიგურა. შესაბამისად, *ნიუ იორკ ტაიმსი* სალივანის წინააღმდეგ საქმის სტანდარტი არ არის ამ საქმის შესაბამისი. რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართოს უფლება მისცეს, რომ დაედგინა პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე და დაეკისრებინა ზიანის ანაზღაურება ზიანის მიყენების მტკიცების გარეშე, საჭიროა ახალი სასამართლო პროცესის დანიშვნა.

1974 წელი

„მაიაში ჰერალდი“ ტორნილოს წინააღმდეგ

418 U.S. 241

ფაქტები: 1972 წელს მოპასუხე, ფლორიდის მასწავლებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, პეტ ტორნილო ფლორიდის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობდა. იმავე წლის 20 და 29 სექტემბერს მომჩივანმა, გაზეთმა „მაიაში ჰერალდმა“ გამოაქვეყნა კრიტიკული მასალა მოპასუხის, პეტ ტორნილოს შესახებ. ამ სტატიის პასუხად, ტორნილომ გაზეთს შეპასუხების გამოქვეყნება მოსთხოვა. ტორნილო საპასუხო სტატიაში ფლორიდის მასწავლებელთა ასოციაციას იცავდა და ხაზს უსვამდა ორგანიზაციის საზოგადოებრივ როლს. აპელანტმა შეპასუხების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, პეტ ტორნილომ სარჩელი შეიტანა საოლქო სასამართლოში 5000 დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებისა და პასუხის იძულების წესით გამოქვეყნების მოთხოვნით.

პასუხის უფლების შესახებ სარჩელი ფლორიდის კანონს ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც, თუ გაზეთი თავად გამოაქვეყნებს ან სხვას დაუთმობს საგაზეთო ფართობს არჩევნებში მონაწილე კანდიდატის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის განსათავსებლად, ამ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს გაზეთისაგან მისი პასუხის უფასოდ დაბეჭდვა. შეპასუხება თანაზომადი ფორმით უნდა მოხდეს: იმავე ადგილას და იმავე შრიფტით, როგორც შეურაცხყოფად მიჩნეული პუბლი-

კაცია იყო გამოქვეყნებული. კანონის ამ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა პირველი ხარისხის სამართალდარღვევას წარმოადგენს.

ამ საქმეში განხილულია საკითხი იმის თაობაზე, არღვევს თუ არა კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებულ პრესის თავისუფლებას არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური კანდიდატის მიერ პასუხის უფლების გამოყენება.

აპელანტმა განაცხადა, რომ კანონის მუხლი არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას.

საოლქო სასამართლო დაეთანხმა ამ მოსაზრებას და განაცხადა, რომ გაზეთისათვის იმის მითითება, თუ რა უნდა დაბეჭდოს და სად, არაფრით განსხვავდება ცენზურისაგან.

პირდაპირი გასაჩივრების საფუძველზე ფლორიდის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ სადავო კანონი შეესაბამებოდა კონსტიტუციას.

სასამართლომ მიუთითა, რომ პასუხის უფლების შესახებ ფლორიდის კანონი არათუ ზღუდავს, არამედ იცავს სიტყვის თავისუფლებას, „რადგან ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების საზოგადოებრივ ინტერესს იცავს“. ამის შემდეგ საქმე შემდგომი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნდა, რომლის გადაწყვეტილებაც არ უნდა მოსულიყო წინააღმდეგობაში ფლორიდის უზენაესი სასამართლოს მოსაზრებასთან.

აპელანტი მიუთითებდა, რომ სადავო კანონი არეგულირებს გაზეთის შინაარსს, რაც კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეწინააღმდეგება. მისი აზრით, სადავო კანონი ბუნდოვანია, რადგან არც ერთ გამომცემელს არ შეუძლია ზუსტად იცოდეს, თუ რა ტიპის ინფორმაციის გავრცელება აამოქმედებს პასუხის უფლებას. აპელანტი ასევე აცხადებდა, რომ კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, თუ რომელი კრიტიკული მოსაზრება ითვლება შეურაცხმყოფელად და რომელი არაა.

მოპასუხე მხარე ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აცხადებდა, რომ მთავრობას აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს განსხვავებული მოსაზრებების მიტანა საზოგადოებამდე. მან ასევე განაცხადა, რომ 1791 წელს, როდესაც კონსტიტუციის პირველი შესწორება ამოქმედდა, პრესა ფართოდ გამოხატავდა იმ ხალხის ინტერესებს, რომელსაც ემსახურებოდა. მაშინ, როდესაც გაზეთები ძირითადად პარტიული იყო და რედაქცია მეტწილად ვიწრო პარტიული შეხედულებებით ხელმძღვანელობდა, პრესა მთლიანობაში მკითხველებს განსხვავებულ მოსაზრებებს აწვდიდა – მასალის დაბეჭდვა იყო ძვირი, ხოლო პამფლეტები და ნიგნები არაპოპულარული აზრების გასავრცელებლად ორგანიზებული პრესის

სერიოზულ ალტერნატივას წარმოადგენდა. ნამდვილი **იდეთა ბაზარი** სწორედ ამ პერიოდში არსებობდა და კომუნიკაციის საშუალებები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო.

საქმეში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დებატები საჯარო საკითხებზე უნდა იყოს მწვავე, შეუზღუდავი და ღია. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ დებატები ღია და ხელმისაწვდომია მხოლოდ პრესის მონოპოლისტებისათვის. პროცესზე აგრეთვე აღინიშნა ათი წლის წინ მოსამართლე დუგლასის მიერ გამოთქმული მოსაზრება პრესის მონოპოლიზებასთან დაკავშირებით: „*გაზეთი, რომელსაც მონოპოლიზებული აქვს კონკრეტული არეალი, იშვიათად აჩვენებს საკითხის ორივე მხარეს. ის ხშირად ერთ კონკრეტულ იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ ხაზს მისდევს და უარს ამბობს ხალხის განათლებასა და დებატების წახალისებაზე. ნაცვლად ამისა, იგი ცდილობს მკითხველი ერთ ფილოსოფიას და მიდგომას შეაჩვიოს. გაზეთები, რომლებიც წარმოაჩენენ ათასგვარ განსხვავებულ მოსაზრებას, სულ უფრო იშვიათი ხდება. სავარაუდოა, რომ ეს პრობლემა მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება.*“

მომჩივანმა მოუხმო პროფესორ ტომას ემერსონის სიტყვებს: „*პრესის ხელმისაწვდომობის შეზღუდული უფლების განხორციელება ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშეა შესაძლებელი.*“ პროფესორი აქვე დასძენს, რომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს და წაახალისოს პრესის ახალი საშუალებების შექმნა და განვითარება და არ აიძულოს უკვე არსებული მცირერიცხოვანი მედია, დაბეჭდოს ყველას აზრი.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ გააუქმა ფლორიდის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ პრეცედენტის სახით „კოლუმბიის სამაუწყებლო სისტემა ნაციონალ-დემოკრატიული კომიტეტის წინააღმდეგ“ საქმეში დადგენილი სტანდარტებიც გაითვალისწინა: „*კერძო გაზეთის უფლება, – განავითაროს საკუთარი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური შეხედულებები, – შეზღუდულია მხოლოდ ორი ფაქტორით: საჭირო რაოდენობის მკითხველების და შესაბამისად, რეკლამის განმთავსებლების მოზიდვით, ფინანსური წარმატების უზრუნველყოფის მიზნით და მეორე, საკუთარი რედაქტორების და გამომცემლობების კეთილსინდისიერების და პატიოსნების შენარჩუნებით.*“

მოგვიანებით, საქმეზე პიტსბურგის პრესა პიტსბურგის ადამიანური კავშირების კომიტეტის წინააღმდეგ, სასამართლომ აკრძალა დასაქმების შესახებ ისეთი განცხადებების განთავსება, რომელიც ითვალისწინებდა უპირატესობის

მინიჭებას სქესობრივ საფუძველზე. პიტსბურგის საქმეში მოსამართლე სტიუარტისა და მოსამართლე დუგლასის მიერ დაფიქსირებულ განსხვავებულ მოსაზრებაში მითითებულია, რომ „არც ერთ სამთავრობო უწყებას – ადგილობრივს, სახელმწიფოებრივსა თუ ფედერალურს, არ შეუძლია უკარნახოს პრესას, თუ რისი დაბეჭდვის უფლება აქვს და რისი არა.“

„ასოშეითიდ პრესის“ საქმეზე სასამართლომ ხაზი გაუსვა აგრეთვე საკითხს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებისა და მოთხოვნების შესახებ, რომლებიც პრესას ავალდებულებს იმ მასალების დაბეჭდვას, რომელიც სხვა ვითარებაში არ გამოქვეყნდებოდა. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ **პრესის იძულება, დაბეჭდოს მასალა, რომლის გამოქვეყნებისგან თავის შეკავების „მიზეზი“ არსებობს, ანტიკონსტიტუციურია.** პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული პრესის არსებობა მისასაღმებელია, მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრესის ვალდებულებები არ არის ასახული კონსტიტუციაში და არ შეიძლება გახდეს საკანონმდებლო რეგულირების საგანი.

ამ საქმეში მთავარი კითხვა მოპასუხის არგუმენტთან დაკავშირებით ჩნდება. ამ არგუმენტის თანახმად, ფლორიდის კანონი არ ზღუდავს მოსარჩლის სიტყვის თავისუფლებას, რადგან კანონს არ აუკრძალავს გაზეთ „მაიამი ჰერალდისთვის“ იმის გამოქვეყნება, რაც მას სურდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფლორიდის კანონი მოქმედებს როგორც იმპერატიული ნორმა, რომელიც უკრძალავს მოსარჩლეს რაიმეს დაბეჭდვას.

ფლორიდის კანონი აწესებს პასუხისმგებლობას გაზეთის შინაარსის გამო. პასუხის გამოქვეყნების თაობაზე გაზეთზე დაკისრებულ ვალდებულებასთან ერთად სახეზეა რამოდენიმე სანქცია: შეპასუხების დაბეჭდვის ხარჯები, მისი მომზადებისთვის საჭირო დრო და საგაზეთო ფართობი, რომელსაც გაზეთი სხვა, მისთვის სასურველ მასალას დაუთმობდა. თუმცა მოპასუხე მართებულად შენიშნავს, რომ პასუხის უფლების გამოყენებით გაზეთი არ აწყდება ისეთ ტექნიკურ სირთულეებს, როგორსაც ტელევიზია. თუმცა არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, რომ გაზეთი არ განიცდის ეკონომიკურ ზარალს, როდესაც აქვეყნებს მთავრობის თუ კანონის მიერ ნაკარნახევ ინფორმაციას.

კანონით დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გამომცემელი იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ გაზეთისათვის გაცილებით უსაფრთხო იქნება პოლიტიკური და სამართლებრივი თემატიკის გაშუქებისათვის თავის არიდება, რაც პასუხის უფლების გამო არასასურველი პუბლიკაციების განთავსების ვალდებულებას გამოორიცხავს. ასეთი ტენდენცია კი პოლიტიკური და საარჩევნო ცხოვრების სრულ პარალიზებას გამოიწვევს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზეთი არ არის ვალდებული, პასუხის გამოსაქვეყნებლად საჭირო დამატებითი ხარჯები დაფაროს, ფლორიდის კანონი მაინც ვერ განსაზღვრავს მკაფიოდ, რა შემთხვევაშია დასაშვები რედაქტორის ფუნქციებში ასეთი შეჭრა. გაზეთი არის უფრო მეტი, ვიდრე ახალი ამბების, კომენტარების თუ რეკლამის უბრალო გამტარი. გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა შინაარსის მასალა უნდა გავიდეს გაზეთში, რა ფართობი დაეთმოს მას და რა პოზიცია დაიკავოს საჯარო საკითხებთან თუ საჯარო პირებთან მიმართებაში, რედაქტორის პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ პასუხის გამოქვეყნების უფლება ენიშნაღმდეგება აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლებას.

1974 წელი

კოქსის სამაუწყებლო კორპორაცია კონის წინააღმდეგ

420 U.S. 469

ფაქტები: ეს საქმე შეეხება პირადი საიდუმლოს ხელმყოფი სამართალდარღვევის ისეთ სახეს, რომელსაც ჯორჯიაში „საჯაროდ გამჟღავნების სამართალდარღვევა“ უწოდეს და რასაც მოსარჩლე ასაჩივრებდა. მისი სარჩელი უკავშირდება უფლებას, იყოს დაცული პირადი საქმეების არასასურველი საჯაროობისგან, რაც ნამდვილად შეურაცხმყოფელია ადამიანისთვის. ამ საქმეში პირადი საიდუმლოების უფლება სიტყვისა და პრესის კონსტიტუციურ თავისუფლებებს უპირისპირდება.

მედია საშუალება ამტკიცებს, რომ დაუშვებელია პრესას დაეკისროს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობა ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო, რომელიც არც ყალბია და არც არაზუსტი, მიუხედავად იმისა, რამდენად საზიანოა ეს ინფორმაცია ადამიანის რეპუტაციისათვის ან რამდენად შელახავს მის პირად გრძნობებს.

ამ საუკუნეში ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა ე.წ. პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებას. პირადი საიდუმლოების უფლება ახალი არ არის არც ჯორჯიის სამართალწარმოებისთვის, რომელმაც გარკვეული ფორმით ეს უფლება ადრე, 1905 წელს განიხილა საქმეში *პავესიჩი ახალი ინგლისის სიცოცხლის დაზღვევის კომპანიის წინააღმდეგ*.

ეს მნიშვნელოვანი მანდატია პირადი საიდუმლოების უფლების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ამ საქმეში არ განიხილება ამ უფლების ხელმყოფი ქმედება, რაც ვინმეს სახელის ან ფოტოსურათის უნებართვოდ გამოყენებას, პირად სფეროში ფიზიკურ ან სხვაგვარ არსებით ჩარევას და პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებას გულისხმობს. ასეთ საქმეებში შესაძლოა, ინფორმაცია იყოს ყალბი, თუმცა არა აუცილებლად დიფამაციური.

პირად საიდუმლოებასა და პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული კოლიზიების შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესები საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებსა და ტრადიციებში იღებს სათავეს. საკითხის უფრო ფართო ჭრილში განხილვას – შესაძლებელია თუ არა ისეთი სწორი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაციები ოდესმე დაექვემდებაროს სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების არასასურველი საჯაროობისაგან დაცვის მიზნით, სჯობს, ყურადღება გამახვილდეს პრესისა და პირადი საიდუმლოების უფრო კონკრეტულ ურთიერთგადაკვეთაზე. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა შტატს უფლება, დაანესოს სანქციები გაუპატიურების მსხვერპლის ვინაობის, ანუ იმ ინფორმაციის სწორად გამოქვეყნებისთვის, რომელიც სასამართლოს ჩანაწერებიდანაა მოპოვებული. სასამართლო ჩანაწერები კეთდება საჯარო ბრალდებასთან დაკავშირებით და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია. სასამართლოს მიაჩნია, რომ შტატს ამის უფლება არ აქვს.

საზოგადოება, სადაც, როგორც წესი, თითოეულ პიროვნებას შეზღუდული დრო და რესურსები აქვს ხელისუფლების მოქმედებებისათვის თვალყურის დევნებისათვის, ძირითადად პრესას ეყრდნობა, რათა ხელისუფლების საქმიანობის შესახებ შეიტყოს. უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ახალი ამბების მედიას, რომელმაც სრულად და სწორად უნდა გააშუქოს ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები. მედიისათვის კი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო ღია დოკუმენტები და ჩანაწერებია.

სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ მისი პირადი საიდუმლოების უფლება პრესის საქმიანობის შედეგად შეილახა, როცა ინფორმაცია მისი ქალიშვილის გაუპატიურების შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მისგან გამომდინარე ბრალდებები და სასამართლო პროცესი, რომელიც ამ ბრალდებებს მოჰყვება, იმ ტიპის მოვლენებს განეკუთვნება, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანია და პრესის მოვალეობაა მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: კონსტიტუციის პირველი

და მეთოთხმეტე შესწორებებით უზრუნველყოფილი პრესის თავისუფლების დაცვა უკრძალავს ჯორჯიის შტატს აპელანტის პასუხისმგებლობაში მიცემას მის მიერ მომზადებული ტელერეპორტაჟის გამო.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ განაცხადა, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კანონი პირადი საიდუმლოების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, აღიარებს პრესის პრივილეგიას, გაავრცელოს ამომწურავი ინფორმაცია სასამართლო პროცესებზე განვითარებული მოვლენების შესახებ.

სამართალდარღვევათა კოდექსის საცდელი პროექტი №13 პირადი საიდუმლოების ხელმყოფ სამართალდარღვევას ოთხ ნაწილად ჰყოფს. პირადი ცხოვრების შესახებ არასასურველ პუბლიკაციასთან დაკავშირებით 652დ მუხლის კომენტარში ნათქვამია: „*პასუხისმგებლობის საკითხი არ დაისმება, თუ დასაცავმა პირმა მოსარჩლის შესახებ გამოაქვეყნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის. ამრიგად, პასუხისმგებლობა არ დგება მოსარჩლის ცხოვრების შესახებ ისეთი ფაქტების გამოქვეყნებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივი განსჯის საგანს წარმოადგენს*“. ამ პროექტის მიხედვით, საჯარო განხილვის საგნის შინაარსის გამოქვეყნებას უბრალოდ არ შეეხება ასეთი სახის პირადი საიდუმლოების დამცავი მექანიზმები.

ამრიგად, პირადი საიდუმლოების ხელყოფის შესახებ ძირითადი კანონიც კი აღიარებს, რომ პირადი საიდუმლოების ინტერესი მცირდება, როდესაც განხილული ინფორმაცია უკვე საზოგადოების განსჯის საგანად არის ქცეული. დასკვნა უცვლელია იმ შემთხვევაშიც, თუ საკითხს კონსტიტუციის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებებისა და პრესის მიმართ საზოგადოების აქტიური ინტერესის ფონზე განვიხილავთ. ჯორჯიის სარჩელის საფუძვლიდან (რომელიც პირადი საიდუმლოების ხელყოფას ეხება, რაც გაუპატიურების მსხვერპლის სახელის საზოგადოებისთვის გამჟღავნებაში გამოიხატა) გამომდინარე, დანესებულია სანქციები პუბლიკაციის შინაარსისთვის და არა მოქმედების ან სიტყვიერი და არასიტყვიერი ელემენტების კომბინაციისთვის, რომელიც სხვაგვარად შეიძლება დაექვემდებაროს რეგულირებას ან აკრძალვას.

ინფორმაციის განთავსებისას საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სასამართლოს ოფიციალურ ჩანაწერებში, სავარაუდოა, რომ შტატმა საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაც დაუშვას. სასამართლო იძულებულია, აირჩიოს კურსი, რომელიც საჯარო ჩანაწერებს ხელმისაწვდომს გახდის მედიისთვის, მაგრამ აკრძალავს პუბლიკაციას, თუ ის შეურაცხმყოფელი იქნება სალად მოაზროვნე ადამიანის გრძნობებისთვის. ასეთი წესი ძალიან გაართულებს მე-

დიისთვის მოქალაქეთა ინფორმირებას, თუმცა ეს იქნება კანონიერი. ეს წესი ხელს შეუწყობს თვითცენზურას და გამოიწვევს ბევრი ისეთი პუბლიკაციის შეზღუდვას, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოქვეყნდებოდა. კონსტიტუციის პირველი და მეოთხმეტე შესწორებები არ დაუშვებს პრესის პასუხისგებაში მიცემას იმ ნამდვილი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაციისთვის, რომელიც სასამართლოს ოფიციალურ, საჯარო ჩანაწერებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა. თუ საჭიროა პირადი საიდუმლოების ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვა, მაშინ შტატებმა უნდა მიმართონ შესაბამის ზომებს, რომ თავიდან აიცილონ საჯარო დოკუმენტაციის ან პირადი ინფორმაციის სხვაგვარი გამჟღავნება. პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა უნდა შეადარონ პირადული ინტერესები ინფორმაციის მიღებაზე საზოგადოებრივ ინტერესსა და პრესის ინტერესებთან. როგორც კი ინფორმაცია საჯარო სასამართლო დოკუმენტებში აისახება, პრესას აღარ შეიძლება აეკრძალოს მისი გამოქვეყნება. ამ შემთხვევაშიც უნდა დავეყრდნოთ იმ პირთა განსჯას, რომლებიც წყვეტენ, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს და გავიდეს ეთერში.

აპელანტ უასელის ტელე-რეპორტაჟი სასამართლო პროცესის მსვლელობისას გაკეთებულ ჩანაწერებს ემყარებოდა. ხოლო მსხვერპლის სახელი ჟურნალისტიკა საბრალდებო დოკუმენტებიდან გაიგო, რომელიც პროცესზე გამოცხადებული შესვენების დროს გამოითხოვა. მოპასუხე არ ამტკიცებდა, რომ სახელი არასათანადო გზით იყო მოპოვებული ან ეს არ იყო საზოგადოებისთვის ღია, ოფიციალური სასამართლო დოკუმენტი.

1975 წელი

ვირჯინიის შტატის ფარმაცევტთა საბჭო ვირჯინიის მომხმარებელთა საბჭოს წინააღმდეგ

425 U.S. 748

ფაქტები: ვირჯინიის მომხმარებელთა საბჭო ამ საქმეში უჩიოდა ვირჯინიის შტატის ფარმაცევტთა საბჭოს და მის ინდივიდუალურ წევრებს. ისინი ასაჩივრებდნენ ვირჯინიის შტატის კანონს და დაობდნენ, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ და მეოთხმეტე შესწორებებს. ეს კანონი ლიცენზირე-

ბულ ფარმაცევტებს უკრძალავდა რეცეპტით გამოსაწერი მედიკამენტების ფა-სების რეკლამას. ოლქის სასამართლომ კანონი ბათილად გამოაცხადა და აპელანტებს მისი გამოყენება აუკრძალა. ვირჯინიის შტატის ფარმაცევტთა საბჭომ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბლექმანმა: მოსარჩლე-აპელანტი ამ საქმეში ასაჩივრებდა ვირჯინიის შტატის კანონს, რომლის მიხედვითაც, ლიცენზირებული ფარმაცევტი დამნაშავედ ჩაითვლება, თუ იგი „(პ) პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი ფორმით გამოაქვეყნებს, პოპულარიზაციას მოახდენს ან რეკლამას გაუწევს რეცეპტით მისაღები მედიკამენტის ფასს, ღირებულებას ან მასზე ფასდაკლებას.“ ოლქის სასამართლომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა ბათილად გამოაცხადა და ვირჯინიის შტატის ფარმაცევტთა საბჭოს მისი გამოყენება აუკრძალა.

ამ საქმეში მოსარჩლეები არიან კერძო პირები, რომელთა მკურნალობასაც ექიმის მიერ რეცეპტით გამოსაწერი მედიკამენტის რეგულარულად მიღება სჭირდება. საქმეში მოსარჩლეებად გამოდიან არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მოსარჩლეები დაობენ, რომ პირველი შესწორება მათ უფლებას აძლევს, მიიღონ ამა თუ იმ მედიკამენტის შესახებ ის ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც ფარმაცევტებს სურთ რეკლამის ან რაიმე სხვა ფორმით.

უდავოა, რომ ასეთი ინფორმაცია მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ვირჯინიის სხვადასხვა ქალაქში ერთსა და იმავე მედიკამენტს განსხვავებული ფასი აქვს.

ამ საქმეში შემდეგ კითხვაზე უნდა გავცეს პასუხი: არის თუ არა გამოხატვა, რომლის ერთადერთი მიზანია კომერციული გარიგების დადება, იმდენად მოკლებული იდეების კომუნიკაციასა და გადმოცემას, რომ იგი არ სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით? ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად ვპასუხობთ.

სიტყვის თავისუფლება თავის თავში მოიცავს პირს, რომელსაც სურვილი აქვს, ისაუბროს. თუმცა, სადაც საუბრის მსურველი არსებობს (როგორც, მაგალითად, ამ საქმეში), მაშინ დაცვის მექანიზმები ვრცელდება როგორც გავრცელებულ ინფორმაციაზე, ასევე მის წყაროზეც და მის მიმღებზეც. ეს ცხადია ამ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სხვა საქმეებიდან. თუ არსებობს რეკლამის უფლება, მაშინ არსებობს შესაბამისი უფლება, რომ პირმა მიიღოს ამ რეკლამით გავრცელებული ინფორმაცია.

აპელანტები დაობდნენ, რომ მედიკამენტების შესახებ რეკლამით გავრცელებული ინფორმაცია არ სარგებლობს პირველი შესწორების დაცვით, რადგან იგი „კომერციული გამოხატვაა“. უდავოა, რომ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას წარსულში უკვე განაცხადა, რომ „კომერციული გამოხატვა“ არ არის დაცული პირველი შესწორებით – რასაც ეყრდნობოდნენ კიდევ აპელანტები (ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ 1942 წელს საქმეში *ვალენტაინ კრესტენსენის წინააღმდეგ* 316 US 52, 54).

ამ საქმეში საკითხი შემდეგნაირად დგას: არის თუ არა გამოხატვა, რომლის ერთადერთი მიზანიცაა მხოლოდ და მხოლოდ კომერციული გარიგების დადება (*Pittsburgh Press Co. v. Pittsburgh Common Human Relations*), იმდენად მოკლებული ნებისმიერი იდეის გამოხატვას (*Chaplinsky v. New Hampshire*) და სიმართლეს, მეცნიერულ, მორალურ და კულტურულ ღირებულებებს, რომ იგი არ სარგებლობს არავითარი დაცვით.

ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ რეკლამის გამავრცელებლის ინტერესი მოცემულ საქმეში წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა, რაც, თითქოს, ასეთ გამოხატვას პირველი შესწორების დაცვის მიღმა აყენებს. რაც შეეხება მომხმარებლის ინტერესს კომერციული ინფორმაციის მიმოქცევაში, ეს ინტერესი საკმაოდ მძაფრია, – იმდენადვე მძაფრი, რამდენადაც მისი ინტერესი იმ დღის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატებისადმი. სადავო კანონი ყველაზე მეტად ვნებს ღარიბი ფენის წარმომადგენლებს – ავადმყოფებსა და მოხუცებს. მათი შემოსავლის დიდი ნაწილი რეცეპტით მისაღებ მედიკამენტებზე იხარჯება; მათ კი საშუალება არ აქვთ, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაზოგონ ასე გაჭირვებით ნაშოვნი თითოეული დოლარი.

რეკლამა, რამდენად უგემოვნო და გაზვიადებულიც უნდა მოგვეჩვენოს, მაინც შეიცავს ინფორმაციას, თუ რა პროდუქცია იყიდება, რა ფასად და სად შეიძლება მისი შეძენა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჩვენი რესურსების განაწილება უმეტესწილად დამოკიდებულია კერძო ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ ინფორმირებული და გონივრული გადაწყვეტილებები. ამ მიზნისათვის კი კომერციული ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევა ხელშეუვალია.

ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვამბობთ, რომ „კომერციული სიტყვა“ არ შეიძლება დარეგულირდეს რაიმე ფორმით. ასევე, არ არსებობს რაიმე მტკიცება იმისა, რომ აკრძალვა ეფუძნება საფრთხეს, თითქოს, რეცეპტით მისაღები მედიკამენტების რეკლამა მცდარია და მას შეცდომაში შეჰყავს მყიდველი. მცდარი გამოხატვა არასოდეს ყოფილა დაცული. ცხადია, რომ „კომერციული გამოხატვის“

უმეტესი ნაწილი მცდარი არ არის; იგი, შესაძლოა, შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ შტატებს არ ეკრძალებათ მისი რეგულირება პირველი შესწორებით. პირველი შესწორება არ უკრძალავს შტატებს, უზრუნველყონ კომერციული ინფორმაციის სუფთად და თავისუფლად გავრცელება.

1976 წელი

ბაკლი ვალეოს წინააღმდეგ

424 U.S. 1

ფაქტები: 1975 წლის 2 იანვარს შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოში სენატორმა ჯეიმს ბაკლიმ, პრეზიდენტობის კანდიდატმა იუჯინ მაკარტიმ და სხვებმა სარჩელი შეიტანეს ფედერალური საარჩევნო კომისიის, სენატის მდივნის, გენერალური პროკურორის, წარმომადგენელთა პალატის კლერკის და საფინანსო საკონტროლო უწყების დირექტორის წინააღმდეგ. აპელანტები მოითხოვდნენ 1971 წლის ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების აქტის ქვემოთ მოყვანილი დებულებების ანტიკონსტიტუციურად ცნობას. პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს სადავო ნორმების კონსტიტუციურობას. მოსარჩელებმა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართეს.

1971 წლის ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების აქტი, რომელშიც 1974 წელს ცვლილებები შევიდა, ა) აწესებდა შეზღუდვებს ინდივიდების და პირთა ჯგუფის მიერ ფედერალური პოლიტიკური კანდიდატებისათვის შემოწირულობების თანხაზე, რომელიც 1000 დოლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო; ასევე, აწესებდა შეზღუდვას პოლიტიკური კომიტეტების შემოწირულობებზე 5000 დოლარის ოდენობით და შეზღუდვას ადგენდა მთელი წლის განმავლობაში ინდივიდუალური კონტრიბუციისათვის 25 000 დოლარის ოდენობით; ბ) შეზღუდვებს ადგენდა ინდივიდების ან ჯგუფის მიერ „ნათლად იდენტიფიცირებადი კანდიდატისათვის“ დახარჯულ თანხაზე 1000 დოლარის ოდენობით – თითო კანდიდატისათვის თითოეულ არჩევნებზე; ასევე, ზღუდავდა კანდიდატის მიერ მისი პირადი და ოჯახის თანხიდან განეული ხარჯის ოდენობას – თანხა დამოკიდებული იყო იმ ფედერალურ პოსტზე, რომელზეც კანდიდატი აირჩეოდა; გ) მოითხოვდა, რომ

პოლიტიკურ კომიტეტებს ეწარმოებინათ და შეენახათ შემონიშნულობების და ხარჯების შესახებ ის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა შემდეგ მონაცემებს: ყველა იმ პირის სახელს, გვარს და მისამართს, რომლებმაც კამპანიას 10 დოლარზე მეტი შეწირეს; ასევე, იმ პირების სახელს, გვარს, მისამართს და სამუშაო ადგილს, რომლებმაც 100 დოლარზე მეტი შეწირეს საარჩევნო კამპანიას; იმავე დროულად, მოითხოვდა, რომ პოლიტიკურ კომიტეტებს ფედერალური საარჩევნო კომისისათვის წარედგინათ წერილობითი ანგარიში, სადაც მითითებული იქნებოდა ყველა იმ შემონიშნულობის წყარო, რომელიც 100 დოლარს აღემატებოდა; მითითებული იქნებოდა, აგრეთვე, 100 დოლარზე მეტი თანხის მიმღები პირი და თავად ხარჯის დანიშნულებაც. კანონი ასევე ავალებდა ინდივიდებს და ჯგუფებს – პოლიტიკური კომიტეტებისა და პოლიტიკური კანდიდატების გარდა – რომ კომისიაში შეეტანათ ანგარიში ყველა იმ ხარჯის შესახებ, რომელიც მათ საარჩევნო კამპანიისათვის გაიღეს და რომლის ოდენობა 100 დოლარს აღემატებოდა.

ამასთან, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დადგენილია საარჩევნო სუბიექტების სამი კატეგორია, რომლებისთვისაც გათვლისწინებულია სახელმწიფო დაფინანსება: ა) „ძირითადი პარტიები“ (რომელთა კანდიდატებმაც ბოლო არჩევნებში ხმების 25 ან მეტი პროცენტი მოაგროვეს) იღებენ სრულ დაფინანსებას; ბ) „პატარა პარტიები“ (რომელთა კანდიდატებმაც ბოლო არჩევნებში მოიპოვეს ხმების 5%-დან 25%-მდე) იღებენ ძირითადი პარტიების მიერ მიღებული თანხის გარკვეულ პროცენტს; გ) „ახალი პარტიები“ იღებენ შეზღუდულ დაფინანსებას არჩევნების შემდგომ, თუკი მათი კანდიდატი საარჩევნო ხმების 5%-ზე მეტს მიიღებს. ხოლო პარტიის მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც არანაკლებ 20 შტატიდან კერძო თანხებით 5000 დოლარზე მეტს მოაგროვებს (ამ თანხაში იგულისხმება მხოლოდ ინდივიდუალური შემონიშნულობები, რომელთა შორის თითო შემონიშნულობის ოდენობა არ აღემატება 250 დოლარს), იღებს შესაბამის სახელმწიფო დაფინანსებას.

უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება: საარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ საქმეში აპელანტები დაობდნენ, რომ ფედერალური კანონი, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს თანხების გამოყენებას ზღუდავს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველი შესწორებით აღიარებულ გამოხატვის თავისუფლებას; კერძოდ, შეუძლებელია მნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეების გამოხატვა ფულადი სახსრების გარეშე. სასამართლო ნაწილობრივ ეთანხმება აპელანტს და მიიჩნევს, რომ კამპანიის დროს შემონიშნულობების და ხარჯების შეზ-

ლუდვა მნიშვნელოვანწილად ამცირებს გამოხატვის ოდენობას, განხილული საკითხების რიცხვს, სიღრმისეულ ანალიზს და იმ აუდიტორიის მასშტაბს, რომელზეც აღნიშნული გამოხატვაა გათვლილი. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღევანდელ რეალობაში თითქმის ყოველი იდეის ირგვლივ კომუნიკაცია დაკავშირებულია ფულად ხარჯებთან. სასამართლო ადგენს, რომ პოლიტიკურ გამოხატვაზე ამგვარი შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის საფუძველზე.

შეზღუდვები შემონირულობებზე – სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანიისას შეზღუდვები ხარჯებზე მნიშვნელოვანწილად ზღუდავდა პოლიტიკური გამოხატვის ხარისხს, ოდენობას და მრავალფეროვნებას; თუმცა, შეზღუდვები შემონირულობებზე მოიცავს მხოლოდ ინდივიდის ლიმიტირებულ შეზღუდვას (რეგულირებას), რომ ჩაერთოს პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში. ეს შეზღუდვა, მართალია, ხელს უშლის ინდივიდს, რომ სიმბოლურად გამოხატოს საკუთარი მხარდაჭერა კანდიდატისადმი თანხის მეშვეობით, თუმცა, არ ზღუდავს ინდივიდს, რომ თავისუფლად ისაუბროს და განიხილოს კანდიდატის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შემონირულობა მოიცავს მესამე პირის გამოხატვას და არა შემომწირველის მიერ იდეის გამოხატვას. სასამართლომ განსაზღვრა, რომ შემონირულობებზე შეზღუდვა წარმოადგენდა საარჩევნო კანონის მთავარ მექანიზმს პოლიტიკურ კანდიდატებზე მსხვილი დამფინანსებლების ზეგავლენისგან დასაცავად და მათზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად. მართალია, სასამართლო აღიარებდა, რომ ამგვარი ლიმიტი ზღუდავდა პოლიტიკურ გამოხატვას, მაგრამ, ამის მიუხედავად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს ემსახურებოდა მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს: საარჩევნო პროცესის მთლიანობას და ხელშეუვალობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემონირულობების შეზღუდვა არ ნიშნავს საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლას. ეს შეზღუდვა ემსახურება იმ მიზანს, რომ პოლიტიკურმა კანდიდატებმა საზოგადოების უფრო ფართო წრეებიდან და წყაროებიდან მოიზიდონ თანხები. ამრიგად, სასამართლომ მხარი დაუჭირა საარჩევნო კომუნიკაციების აქტის იმ ნორმას, რომელიც ადგენდა შეზღუდვას შემონირულობებზე.

შეზღუდვები საარჩევნო კამპანიისას ხარჯებზე – სასამართლომ დაადგინა, რომ შემონირულებებისაგან განსხვავებით, შეზღუდვები საარჩევნო სუბიექტების მიერ განეულ ხარჯებზე ადგენდა პირდაპირ და მნიშვნელოვან შეზღუდვას პოლიტიკური გამოხატვის მიმართ. შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა ის, როგორც პირველი შესწორების საწინააღმდეგო ნორმა.

სასამართლომ გააუქმა ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების აქტით

დადგენილი ზედა ზღვარი საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო სუბიექტებისა და ინდივიდების მიერ დახარჯულ თანხებზე. მოპასუხეები დაობდნენ, რომ აღნიშნული ნორმა ემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესს და წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტებს შორის შესაძლებლობების გათანაბრების მექანიზმს. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს დახარჯული თანხები უნდა განსხვავდებოდეს, ეს განსხვავება კი დამოკიდებულია საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ინტენსივობასა და ხარისხზე. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ საარჩევნო კამპანიის დროს დანახარჯებზე შეზღუდვის დადგენა კანდიდატებს შორის შესაძლებლობების გათანაბრებას კი არ მოემსახუროს, არამედ ხელი შეუშალოს იმ კანდიდატს, რომელიც კამპანიის დაწყებამდე ცნობადი და პოპულარული არ იყო. აპელანტები ასევე დაობდნენ, რომ ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების სადავო ნორმა მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა საარჩევნო კამპანიაზე დახარჯულ თანხას, რაც, მათ მიერ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი შესწორების თანახმად, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, განსაზღვროს, რომ ფულის დახარჯვა ვინმეს პოლიტიკური იდეების პოპულარიზაციისთვის არაგონივრული და ფუჭია. სასამართლომ დაადგინა, რომ ხარჯებზე ზედა ლიმიტის დაწესება ანტიკონსტიტუციურია.

აპელანტი დაობდა, რომ ფედერალური საარჩევნო კომუნიკაციების აქტით დაწესებული შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც დადგენილი იყო ზღვარი 1000 დოლარის ოდენობით იმ პირებისათვის, რომლებიც „ნათლად იდენტიფიცირებადი კანდიდატის მიმართ აწარმოებენ აგიტაციას მის დასამარცხებლად ან ასარჩევად“, წარმოადგენდა ანტიკონსტიტუციურ ნორმას და ეწინააღმდეგებოდა პირველი შესწორებით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე, სადაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული შეზღუდვა აუცილებელი იყო კორუფციის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პოლიტიკური კანდიდატისგან დამოუკიდებელი დანახარჯები არ წარმოადგენდა იმავე საფრთხეს საარჩევნო სისტემისთვის, რასაც დიდი შემომწირულობები კანდიდატის საარჩევნო ფონდში. რადგან კანდიდატსა და თანხის შემომწირველს შორის შეთანხმების და კოორდინაციის არარსებობა ამცირებს იმის საფრთხეს, რომ ეს ხარჯები პოლიტიკურ კანდიდატს გარკვეული, არასათანადო დაპირების საფუძველზე მიეცემა. ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ დამოუკიდებელი პირებისათვის საარჩევნო კამპანიისას დანახარჯების შეზღუდვა არ ემსახურება რაიმე სახელმწიფო

ინტერესს. სასამართლომ განსაზღვრა, რომ ასეთი დანახარჯები დაცულია პირველი შესწორების თანახმად, როგორც პოლიტიკური დისკუსია და გამოხატვა.

რაც შეეხება ნორმას, რომელიც შეზღუდვას აწესებს პოლიტიკური კანდიდატის მიერ მისი პერსონალური თანხის გამოყენებაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ნორმა ეწინააღმდეგება ინდივიდის აღიარებულ და დაცულ უფლებას, რომელიც გულისხმობს „პირის უფლებას, ჩაერთოს საჯარო დისკუსიაში და დაუღალავად და ენერგიულად მოუწოდოს მის ასარჩევად“. სასამართლომ აღიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც არ იყო სახეზე სახელმწიფო ინტერესი, რომელიც ამ შეზღუდვას გაამართლებდა. მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ კანდიდატის მიერ მისი პერსონალური თანხების გამოყენება ამცირებს კანდიდატის დამოკიდებულებას გარე დაფინანსებასა და შემოწირულობებზე, ეს კი ანეიტრალებს კანდიდატზე ზენოლის რისკს, რის წინააღმდეგაც მიმართულია შეზღუდვა შემოწირულობებზე.

სასამართლომ, საბოლოოდ, არ გააუქმა საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმები საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდვები, რომლებიც დადგენელია საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ დანახარჯების შეზღუდვებთან დაკავშირებით, ლეგიტიმურია, რადგან სახელმწიფო დაფინანსების მიღება საპრეზიდენტო კანდიდატებისათვის ნებაყოფლობითია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საარჩევნო კამპანიისას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესი დანახარჯებთან დაკავშირებით უფრო დიდია, ამიტომ სასამართლო ამ სადავო ნორმას არ აუქმებს.

1976 წელი

ნებრასკის პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ

427 US 539

ფაქტები: 1975 წლის 18 ოქტომბერს ნებრასკის შტატის პატარა ქალაქ სუდერლენდში, სადაც დაახლოებით 850 ადამიანი ცხოვრობდა, პოლიციამ აღმოაჩინა ჰენრი კელის ოჯახის ექვსი მოკლული წევრი. მეორე დილას პოლიციამ დააკავა ეჭვმიტანილი ერვინ სიმანტსი, რომელსაც ბრალად ედებოდა ჰენრი კელის ოჯახის წევრების მკვლელობა. ამ დანაშაულმა უმაღლვე მიიპყრო პრესის ყურადღება.

მკვლევლობიდან სამი დღის შემდეგ ოლქის პროკურორმა და სიმანტისის ადვოკატმა ოლქის სასამართლოში წარადგინეს შუამდგომლობა, სადაც მოითხოვდნენ მედიისათვის შემზღუდველი ბრძანების გამოცემას. ამ ბრძანების საფუძველზე მედიას აეკრძალებოდა აღნიშნული დანაშაულის დეტალების და სამართლებრივი პროცესების გაშუქება. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ყველა პირს აეკრძალა საქმეში არსებული მტკიცებულებების და ჩვენებების საჯარო გავრცელება.

მოსარჩელებმა, რომელთა შორისაც იყო პრესისა და მაუწყებელთა რამდენიმე ასოციაცია, გამოიმცემლები და რამდენიმე დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ნებრასკის უზენაეს სასამართლოს მიმართეს მედიის შემზღუდველი ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. ნებრასკის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებას და ინდივიდ ბრალდებულს, ისევე, როგორც სასამართლოს, ამ საქმეში გააჩნდა მნიშვნელოვანი ინტერესი, რომ სიმანტს ჰქონოდა სამართლიანი სასამართლო მიუეკრძოებელი ნაფიცი მსაჯულებით. ვინაიდან ლინკოლნის ოლქიდან სხვა ოლქში საქმის გადატანას აზრი არ ჰქონდა, რადგან ამ საქმის გაშუქება იმავენაირად ხდებოდა სხვა ოლქებშიც, სასამართლომ დაადგინა, რომ სიმანტისის სამართლიანი სასამართლოს უფლებას საფრთხე ემუქრებოდა. ნებრასკის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა შემზღუდველი ბრძანება, თუმცა შეცვალა მისი პირობები შემდეგნაირად: ბრძანების მიხედვით აიკრძალა მხოლოდ სამი სახის ინფორმაციის გაშუქება: ა) ბრალდებულის მიერ სამართალდამცავებისათვის მიცემული ნებისმიერი ჩვენების ან აღიარებითი ჩვენების არსებობა და მისი დეტალები; ბ) ნებისმიერი ჩვენება ან აღიარებითი ჩვენება, რომელიც მესამე პირებთან გაკეთდა, გარდა პრესის წარმომადგენლებისა; გ) სხვა ფაქტები, რომლებიც ბრალდებულის გამოვლენის სერიოზულ საფუძველს იძლევა.

მოსარჩელებმა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართეს. იმ დროისათვის, როდესაც უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო, სიმანტისის სასამართლო პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში უკვე დასრულდა. იგი ბრალდებულად ცნეს მკვლევლობაში. მან სააპელაციო საჩივარი ნებრასკის უზენაეს სასამართლოში შეიტანა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ნებრასკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერმა: ამ საქმეში წარმოდგენილი საკითხები ისეთივე ძველია, როგორც რესპუბლიკა. არც კონსტიტუციაში და არც თანამედროვე ნაშრომებში არ გვხვდება კონფლიქტი ამ ორ მნიშვნელოვან უფლებას შორის. თუმცა გაუგებარია, აცნობი-

ერებდნენ თუ არა კონსტიტუციის მამები პოტენციური კონფლიქტის შესაძლებლობას სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

კონსტიტუციის მეექვსე შესწორების თანახმად, გარანტირებულია „სასამართლო მოსმენა, მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით“. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა რეალური რისკი იმისა, რომ პოტენციური ნაფიცი მსაჯულები ახალი ამბების გაშუქების შედეგად შეიტყობდნენ იმ დანაშაულებების შესახებ, რომელთა განხილვაშიც შესაძლოა, მომავალში მიეღოთ მონაწილეობა. უმეტესობა საქმეებში ასეთი საფრთხე ნაკლებად არსებობს, თუმცა სენსაციური დანაშაულის შემთხვევაში – როგორც წინამდებარე საქმეში გვაქვს – საკითხი პრესის უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე სხვა ტრივიალური საქმეები. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი ამბების გაშუქება და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელება აუცილებლად არ იწვევს ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებას. მაგრამ ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენა, როგორც წესი, გამონწვეულია ახალი ამბების გაშუქების ტონით და მასშტაბით, იმ განცხადებებით, რომლებსაც მხარეთა ადვოკატები, სამართალდამცავები და სხვა ოფიციალური პირები აკეთებენ. მოსამართლის განცხადებები სასამართლოში თუ მის გარეთ აუცილებლად მოხვდება მედიის ყურადღების ცენტრში. ამიტომ, საქმის განმხილველ მოსამართლეს ამ შემთხვევაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. შესაბამისად, ის ზომები, რასაც მოსამართლე იღებს დანაშაულის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შედეგების შესამსუბუქებლად, განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად სამართლიანი სასამართლო ექნება ბრალდებულს.

დღემდე ჩვენს მიერ გადაწყვეტილი არც ერთი საქმე არ შეხებია სასამართლოს მიერ პრესის შეზღუდვას ბრალდებულის დაცვის მიზნით. თუმცა წინასწარი შეზღუდვების შესახებ სასამართლოს მოსაზრებები ამ საქმეში რელევანტურია. წინასწარი შეზღუდვების დაწესება მედიისათვის პირველი შესწორების ყველაზე სერიოზული და ყველაზე ნაკლებად შესაგუებელი დარღვევაა. ცილისწამების საქმეებში არსებობს უამრავი მექანიზმი, მათ შორის, სანქციის - ანუ სასჯელის აღსრულების გადავადება მანამ, ვიდრე გასაჩივრების ყველა ინსტანცია არ ამოინურება. მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ იწყება სანქციის სრულად ამოქმედება. ამისგან განსხვავებით, წინასწარ შეზღუდვებს მყისიერი და შეუქცეველი ეფექტი აქვს. თუ შეიძლება ითქვას, რომ ცილისწამების სანქციები პუბლიკაციაზე ე.წ. „გამყინავი ეფექტით“ მოქმედებს, მაშინ წინასწარ შეზღუდვებს უდავოდ ასეთივე ეფექტი აქვს სიტყვის თავისუფლებაზე. წინასწარი შეზღუდვის საფრთხე განსაკუთრებულია, როდესაც იგი ეხება მიმდინარე მოვლე-

ნების გაშუქებას და ასევე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო მოსმენის მსვლელობას.

საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ შემზღუდველი ბრძანებები, როგორც ასეთი, ანტიკონსტიტუციური არ არის, თუმცა დაადგინა საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმები მისი კანონიერებისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო საჭირო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა წინამდებარე საქმეში, სასამართლომ უნდა განიხილოს ის მტკიცებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე იყო წარდგენილი; მანვე უნდა განსაზღვროს შემდეგი გარემოებები: ა) წინა სასამართლო სტადიაზე როგორი იყო ახალი ამბების გაშუქების ბუნება და მასშტაბი; ბ) შესაძლებელი იყო თუ არა იმგვარი ზომების მიღება, რაც შეუზღუდავი ახალი ამბების გაშუქების შედეგებს შეამსუბუქებდა; გ) რამდენად ეფექტურია შემზღუდველი ბრძანების გამოყენება კონკრეტულ საქმეში.

ა) პირველ საკითხთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ სწორად დაადგინა, რომ საქმე ინტენსიურად და სიღრმისეულად შუქდებოდა. მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ ასეთი გაშუქება საფრთხეს უქმნიდა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სპეკულაცია იყო, რადგან ის ეხებოდა ფაქტორებს, რომელთა შესახებ ვერავის ეცოდინებოდა.

ბ) საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც დაადგენდა იმას, რომ სხვა ზომები, გარდა შემზღუდველი ბრძანებისა, ვერ დაიცავდა ბრალდებულის უფლებას. ნებრასკის უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ირიბად მიუთითა, რომ სხვა ზომები არაეფექტური იქნებოდა.

გ) წინამდებარე საქმეში არ არის ნათელი, რომ ბრალდებულის უფლებების დაცვა ეფექტურად მოხერხდებოდა შემზღუდველი ბრძანებით, რადგან არსებობდა შემდეგი პრაქტიკული პრობლემები: შეზღუდული ტერიტორიული იურისდიქცია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის; იმ ინფორმაციის იდენტიფიცირების სიძნელე, რომელიც უშუალოდ შეუქმნიდა საფრთხეს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობას; და ის ფაქტი, რომ დანაშაული მოხდა პატარა ქალაქში, სადაც ინფორმაცია და ჭორები ძალიან სწრაფად ვრცელდება.

1976 წელი

კომუნიკაციების ფედერალური კომისია „Pacifica Foundation“-ის წინააღმდეგ

438 U.S. 726

ფაქტები: სატირიკოსმა იუმორისტმა ჯორჯ კარდინმა კალიფორნიის თეატრის აუდიტორიის წინაშე წაიკითხა თორმეტწუთიანი მონოლოგი, სათაურით „ბინძური სიტყვები“. გამოსვლა დაიწყო სკეჩით „სიტყვებზე, რომლებსაც საჯაროდ ვერ წარმოვთქვამ, რადიოტალღებზეც ვერ მოისმენ, და რომელთაც ნამდვილად არასოდეს იტყვი“. შემდეგ მან დაიწყო ამ სიტყვების ჩამოთვლა და მათი განმეორება სხვადასხვა კილოზე.

1973 წლის 30 ოქტომბერს, დაახლოებით შუადღის 2 საათზე, მოპასუხის საკუთრებაში არსებულმა ნიუ-იორკის რადიოსადგურმა „Pacifica Foundation“ ეთერში გაუშვა მონოლოგი „ბინძური სიტყვები“. რამდენიმე კვირის შემდეგ კომისიაში შევიდა საჩივარის წერილი კაცისაგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მანქანით მგზავრობისას მოისმინა მონოლოგი მცირეწლოვან შვილთან ერთად. მისივე თქმით, მას კარგად ესმოდა, რომ „ჩანაწერები გაიყიდა კერძო გამოყენებისთვის, მაგრამ ამასთანავე გაუგებარი იყო მათი იმ ეთერში გაშვება, რომელსაც კომისია აკონტროლებდა“.

აღნიშნული საჩივარი რადიოსადგურს კომენტარისათვის გადაეგზავნა. პასუხად „Pacifica“-მ ახსნა, რომ მონოლოგი ეთერში გაუშვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსმენელები გააფრთხილეს, რომ პროგრამა შეიცავდა „საჩოთირო გამონათქვამებს, რომლებიც შესაძლოა, მათთვის შეურაცხმყოფელი ყოფილიყო“.

1975 წლის 21 თებერვალს კომისიამ გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „პასიფიკას“ „შესაძლოა, ადმინისტრაციული სანქციები დაეკისროს“. კომისიამ თავი შეიკავა სანქციების დაკისრებისაგან, მაგრამ განაცხადა, რომ საჩივარი დაერთვებოდა სადგურის სალიცენზიო ფაილს, და იმ შემთხვევაში, თუ კვლავ შემოვიდოდა მსგავსი საჩივრები, კომისია განსაზღვრავდა კონგრესის მიერ მინიჭებული სანქციებიდან რომელს გამოიყენებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლომ ეს ბრძანება გააუქმა.

ამ საქმეში უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, იყო თუ არა უფლებამოსილი კომუნიკაციის მარეგულირებელი ფედერალური კომისია, დაერეგულირებინა და შეეზღუდა უხამსი, მაგრამ არა უწმინური რადიომაუწყებლობა.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სააკელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ აღნიშნა, რომ „პასიფიკას“ მიერ ეთერში გადაცემული მონოლოგის შინაარსი იყო უდავოდ ვულგარული, შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი და ამგვარი შინაარსის მასალები არ არის დაცული აბსოლუტური კონსტიტუციური პრივილეგიით. ყველა შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს მისი კონტექსტი, რათა განისაზღვროს ფედერალური კომისიის მოქმედების კონსტიტუციურობა.

სასამართლომ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე საქმეში იოსეფ ბურშტინი ვილსონის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ თითოეული მედია საშუალება წარმოადგენს პირველი შესწორების პრობლემებს და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შორის მათგან უპირატესობა პირველი შესწორების ყველაზე ლიბერალური დაცვით სარგებლობს. შესაბამისად, მას, შესაძლოა, ჩამოერთვას ლიცენზია ან დროებით შეუჩერდეს მათგან უპირატესობა, თუ კომისია გადაწყვეტს, რომ ამგვარი მოქმედება ემსახურება „საზოგადოებრივ ინტერესებს და კეთილდღეობას და აუცილებლობას წარმოადგენს“.

ამგვარი განსხვავებების მიზეზები კომპლექსური და რთულია, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებით მიესადაგება განსახილველ საქმეს.

პირველი, ელექტრონულ მედიას თითოეული ამერიკელის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და ფაქტობრივად, იგი ყოველი ოჯახის სტუმარია. რადიოტალღებით გავრცელებული აშკარად უხამსი და უნმანური მასალა, მოქალაქეებს არა მარტო საჯარო თავშეყრის ადგილებში, არამედ სახლშიც აშფოთებს, სადაც ინდივიდის უფლება, განმარტოვდეს, გადანონის მედიის პირველი შესწორებით დაცულ უფლებას. მსმენელი რადიომიმღებს მუდმივად სიხშირიდან სიხშირეზე რთავს, რის გამოც წინასწარი გაფრთხილებები გადაცემის შინაარსის შესახებ არაეფექტურია. თუ ვიტყვით, რომ პირს შეუძლია თავი აარიდოს შემდგომ შეურაცხყოფას რადიოს გამოერთვით, ეს იგივეა, რაც სიტყვიერად შეურაცხყოფილ პირს ურჩიო, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გაექცეს შეურაცხყოფელს. პირს შეუძლია დაკიდოს ტელეფონი, თუკი მას ესმის შეურაცხყოფელი სიტყვები, თუმცა ეს არ არის კონსტიტუციური იმუნიტეტი ან უკვე მიყენებული ზიანისაგან თავის არიდების საშუალება.

მეორე, ელექტრონული მედიის მოსმენის და ყურების საშუალება იმ ბავშვებსაც კი აქვთ, რომლებმაც ჯერ კითხვაც კი არ იციან. შეურაცხყოფელი თუ სხვა ფორმის კომუნიკაცია, შესაძლოა, შეეზღუდოს არასრულწლოვანს მისი თავდაპირველი წყაროს შეზღუდვის გარეშე. მაგალითად, ნიგნების მალაზიებს, კინოთე-

ატრებს შეუძლიათ, შეზღუდონ ბავშვების დაშვება უხამს მასალებზე. საქმეში გინზბერგი ნიუ-იორკის წინააღმდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ მთავრობის ინტერესები „მისი ახალგაზრდა თაობის კეთილდღეობასთან დაკავშირებით“ ამართლებს სხვა შემთხვევებში დაცული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

ბავშვების მიერ ამგვარი სამაუწყებლო შინაარსის მიღების შესაძლებლობა, გინზბერგის საქმეში დაფიქსირებულ მოსაზრებასთან ერთად, ამართლებს უხამსი მაუწყებლობის სპეციალური რეგულირების (შეზღუდვის) საჭიროებას.

საქმე არ ეხება ორმხრივ რადიოსაუბარს დიჯეისა და მანქანის მძღოლს შორის. კომისიის გადაწყვეტილება ეყრდნობოდა მაუწყებლის მიერ მასალის ეთერში გაშვების კონტექსტს. კომისიამ ხაზი გაუსვა ასევე დროის მნიშვნელობას, რომლის განმავლობაშიც მონოლოგი ეთერში გადაიცემოდა. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი იყო ასევე პროგრამის შინაარსი და განსხვავება, რომელიც არსებობს რადიო, ტელევიზიასა და კომუნიკაციის კოდირებულ საშუალებებს შორის. როგორც მოსამართლე საჯერლენდმა აღნიშნა, რომ თუ კომისია დაადგენს, რომ ღორი შევიდა სასტუმრო ოთახში, მის მიერ მარეგულირებელი უფლებამოსილებების გამოყენება არ უნდა იყოს დამოკიდებული მტკიცებაზე, რომ ღორი უხამსია.

1977 წელი

CBS-ი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ

453 US 367(1981)

ფაქტები: ამ საქმეში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, ეწინააღმდეგება თუ არა პირველ შესწორებას კომუნიკაციის შესახებ ფედერალური კანონის 312(ა) 7-ე მუხლით გათვალისწინებული „ფედერალური პოლიტიკური კანდიდატისათვის მედია საშუალებების ხელმისაწვდომობა“. ჯიმი კარტერი სამი წამყვანი ტელევიზიისგან მოითხოვდა საეთერო დროს 30 წუთიანი პროგრამისათვის 1979 წლის დეკემბერში და სამივე შემთხვევაში მან უარი მიიღო.

312 (ა)(7)-ე მუხლზე დაყრდნობით, კარტერის საპრეზიდენტო კომიტეტმა

იჩივლა კომუნიკაციის ფედერალურ კომისიაში. კომისიამ დაადგინა, რომ ტელევიზიებმა დაარღვეეს 312(ა) 7-ე მუხლი, რომელიც მაუწყებლებისგან „ყოველი კონკრეტული კანდიდატისადმი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს“. ასე რომ, კანონის ეს მუხლი შეესაბამებოდა პირველ შესწორებას. CBS-მა განაცხადა, რომ ტორნილოსა და CBS დეკის წინააღმდეგ საქმეების ფონზე კანონის 312(ა) 7-ე მუხლი არღვევდა პირველ შესწორებას.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სასამართლოს მოსაზრება: მოსარჩლეები ამტკიცებდნენ, რომ 312(ა)(7)-ე მუხლის კომისიისეული ინტერპრეტაცია არღვევს პირველ შესწორებას, რადგან იჭრება მედიის სარედაქციო კომპეტენციის სფეროში. მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში ირღვევა ის „დელიკატური ბალანსი“, რომლის მიღწევაც მაუწყებლების მიზანია.

„თავისუფალი და ექსკლუზიური გამოყენებისთვის ლიცენზირებულ მაუწყებელს დელეგირებული აქვს საჯარო საკუთრების ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვან საჯარო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს“. სასამართლომ განიხილა ლიცენზირებულ მაუწყებლობებთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვები: „ლიცენზია მაუწყებლობის უფლებას იძლევა, თუმცა ლიცენზიის მფლობელს არა აქვს სიხშირის მონოპოლიზების კონსტიტუციური უფლება. პირველ შესწორებაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მთავრობას ეკრძალება კუთვნილი სიხშირის სხვა სუბიექტებისთვის განაწილების უფლება (სამაუწყებლო კომპანია *Red Lion* კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ). თუმცა სამაუწყებლო ინდუსტრია პირველი შესწორების თანახმად უფლებამოსილია ისარგებლოს „საჯარო ვალდებულებებთან შეთავსებული ფართო ჟურნალისტური თავისუფლებით“. საქმეში CBS ეროვნულ დემოკრატიული კომიტეტის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არის მსმენელებისა და მაყურებლების, და არა მაუწყებლების უფლება – პირველი შესწორების მიზანია შეინარჩუნოს იდეათა ბაზარი, სადაც სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს და არა ის, რომ გავრძელდეს სამაუწყებლო ბაზრის მონოპოლიზება. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს სოციალურ, პოლიტიკურ, ესთეტიკურ, მორალურ და სხვა იდეებსა და გამოცდილებაზე, რასაც ამ შემთხვევაში ვადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება“.

კანდიდატებისა და ამომრჩევლების, ისევე, როგორც მაუწყებლების პირველი შესწორებით გარანტირებული უფლება გამყარებულია 312(ა)(7)-ე მუხლით. სასამართლო სრულად აცნობიერებს საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას:

კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა, გაავრცელონ საკუთარი მოსაზრებები არჩევნებამდე, რათა ელექტორატმა შეაფასოს კანდიდატის პიროვნული თვისებები და მათი მოსაზრებები მნიშვნელოვან საჯარო საკითხებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, 312(ა)(7)-ე მუხლი ხელს უწყობს სიტყვის თავისუფლებას, რადგან კანდიდატებს დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის გავრცელების საშუალებას აძლევს, ხოლო საზოგადოებას ამ ინფორმაციის მიღების უფლებას ანიჭებს.

სასამართლო დაეთანხმა მოსარჩლეს, რომ სასამართლოს არასოდეს უღიარებია მედია საშუალებებზე ზოგადი დაშვების უფლება. (იხ. *KFK Midwest ვიდეოს წინააღმდეგ*, 312 (ა) (7)-ე მუხლი ანესებს „გონივრული“ დაშვების მხოლოდ შეზღუდულ უფლებას, რომლის გამოყენებაც მხოლოდ კანონით უფლებამოსილ ფედერალურ კანდიდატებს შეუძლიათ, საარჩევნო კამპანიის დროს მხოლოდ საკუთარი კანდიდატების უკეთ წარმოჩენის მიზნით. კომისიამ დაადგინა, რომ სადავო კანონი „მაუწყებლებს ლავირების საშუალებას მისცემს და არ იქნება მხოლოდ მათი გადაწყვეტილებების მართებულობის *de novo*³ შეაფასების მცდელობა.“

312(ა)(7)-ე მუხლი გამოხატავს კონგრესის მისწრაფებას, უზრუნველყოს მნიშვნელოვანი რესურსის, რადიო და სატელევიზიო სიხშირეების გამოყენება საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. სასამართლომ დაადგინა, რომ მედიის საშუალებებისათვის კანონით გარანტირებული უფლება დასაშვებია კომისიის მიერ განმარტებული სახით და მართებულად აბალანსებს საზოგადოების, მაუწყებლების და კანდიდატების პირველი შესწორებით გარანტირებულ უფლებებს.

შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ

692 F.2d 207 (10th circuit 1982)

ფაქტები: მომჩივანს ბრალი ედებოდა ცოლის მკვლელობაში. წინასწარი გამოძიების დროს საქმის წარმოუდგენელმა და ინკრიმინაციული ხასიათის საჯაროობამ აღნიშნული საქმე ცნობილი გახადა ქვეყნის მასშტაბით. მომჩივანის დაკითხვა სასამართლო პროცესამდე 3 თვით ადრე გაიმართა და თანაც უჩვეულო პირობებში: სამი დღის განმავლობაში მას სპორტდარბაზში დღეში ხუთი საათი,

³ საქმის ხელახლა განხილვა (ლათ.).

ადვოკატის გარეშე, რამდენიმე ასეული პირის თანდასწრებით ჰკითხავდნენ. პროცესამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე გაზეთებმა პროცესზე მიწვეული ნაფიცო მსაჯულების ვინაობა გამოაქვეყნეს. პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, მოსამართლის პოსტზე განსაკუთრებით კონკურენტული, დაძაბული არჩევნები შედგა, რომელშიც ერთმანეთს ადგილობრივი პროკურორი და პროცესის მწარმოებელი მოსამართლე უპირისპირდებოდნენ. სასამართლო პროცესის პერიოდში რეპორტიორებს თითქმის მთელი სასამართლო დარბაზის გადაღების უფლება მიეცათ. დარბაზში ამ დროს მომჩივანი და პროცესის მონაწილეთა უმრავლესობა იმყოფებოდა. ოცამდე ჟურნალისტს ადგილი ნაფიც მსაჯულებთან და ბრალდებულის დამცველებთან ახლოს მიუჩინეს. შესაბამისად, სხდომათა დარბაზში ჟურნალისტების ყოველგვარი გადაადგილება ხმაურს და პროცესის შეწყვეტას იწვევდა. მობილური სატელეფიზო სადგური ნაფიც მსაჯულთა ოთახის გვერდით განთავსდა. სათათბირო ოთახში გაცვლამდე ნაფიც მსაჯულებს შეეძლოთ, შეუზღუდავად გაცნობოდნენ ახალ ამბებს ნებისმიერ არხზე. მიუხედავად შეზღუდვისა, ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტზე მუშაობისათვის გათვალისწინებული 5 დღისა და 4 ღამის განმავლობაში არასათანადოდ კონტროლირებადი რამდენიმე სატელეფონო ზარის გაკეთების შესაძლებლობაც ჰქონდათ. საქმემ წარმოდგენილი საჯაროობა შეიძინა, ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ღია სასამართლოზე ჯერაც განუხილველ მამხილებელ ფაქტებს შეიცავდა, ნაფიცმა მსაჯულებმა კი ძალიან მალე პოპულარობა მოიპოვეს.

პროცესის დაწყებისთანავე მოსამართლემ განაცხადა, რომ არც მას და არც ვინმე სხვას წინასასამართლო სტადიაზე არ შეეძლო ინფორმაციის გავრცელების რაიმე ფორმით შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების დროს არსებული ზღვარგადასული საჯაროობის შესახებ იცოდა პროცესის მწარმოებელმა მოსამართლემ, მან არ მიიღო სათანადო ზომები იმ განსაკუთრებული საჯაროობის აღსაკვეთად, რომლის ფონზეც პროცესი წარიმართა.

აპელანტმა წარადგინა პეტიცია ჰაბეას კორპუსის დარღვევის შესახებ და განაცხადა, რომ საჯაროობის გამო არ მიეცა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების საშუალება.

გადაწყვეტილება: მე-10 ოლქის სასამართლომ დაადგინა, რომ პრესა არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, რის გამოც დაირღვა ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე.

მოტივაცია: სასამართლომ განმარტა, რომ „პასუხისმგებლობით მოქმედი პრესა ყოველთვის ითვლებოდა მართლმსაჯულების ეფექტური ადმინისტრირების აუცილებელ კომპონენტად, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფე-

როში. პრესა არა მხოლოდ ავრცელებს ინფორმაციას პროცესის შესახებ, არამედ სასამართლო პროცესის ობიექტურად ჩატარების გარანტიას, უზრუნველყოფს რა სასამართლოს, პოლიციისა და პროკურატურის ქმედებების ფართო საზოგადოებრივ განხილვასა და დისკუსიას. სასამართლო, შესაბამისად, ნაკლებადაა დაინტერესებული პრესის ტრადიციული თავისუფლების შეზღუდვით, რომლის თანახმადაც, „ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდება სასამართლოს სხდომათა დარბაზში, საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს.“

აქვე სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვის თავისუფლების რეალიზება არასოდეს უნდა მოხდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის ხარჯზე.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „სასამართლო პროცესები არ ჰგავს არჩევნებს, რომელშიც შესაძლოა, გაიმარჯვო ან დამარცხდე რადიოსა თუ გაზეთების გამოყენებით.“ არავინ უნდა დაისაჯოს დანაშაულისათვის, „თუ სამართლიან საჯარო ტრიბუნალზე მას არ დაუდასტურდება წაყენებული ბრალდება, ყოველგვარი წინასწარ ჩამოყალიბებული აზრის, ემოციებისა და ძალაუფლების გადამეტების გარეშე.“

დისკუსიის თავისუფლება უნდა იქნეს გარანტირებული, თუ იგი შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს და მართლმსაჯულების აღსრულების აუცილებელ მოთხოვნებს. ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ღია სასამართლოზე განხილულ მტკიცებულებებს და არა სხვა, დამატებითი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

სასამართლომ ასევე შეაფასა ის არაორდინარული საჯაროობა, რომლის ფონზეც პროცესი წარიმართა, განსაკუთრებით სასამართლოს შენობასა და სხდომათა დარბაზში. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა აპელანტის უფლება სამართლიან სასამართლოზე და განსაზღვრა აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც პროცესის მწარმოებელ მოსამართლეს უნდა გაეთარებინა:

○ შემუშავებინა გაცილებით მკაცრი წესები სხდომათა დარბაზში რეპორტიორების ქმედებების დასარეგულირებლად.

○ საჭიროების შემთხვევაში სხვა დარბაზში გაეგრძელებინა საქმის განხილვა.

○ გამოეცალკეებინა მოწმეები პრესისგან.

○ აეკრძალა ნებისმიერი მხარის იურისტისთვის, პროცესის მხარისათვის, მოწმეებისა და მოსამართლეებისათვის ისეთი კომენტარების გაკეთება, რაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის ჯერ კიდევ უცნობ გარემოებებს და დეტალებს გაამჟღავნებდა.

○ შეეძლო მოეთხოვა შესაბამისი ქალაქის ან ოლქის თანამდებობის პირისაგან იმ წესების შემუშავება და გამოცხადება, რომლითაც დარეგულირდებოდა მათ-

დამი დაქვემდებარებული მოხელეების მიერ საქმის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

○ გაეფრთხილებინა ჟურნალისტები სასამართლოზე ჯერ კიდევ განუხილველი არგუმენტებისა და საქმის დეტალების გამოქვეყნების არამართებულობის თაობაზე.

თუმცა სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა საქმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე ტოტალური აკრძალვის გამოყენების აუცილებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს რაიმე აკრძალვა პრესისათვის სასამართლოს სხდომათა დარბაზში მომხდარი მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით. მაგრამ, როდესაც საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ სხდომის დაწყებამდე მედიაში საქმის დეტალური გაშუქება ხელს შეუშლის სამართლიან სასამართლოს, მოსამართლე ვალდებულია, საქმის განხილვა გააგრძელოს მანამ, ვიდრე საფრთხე უმინიმუმ არაა, ან საქმე გადაუგზავნოს იმ ოლქს, სადაც ამგვარი საფრთხეა კანონითაა აკრძალული. თუკი პროცესის საფრთხეა საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას, უნდა დაინიშნოს საქმის ხელახალი განხილვა. სასამართლომ უნდა მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს, რათა არ დაუშვან პროცესის დაწყებამდე საზოგადოებაში წინასწარი აზრის ჩამოყალიბება. არც პროკურორებს, არც ადვოკატებს, ბრალდებულს, მოწმეებს, სასამართლოს პერსონალს და არც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებიც ექვემდებარებიან ამ კონკრეტულ სასამართლოს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, გადაუხვიონ საკუთარი ვალდებულებებისა და ფუნქციების შესრულებას. შეზღუდვების და რეგულირების გარდა, იმ ადვოკატებისა და ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას, დასაშვებია ცენზურა ან დისციპლინური დევნაც კი.

1982 წელი

Harper-ი და Row „Nation“-ის წინააღმდეგ

471 US 539, 549

ფაქტები: 1977 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა თეთრი სახლი დატოვა, მან კონტრაქტი გააფორმა მომჩივან-

თან, Harper-ისა და Row-ს საგამომცემლო სახლთან და მკითხველთა ასოციაციასთან. შეთანხმების თანახმად, გამომცემლობას მისი ჯერ კიდევ დაუწერელი მემუარები უნდა გამოეცა. წიგნში უნდა შესულიყო გამოუქვეყნებელი მასალები, რომელიც ასახავდა უოტერგეიტის კრიზისის, ფორდის მიერ პრეზიდენტ ნიქსონისათვის ბოდიშის მოხდის იმ დროისთვის უცნობ დეტალებს, ასევე შეეხებოდა მის თანამედროვე მოღვაწეებსა და მორალის საკითხებს.

გარდა იმისა, რომ ფორდის მემუარები წიგნის სახით უნდა გამოცემულიყო, შეთანხმების თანახმად, მომჩივანებს ენიჭებოდათ აღნიშნული მემუარებიდან ამონარიდების წინასწარი პუბლიკაციების ექსკლუზიური უფლება, რაც ინტელექტუალურ სამართალში ცნობილია, როგორც „პირველი სერიული უფლებები“.

ორი წლის შემდეგ, როდესაც მემუარების წერა დასასრულს უახლოვდებოდა, აპელანტებმა „პირველი სერიული უფლებების“ გაცემის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს ყოველკვირეულ ჟურნალ „ტაიმთან“.

„ტაიმი“ თანახმა იყო, გადაეხადა 25 000 დოლარი, აქედან 12 500 დოლარი წინასწარ, ხოლო დანარჩენი 12 500 დოლარი ბატონი ფორდის მიერ ნიქსონისათვის მოხდილი ბოდიშის თაობაზე 755 სიტყვის მოცულობის სვეტის დაბეჭდვის შემდგომ.

საჟურნალო პუბლიკაციის გამოსვლა დაგეგმილი იყო წიგნების მალაზიებში მემუარების გამოჩენამდე ერთი კვირით ადრე. ამ გარიგებაში ექსკლუზიურობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას Harper-მა და Row-მ მეორე მხარე დაავალდებულეს, დაეცვა ხელნაწერის ავტორის კონფიდენციალობა, ხოლო „ტაიმმა“ უფლება დაიტოვა, არ გადაეხადა თანხის მეორე ნაწილი, თუკი მის მიერ შეძენილი წიგნის ფრაგმენტი სხვაგან გამოქვეყნდებოდა ჟურნალში დაბეჭდვამდე.

„ტაიმში“ სტატიის დაბეჭდვამდე ორი-სამი კვირით ადრე, კონფიდენციალურმა პირმა ფორდის ხელნაწერები საიდუმლოდ გადასცა ვიქტორ ნავასკის, პოლიტიკურ ჟურნალ „Nation“-ის რედაქტორს.

ციტატებიდან, პერიფრაზებიდან და ხელნაწერებიდან ამოკრეფილი ფაქტების საფუძველზე ნავასკიმ, როგორც თავად თვლიდა, „მართლაც ცხელ-ცხელი ახალი ამბავი“ შექმნა. ბატონი ნავასკის სურდა აღნიშნული სტატია ფორდის წიგნის გამოქვეყნებამდე დაებეჭდა, ამიტომ სიჩქარეში მასალას არ დაურთო საკუთარი კომენტარები. სტატიის გამოქვეყნების გამო „ტაიმმა“ გამომცემლობასთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყვიტა და დარჩენილი 12 500-ის გადახდაზე უარი განაცხადა.

მემუარების თავი, სადაც ფორდი ბოდიშს უხდის ნიქსონს „ტაიმის“ რედაქცი-

ამ აღწერა როგორც ნაწარმოების ყველაზე ამაღლევებელი ნაწილი. ბატონმა ნავასკიმ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ მან ამონარიდები გადმოიღო სიტყვასიტყვით მხოლოდ იმიტომ, რომ ინფორმაციის პერიფრაზირების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, სრულყოფილად წარმოჩენილიყო ბატონი ფორდი, ასევე გართულდებოდა იმის ჩვენება, რომ „ეს მართლაც ფორდის სიტყვები იყო“. შეიძლება ითქვას, რომ ნავასკიმ აღნიშნული ნაწყვეტების პირდაპირი ციტირება მოახდინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ყველაზე კარგად აღწერდა მხოლოდ ფორდისათვის დამახასიათებელ თავისებურ მეტყველებას.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადანწყვეტილება: სასამართლომ მიიჩნია, რომ „Nation“-მა დაარღვია კეთილსინდისიერი გამოყენების პრინციპი და საქმე უკან დაუბრუნა საოლქო სასამართლოს ამ გადანწყვეტილების შემდგომი განხილვისათვის.

სასამართლოს მოსაზრება: პირველი გამოქვეყნების უფლება მოიცავს ავტორის არჩევანს, თუ სად და რა ფორმით გამოიცეს მისი ნამუშევარი. პირველი გამოქვეყნება განსხვავდება 106-ე პარაგრაფით გარანტირებული სხვა უფლებებისგან, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ერთი პირი შეიძლება იყოს პირველი გამომცემელი, როგორც ამას „ტაიმის“ კონტრაქტიც ითვალისწინებს. პროექტის კომერციულობა გამოქვეყნების უფლების ექსკლუზიურობაში მდგომარეობს. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ ნაწარმოების გამოუქვეყნებლობა წარმოადგენს საკვანძო, თუმცა არა გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც აბათილებს მტკიცებას კეთილსინდისიერი გამოყენების შესახებ.

პირველი გამოქვეყნების უფლება ითვალისწინებს არა მხოლოდ დაბეჭდვის ან მისგან თავის შეკავების უფლებას, არამედ გამოქვეყნების დროისა და ადგილის არჩევის უფლებას.

კანონი სასამართლოსაგან იმის განსაზღვრასაც მოითხოვდა, თუ რა მოცულობის მასალა გამოქვეყნდა საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებიდან. მთლიანობაში, ციტატების სახით გამოქვეყნებული სიტყვების რაოდენობა არ წარმოადგენდა მემუარების მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „Nation“-მა დაბეჭდა სწორედ ის, რაც წარმოადგენდა გამოსაცემი წიგნის „გულს“, მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

„Nation“-ის მიერ „ტაიმის“ მასალების მიტაცების ხასიათისა და მიზნის შეფასებისას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ ფაქტს, რომ ჟურნალის მიერ სტატიის გამოქვეყნება შემთხვევითი არ ყოფილა – იგი გამიზნული იყო საავტორო უფლების მფლობელისათვის პირველი გამოქვეყნების უფლების ჩამოსართმევად.

იმ ფაქტს, რომ ნაშრომი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი იყო გადამწყვეტი მნიშ-

ვნელობა ენიჭება. თუმცა დიდი რაოდენობით გამოქვეყნებული ციტატების⁴ შემთხვევაშიც შესაძლებელია კეთილსინდისიერი გამოყენების კვალიფიკაციის მინიჭება, მაგრამ ავტორის უფლება, გააკონტროლოს საკუთარი ნაშრომის პირველი საჯარო გამოქვეყნება, გადაწონის პირველ დაბეჭდვამდე ასეთი სახის გამოყენების უფლებას.

სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საავტორო უფლება გამიზნულია ინტელექტუალური საქმიანობის ნაყოფიერების ხელშესაწყობად და არა პირიქით. თუმცა, ამასთან ერთად სასამართლო ვერ ადასტურებს, რომ საოლქო სასამართლომ შესაბამისად გააცნობიერა ჩარჩო რაც დადგენილია საავტორო უფლებების შესახებ კანონით, რომლის მიზანია, ორიგინალური ნაწარმოებებისათვის უპირატესობის მინიჭება. საავტორო უფლებები იმისთვის არსებობს, რომ წაახალისოს მწერალი და უზრუნველყოს მისი შრომის სამართლიანი ანაზღაურება.

მოპასუხეები აცხადებდნენ, რომ პირველი შესწორებით დეკლარირებული ფასეულობები ამ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. სასამართლომ მიიჩნია, რომ „კეთილსინდისიერი გამოყენების ფარგლები გაცილებით უფრო ფართოა, როდესაც გამოქვეყნებული მასალა საჯარო ინტერესის შემცველ მოვლენებს მოიცავს“.

ამონარიდების მხატვრული ღირებულების შედარებისას და მათი როლის განსაზღვრისას საავტორო უფლების დარღვევის კონტექსტში, სასამართლო არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ „*უჟურნალმა „Nation“ გამოიყენა ფორდის სიტყვების მხოლოდ მცირე და უმნიშვნელო ნაწილი*“.

გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა იყო „საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენებით მისი საბაზრო ღირებულებისათვის მიყენებული ზიანი“. ეს ფაქტორი კეთილსინდისიერი გამოყენების დასადგენად აუცილებლად გასათვალისწინებელია. კეთილსინდისიერი გამოყენება ლიმიტირებულია სხვათა მიერ ასლების გადაღებით, რითაც ნაწარმოების გაყიდვისუნარიანობას ზიანი არ ადგება. საოლქო სასამართლომ დაადგინა არა პოტენციური, არამედ უკვე რეალური ზარალის ოდენობა. „ტიამის“ მიერ ხელშეკრულების დარღვევა და დარჩენილი 12 500 დოლარის გადახდაზე უარის თქმა საავტორო უფლებების დარღვევის პირდაპირი შედეგი იყო. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ იშვიათია საავტორო უფლებებთან დაკავშირებული საქმე, რომელიც ასე ნათლად ასახავს მიყენებულ ზარალს.

⁴ ეს ციტატები ადრე პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებითაც იყო გავრცელებული.

კეთილსინდისიერი გამოყენება განიმარტება, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის გარდა, სხვა პირის პრივილეგია ავტორის თანხმობის გარეშე, გონივრულად გამოიყენოს ნაწარმოები.

საავტორო უფლების შესახებ 1976 წლის აქტის ფორმულირება ასახავს კონგრესის მისწრაფებას, მოახდინოს საერთო სამართლის კოდიფიცირება. 107-ე სექცია მოითხოვს, რომ კეთილსინდისიერი გამოყენების საკითხის დადგენა მოხდეს ყოველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

„ავტორის თანხმობა მისი საკუთარი ნაწარმოების გონივრულ გამოყენებაზე სასამართლოებს ყოველთვის მიაჩნდათ მეცნიერებისა და გამოყენებითი ხელოვნების პროგრესის კონსტიტუციური პოლიტიკის აუცილებელ ელემენტად“.

თუმცა მოპასუხეების თეორია კეთილსინდისიერი გამოყენების ფართო გაგების თაობაზე, შესაძლოა, საჯარო პირის ნაწარმოებზე საავტორო უფლებების გასანადგურებლად იქნას გამოყენებული. თუ ნაწარმოები დაცული არ იქნება საავტორო უფლებით, ასეთი ტიპის მემუარების შექმნა და დაფინანსება ნაკლებად მომგებიანი გახდება, რაც საზოგადოებას ისტორიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობებს შეუზღუდავს. საავტორო უფლებები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება, თუკი კეთილსინდისიერი გამოყენების ინტერპრეტაციის ხარჯზე ნაწარმოების უნებართვო გამოყენება „ახალი ამბების“ საბაბით გამართლდება.

საავტორო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის ხარისხი კონკრეტული ნაწარმოების მიმართ. კერძოდ, რაც უფრო დიდია ეს ინტერესი, მით უფრო სუსტდება ავტორის უფლებები. თუმცა ამგვარი განმარტება ძირს უთხრის საავტორო უფლებების დაცვას და ზიანს აყენებს როგორც ავტორს, ისე საზოგადოებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კეთილსინდისიერი გამოყენების დოქტრინის გაგებისას, არ უნდა იქნას დაშვებული გამონაკლისები საჯარო ფიგურების მიერ შექმნილ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. იყო თუ არა საჯარო პირის ხელნაწერის ეს სიტყვასიტყვითი კოპირება კეთილსინდისიერი გამოყენება, ტრადიციულ კრიტერიუმებით უნდა დადგინდეს.

საავტორო უფლებების შესახებ კანონით კონგრესმა გაითვალისწინა ოთხი ფაქტორი, რომელთა შეჯერების შედეგად შეიძლება დადგინდეს არის თუ არა სახეზე კეთილსინდისიერი გამოყენება: 1. გამოყენების მიზანი და ხასიათი; 2. საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ხასიათი; 3. გამოყენებული ნაწილის მოცულობა თავდაპირველ ნაწარმოებთან მიმართებაში; 4. გავლენა საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებზე ან მის პოტენციურ საბაზრო ღირებულებაზე.

Uhaul International-ი Jartran-ის წინააღმდეგ

(9TH CIRC. 1986)

ფაქტები: *Uhaul*-ის სისტემას წლების განმავლობაში წამყვანი ადგილი ეკავა მძიმე სამრეწველო ინდუსტრიაში. 1979 წლისთვის *Jartran*-იც შეუერთდა ამ ინდუსტრიის ეროვნულ ბაზარს და მთელი ქვეყნის მასშტაბით გაზეთებში სარეკლამო კამპანია წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც იგი თავს *Uhaul*-ს ადარებდა. სარეკლამო კამპანია 1979 წლის ზაფხულიდან 1980 წლის დეკემბრამდე მიმდინარეობდა და 41 შტატი და კოლუმბიის ოლქი მოიცვა. შედეგად *Jartrani*-ს შემოსავლები 1979 წელს დაფიქსირებული 7 მილიონიდან 1980 წლისათვის 80 მილიონამდე გაიზარდა მაშინ, როდესაც *Uhaul*-ის სისტემის შემოსავლები პირველად მისი არსებობის განმავლობაში 395 მილიონიდან 378 მილიონამდე დაეცა. სარეკლამო კამპანიის უზარმაზარი წარმატება არა მარტო შემოსავლების ზრდაზე აისახა, არამედ ჯართრანის მიერ პრესტიჟული „ოქროს ეფის“ ჯილდოთიც აღინიშნა, რომელსაც ამერიკის მარკეტინგის ასოციაცია საუკეთესო და ეფექტური სარეკლამო კამპანიებისათვის ყოველწლიურად აწესებს.

რათა სააპელაციო საჩივარში მოყვანილი საკითხები მართებულად იქნეს აღქმული, საჭიროა, გავიაზროთ ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობდა *Uhaul*-სა და იმ კომპანიებს შორის, რომლებიც უჭაულის სავაჭრო ნიშანს იყენებდნენ და მასთან ასოცირდებოდნენ. მომჩივანი, *Uhaul International, Inc*, ფლობს უჭაულის სავაჭრო ნიშანს და მოქმედებს როგორც ცენტრალური საფინანსო ანგარიშსწორების რგოლი *Uhaul*-ის ვაგონებისა და ტრაილერების დისტრიბუციისათვის და სხვადასხვა იურიდიული პირისათვის საანგარიშსწორებო მომსახურების განწევსას. თუმცა, იგი არ არის ვაგონებისა და ტრაილერების მესაკუთრე – მათ დიდ ნაწილს უჭაული სხვადასხვა კომპანიისაგან ქირაობს. *Uhaul*-ი *AMERCO*-ს შვილობილი ორგანიზაციაა, რომელიც ფლობს 100% წილს როგორც *Uhaul International, Inc*-ში. ამ ორგანიზაციებიდან თითოეული კონკრეტულ რეგიონში საქმიანობის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. საბოლოო ჯამში კი *Uhaul*-ის სისტემაში გაერთიანებულია 6700 დილერი ანუ ადგილობრივი ბიზნესმენი, რომელთაც დადებული აქვთ კონტრაქტები უჭაულის ლოკალურ კომპანიებთან. სასარჩელო წარმოება 1980 წლის 16 ივნისს მას შემდეგ დაიწყო, რაც *Uhaul*-მა ზიანის ანაზღაურება და შემდგომი რეკლამირების აკრძალვა მოითხოვა.

1983 წლის გაზაფხულზე პირველი ინსტანციის სასამართლომ *Lanham*-ის

აქტსა და საერთო სამართალზე დაყრდნობით საქმე *Uhaul*-ის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლომ ზარალის ოდენობა ორი განსხვავებული მეთოდის გამოყენებით გამოთვალა. პირველი მეთოდი ეყრდნობოდა *Jartran*-ის რეკლამების გამო *Uhaul*-სათვის მიყენებულ ზარალს. ამ გარემოებაზე დაყრდნობით, სასამართლომ ზარალის ოდენობა 20 მილიონი დოლარით განსაზღვრა. მეორე მეთოდი *Jartran*-ის სარეკლამო კამპანიის 6 მილიონი დოლარის ოდენობით ხარჯებს ეყრდნობოდა, და *Uhaul*-ის სისტემის მიერ გამანეიტრალებელ რეკლამებზე დახარჯულ 13,6 მილიონ დოლარს ითვალისწინებდა.

კომპანია *Jartran*-ს სასამართლომ 40 მილიონის გადახდა დააკისრა. *Jartran*-მა ოლქის მოსამართლის გადაწყვეტილება 3 ძირითად მოტივზე დაყრდნობით გაასაჩივრა:

1. *Jartran*-ი ამტკიცებდა, რომ *Uhaul*-ის ზარალი არ არის *Jartran*-ის მოქმედებებთან საკმარისად პირდაპირ კავშირში, რათა *Lanham*-ის კანონით ანაზღაურებას დაექვემდებაროს;

2. *Jartran*-ი ასევე აცხადებდა, რომ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ფაქტის დადასტურდება შესაძლებელია, მხოლოდ თავად მომხმარებლის მიერ;

3. არ შეიძლება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის დადასტურდება მხოლოდ იმით, რომ *Jartran*-ის განზრახვა სწორედ ეს იყო.

Jartran-ის არგუმენტების საპასუხოდ *Uhaul*-მა მოიშველია არაკეთილსინდისიერი რეკლამის შესახებ მაკნეილაგი ამერიკის შიდა პროდუქტების კორპორაციის წინააღმდეგ საქმე, სადაც სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოიყენა მცდარი რეკლამების დროებითი აკრძალვა და ზიანის ანაზღაურების შესახებ ორი ყველაზე ცნობილი საქმე – *ნეიშენალ ვან ლაინსი-ი დინის წინააღმდეგ* და *ნეიშენალ ლედი ვულფის წინააღმდეგ*.

Jartran-მა წარმოადგინა არაერთი არგუმენტი თანხის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე საოლქო სასამართლოს მიერ გაკეთებულ დასკვნასთან დაკავშირებით. რადგანაც საოლქო სასამართლომ გააერთიანა ერთი და იგივე მოცულობის თანხა ორი განსხვავებული თეორიის საფუძველზე, სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იყო მიყენებული ზარალის ოდენობა სწორი რომელიმე თეორიის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის დაანგარიშების პრინციპი, რომელიც *Uhaul*-ის მიერ გამანეიტრალებელ რეკლამებზე დახარჯულ თანხას ეყრდნობოდა, რასაც *Lanham*-ის კანონის 35-ე მუხლი ითვალისწინებდა, იყო სწორი.

Jartran-ს სადავოდ არ გაუხდია კონტრრეკლამებზე დახარჯულ თანხებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზარალის ოდენობა. თუმცა ამტკიცებდა, რომ საოლქო

სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, დაეკისრებინა გამანეიტრალებელ რეკლამებზე დახარჯული თანხის ანაზღაურება, რაც თავდაპირველი სარეკლამო დანახარჯების ორმაგ ოდენობას წარმოადგენდა. *ჯართრანი* ეყრდნობოდა გადაწყვეტილებას საქმეზე ბიგო ტაიერ დილერსი გუდიარ ტაიერსის და რუბბერის წინააღმდეგ (1977).

გადაწყვეტილება: მე-9 ოლქის სასამართლომ გააუქმა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ განაცხადა, რომ მოპასუხეების დაჯარიმება გამანეიტრალებელ რეკლამებზე დახარჯული ოდენობით შეზღუდული იყო 25%-მდე. თუმცა აღნიშნული მოსაზრება სასამართლომ არ გაითვალისწინა, რადგან ამ საქმეში მოსარჩლეს არ გაუწევია არავითარი დანახარჯები გამანეიტრალებელი რეკლამების განთავსებაზე. შესაბამისად, არ არსებობდა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები გამანეიტრალებელი რეკლამების განთავსებაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

ამასთანავე, სასამართლომ გაითვალისწინა 1980 წელს ცენტრალ ჰადსონის (1980) საქმეში დადგენილი ოთხნაწილიანი ტესტი, რომელიც იმის გასარკვევად გამოიყენება, თუ როდის არ შეიძლება კომერციული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა:

1) კომერციული გამოხატვა არ უნდა ეხებოდეს კანონით აკრძალულ საქმიანობას;

2) ის არ უნდა იყოს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი;

3) სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს ის არსებითი ინტერესი, რომლის გამოც ხდება კომერციული გამოხატვის რეგულირება ან შეზღუდვა;

4) რეგულირება უნდა ემსახუროდეს სამთავრობო ინტერესს, რომელიც მაქსიმალურად კონკრეტულ ცნებებშია გამოხატული.

საბოლოოდ საოლქო სასამართლომ უპაულის სასარგებლოდ მიიღო განჩინება მომავალში *ჯართრანის* მცდარი რეკლამების გავრცელების აკრძალვის მოთხოვნით. სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რადგან კომერციული სიტყვის თავისუფლების შესახებ არსებულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მცდარი კომერციული გამოხატვა უპირობოდ შეზღუდვას ექვემდებარება. ამ განჩინების თანახმად, *ჯართრანს* აკრძალა მომავალში შედარებითი რეკლამების (მათ შორის კეთილსინდისიერისაც) განთავსება, რითიც ნაწილობრივ შეიზღუდა „ინფორმირებული გადაწყვეტილების“ პრინციპი, რომლის გატარებასაც კეთილსინდისიერი რეკლამა უწყობს ხელს.

1986 წელი

„ფლორიდა სტარი“ B.J.F -ის წინააღმდეგ

491 US 254

ფაქტები: გაზეთმა „ფლორიდა სტარმა“ გამოაქვეყნა გაუპატიურების საქმეში არსებული მსხვერპლის სახელი, რომელიც სასამართლოს ღია ჩანაწერებიდან მოიპოვა. თავად გაუპატიურების საქმის სასამართლო განხილვა ღია იყო საზოგადოებისთვის.

სადავო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ასევე პოლიციის საინფორმაციო სამსახურში.

B.J.F.-მა მიმართა სასამართლოს და განაცხადა, რომ გაზეთმა დაარღვია მისი ვალდებულება, არ მიუთითოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სრული სახელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე გადაწყვიტა „Florida Star“-ის საწინააღმდეგოდ. გაზეთმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება თუმცა ფლორიდის უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა, განეხილა სააპელაციო საჩივარი. ამის შემდეგ გაზეთმა მიმართა აშშ-ს უზენაეს სასამართლოს და განაცხადა, რომ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებით დაირღვა მისი უფლება რომელიც მას გარანტირებული აქვს პირველი შესწორებით.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლოს აზრით, ზიანის ანაზღაურების დაკისრება აპელანტისთვის, B.J.F.-ის სახელის გამოქვეყნების გამო, არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას, თუმცა არა იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომელზეც აპელანტი აფუძნებს თავის მოთხოვნას.

სასამართლოს მოსაზრება: მიუხედავად ამ საქმის დიდი მსგავსებისა *კოქსის სამაუწყებლო კომპანიის საქმესთან*, ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ შეიძლება ჩაითვალოს წარმმართველად.

სასამართლოს აზრით, სათანადოდ მოხდა ამ საქმის ანალიზი, კონსტიტუციის პირველი შესწორების შეზღუდულ ინტერესთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ეს ის შემთხვევაა, რომელიც სასამართლომ დანვრილებით ჩამოაყალიბა გაზეთ „დეილი მელი“-ს ადრე განხილულ საქმეში, სახელდობრ: „თუ გაზეთი კანონიერად მოიპოვებს სწორ ინფორმაციას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე, სახელმწიფო თანამდებობის პირებს უფლება არ აქვთ, კონსტიტუციურად, პასუხისმგებლობა დააწესონ ამ ინფორმაციის პუბლიკაციისთვის, თუ ეს არ გამომდინარეობს სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებიდან“. პრესის მიხედვით, ამ პრინციპით უზრუნველყოფილი სათანადო დაცვა გამყარებულია, სამი სხვადასხვა

მოსაზრებით მაინც. რა თქმა უნდა, ამას ემატება გავრცელებული „საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც დაცულია კონსტიტუციით, სიმართლის გავრცელებისას“ (კოქსის სამაუწყებლო კომპანიის საქმე). საქმეები, რომელსაც „დეილი მეილის“ სინთეზი ეფუძნებოდა, გამოხატავენ ამ მოსაზრებებს.

1. ვინაიდან „დეილი მეილის“ ფორმულირებით დაცულია მხოლოდ ისეთი ინფორმაციის პუბლიკაცია, რომელიც გაზეთს „მოპოვებული [აქვს] კანონიერად“ (443 აშშ., 103), ხელისუფლება ინარჩუნებს იმ ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან საშუალებებს, რომლებსაც შეიძლება პუბლიკაცია შეეხოს, მათ შორისაა გაუპატიურების მსხვერპლის ანონიმურობის დაცვა. იმ ფარგლებში, რომელშიც დელიკატური ინფორმაცია პირად სფეროში რჩება, ხელისუფლებას, გარკვეულ გარემოებებში შეუძლია, აკრძალოს მისი მოპოვება თანხმობის გარეშე, ამასთან, წინ წამოწიოს „დეილი მეილის“ პრინციპი, ასეთი გზით მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ დელიკატური ინფორმაცია ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, მას უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, აღკვეთოს ან შეამციროს მისი გამოქვეყნებით გამოწვეული ზიანი. ხელისუფლებამ შეიძლება მოახდინოს გარკვეული ინფორმაციის კლასიფიკაცია, დაანესოს და განახორციელოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მის რედაქტირებას, და გავრცელოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ხელისუფლებაზე ან მისი თანამდებობის პირებზე, როდესაც ხელისუფლების მიერ დელიკატური ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას მოჰყვება მისი გავრცელება. როდესაც ინფორმაციას გაანდობენ ხელისუფლებას, თითქმის ყოველთვის მოიძებნება სწორი ინფორმაციის პუბლიკაციისთვის გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო ნაკლებად მკაცრი საშუალებები, პირადი ფაქტების გავრცელებისგან დასაცავად.

2. მეორე მოსაზრებას, რომელიც ამყარებს „დეილი მეილის“ პრინციპს, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პრესის პასუხისგებაში მიცემა იმ ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის, ნაკლებად ეხმაურება იმ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც შტატი მოქმედებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის ისე არ ხდება, რომ პრესის მიერ კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია ცნობილი ან მისაწვდომი იყოს სხვებისთვის. თუმცა, როდესაც გარკვეული ინფორმაცია ხელისუფლების მიერ არის ქცეული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად, სრულიად ანომალიური იქნება დაისაჯოს ვინმე სხვა, გარდა იმ პიროვნებებისა, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის გამოქვეყნების წყაროს. „დეილი მეილის“ ფორმულირების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის, სინამდვილეში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც პრესის მსგავსად, სხვა პირებსაც აკრძა-

ლათ გამოცემის გაგრძელება, არსებითი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. *ოკლაჰომის გამომცემლობის* საქმის ანალიზისას „დეილი მეილში“ აღნიშნულია, რომ „როდესაც სწორი ინფორმაცია „საჯაროდ გამომზეურებული“ ან „საზოგადოების ხელში“ იყო, სასამართლოს აღარ შეეძლო კონსტიტუციურად შეეზღუდა მისი გავრცელება“ (443 აშშ, 103).

3. მესამე მოსაზრება შეეხება „მორიდებულობას და თვითცენზურას“, რაც შეიძლება მოჰყვეს მედიის პასუხისგებაში მიცემას გარკვეული სწორი ინფორმაციის პუბლიკაციისთვის. *კოქსის მაუწყებლობის საქმეში* (496) აპელანტი გამოთქვამდა პრეტენზიას ზედმეტი წინააღმდეგობების გამო, რომელიც მას შეხვდა ოფიციალურ სასამართლო ჩანაწერებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელების გამო. საწინააღმდეგო წესი, რომელიც დაცვის გარეშე დატოვებდა მათ, ვინც დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ მითითებულ კანონიერებასა და გავრცელებაზე, დააკისრებდა მედიას ვალდებულებას, ანალიზი გაეკეთებინა ხელისუფლების საგაზეთო გამოცემების, რეპორტაჟებისა და განცხადებებისთვის, რათა ამოეღო პუბლიკაციიდან მასალა, რომლის კანონიერება სადავო იქნებოდა; ეს კი პრესას მძიმე ტვირთად დაანებოდა.

მეორე საკითხია, რამდენად ემსახურება აპელანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, „სახელმწიფოს უზენაეს ინტერესებს“ („დეილი მეილი“, 443 აშშ, 103). აპელაციის მოპასუხე მხარე ამტკიცებს, რომ პუბლიკაციისთვის სასჯელის გამოყენების წესი ემსახურება სამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინტერესს: სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პირადი საიდუმლოების დაცვას; იმ მსხვერპლთა ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომლებზეც შეიძლება შური იძიონ, თუ მათი სახელები ცნობილი გახდება თავდამსხმელებისთვის; და ასეთი დანაშაულების მსხვერპლთა წაქეზების მიზანს, რომ განაცხადონ ამ სამართალდარღვევების შესახებ, გამოაშკარავების შიშის გარეშე.

იმ დროში, როდესაც ყოველდღიურად აქვს ადგილი გაუპატიურების შემთხვევებს, უდავოა, რომ ძალიან მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება ფლორიდის კანონმდებელთა ამკარა მცდელობა, დაცულ იქნას ეს ინტერესები ისეთი სისხლის სამართლის სტატუტის მიღებით, რომელიც კრძალავს მსხვერპლის ვინაობის იდენტიფიცირებას. შესაბამისად, დაუშვებელია იმ შესაძლებლობის გამორიცხვა, რომ შესაბამის შემთხვევაში, სამოქალაქო სანქციების დაწესება, გაუპატიურების მსხვერპლის სახელის პუბლიკაციისთვის, შეიძლება იმდენად აუცილებელი იყოს ამ ინტერესთა დასაცავად, რომ „დეილი მეილის“ სტანდარტებიც კი დააკმაყოფილოს. თუმცა, სამი დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ჟურნალისტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ამ შემთხვევაში ძალიან მკაცრი საშუალებაა ამ ინტერესთა დასაცავად:

1) პირველი არგუმენტი შეეხება საშუალებას, რომლითაც აპელანტმა მოიპოვა სადავო საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. როდესაც ხელისუფლება თვითონ აწვდის მედიას ინფორმაციას, სავარაუდოა, რომ ინფორმაციის გავრცელებისგან დასაცავად, ხელისუფლებას ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, სწორი პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ბევრად უფრო შეზღუდული საშუალებები. როდესაც ხელისუფლება ვერ ახერხებს საკუთარი თავის კონტროლს, ინფორმაციის გავრცელებისას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა, *კოქსის მაუწყებლობის, ოკლაჰომას გამომცემლობის და „ლენდმარკ ქომუნიკეიშნის“* საქმეებიდან აშკარა ხდება, რომ პრესისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მისი თანამდევი პუბლიკაციისთვის, ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ანონიმურობის დასაცავ სწორ საშუალებად.

„2) მეორე პრობლემა, რომელიც უკავშირდება ფლორიდის მიერ პუბლიკაციისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას, არის გაუფრთხილებლობის სტანდარტი, რომელიც შეეხება სამოქალაქო სარჩელის საფუძველს. პირად საიდუმლოებაში ჩარევის საერთოსამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებული სარჩელებისგან განსხვავებით, 794.03 მუხლზე დაფუძნებული სარჩელები არ მოითხოვს საქმეების მიხედვით იმის კვლევას, იქნებოდა თუ არა პიროვნების პირადი ცხოვრების შესახებ ფაქტის გამჟღავნება საღად მოაზროვნე ადამიანისთვის შეურაცხყოფელი. პირიქით, სასამართლოების მიერ მიღებული გაუფრთხილებლობის თეორიის მიხედვით, პასუხისმგებლობა ავტომატურად მომდინარეობს პუბლიკაციიდან.

3) 794.03-ე მუხლის შინაარსი, ერთი შეხედვით, იწვევს სერიოზულ ეჭვებს იმის თაობაზე, ნამდვილად ცდილობს თუ არა ფლორიდა ამ სტატუტით სამსახურის განწვევას მნიშვნელოვანი ინტერესისთვის, რომელსაც აპელაციის მოპასუხე მხარე მტკიცებისთვის იყენებს. ფლორიდის სტატუტის 794.03 მუხლი კრძალავს საიდენტიფიკაციო ინფორმაციის პუბლიკაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაში“ მოხვდება, თუმცა ამ ტერმინის დეფინიციას სტატუტი არ იძლევა. 794.03 მუხლი არ კრძალავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ვინაობის სხვა საშუალებებით გამჟღავნებას. ასევე არაფერია ნათქვამი იმ პირის შესახებ, რომელიც ბოროტი განზრახვით ამჟღავნებს გაუპატიურების მსხვერპლის ვინაობას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდებამ მსხვერპლის მეზობლებისთვის ან თანამშრომლებისთვის, შეიძლება გამოიწვიოს ისეთივე გამანადგურებელი შედეგი, როგორც მისი სახელის უამრავი უცხო პირისთვის გამჟღავნებამ.

ეს დადგენილება შეზღუდულია. სასამართლო არ ადგენს, რომ სწორი ინფორმაციის პუბლიკაცია ავტომატურად დაცულია კონსტიტუციით და არც იმას, რომ

არ არსებობს პირადი საიდუმლოების სფერო, რომლის ფარგლებშიც შტატმა შეიძლება დაიცვას პირი პრესის ჩარევისგან; სასამართლო არც იმაზე მიუთითებს, რომ შტატს არასოდეს შეუძლია დაანესოს პასუხისმგებლობა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის სახელის გამოქვეყნებისთვის. სასამართლო მხოლოდ ადგენს, რომ როდესაც გაზეთი აქვეყნებს კანონიერი გზით მოპოვებულ სწორ ინფორმაციას, პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ ეს საერთოდ განხორციელდება, შეიძლება იყოს კანონიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს შტატის უზენაესი ინტერესიდან. ამ საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ასეთი ინტერესი არ არის სრულყოფილად დაცული 794.03 მუხლის მიხედვით, აპელანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

1989 წელი

ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ

491 U.S 397 (1989)

ფაქტები: 1984 წელს, როდესაც ტეხასის შტატის ქალაქ დალასში რესპუბლიკური პარტიის ეროვნული შეკრება იმართებოდა, მოპასუხე ჯონსონი საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობდა. როგორც დემონსტრაციის მონაწილეთა მიერ გავრცელებული მასალებიდან ირკვევა, დემონსტრაციის მიზანი იყო რეიგანის ადმინისტრაციისა და დალასში არსებული რამდენიმე კორპორაციის პოლიტიკისადმი პროტესტის გამოხატვა. დემონსტრანტები დალასის ქუჩებში მოდიოდნენ პოლიტიკური „სლოგანების“ შეძახილებით. ისინი რამდენიმე ადგილზე გაჩერდნენ, რათა დაედგათ სიკვდილის სცენა, რომლის მიზანი იყო ბირთვული ომის შედეგების დრამატიზება. რამდენიმეჯერ დემონსტრანტებმა საღებავი შეასხეს შენობებს და გადაატრიალეს ქუჩაში მდგარი ყვავილების ქოთნები, თუმცა გრეგორი ლი ჯონსონს ამაში მონაწილეობა არ მიუღია. დემონსტრაცია დასრულდა დალასის მერიის შენობის წინ, სადაც ჯონსონმა შეერთებული შტატების დროშას ცეცხლი წაუკიდა და დაწვა. ამ დროს გაისმოდა დემონსტრანტების შეძახილები. დემონსტრაციის დროს არავინ დაშავებულა, თუმცა იქ მყოფი რამდენიმე ადამიანი საკმაოდ შეურაცხყოფილი დარჩა დროშის დაწვით. 100 დემონსტრანტიდან ბრალი მხოლოდ ჯონსონს წაუყენეს. ტეხასის შტატის კანონზე დაყრ-

დნობით, სასამართლომ მას მიუსაჯა ორწლიანი პატიმრობა და 2000 დოლარიანი ჯარიმის გადახდა პატივცემული ობიექტის (ამ შემთხვევაში, დროშის) შეურცხ-ყოფისათვის. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, თუმცა ტეხასის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ჯონსონისთვის, რადგან დროშის დაწვა ექსპრესიული ქმედება იყო; ეს კი პირველი შესწორებით არის დაცული. შტატის უზენაესმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კანონი არ იყო ვინროდ ფორმულირებული მხოლოდ იმისათვის, რომ დაესაჯა დროშის დაწვა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს. ჯონსონის მიერ დროშის დაწვა კი საზოგადოებრივი წესრიგის თვალსაზრისით საფრთხეს არ ქმნიდა. მოსარჩლემ შეერთებული შტატის უზენაეს სასამართლოს მიმართა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ტეხასის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბრენანმა: ჯონსონს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრეს დროშის დაწვისათვის და არა სიტყვების გამოთქმისათვის. ეს ფაქტი რამდენადმე ართულებს ჩვენს მიერ ჯონსონის პასუხისმგებლობის გადახედვის საკითხს. თავდაპირველად ჩვენ უნდა დავადგინოთ, არის თუ არა დროშის დაწვა ექსპრესიული ქმედება, რომელსაც პირველი შესწორება იცავს. თუკი ეს დადგინდება, შემდგომ სასამართლო მიუბრუნდება იმ საკითხს, თუ რამდენად შეეძლო შტატს ამ გამოხატვის აკრძალვა. სიტყვასიტყვით, პირველი შესწორება კრძალავს „სიტყვის“ თავისუფლების შეზღუდვას. თუმცა უზენაეს სასამართლოს მრავალჯერ უღიარებია, რომ პირველი შესწორებით დადგენილი გარანტიების მოქმედება არ მთავრდება გამოთქმულ ან დაწერილ სიტყვაზე. ჩვენ დავადგინეთ, რომ საჭიროა, ქმედება საკმარისად გაჯერებული იყოს კომუნიკაციური ელემენტებით, რომ ის პირველი და მეთოთხმეტე შესწორებების დაცვის ქვეშ მოექცეს. იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად სათანადო კომუნიკაციურ ელემენტს შეიცავს ქმედება, საჭიროა დადგინდეს, არსებობს თუ არა გარკვეული „მესიჯის“ გადაცემის მიზანი და იმის ალბათობა, რომ ამ ქმედების მასურებელი პირები „მესიჯს“ ადეკვატურად გაიგებენ.

ამ საქმეში ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოს წინა გადაწყვეტილებებს, სადაც აღიარებულ იქნა დროშასთან დაკავშირებული ქმედებების კომუნიკაციური ელემენტი (*Spence v. Washington*, *Stromberg v. California*, *Smith v. Goguen*). ჩვენი ეროვნული დროშა არის ჩვენი ქვეყნის სიმბოლო; ის ერთ-ერთი ვიზუალური

გამოხატულება იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო 200 წელია არსებობს. თუმცა, დროშასთან დაკავშირებულ ყველა ქმედებას ავტომატურად ვერ მივანიჭებთ ექსპრესიულ ბუნებას. ამ საქმეში ტეხასის შტატმა აღიარა, რომ ჯონსონის ქმედება ექსპრესიულ ხასიათს ატარებდა. ჯონსონმა დროშა დაწვა დემონსტრაციის კულმინაციისას. ეს კულმინაცია ემთხვეოდა რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ შეკრებას, სადაც როლანდ რეიგანი კვლავ დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად. ამ შემთხვევაში ნათელია ქმედების ექსპრესიული და ღიად პოლიტიკური ხასიათი, ასევე, მისი მიზნობრიობა და სიცხადე. შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯონსონის მიერ დროშის დაწვა „საკმარისად გაჯერებული იყო კომუნიკაციური ელემენტებით.“

ამის შემდეგ სასამართლო იხილავს, თუ რამდენად ამართლებს შტატის ინტერესი – დაიცვას დროშა, როგორც სახელმწიფოებრიობის და ერის მთლიანობის სიმბოლო – ჯონსონის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სასამართლოს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ ექსპრესიული ქმედება უფრო მეტად შეიძლება შეიზღუდოს, ვიდრე გამოთქმული სიტყვები; თუმცა, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, შეზღუდოს გარკვეული ქმედება მხოლოდ იმის გამო, რომ ის ექსპრესიულ ელემენტებს შეიცავს. შეზღუდვის კანონიერების განსასაზღვრად მნიშვნელობა ენიჭება არა გამოხატვის ვერბალურ თუ არავერბალურ ხასიათს, არამედ სახელმწიფოს ინტერესს, რომ მოაწესრიგოს ეს ქმედება.

ამრიგად, იმის გასამართლებლად, რომ ჯონსონის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეესაბამებოდა კონსტიტუციას, სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, რომ მოქმედებდა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და დასაცავად, რაც არ იყო დაკავშირებული დროშის დაწვით გამოხატულ პოლიტიკურ განცხადებასთან. მოსარჩლემ ამ საქმეში წარმოადგინა ორი ინტერესი: პირველი – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; და მეორე – დროშის, როგორც სახელმწიფოებრიობის და ერის მთლიანობის სიმბოლოს, დაცვა. პირველ ინტერესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე არ შექმნია. მხოლოდ დაშვება, რომ აუდიტორიამ შესაძლოა, შეურაცხმყოფელად მიიღოს გამოხატვა და ამის გამო საფრთხე შეექმნას საზოგადოებრივ წესრიგს, არასაკმარისია გამოხატვის შეზღუდვისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვის თავისუფლების ფუნქციაა დისკუსიის გამონევა. ამ ფუნქციამ მის უმაღლეს მიზანს შესაძლოა მაშინ მიაღწიოს, როდესაც იგი იწვევს მღელვარებას, ქმნის უკმაყოფილებას და გაბრაზებამდე მიჰყავს ხალხი.

ჩვენ უფლება არ მიგვიცია მთავრობისთვის, რომ პროვოკაციული იდეის ყოველგვარი გამოხატვა მან არეულობის გამომწვევად მიიჩნიოს. ამის ნაცვლად,

საჭიროა, რომ განხილულ იქნას გარემოებები, რომლებშიც ხდება გამოხატვა და დადგინდეს, მიმართულია თუ არა ეს გამოხატვა უკანონო ქმედების მყისიერი გამონწვევისკენ, ან, თუნდაც, წაქეზებისკენ.

რაც შეეხება არგუმენტს, რომ ჯონსონის დასჯა საჭირო იყო დროშის, როგორც სიმბოლოს დასაცავად. სასამართლო ადგენს: ჯონსონის დასჯაში იგულისხმება, რომ იგი დაისაჯა იმ პოლიტიკური მესიჯის გამო, რის გამოხატვასაც დროშის დაწვით ცდილობდა. დაუშვებელია მისი დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქმედება შეურაცხყოფელია; რადგან სახელმწიფოს უფლება არ აქვს, აკრძალოს ან შეზღუდოს გამოხატვა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება ასეთი გამოხატვით შეურაცხყოფელია და მას მიუღებლად მიიჩნევს. თუნდაც სახელმწიფოებრიობის ისეთი ცენტრალური სიმბოლო, როგორც სახელმწიფო დროშაა, არ დგას გამოხატვის თავისუფლებაზე მაღლა.

ამრიგად, მოპასუხისათვის სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველ შესწორებას.

1989 წელი

ვაინერი FBI-ის წინააღმდეგ

943 F2d 972, 977(9th circuit 1991)

ფაქტები: კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონათან ვაინერმა ძიების ფედერალური ბიუროდან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის საფუძველზე მოითხოვა „ბითლზის“ ყოფილი წევრის, ჯონ ლენონის მკვლელობის გამოძიების მასალები. პროფესორ ვაინერს მასალები ჯონ ლენონის ცხოვრებაზე სამეცნიერო კვლევისათვის სჭირდებოდა. მას სურდა დაედასტურებინა, რომ ძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1960-იანი წლების დასასრულს და 1970-იანი წლების დასაწყისში ჯ. ლენონის მკვლელობის გამოძიება ნათლად ასახავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მცდელობას, ჩაეხშო განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები.

ძიების ფედერალურმა ბიურომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ზოგიერთი საიდუმლო მასალის გაცემის თაობაზე. საპასუხოდ ვაინერმა აღნიშნული მასალების გაცემის მოთხოვნით სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანა და ძიების ფედერალური ბიუროსაგან მასალების გაცემაზე უარის განმარტება და დასაბუ-

თება მოითხოვა. ძიების ფედერალურმა ბიურომ საკუთარი ორი აგენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ხელმოწერით გასცა წერილობითი პასუხი, რომელშიც ზოგადი განმარტებებით ხსნიდა უარს ინფორმაციის გაცემაზე.

საოლქო სასამართლომ ძიების ფედერალურ ბიუროს უბრძანა, დახურულ სასამართლო სხდომაზე წარმოედგინა უფრო მყარი და დეტალური არგუმენტები ინფორმაციის გაცემაზე უართან დაკავშირებით. ძიების ფედერალურმა ბიურომ სასამართლოს წარუდგინა გაუცემელი დოკუმენტების ასლები, რის შემდეგაც სასამართლომ ინფორმაციის გაცემაზე მისი უარი მიზანშეწონილად მიიჩნია.

ვაინერის სააპელაციო საჩივარი ძირითადად 2 არგუმენტს ეყრდნობოდა:

1) ფედერალურ ბიუროს წერილობითი უარი არ იყო დასაბუთებული;

2) საოლქო სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარის შესახებ არ იყო საკმარისი.

ძიების ფედერალურმა ბიურომ ინფორმაციის გაცემაზე უარის ოთხი კანონიერი არგუმენტი მოიყვანა:

1) *ეროვნული უსაფრთხოების დაცვა*, რომელშიც მოიაზრებოდა: ა) ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობა; ბ) საიდუმლო სამსახურის აქტივობები და მუშაობის მეთოდები; გ) ინფორმაცია უცხოეთის მთავრობებთან კავშირის შესახებ;

2) უარი აღნიშნული ტიპის ინფორმაციის გაცემაზე ნებადართულია სხვა კანონებით. ძიების ფედერალურმა ბიურომ დაასახელა: ა) სავიზო განაცხადთან დაკავშირებული მონაცემების საიდუმლოება; ბ) ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციების საიდუმლოება;

3) პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა;

4) კონფიდენციალური წყაროების გამჟღავნების თავიდან აცილება.

გადანყვეტილება: მე-9 ოლქის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება და ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით საქმე უკან დააბრუნა.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ როგორც წესი, საქმის მასალები ცნობილია ორივე მხარისათვის სასამართლოს დაწყებამდე. ეს საჭიროა, რათა სასამართლომ მხარეთა მიერ მტკიცებულებების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით გადანყვიტოს მათ შორის არსებული დავა. თუმცა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქმეებში მხოლოდ იმ მხარეს აქვს ყველა დოკუმენტის გაცნობის უფლება, რომელიც ინფორმაციის გასაიდუმლოებას ეწინააღმდეგება. „თუ ინფორმაციის გამჟღავნების მომხრე მხარეს საქმის მასალებზე ხელი არ მიუწვდება, ეს სერიოზულად არღვევს ჩვენი სამართლებრივი სისტემის ტრადიციულ შეფიქრებით ბუნებას.“ მხარე, რომელიც

ითხოვს ინფორმაციის გასაიდუმლოებას, უნდა ეყრდნობოდეს მისი მონინალმდეგის მოსაზრებებს ინფორმაციის არგაციემის მიზეზების შესახებ. ხოლო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მოისმინოს მონინალმდეგე მხარის არგუმენტები ინფორმაციის გაცემაზე უარის უსაფუძვლობის შესახებ.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „არაგონივრულია საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს მოსთხოვო, რომ იაზროვნოს და საქმის მასალები შეაფასოს ისე, როგორც ამას დაინტერესებული მხარე აკეთებს“. ამასთანავე სასამართლომ აღნიშნა, რომ სამთავრობო უწყებები, რომლებიც უარს აცხადებენ მხარისათვის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის საფუძველზე ინფორმაციის მიწოდებაზე, ვალდებული არიან, მონინალმდეგე მხარესა და სასამართლოს დაუსახელონ თითოეული გაუცემელი დოკუმენტი, კანონის მუხლი, რომელიც აღნიშნულ გამონაკლისს აწესებს და დასაბუთებული არგუმენტაცია, თუ როგორ შეუძლია კონკრეტული დოკუმენტის გასაიდუმლოებას ზიანი მიაყენოს მათ მიერ დასახელებულ ინტერესს.

გაუცემელი დოკუმენტების განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე არ იძლევა ეფექტური ადვოკატორების საშუალებას. ამიტომაც, დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა მიზანშეწონილია მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მთავრობა წარმოადგენს დეტალურ არგუმენტაციას ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ“.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „საიდუმლო გრიფის“ მიზანი არ არის მხოლოდ ის, რომ ძიების ფედერალურმა ბიურომ განმცხადებელს კონკრეტული დოკუმენტის გასაიდუმლოებაზე უარი უთხრას ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნის საფუძველზე. გრიფის მიზანია მისცეს განმცხადებელს დოკუმენტის გასაიდუმლოების მართლზომიერების არასაჯაროდ დასაბუთების, ხოლო სასამართლოს დოკუმენტისათვის მინიჭებული გრიფის მიზანშეწონილობის შეაფასების შესაძლებლობა, თუნდაც დახურულ სხდომაზე.

1991 წელი

R.A.V ქალაქ სენტ პოლის წინააღმდეგ

505 U.S. 377 1992

ფაქტები: 1990 წლის 21 ივნისს მოსარჩლემ და რამდენიმე ახალგაზრდამ გატეხილი სკამიდან გააკეთეს ჯვარი, რომელიც შავკანიანი მეზობელი ოჯახის სახ-

ლის ეზოში განათავსეს და დაწვეს. იმ დროისათვის არასრულწლოვანი მოსარჩლე დასაჯეს მინესოტას კანონის თანახმად, რომელიც ადგენდა:

„პირი, რომელიც საჯაროდ ან კერძო საკუთრებაში განათავსებს ცეცხლწაკიდებული ჯვრის ან სვასტიკის სიმბოლოს, ობიექტს, დასახელებას, აღწერილობას ან წარწერას; და თუ პირი აცნობიერებს – ან აქვს გონივრული საფუძველი, გააცნობიეროს – რომ ეს ქმედება იწვევს სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს მათი რასის, კანის ფერის, წარმოშობის, რელიგიის, მსოფლმხედველობის ან სქესის გამო, – ჩადის კანონით დასჯად დანაშაულს.“

მოსარჩლემ ეს ბრალდება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც დაობდა, რომ აღნიშნული კანონი არსებითად ფართო მოქმედების იყო და წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების დაუშვებელ შინაარსობრივ რეგულირებას, ამიტომ პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა. პირველი ინსტანციის სასამართლო მოსარჩლეს დაეთანხმა, თუმცა მინესოტის უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე მოსარჩლის წინააღმდეგ გადაწყვიტა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა. მინესოტის უზენაესი სასამართლო მოსარჩლეს არ დაეთანხმა, რომ სადავო კანონს მოქმედების არსებითად ფართო არეალი ჰქონდა; რადგან კანონის ფრაზა: „იწვევს სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს“ ავინროებდა კანონის მოქმედებას მხოლოდ ისეთ გამოხატვაზე, რომელიც პირველი შესწორებით არ იყო დაცული. უარყოფილ იქნა არგუმენტი, რომ სადავო კანონი წარმოადგენდა დაუშვებელ შინაარსობრივ რეგულირებას: სასამართლომ განაცხადა, რომ კანონი წარმოადგენდა ვინროდ ფორმულირებულ საშუალებას სახელმწიფოს ინტერესის დასაცავად, რაც მდგომარეობს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაში.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: მინესოტის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე სკალიამ: სანამ სეინტ პოლის კანონის ინტერპრეტაციას შევუდგებოდეთ, საჭიროა განვიხილოთ თუ როგორ განმარტა საკანონმდებლო ნორმა მინესოტის უზენაესმა სასამართლომ. ჩვენ ვეთანხმებით მინესოტის უზენაესი სასამართლოს განცხადებას, რომლის მიხედვითაც, კანონი ეხება მხოლოდ იმ გამოხატვას, რომელიც ჩაპლინსკის საქმეში დადგენილი სტანდარტის მიხედვით, წარმოადგენს „ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას“. მოსარჩლე მოითხოვს ჩაპლინსკის საქმეში დადგენილი სტანდარტის და სადავო კანონის გაუქმებას, როგორც არსებითად ფართოდ ფორმულირებული ნორმისას. ჩვენ ვადგენთ: მართალია, სადავო გამოხატვა ინდივიდუალური შუღლის გაღვივება. დოქტრინის თანახმად აიკრძალებოდა, მაგ-

რამ სადავო კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან კრძალავს სხვა შემთხვევაში დაშვებულ და კანონიერ გამოხატვას მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ ვის მიმართ არის ეს გამოხატვა მიმართული.

პირველი შესწორება უკრძალავს სახელმწიფოს ისეთი გამოხატვის აკრძალვას, რომელიც თავად სახელმწიფოს სწორად არ მიაჩნია. შესაბამისად, არსებობს მკაცრი პრეზუმფცია იმისა, რომ არ მოხდეს შინაარსობრივი რეგულირება. თუმცა 1791 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა საზოგადოებამ, სხვების მსგავსად, დაუშვა შეზღუდვები გარკვეული კატეგორიის გამოხატვაზე. იმის მიუხედავად, რომ პირველი შესწორების თანახმად ცილისწამებისა და უხამსობის სტანდარტები დავინროვდა, მაინც რჩება გამოხატვის გარკვეული კატეგორიები, რომლებიც პირველი შესწორების დაცვით არ სარგებლობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვითი ქმედება შესაძლოა, აიკრძალოს მხოლოდ მისი ფორმის და არა იმ იდეების გამო, რომელთა გავრცელებასაც ისახავს მიზნად.

ამ პრინციპების თანახმად, ჩვენ ვადგენთ, რომ სეინტ პოლის კანონი, მიუხედავად მინესოტის უზენაესი სასამართლოს მიერ მისი ვიწრო ინტერპრეტაციისა, არაკონსტიტუციურია. ერთი ფრაზის გარდა („ინვესს სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს“), რომელიც მინესოტას უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ვრცელდება მხოლოდ ისეთ სიმბოლოებზე, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას, სადავო აქტის დანარჩენი ნაწილი კრძალავს ასეთი სიტყვების გამოყენებას, თუ ისინი შეურაცხყოფას აყენებს, ან ინვესს ძალადობას რასის კანის ფერის, მსოფლმხედველობის, რელიგიის ან სქესის გამო. თუმცა გამოხატვა, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას, მაგრამ ეხება პოლიტიკურ საკითხებს, დასაშვებია. პირველი შესწორება არ აძლევს შტატებს იმის უფლებას, რომ დაანესონ სპეციალური აკრძალვები იმ მოსაზრებებზე, რომლებიც არასასურველ საკითხებს ეხება.

კანონი, პრაქტიკული გამოყენებისას, უფრო შორს მიდის, ვიდრე შინაარსობრივი დისკრიმინაციაა; ის დისკრიმინაციას აწესებს თვალსაზრისის გამოხატვაზეც. მაგალითად, პლაკატი, რომელზეც გამოხატულია ოდიოზური რასობრივი ეპითეტები, იკრძალება ნებისმიერი თვალსაზრისის მქონე ადამიანისთვის. „ინდივიდუალური შუღლის გაღვივება, რაც თავისთავად არ შეურაცხყოფს პირის რასას, კანის ფერს, მსოფლმხედველობას, რელიგიას ან სქესს, თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას თანასწორობისთვის და ტოლერანტობისთვის ბრძოლაში, მაგრამ არა ამ ფასეულობების ოპონენტების მიერ. ამრიგად, ქალაქ სეინტ პოლის მთავრობას უფლება არ აქვს, დებატების ერთ მხარეს ნება დართოს, გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი, ხოლო მათ მონინააღმდეგეებს შუასაუკუნეების წესები დაუწესოს.

ამ საქმეში სახეზეა არა ინდივიდუალური შუღლის გაღვივების აკრძალვა, რომელიც გარკვეული პირის ან პირთა ჯგუფისადმია მიმართული (რაც თავის-თავად ანტიკონსტიტუციური იქნებოდა), არამედ – ისეთი გამოხატვის აკრძალვა, რომელიც „მიკერძოებულად მოტივირებულ“ სიძულვილს გამოხატავს, კერძოდ, ამ საქმეში – რასობრივ სიძულვილს.

მოპასუხემ საქმის წარმოებისას აღიარა, რომ სადავო კანონი ეხება მხოლოდ „რასობრივად, რელიგიურად და სქესობრივად“ სპეციფიკურ სიმბოლოებს, როგორცაა ცეცხლწაკიდებული ჯვარი ან სვასტიკა. თუმცა მოპასუხე დაობს, რომ სადავო კანონი საჭიროა აუცილებელი სახელმწიფო ინტერესის დასაცავად, კერძოდ კი, იმ პირთა უფლებების დასაცავად, რომლებიც ისტორიულად დისკრიმინირებული იყვნენ, ეს უფლება მოიცავს მათ შესაძლებლობას, იცხოვრონ მშვიდ პირობებში. სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს ასეთი ინტერესის არსებობაში. თუმცა, იმისათვის, რომ შინაარსობრივი რეგულირებისას თავიდან იქნეს აცილებული ცენზურის საფრთხე, უნდა არსებობდეს მკაცრად აუცილებელი ინტერესი თვალსაზრისის გამო დისკრიმინაციის გასამართლებლად. ჩვენ ასეთ ინტერესს ამ საქმეში ვერ ვხედავთ. ქალაქ სეინტ პოლის პოლიტიკოსებს შესაძლებლობა აქვთ, გამოთქვან მათი მტრული მოსაზრებები, თუმცა, მათ მონინაალმდეგებს ეს ეკრძალებათ.

შეცდომაში რომ არ შეგიყვანოთ, ვაცხადებთ, რომ ვინმეს ეზოში ჯვრის დაწვა ნამდვილად ბრალეული ქმედებაა. თუმცა ქალაქ სეინტ პოლს აქვს სხვა შესაძლებლობები, რათა ეს ქმედება ისე დაარეგულიროს, რომ პირველ შესწორებას არ წაუკიდოს ცეცხლი.

1992 წელი

შეერთებული შტატები კატლერის წინააღმდეგ

58 F.3d (2nd circuit, 1995)

ფაქტები: პროცესი ეხებოდა კრიმინალურ შეურაცხყოფას, რომელიც სათავეს გოთის საქმიდან იღებს. კატლერი გოთის პროცესში ჩართული იყო როგორც მისი ადვოკატი 1991 წლის აგვისტომდე, ანუ იმ დრომდე, სანამ ხსენებულ საქმეს მას არ ჩამოაცილებდნენ. მოსამართლე გლასერმა, რომელიც გოთის საქმეს უძ-

ღვებოდა, კატლერის აცილებამდე ორივე მხარის ადვოკატებს რამოდენიმეჯერ მოუწოდა, დამორჩილებოდნენ ნიუ-იორკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე აშშ-ის სასამართლოებს და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლს.

მე-7 მუხლის თანახმად, (ა) ადვოკატი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს და ხელი არ შეუწყოს სისხლის სამართლის მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით იმ ინფორმაციის ან მოსაზრებების გაჟონვას, რომელიც, შესაძლოა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდეს, თუკი არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ ინფორმაციის გავრცელება ხელს შეუშლის სამართლიან სასამართლოს ან სხვაგვარად შეაფერხებს მართლმსაჯულების აღსრულებას.

ამავე მუხლის მიხედვით, ადვოკატმა სასამართლოს გარეთ არ უნდა გააკეთოს განცხადებები, რომელთა საჯაროდ გავრცელება ისედაც მოსალოდნელია, *inter alia*⁵ ინფორმაცია „ბრალდებულის რეპუტაციის ან ხასიათის, სავარაუდო მოქმედების ვინაობის, მათი ჩვენებების სარწმუნოების ან მათი შინაარსის შესახებ.“ ასევე „ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც ეხება ბრალდებულის ბრალეულობას თუ უდანაშაულობას და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.“

გოთის საქმესთან დაკავშირებით საგაზეთო პუბლიკაციებში არაერთხელ მოხდა კატლერის ციტირება, იგი სატელევიზიო პროგრამებშიც მონაწილეობდა როგორც გოთის ადვოკატობის, ისე მისი ადვოკატობიდან დისკვალიფიკაციის შემდეგ. 1991 წლის ნოემბერში კატლერის საჯარო კომენტარების პასუხად, მოსამართლე გლასერმა სპეციალური პროკურორი დანიშნა, „რათა აშშ-ს სახელით გამოეძიებინათ ბრიუს კატლერის მიერ სასამართლოს განზრახ შეურაცხყოფა, რითაც კატლერმა სასამართლოს ბრძანებულებები და ადგილობრივი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი დაარღვია“.

1992 წლის აპრილში მოსამართლე გლასერმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელშიც განმარტავდა, თუ რატომ თქვა უარი კატლერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის გაგრძელებაზე. ამის შემდეგ მოსამართლე გლასერმა საკუთარ თავს აცილება მისცა, ხოლო პროცესის გაგრძელება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაევალა სასამართლოს თავმჯდომარე პლეტს, რომელიც ჟიურის გარეშე წარმართავდა პროცესს. სპეციალურმა პროკურორმა და კატლერის ადვოკატმა დააყენეს შუამდგომლობა, სასამართლო სხდომაზე დაებარებინათ რეპორტიორები. პროკურორის სპეციალური სანქციის თანახმად, რეპორტიორებს ჩვენებები უნდა მიეცათ ეთერში გასული ბრიუს კატლერის განცხადებების თა-

⁵ მათ შორის (ლათ.).

ობაზე. პროკურორი WNYW-ისგან 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის 13 აგვისტომდე „ფოქსის“ ნიუ-იორკის ადგილობრივი ახალი ამბების პროგრამაში ჯონ გოთის შესახებ გასული მასალების ასლებს მოითხოვდა. სი-ბი-ესის წინააღმდეგ გაცემული სანქციით, ტელევიზიას 1991 წლის 7 აპრილსა და 11 აგვისტოს ნიუ-იორკის მე-2 არხზე გასული პროგრამის და „60 წუთის“ ვიდეო ასლები უნდა წარედგინა.

ადვოკატის მიერ სი-ბი-ეს-ისათვის დაკისრებული სანქციების თანახმად, ტელევიზიას „რეპორტიორების მიერ მომზადებული სტატიების ჩანაწერები“ და „მთავრობის წარმომადგენლების, მათ შორის პროკურორების, ძიების ფედერალური ბიუროს აგენტების და აშშ-ს პროკურორის ან იუსტიციის დეპარტამენტის ყველა მოხელის მიერ გოთის საქმეზე და თავად ჯონ გოთის შესახებ გაკეთებული ყველა განცხადების ჩანაწერი“ უნდა წარმოედგინა. ადვოკატის სანქციები WNYW-ს წინააღმდეგ ითვალისწინებდა WNYW-ის მიერ ახალი ამბების გამოშვებებში გოთის საქმის შესახებ გასული ყველა სიუჟეტის ჩანაწერის წარდგენას და ბრიუს კატლერთან ან სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ ვიდეომასალას, მიუხედავად იმისა, გადაიცა თუ არა მასალა ეთერში. ადვოკატის სანქციები სი-ბი-ეს-ის წინააღმდეგ მოითხოვდა 1991 წლის 1 აგვისტოდან 1991 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით ჯონ გოთის საქმის შესახებ ეთერში გასულ ვიდეომასალას და 1991 წლის 7 აპრილის „60 წუთის“ ვიდეოჩანაწერებს, რომელიც ეთერში გავიდა სახელწოდებით „ბრიუსიფიკაცია“ და განმეორებით იქნა ნაჩვენები 1991 წლის 11 აგვისტოს. მოთხოვნა ეხებოდა ბრიუს კატლერისა და ჯონ გოთის საქმესთან დაკავშირებულ სრულ მასალას, იმისდა მიუხედავად, გამოყენებული იყო თუ არა ეს სეგმენტები ფილმში“.

რეპორტიორებმა და ტელეკომპანიებმა საპასუხო სარჩელის შეტანა გადაწყვიტეს. მათ სანქციების გაუქმება ან არსებულის ალტერნატიული სახის სანქციებით ჩანაცვლება მოითხოვეს, რადგან ზოგიერთი, განსაკუთრებით კი ადვოკატის სანქცია, ფედერალური კანონმდებლობით გარანტირებულ ჟურნალისტურ პრივილეგიებს ეწინააღმდეგებოდა. სასამართლოს თავმჯდომარე პლეტისთვის ზეპირი ახსნა-განმარტებების მიცემისას კატლერი დათანხმდა სანქციების შეზღუდვას:

(1) რეპორტიორები არ იქნებოდნენ ვალდებულნი, სასამართლოსათვის წარედგინათ კატლერის და მთავრობის თანამდებობის პირების ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ჩანაწერები:

(2) ტელე-რადიო სადგურებს უნდა წარმოედგინათ მხოლოდ კატლერის ინტერვიუების ვიდეო ჩანაწერები.

გადანყვეტილება: მე-2 ოლქის სასამართლომ თავმჯდომარე პლეტმა სანქციები არ გააუქმა და რეპორტიორებსა და ტელე-რადიო სადგურებს უბრძანა, დამორჩილებოდნენ მოდიფიცირებულ სანქციებს.

ფაქტები: მეორე დღეს სასამართლოს თავმჯდომარე პლეტთან მისულმა რეპორტიორებმა სასამართლოს განუცხადეს, რომ მზად იყვნენ, ჩვენება მიეცათ სტატიების ზოგიერთი ასპექტის თაობაზე, მაგრამ არ სურდათ კონფიდენციალური წყაროების გამჟღავნება ან ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების სასამართლოსათვის წარდგენა მანამ, ვიდრე ამას სააპელაციო სასამართლო არ დააკისრებდა. ტელეკომპანიებმა სასამართლოს განუცხადეს, რომ ისინი არ წარადგენდნენ კატლერის ადვოკატის შესახებ არსებულ ჩანაწერებს, მაგრამ დათანხმდნენ, ეჩვენებინათ სასამართლოსთვის მასალები *in camera* დახურულ სხდომებზე. მათ წამოაყენეს დამატებითი პირობაც: თუ საოლქო სასამართლო მიიჩნევდა, რომ ჩანაწერები საქმესთან კავშირში იყო, ტელევიზიებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ საოლქო სასამართლოს განჩინება შტატის ფედერალურ სასამართლოში, თავად კატლერისათვის ჩანაწერების ჩვენებამდე.

სასამართლოს თავმჯდომარე პლეტმა უარყო შეთავაზებული წინადადება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ჟურნალისტები და ტელე-რადიო კომპანიები სასამართლოს შეურაცხყოფის გამო და დაავალდებულა ისინი, ჯარიმის სახით გადაეხადათ 1 დოლარი ყოველი დღისთვის, სანამ სასამართლოს მითითებებს არ შეასრულებდნენ.

გაბატონებული სტანდარტი. ამ საქმესთან დაკავშირებით პრეცედენტად განიხილება პროცესი *აშშ ბურკის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ გააუქმა სანქცია ბრალდებულის შესახებ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის დოკუმენტებისა და ჩანაწერების სასამართლოსათვის წარდგენის თაობაზე. ჟურნალის სტატიის თანაავტორები იყვნენ ბრალდებულის მთავარი მოწმე და ჟურნალის რეპორტიორი. ბრალდებული სტატიაში მოწმეს აკრიტიკებდა. ჟურნალმა გაასაჩივრა სანქცია, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ „პირველი შესწორება იცავდა რეპორტიორების პრივილეგიას“. სასამართლომ დაადგინა, რომ „სხვა გამამართლებელ მტკიცებულებებთან შედარებით, ჟურნალისტის სამუშაო ფურცლებიდან მოპოვებული ინფორმაცია უბრალოდ გაამყარებდა სხვა მტკიცებულებებს და შესაბამისად, სანქცია არ შელახავდა პირველი შესწორებით გარანტირებულ ჟურნალისტურ პრივილეგიას“.

ახალ ამბებთან დაკავშირებული მასალების გამოთხოვნის თაობაზე საოლქო სასამართლოს ეს სტანდარტი განსაკუთრებით მკაფიოა და ჩამოყალიბებული სამოქალაქო საქმეებში:

„იცავს რა რეპორტიორებისა და საზოგადოების დაინტერესებას ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე, ოლქის კანონმდებლობა ადგენს, რომ წყაროს გამჟღავნების დავალდებულება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი გამოკვეთილი და განსაკუთრებული გარემოებები, რომ ინფორმაცია არის: განსაკუთრებით რელევანტური და აუცილებელი პროცესის მონაწილე მხარის პოზიციის დასადასტურებლად და ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია სხვა არსებული წყაროებიდან. (ბეიკერი ფ. და ფ. ინვესტიმენტის წინააღმდეგ, აკორდი და ზერილი სმიტის წინააღმდეგ, სილკვუდი კერ-მაკ გ. კორესპონდენტის წინააღმდეგ).

ბრანზბურგის საქმის შემდეგ ბეიკერის საქმე ჟურნალისტური პრივილეგიების პირველი შეფასება იყო. ბეიკერის საქმეში სასამართლომ გამოიყენა ბრანზბურგის სტანდარტი, რადგან ბეიკერის სამოქალაქო საქმე მხოლოდ ნაწილობრივ ეხებოდა მას. ამის შემდეგ პეტროლიუმ პროდუქტის ანტიტრასტ ლიტიდემში (1982), სასამართლომ კვლავ სამოქალაქო კონტექსტში დაადგინა წესი, რომელიც მთლიანად ბეიკერის საქმეზე გადაწყვეტილებას ეყრდნობოდა. ბოლოს ბურკის საქმეში სასამართლომ გააცნობიერა, რომ ჟურნალისტური პრივილეგიების შესახებ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში არ არსებობს არავითარი მიზეზი განსხვავებების დასადგენად და მიიჩნია, რომ პეტროლიუმ პროდუქტში ჩამოყალიბებული წესები ასევე მიესადაგება სისხლის სამართლის საქმეებს.

საკითხების გადაწყვეტა სააპელაციო ინსტანციაში. მე-2 ოლქის სასამართლომ განიხილა კატლერის თანხმობა, მიეცა ჩვენება და სასამართლოსათვის წარედგინა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ჩანაწერები. ქვემოთ მოყვანილი მიზეზის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ კატლერს შეეძლო, ჟურნალისტებისაგან მოეთხოვა ჩვენების მიცემა და მასალების წარმოდგენა.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლომ თავი ვალდებულად ჩათვალა, ბრანზბურგის საქმეზე გადაწყვეტილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა, რადგან აშშ-ში არსებობდა და დღემდე არსებობს პრეცედენტული სამართალი. ერთ-ერთმა რეპორტიორმა, რომელიც ბრანზბურგის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით იყო გამოძახებული, „უარი განაცხადა პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა მის მიერ ნანახ და პუბლიკაციაში აღწერილ კრიმინალურ ქმედებებს“. შეიძლება ითქვას, რომ კატლერის მიერ სასამართლოს შეურაცხყოფა ჟურნალისტებმა და ტელეკომპანიებმა დააფიქსირეს.

სპეციალური პროკურორის სანქციები აღარ წარმოადგენს დავის საგანს, თუმცა აშკარაა, რომ სტატიები და ეთერში გასული ვიდეომასალა, რომელთა

წარდგენასაც პროკურორის სანქცია ითვალისწინებდა, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად კატლერის საქმეში. კატლერი უფლებამოსილია დაკითხოს რეპორტიორები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული კონტექსტისა და შინაარსის თაობაზე, დეტალურად შეამოწმოს რელევანტური და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი საგაზეთო თუ ვიდეო მასალები, რაც კრიმინალურ შეურაცხყოფად მიჩნეული ბრალდებისაგან თავის დაცვის საშუალებას მისცემს. თავად კატლერის ჩვენების გამოორიცხვის შემთხვევაში, რეპორტიორებისა და ტელევიზიების ჩვენებები შესაძლოა, იყოს ერთადერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება ბრალდებულის გასამართლებლად ან გასამტყუნებლად. დაბოლოს, კატლერის დაცვის ტაქტიკის ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ მისთვის ბრალდება წაყენებული შეურაცხყოფელი ქმედებები სინამდვილეში იყო მისი პასუხი წაყენებულ ბრალდებებზე. კატლერი ვერ განავითარებდა დაცვის ამ ხაზს, თუ იგი ჟურნალისტებისაგან საკუთარი განცხადებების კონტექსტისა და შინაარსის შესახებ შესაბამის მტკიცებულებებს ვერ მოიპოვებდა.

მედიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ იყვნენ ვალდებული, წარედგინათ კატლერის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით რაიმე მასალა, ვიდრე მოსამართლე მათ ბრძანებით არ დააკისრებდა ასეთ სანქციას.

ტელევიზიების წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ საოლქო სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობები სანქციების გაუქმების შესახებ და დახურულ სხდომაზე არ განიხილა ვიდეორჩანანერები.

ბურკის საქმეში სასამართლომ უპირატესობა *in camera* განხილვას მიანიჭა, როგორც ოპტიმალურ ზომას, რათა თავიდან აეცილებინა პრივილეგირებული მასალების საჯარო გახმაურება. კატლერის პოზიციასთან დაკავშირებით ვიდეორჩანანერების განსაკუთრებული რელევანტურობის ფონზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბურკის საქმეში არაფერი იყო ისეთი, რაც საოლქო სასამართლოს მათი *in camera* განხილვის დისკრეციას მისცემდა, მათი კატლერისათვის გასაიდუმლოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელობა არა აქვს საკითხი ბრანზბურგის სტანდარტით გადაწყდება თუ ბურკის სპეციალური ტესტი. კატლერის არგუმენტი რეპორტიორების ჩვენებასა და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ჩანანერებთან დაკავშირებით, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს შეიცავს, შეიძლება განვიხილოთ ჟურნალისტურ პრივილეგიაზე უპირატეს მოთხოვნად.

Princeton University Press-ი
Michigan Document Service Inc.-ის წინააღმდეგ

(6th circ. 1996)

ფაქტები: მოპასუხე, მიჩიგანის დოკუმენტური სამსახური, წარმოადგენდა კომერციულ მაღაზიას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურისა და ნაშრომების ტირაჟირებით იყო დაკავებული. მასალას კინძავდა კურსის სახელმძღვანელოების სახით და ყიდდა მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტებზე. მაღაზია ამგვარ პროდუქციას აწარმოებდა საავტორო უფლებების მფლობელების ნებართვის გარეშე და მთავარ საკითხს ამ საქმეში, შესაბამისად, წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად აუცილებელია ამგვარი ნებართვის ქონა „კეთილსინდისიერი გამოყენების“ დოქტრინის შესაბამისად.

კონკრეტული კურსის საგნის განვითარებით დაინტერესებული და სწავლებაზე პასუხისმგებელი პროფესორის პოზიციიდან გამომდინარე, ამგვარ სახელმძღვანელოებს დიდი უპირატესობა აქვთ; სხვადასხვა წყაროებიდან მასალების შერჩევის გზით პროფესორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ემსგავსება ანთოლოგიას, რომელიც მთლიანად შეესაბამება იმ სალექციო კურსს, რომლის წაყვანაც პროფესორს ევალება.

კურსის სახელმძღვანელოს არსებითი შემუშავება ხდება თავად კომერციული მაღაზიის მიერ. პროფესორი აძლევს მაღაზიას იმ მასალებს, რომლისგანაც უნდა დამზადდეს კურსის სახელმძღვანელო, ხოლო ყველა დანარჩენ მოქმედებებს მაღაზია თავად ახორციელებს. მაღაზია სახელმძღვანელოს ადებს ყდას, სარჩევს, კინძავს და შესაბამის ფასად მას სტუდენტებს აწვდის. მაღაზიის მესაკუთრე გახლდათ ჯეიმს სმიტი. იგი სხვა კონკურენტი მენარმეებისაგან განსხვავებით, საავტორო უფლებების მფლობელთაგან არ ითხოვდა ნებართვას და მათ არც საავტორო ჰონორარს უხდიდა.

მისტერ სმიტი ეწინააღმდეგებოდა სისტემას, რომელს თანახმადაც, მისი კონკურენტები იხდიდნენ შეთანხმებულ ჰონორარებს ან „ნებართვის მოსაკრებელს“. „კინკოს“ საქმის შემდეგ მსგავსი პროდუქციის მწარმოებლების უმეტესობამ დაიწყო ამგვარი ნებართვების წინასწარ მოპოვება. მისტერ სმიტმა გადანწყვიტა არ დაეცვა ეს წესი. მან კონსულტაცია გაიარა საკუთარ ადვოკატთან და მის რჩევაზე დაყრდნობით უნებართვოდ მუშაობა გადანწყვიტა, რადგან ადვოკატის თქმით, „კინკოს“ საქმეზე გადანწყვიტებაში არსებობდა „ხვრელები“ რომელთა გამოყენება მას თავის სასარგებლოდ შეეძლო.

მისტერ სმიტმა საგამომცემლო ინდუსტრიის ყურადღება მიიპყრო. გამომცემ-ლებმა, „პრინსტონ უნივერსიტი პრესმა“ და მაკმილანმა, სასამართლოში მის-ტერ სმიტისა და მისი კორპორაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

გადანყვეტილება: მე-6 ოლქის სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საავტორო უფლებების შესახებ კანონის დარღვევას, რადგან მოპასუხე არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა.

სასამართლოს მოსაზრება: კეთილსინდისიერი გამოყენების დოქტრინა, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისებს საავტორო უფლებების მონოპოლიის ფარგლებში, „ნებას რთავს (და ავალდებულებს კიდევ) სასამართლოებს, თავი შეიკავონ საავტორო უფლებების შესახებ კანონის ნორმების მკაცრი გამოყენე-ბისაგან, როდესაც ეს სანქციები საფრთხეს უქმნის შემოქმედებით პროცესებს, რომელთა წასახალისებლად საბოლოო ჯამში მიღებულია ეს კანონი“.

თუ ამ დებულებას მთლიანობაში განვიხილავთ, ცხადი ხდება, რომ საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ისეთი კეთილსინდისიერი მიზნებისათვის გამო-ყენება, როგორცაა სწავლება (მათ შორის სასწავლო მიზნით მრავალი ასლის გაკეთება), არ ჩაითვლება საავტორო უფლებების დარღვევად.

იმის დასადგენად, თუ რა შემთხვევაში ჩაითვალება გამოყენება კეთილსინ-დისიერად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ დროს განსაკუთ-რებული ყურადღება უნდა მიექცეს ტესტის მეოთხე ნაწილს – „სავტორო უფლების გამოყენების ეფექტი და გავლენა საავტორო უფლების პოტენციურ ბაზარსა ან მის ლიტერატურულ ღირებულებაზე, ანუ *primus inter pares*“.⁶

თუკი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გასაჩივრებული გამოყე-ნება არაკომერციული ტიპისაა, ბაზარზე გავლენის მოხდენის შესახებ მტკიცების ტვირთი საავტორო უფლების მფლობელს აწევს. ხოლო თუ გასაჩივრებული გამოყენება კომერციული ხასიათისაა, მტკიცების ტვირთი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამომყენებლის მოვალეობაა. (სონი კორპ. უნივერსიტი სტუდიოს წინააღმდეგ).

სასამართლო დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სტუდენტების მიერ, რომლებიც უბრალოდ ყიდულობენ სახელმძღვანელოს, საავტორო უფლებით დაცული მასა-ლების გამოყენება არაკომერციულია. მაგრამ სტუდენტების მიერ მასალების გა-მოყენება ამ საქმეში არ არის სადავო არც მოსარჩლეების მხრიდან. გამომცემ-ლები ასაჩივრებენ საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების დუპლიკაციას კომერციული ორგანიზაციის მიერ, რომელმაც განიზრახა საკუთარი შემოსავ-ლების გაზრდა საავტორო უფლებების მფლობელთათვის ჰონორარების არგა-დახდის საშუალებით.

მოპასუხის მიერ წიგნებიდან გარკვეული ნაწილების გამოყენება არანაკლები

⁶ აღმატებული თანასწორთა შორის (ლათ).

კომერციული ბუნების ქმედება იყო, ვიდრე ჰარპერტროუში ჟურნალ „ნიუშენის“ მიერ საავტორო უფლებით დაცული მასალის გამოყენება, სადაც მოკლე სტატიის გამოქვეყნება, რომელიც შეიცავდა მცირე ამონარიდს პრეზიდენტ ფორდის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წიგნიდან, არაკეთილსინდისიერ გამოყენებად ჩაითვა. იმ სტუდენტების მსგავსად, რომლებმაც შეიძინეს ნებართვის გარეშე დაბეჭდილი კურსის სახელმძღვანელოები, ჟურნალის შემქმნები არ იყენებდნენ ინფორმაციას კომერციული მიზნებისთვის, თუმცა უზენაესი სასამართლოსთვის ეს არ იყო საკმარისი ფაქტორი, რათა მოპასუხის ქმედება „არაკომერციული ხასიათის პუბლიკაცია“ განეხილა.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ზემოქმედებდა ბაზარზე ამ ტიპის გამოყენება, უზენაესმა სასამართლომ სონის, ჰარპერისა და როუს, და კემპბელის საქმეში განმარტა: „საკმარისია პირმა დაამტკიცოს, რომ ასეთი გამოყენების გახშირების შემთხვევები საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების პოტენციურ ბაზარზე საზიანოდ აისახება“. ამ ტესტის მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩლეებმა შეძლეს კეთილსინდისიერი გამოყენების შესახებ მოპასუხის არგუმენტების გაბათილება.

მოპასუხის კონკურენტი მაღაზიების უმეტესობა მუდმივად იხდიდა ჰონორარს საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებიდან ამონარიდების ტირაჟირებისათვის. სამივე მოსარჩლე ერთ წელიწადში დაახლოებით 500 000 დოლარის შემოსავალს იღებდა მათ მიერ გამოშვებული პუბლიკაციებიდან გადაბეჭდვის ნებართვისთვის მოსაკრებლების სახით. თუკი მაღაზიები მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგავდნენ იმას, რასაც მოპასუხეები აკეთებდნენ, მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, ისევე როგორც მათ მიერ გამოცემული საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების საბაზრო ღირებულება.

მოპასუხეები განმარტავდნენ, რომ არასწორია მიდგომა, როცა საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემაზე თანხა მოითხოვოს და შემდეგ საბაზრო დანაკარგები ამ თანხის გადაუხდელობით გაზომოს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბაზრისთვის მიყენებული ზარალი, შესაძლოა, გაიზომოს მხოლოდ არარეალიზებული წიგნების საფასურით და არა ნებართვის თანხებით. მაგალითად, მოპასუხეებმა მოაწვეეს პრესის სტამბა და ანალოგიური რეპროდუქციების კეთება დაიწყეს იმის საფუძველზე, რომ ამგვარი რეპროდუქცია წარმოადგენდა იმ წიგნის „კეთილსინდისიერ გამოყენებას“, რომელზეც საავტორო უფლებები მათ არ გააჩნდათ. მოპასუხეების ლოგიკის მიხედვით, არასწორი იქნებოდა საავტორო უფლების მფლობელს ემტკიცებინა ბაზრისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა მიუღებელი ჰონორარების გამო. (რა თქმა უნდა, თუ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ საავტორო უფლების მფლობელს გააჩნია უფლება ასეთ შემოსავალზე).

სასამართლომ ასევე განიხილა ტესტის დანარჩენი სამი ნაწილიც, თუმცა აღნიშნა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ისინი ნაკლებად მნიშვნელოვანია:

ა) რაც შეეხება „გამოყენების მიზანსა და ხასიათს, სასამართლომ ცალსახად დაადასტურა, რომ განსახილველი გამოყენება კომერციული ხასიათის იყო.

მოპასუხეები ამტკიცებდნენ, რომ განსახილველ საქმეში ნაწარმოების რეპროდუქცია უნდა განხილულიყო როგორც „არამომგებიანი – სასწავლო“, რადგანაც იგი განხორციელებული იყო თავად სტუდენტებისა და პროფესორების მიერ. მოპასუხეები ამტკიცებდნენ, რომ მათ შეეძლოთ მოეხდინათ უამრავი ასლის დამზადება იმაზე ნაკლებ თანხად, ვიდრე იგივეს გაკეთება თავად პროფესორებსა და სტუდენტებს დაუჯდებოდათ.

ბ) ტესტის II ნაწილი, „საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ბუნება“ ამ საქმეში არ იყო სადავო. მოპასუხეებმა გააცნობიერეს, რომ კურსის სახელმძღვანელოსათვის გადაღებულ ამონარიდებს შემოქმედებითი ღირებულება ჰქონდა და მათი განხილვა შესაძლებელი იყო როგორც „გამოხატვის“; გადაღებული მასალა ნამდვილად არ იყო სატელეფონო ცნობარი, რაც ასევე შესაძლოა, მიმართული იქნას კეთილსინდისიერი გამოყენების არგუმენტის წინააღმდეგ.

გ) ტესტის ბოლო ნაწილი სასამართლოსგან მოითხოვდა შეფასებას, „თუ რა მოცულობით მოხდა მთლიანობაში საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენება“. „რაც უფრო დიდია გამოყენებული ნაწყვეტის მოცულობა, მით უფრო მეტად ზარალდება საავტორო უფლების მფლობელი, შესაბამისად, ამ ქმედების კეთილსინდისიერ გამოყენებად მიჩნევის ალბათობა მცირდება“. *Pierre N Leval, Toward a Fair use Standart, 105 Harv. L. Rev. 1005, 1122 (1990).*

1996 წელი

რენო - შეერთებული შტატების გენერალური
პროკურორი - ამერიკის სამოქალაქო უფლებების
კავშირის წინააღმდეგ

521 US 844

ფაქტები: 1996 წლის კომუნიკაციების აქტი მიზნად ისახავდა არასრულწლოვნების დაცვას მავნე ზეგავლენის მქონე მასალებისგან, რომლებიც ინტერნეტით

გავრცელდა. აქტის თანახმად, დასჯადია უხამსი და შეუფერებელი მესიჯების/გზავნილების განზრახ დაგზავნა 18 წლამდე ასაკის მიმღებებთან. აქტის 223-ე ნაწილი კრძალავს 18 წლამდე ასაკის პირებისათვის ისეთი მესიჯების და მასალის განზრახ დაგზავნას, „რომელიც სექსობრივ აქტს ან ორგანოებს აღწერს, ან მათ წარმოადგენს აშკარად შეურაცხმყოფელი სახით, რაც განსაზღვრულია თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტებით.“ ასეთი ქმედებისათვის დაცვად გამოიყენება პირის „კეთილსინდისიერი და ეფექტური მოქმედება“ ზემოაღნიშნული მასალების შესაზღუდად. ასეთი მექანიზმები შეიძლება იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასაკის შესაბამისად, მაგალითად, საკრედიტო ბარათით ან პირადობის დამადასტურებელი მონომობის ნომრით. რამდენიმე მოსარჩლემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სადაც ისინი დაობდნენ, რომ აღნიშნული აქტი ანტიკონსტიტუციურია. პენსილვანიის ოლქის სასამართლოს კოლეგიამ – სამი მოსამართლის შემადგენლობით – წინასწარი გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე და საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე აკრძალა აქტის სადავო ნაწილების მოქმედება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს ეკრძალება აქტის 223-ე ნაწილით დადგენილი აკრძალვების განხორციელება, თუმცა, უფლება რჩება, გამოიძიოს და სისხლის სამართლებრივი დევნა განახორციელოს აშკარა უხამსობასა და ბავშვთა პორნოგრაფიაზე. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა პენსილვანიის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს: ისინი მიიჩნევდნენ, რომ ოლქის სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დაადგინა, რომ სადავო აქტი კონსტიტუციის პირველ და მეხუთე შესწორებებს ეწინააღმდეგებოდა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე სტევენსმა, რომელმაც სიტყვა ინტერნეტის მიმოხილვით დაიწყო: „ინტერნეტი – ეს არის ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების საერთაშორისო ქსელი, რომელიც დაიბადა 1969 წელს შექმნილი სამხედრო პროგრამიდან; ამ პროგრამას არპანეტი ეწოდებოდა. ინტერნეტი ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. საქმის განხილვისას დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი სარგებლობს ინტერნეტით და მოსალოდნელია, რომ ეს ციფრი 1999 წლისთვის 200 მილიონამდე გაიზარდოს. ის ადამიანები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ინტერნეტზე, სარგებლობენ კომუნიკაციების და ინფორმაციის მიღების მრავალი მეთოდით, მათ შორისაა: „იმეილი“, „ლისტსერვერები“, „ჩეტ-რუმები“, „ნიუსგრუპები“ და მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელი (world wide web).

ამ საშუალებებით შესაძლებელია ტექსტის, ხმის, იმიჯის და ვიდეო იმიჯების გავრცელება. ყველა ეს საშუალება ერთად წარმოადგენს კიბერ სივრცეს, რომელში შესვლა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, თუკი მისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ამავე დროს, ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ინტერნეტი, შეუძლია მასში ინფორმაციის განთავსება. გამომცემლებს შეუძლიათ, ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადონ, ან შეზღუდონ მისი მომხმარებლები, მაგალითად, საკრედიტო ბარათით. ინტერნეტს არც ერთი ორგანიზაცია არ აკონტროლებს და არ არსებობს სისტემა, რომლის მიხედვითაც ცენტრალიზებულად დაიბლოკებოდა რომელიმე ვებ-გვერდი ან რაიმე სხვა მომსახურება. გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის შინაარსი ისევე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანის ფიქრი.

ინტერნეტში მრავლად გვხვდება ტექსტები, ფოტოები ან საუბრები („ჩეტი“), რომლებიც პორნოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. იმის მიუხედავად, რომ ინტერნეტში ასეთი მასალა მრავლად არსებობს, ძალიან იშვიათად თუ წაფანჯდება მას შემთხვევით. დოკუმენტის ან ფაილის სათაური, როგორც წესი, აღწერს მის შემადგენელ მასალას. თითქმის ყველა მასალა, რომელიც პორნოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს, გარკვეულ გამაფრთხილებელ წარწერას ატარებს. ამრიგად, ტელევიზიისაგან და რადიოსაგან განსხვავებით, ძალიან მცირედია იმის ალბათობა, რომ ინტერნეტით ასეთ ინფორმაციას შემთხვევით წააწყდეთ. ინტერნეტით ინფორმაციის მიღებას სჭირდება გარკვეული მოქმედებების ჩატარება და ზომების მიღება. ბავშვს სჭირდება გარკვეული უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ ინტერნეტით ინფორმაცია მიიღოს და შემდეგ ეს ინფორმაცია დამოუკიდებლად გამოიყენოს. ამასთან, უკვე არსებობს სისტემები და პროგრამები, რომლის მეშვეობითაც მშობლებს შეუძლიათ, საკუთარ კომპიუტერზე დაბლოკონ გარკვეული სახის ინფორმაცია მათივე შვილებისაგან.

რაც შეეხება ასაკის დამადასტურებელ მექანიზმებს, აქ ოლქის სასამართლომ კატეგორიულად აღნიშნა, რომ არ არსებობს არავითარი ეფექტური მექანიზმი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენი წლისაა პირი, რომელიც „იმეილს“ ამონებს, ან „ჩეტრუმებში“ თუ „ნიუსგრუპებში“ შედის. მართალია, არსებობს საკრედიტო ბარათით მომხმარებლების შეზღუდვის მექანიზმი, მაგრამ ასეთი მექანიზმი გამოიწვევს ბევრი არაკომერციული ვებ-გვერდის დახურვას და ისეთი მომხმარებლების შეზღუდვას, ვისაც საკრედიტო ბარათი არ გააჩნია.

1996 წლის კომუნიკაციების აქტი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტია, რომლის მთავარი მიზანია „ტელეკომუნიკაციების ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვისთვის ხელშეწყობა და რეგულირების შემცირება“.

ამ აქტის მეხუთე ნაწილი, შეიცავს ნორმებს, რომლებიც ცნობილია, როგორც „არასათანადო (არანესიერი) გადაცემის“ და „აშკარად შეურაცხმყოფელი დემონსტრირების“ ნორმები.

ამ საქმეში სახელმწიფო დაობს, რომ აქტი არ ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას და ეყრდნობა ამ სასამართლოს წინა სამ გადაწყვეტილებას: *Ginsberg v. New York* 390 US 629 (1968), *FCC v. Pacifica Foundation* 438 US 726 (1978); *Renton v. Playtime Theatres, Inc.*, 475 US 42 (1986). სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეების დეტალური ანალიზი უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ სადავო აქტი ანტიკონსტიტუციურია.

იმის მიუხედავად, არღვევს თუ არა სადავო აქტი კონსტიტუციის მეხუთე შესწორებას, ბევრი ორაზროვანი და ბუნდოვანი ნორმა პრობლემას ქმნის პირველი შესწორების მიზნებისათვის. აქტის ორივე სადავო ნორმა სხვადასხვა ფრაზეოლოგიას იყენებს: პირველ ნორმაში გამოყენებულია სიტყვა „არანესიერი“, ხოლო მეორე საუბრობს „სქესობრივი აქტის ან ერექციული ფუნქციის ისეთ აღწერასა და წარმოდგენაზე, რომელიც აშკარად შეურაცხმყოფელია თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით“. აქტში არც ერთი ზემოაღნიშნული ტერმინი განმარტებული არ არის. შეიძლება თუ არა, რომ ამის გამო პირმა დაასკვნას, რომ მასალა ჰომოსექსუალიზმზე, ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებებსა და გაუბატიურების შედეგებზე არ დაარღვევს სადავო აქტს? ეს ბუნდოვანება სადავო აქტში ბადებს ეჭვს, რომ იგი ვინროდ და ფაქიზად ფორმულირებული არ არის.

სადავო აქტის ბუნდოვანება საფრთხეს ქმნის ორი მიზეზის გამო: პირველი – სადავო აქტი წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებას; და მეორე – იგი სისხლის სამართლის კანონია. ნასამართლეობასთან ერთად, აქტი ორ წლამდე პატიმრობის სანქციებს შეიცავს. ამ რეგულირების შედეგად, არაკანონიერი ტექსტების, იმიჯის ან იდეის კომუნიკაციას, შესაძლოა, ამა თუ იმ პირმა გაჩუმება არჩიოს. სახელმწიფო მხარს უჭერს პოზიციას, რომ სადავო აქტის ნორმები იმაზე ბუნდოვანი არ არის, ვიდრე *მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ* საქმეში დადგენილი სამწვეროვანი ტესტი. თუმცა ეს ასე არ არის, რადგან მილერის საქმეში სასამართლომ სამწვეროვანი ტესტი დაადგინა, სადავო აქტი კი მხოლოდ მის ერთ კომპონენტს იყენებს („აშკარად შეურაცხმყოფელი“). ამასთან, მილერის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალული მასალები უნდა განიმარტოს შტატის კანონმდებლობით.

სასამართლო დარწმუნებულია, რომ სადავო აქტს აკლია ის სიზუსტე, რაც, კონსტიტუციის მეხუთე შესწორების თანახმად, აუცილებელია გამოხატვის

რეგულირებისთვის. არასრულწლოვნების დაცვის მიზნით, სადავო აქტი კრძალავს ისეთ მასალებს, რომელზეც კონსტიტუციური უფლება აქვთ სრულწლოვან ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასამართლოს მრავალჯერ უღიარებია სახელმწიფო ინტერესი ბავშვთა დაცვის სფეროში, ეს ინტერესი ვერ ამართლებს ინფორმაციის ისეთი ფართო სფეროს აკრძალვას, როგორც სადავო აქტშია მოცემული.

სადავო აქტის მოქმედების სფერო საკმაოდ ვრცელია. მისი არეალი ვრცელდება როგორც კომერციულ სიტყვასა და კომერციულ დაწესებულებებზე, ასევე არაკომერციულ, არამომგებიან დაწესებულებებზე და ინდივიდებზე, რომლებსაც საკუთარ კომპიუტერში შეიძლება ჰქონდეთ აქტით აკრძალული მასალები და რომლებსაც შეუძლიათ ეს მასალები არასრულწლოვნებს აჩვენონ. აქტის ბუნდოვანი ტერმინებით აკრძალულ მასალებს კი, შესაძლოა, სერიოზული საგანმანათლებლო ან სხვა ფასეულობა ჰქონდეს. სადავო აქტით, შესაძლოა, აიკრძალოს დისკუსია გაუპატიურების ან სქესობრივი აქტის შესახებ და ამ სიაში, ალბათ, კარნეგის ბიბლიოთეკის კატალოგიც მოხვდება. აქტის მიხედვით, მშობელს უფლება არ აქვს, რომ 17 წლის შვილს უფლება მისცეს, გამოიყენოს ოჯახის კომპიუტერი, რათა მოიპოვოს და აჩვენოს მას ინფორმაცია, რომლის ჩვენებასაც თავად საჭიროდ მიიჩნევს. აგრეთვე, მშობელს ციხეში გამოკეტავენ, თუ იგი 17 წლის შვილს ინფორმაციას მიაწვდის ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებებზე. აქტის შინაარსობრივი რეგულირების ფართო არეალი სახელმწიფოს აკისრებს საკმაოდ მკაცრ მტკიცების ტვირთს, რომ განმარტოს, რატომ არ შეიძლება, არასრულწლოვნების დასაცავად ნაკლებად მკაცრი ზომები გამოიყენებოდეს. სახელმწიფოს აღნიშნული არ დაუმტკიცებია.

საბოლოოდ, სასამართლო არ ეთანხმება სახელმწიფოს არგუმენტს, რომ ინტერნეტის რეგულირება მის ზრდას უწყობს ხელს: *„ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან სიტყვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება უფრო ხელს შეუშლის, ვიდრე ხელს შეუწყობს იდეების თავისუფალ გაცვლას. დემოკრატიულ სახელმწიფოში სიტყვის თავისუფლების დაცვის ინტერესი უფრო მეტია, ვიდრე ცენზურის ნებისმიერი თეორიული, მაგრამ დაუმტკიცებელი დადებითი მხარეები“*. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველ შესწორებას.

1997 წელი

ბარტნიჩკი ვუპერისა და აკა უილიამსის წინააღმდეგ

(U.S. 2001)

ფაქტები: პენსილვანიის საშუალო სკოლის მასწავლებელთა უფლებების დაცვის ასოციაციისა და ადგილობრივი სკოლის სამეურვეო საბჭოს შორის მიმდინარეობდა კოლექტიური სავაჭრო მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს უცნობმა პიროვნებამ ასოციაციის მხრიდან, მთავარ მწარმოებელსა და ასოციაციის პრეზიდენტს შორის შემდგარი სატელეფონო საუბარი ჩაინერა. მას შემდეგ, რაც მხარეები პირობებზე შეთანხმდნენ, მოპასუხემ, რადიო კომენტატორმა ვუპერმა, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ მიღწეული შედეგების გაშუქების კონტექსტში რადიო ეთერში ფარული სატელეფონო ჩანაწერი გაუშვა.

მომჩივანებმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. ისინი ეყრდნობოდნენ სატელეფონო ჩანაწერების შესახებ ფედერალურ და ასევე, ადგილობრივ კანონმდებლობას.

აპელანტები აცხადებდნენ, რომ მათი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მოხდა ფარულად, უცნობი პირის მიერ.

მოპასუხე, იუკუმმა, ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერმა, რომელიც ასოციაციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, მოიპოვა აღნიშნული ჩანაწერი და განზრახ გადასცა იგი *inter alia* მედიის წარმომადგენლებს.

მედიის წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს ჩანაწერი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ, რომ იგი უკანონოდ იყო მოპოვებული.

საოლქო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონის თანახმად, მედიის წამომადგენელი არღვევს ფედერალურ კანონმდებლობას, როდესაც განზრახ აქვეყნებს ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსს, რომლის უკანონოდ მოპოვების თაობაზე მისთვის ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი უშუალოდ არ ყოფილა ჩართული ამ პროცესში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სატელეფონო საუბრის განზრახ ჩანაწერის ფაქტის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტები, რომ მათ პირველი შესწორება იმ შემთხვევაშიც იცავს, თუ ინფორმაციის გამჟღავნება არღვევს კანონის მოთხოვნებს, რადგან კანონები შინაარსობრივად ნეიტრალური აქტებია, რომლებიც არ ითვალისწინებენ სიტყვის თავისუფლების წინასწარ შეზღუდვას

ან მექანიზმებს, რომელთაც შეუძლიათ „გამყინავი ეფექტი“ იქონიონ ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაზე.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ მიიჩნია, რომ რადიოსადგურების ქმედება არ არღვევდა პირველ შესწორებას და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს დაუბრუნა.

სასამართლოს მოსაზრება: სასამართლოს აზრით, სადავო კანონი შეიცავს ხარვეზს – იგი უფრო მეტად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, ვიდრე ამას ცალკეული ადამიანების ინტერესების დაცვა მოითხოვს.

სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის პირველი შეწოდება იცავს მოპასუხეების მოქმედებას:

(ა) სატრანსპორტო დანაშაულების კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების შესახებ 1968 წლის კანონის III თავი კრძალავს სატელეფონო, ელექტრონული ან ზეპირი საუბრების ჩანერას. 2511-ე მუხლი, (1)(ა) ეხება იმ პირებს, ვინც განზრახ ინერს ამგვარ საუბრებს, (გ) ყველა იმ პირს, ვინც იცის ან უნდა იცოდეს, რომ კომუნიკაციის შემცველი მასალა მოპოვებულია არაკანონიერი გზით და განზრახ აქვეყნებს მის შინაარსს.

(ბ) შინაარსობრივად 2511 (1) (ც)-ე მუხლი ნეიტრალური კანონია, რომლის მიზანია, დაიცავს ელექტრონული და ზეპირი კომუნიკაციების პირადული ხასიათი. კანონი ამგვარ კომუნიკაციებს იცავს არა მარტო შინაარსის, არამედ მათი მოპოვების კანონიერების გათვალისწინებით. მეორეს მხრივ, გამჟღავნების აკრძალვა სამართლიანად ითვლება გამოხატვის რეგულირების ერთ-ერთ ფორმად.

(დ) საქმეში – „ნიუ-იორკ ტაიმსი“ შეერთებული შტატების წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა პრესის უფლება, გამოაქვეყნოს მესამე მხარის მიერ მოპარულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოპოვებული მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია. ამის დადგენისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოპარული დოკუმენტების ხასიათსა და საჯარო გასაიდუმლოების შედეგებზე და არა დოკუმენტების მოპარვის ფაქტზე. სასამართლომ ასევე ღიად დატოვა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო მთავრობას, აღეკვეთა არა მხოლოდ თავდაპირველი უკანონობა, არამედ შემდგომი გამოქვეყნება იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია მოპოვებულ იქნა უკანონოდ გაზეთის ან წყაროს მიერ. ამ საქმეში საკითხი უფრო კონკრეტულად დგას: იმ შემთხვევაში, თუ გამოძეგმელმა ინფორმაცია კანონიერად მიიღო წყაროგან, რომელმაც იგი არაკანონიერი გზით მოიპოვა, შეუძლია თუ არა მთავრობას, დასაჯოს ბოლო პუბლიკაცია თავდაპირველი ეფექტის გამო?

შესაბამისად, არსებული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო განიხილავს საკითხს, გამართლებულია თუ არა გამოხატვის შეზღუდვა 2511 (1) (ც)-ე მუხლში ნაგულისხმევი ინტერესებით.

(ე) მთავრობის მიერ დასახელებული პირველი ინტერესი, დაუკარგონ ცალკეულ პირებს კერძო საუბრებში შეჭრის სურვილი, არ ამართლებს 2511 (1) (ც)-ე მუხლის გამოყენებას საჯარო ინფორმაციის უწყინარი გამჟღავნების მიმართ. არაკანონიერი ქმედების აღკვეთის ნორმალური მეთოდია სამართალდამრღვევის დასჯა. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის უკანონო მფლობელის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მართლზომიერად მოქმედი მესამე პირის უკანონო მოქმედების თავიდან აცილების მიზნით, როცა 2511 (ა) (ც), ან (1) შემთხვევებით გათვალისწინებულ დარღვევებში „შემჭრელის“ ვინაობა ცნობილია. არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ აკრძალვა ამცირებს ამგვარი უკანონო შეჭრის ალბათობას.

(ვ) მთავრობის მეორე ინტერესი – უკანონო შეჭრით დაზარალებული ადამიანებისათვის მიყენებული ზიანის მინიმუმადე დაყვანა, უდავოდ უფრო ძლიერია. კომუნიკაციის საიდუმლოება მნიშვნელოვანი ინტერესია. თუმცა საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ინტერესი გადაწონის პირადულობის დაცვის ინტერესს. საჯარო სფეროში საქმიანობის ერთ-ერთი საზღაური ხომ სწორედ პირადულობის გარკვეული დონით დათმობაა. საქმეში – „ნიუ-იორკ ტაიმსი სალივანის წინააღმდეგ“ – სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც საქმე ეხება საჯარო პირის კრიტიკას საჯარო მოვლენებზე, დებატები შეუზღუდავი, მკაცრი და ღია უნდა იყოს.

2001 წელი

თავი II

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ჭენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩლემ, რომელიც ბექდვით კომპანიას წარმოადგენდა, დაბეჭდა ნიგნი, სათაურით „პატარა წითელი წიგნი“. ეს ნიგნი ხელმისაწვდომი გახდა სკოლის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც 12 წელი შეუსრულდათ, ასევე მოზრდილებისთვისაც. ნიგნი შეიცავდა ნაწილს სექსის შესახებ, სადაც იყო თავები მასტურბაციის, კონტრაცეპტივების, მენსტრუაციის, პორნოგრაფიის, ჰომოსექსუალიზმის, აბორტის შესახებ. ნიგნში მოცემული იყო იმ სააგენტოების მისამართები და ტელეფონის ნომრები, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ მიემართათ დახმარების აღმოჩენის თხოვნით. ნიგნი თავდაპირველად გამოქვეყნდა დანიაში, შემდგომ ლუქსემბურგში, ავსტრიაში, საბერძნეთში, ისლანდიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ზოგიერთ არაევროპულ ქვეყანაში.

რამდენიმე საჩივრის მიღების შემდეგ პოლიციამ გაჩხრიკა მოსარჩლის ოფისი და აღნიშნული ნიგნები დააყადაღა. მოსარჩლე დაადანაშაულეს უხამსი მასალების ფლობისათვის და მოახდინეს კონფისკაცია ნიგნებისა, რომლებიც განადგურდა. შემდგომში გამოქვეყნდა ნიგნის რედაქტირებული ვერსია, საიდანაც გარკვეული ნაწილები ამოიღეს.

მოსარჩლემ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა.

გადანყვეტილება: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად: „1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის

ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინო-წარმოების ლიცენზირება.

2. ამ უფლებათა განხორციელება მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას; ამიტომაც შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი და რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.“

არც ერთ მხარს სადავოდ არ გაუხდია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საჩივრის წარმდგენის სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა, რაც გამოიხატა საჩივრის წარმდგენისათვის სასჯელის შეფარდებაში, რამდენიმე ასეული წიგნისა და დაკაბადონებული მასალის კონფისკაციაში.

იმისათვის, რომ ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია, რომ იგი „გათვალისწინებული იყოს კანონით“. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ეს მოთხოვნა დაცული იქნა, რადგან ჩარევა განხორციელდა 1959 და 1964 წლის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ამავე დროს, არც საჩივრის წარმდგენი აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნული კანონები არასწორად გამოიყენეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, დაედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩარევა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის არამართო პირველ, არამედ დანარჩენ მოთხოვნებსაც. სასამართლოს უნდა დაეზუსტებინა, რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „მორალის დასაცავად“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და კომისიის გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ 1959 და 1964 წლის კანონები მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ზნეობის დაცვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის დაცვა რამდენად საჭიროებდა ისეთი ზომების მიღებას, როგორც საჩივრის წარმდგენის წინააღმდეგ გატარდა.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობასა და კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ინგლისის სასამართლომ იმოქმედა გონივრულად და კეთილსინ-

დისიერად. მას არ დაურღვევია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის დადგენილი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. მეორე მხრივ, კომისიის უმცირესობაში დარჩენილმა წევრებმა აღნიშნეს, რომ სასამართლომ ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება კი არ უნდა შეაფასოს, არამედ უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ეს სასაკოლო სახელმძღვანელო კონვენციის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციით დაწესებულ დაცვის ინსტრუმენტებს სუბსიდიური ხასიათი აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემებთან მიმართებით. კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი მხოლოდ მაშინ უნდა ამოქმედდეს, როდესაც სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობა ამოიწურება.

შეუძლებელია, საზოგადოებრივი ზნეობის თაობაზე ერთიანი ევროპული შეხედულება არსებობდეს. მონაწილე სახელმწიფოებში ზნეობრივი მოთხოვნები შეიძლება იცვლებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით, თანამედროვე ეპოქაში. ადგილობრივმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სიტყვა „აუცილებელია“, მართალია, არ არის „შეუცვლელის“ სინონიმი, მაგრამ მას არ ახასიათებს ის მოქნილობა, რაც მაგალითად, აქვს სიტყვებს: „დასაშვებია“, „როგორც წესი“, „მიზანშეწონილია“ და ა.შ. სიტყვა „აუცილებელია“ გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური მოთხოვნების“ არსებობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს გარკვეულ დისკრეციულ უფლებას უტოვებს იმის განსაზღვრისას, თუ რას ნიშნავს ტერმინი „აუცილებელია“. მიუხედავად ზემოთქმულისა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მათ შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა უფლებამოსილი, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რამდენად შეესაბამება მონაწილე სახელმწიფოების მიერ დაწესებული შეზღუდვები კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება როგორც შიდასახელმწიფოებრივი დისკრეციული უფლებამოსილება, ისე კანონმდებლობა და აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

კონტროლის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელ უმთავრეს პრინციპებს. კონვენციის მე-10 მუხლის

პირველი პუნქტით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი საყრდენთაგანია და მისი პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც არის. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხედებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღლევებელია. სწორედ ასეთია შემწყნარებლობის, ლიბერალიზმისა და პლურალიზმის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვის თავისუფლების სფეროში ნებისმიერი „პირობის“ დაწესება, „ჩარევა“ თუ „სასჯელი“ დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლების განხორციელებისას ნებისმიერ პირს შეიძლება დაეკისროს ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რომელთა მოცულობაც დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რომელშიც ეს პირი იმყოფება; აგრეთვე, მის მიერ გამოყენებულ გამოხატვის საშუალებებზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ასეთი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი ამოცანაა არა ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება, არამედ მათი გადაწყვეტილებების შესაბამისობის დადგენა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება იზოლირებულად კი არა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს. სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტების სრულყოფილი ანალიზის შედეგად უნდა დაადგინოს, რამდენად პროპორციული და ეფექტურია მთავრობის მიერ გამოყენებული შეზღუდვა.

ზემოაღნიშნული მეთოდის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს ლონდონის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია სასკოლო სახელმძღვანელოს მკითხველთა წრე. წიგნი განკუთვნილი იყო ბავშვებისთვის და 12-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის. საჩივრის წარმდგენმა განმარტა, რომ ამ სახელმძღვანელოს ფართოდ გავრცელებას აპირებდა.

როგორც ეროვნული სასამართლოც ადასტურებს, სახელმძღვანელოს მეშ-

ვეობით გამოქვეყნებული ინფორმაცია ფაქტობრივი ხასიათის იყო და, ძირითადად, სინამდვილეს შეესაბამებოდა. ამავე დროს, წიგნის ერთ-ერთ თავში მოცემულ მოსაზრებებს შეიძლება მოზარდი თაობა წაეხალისებინა მათთვის საზიანო და ნაადრევი ქმედებებისკენ, აგრეთვე, ზოგიერთი დანაშაულის ჩასადენად. იმის მიუხედავად, რომ ზნეობისა და განათლების შესახებ მოსაზრებები ინგლისურ საზოგადოებაში მუდმივად ვითარდება, ინგლისელმა მოსამართლეებმა დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენეს და წიგნის აკრძალვა საზოგადოებრივი ზნეობის დასაცავად აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ 1959/1964 წლის კანონის ძირითადი ამოცანა – „ახალგაზრდობის ზნეობის დაცვა“ – კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი ლეგიტიმური მიზანია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, „აუცილებელი“ იყო თუ არა ჩარევა „დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრების უმცირესობამ ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ წიგნი აკრძალული არ ყოფილა ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში და მენის კუნძულზე. 1971 წლის ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება რეალური „აუცილებლობიდან“ არ გამომდინარეობდა, ხოლო ინგლისის დისკრეციული უფლებამოსილების მიღმა მოქმედებდა.

საჩივრის წარმდგენმა და მოსამართლეთა უმცირესობამ მიუთითეს, რომ წიგნის დანიური ორიგინალი და მისი სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ეგზემპლარები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იყიდებოდა.

მოსამართლეთა უმრავლესობამ კი მიიჩნია, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება და „შეზღუდვისა“ და „სასჯელის“ შერჩევის უფლება. სახელმწიფოებს უფლება აქვთ, კონკრეტული სიტუაციისა და ტერიტორიის მიხედვით გადანყვიტონ საზოგადოებრივი მორალის დაცვის საკითხი. სხვა ქვეყნების მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს, რომ ინგლისმა „შეზღუდვის“ დაწესებით კონვენცია დაარღვია.

საქმის ყველა გარემოებაზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი ვერ დაადგინა.

1976 წელი

„სანდი ტაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ფაქტები: 1959-1962 წლებში ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია, „დისტილერსი“ აწარმოებდა და ყიდდა მედიკამენტებს, რომლებიც ნივთიერება „ტალიდომიდი“ შეიცავდა. ეს მედიკამენტები ორსული ქალებისთვისაც იყო განკუთვნილი. 1959-1962 წლებში ბევრი ახალშობილი სერიოზული დეფორმაციით და დაავადებებით დაიბადა – ტკივილგამაყუჩებელი ნაშლის „ტალიდომიდის“ გამოყენების გამო. ბავშვების მშობლებმა ზიანის ასანახლაურებლად კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მხარეთა შორის მოლაპარაკება რამდენიმე წელი გაგრძელდა. ყველა გაზეთმა, „სანდი ტაიმსის“ ჩათვლით, გააშუქა ეს საკითხი. 1971 წელს მხარეებმა წამოიწყეს მოლაპარაკებები თანდაყოლილი სიმახინჯის მატარებელი ბავშვებისათვის საქველმოქმედო ფონდის დასაარსებლად. 1972 წელს „სანდი ტაიმსმა“ დაბეჭდა სტატია, სათაურით „ჩვენი ტალიდომილი ბავშვები: ეროვნული სირცხვილის მიზეზი“. სტატიაში კომპანია გაკრიტიკებული იყო, ერთი მხრივ, მსხვერპლთათვის გადახდილი თანხის დიდი მოცულობის გამო და, მეორე მხრივ, საქველმოქმედო ფონდში კომპანიის მიერ გადასარიცხად განსაზღვრული თანხის სიმცირის გამო. „სანდი ტაიმსის“ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ გაზეთი მომავალშიც გააგრძელებდა ამ ტრაგედიის გარემოებების აღწერას და შემოგვთავაზებდა ინფორმაციას იმის შესახებ, ჩატარდა თუ არა სათანადო ტესტები ნაშლის გავრცელებამდე; აგრეთვე, იცოდა თუ არა კომპანიამ, რომ „ტალიდომიდი“ უარყოფით გავლენას იქონიებდა ჩანასახის ჯანმრთელობაზე.

„დისტილერსის“ წარმომადგენლებმა გენერალური პროკურორის ოფისის მიმართეს. მათ მოითხოვეს შუამდგომლობის დაყენება სასამართლოში, რათა გაცემულიყო შემზღუდველი ბრძანება, რომლითაც „სანდი ტაიმსს“ აუკრძალავდა ამ საქმის გაშუქებას – სასამართლოში საკითხის განხილვამდე. კომპანიის მოთხოვნით, გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა გაზეთის წინააღმდეგ ბრძანების მისაღებად. პროკურორი ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ გამოსაქვეყნებელი სტატიის შინაარსი ხელს შეუშლიდა სასამართლოს მეშვეობით სიმართლის დადგენას. ბრძანება გაიცა და, მის შესაბამისად, „სანდი ტაიმსმა“ აღარ გამოაქვეყნა სტატია. სადავო სტატია შეიცავდა ინფორმაციას ნაშლის წარმოებაზე, ტესტირებასა და დისტრიბუციაზე, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ კომპანიამ წამალი დაამზადა და გაყიდა ზოგიერთი ექსპერტის მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად. სასამართლოს ბრძანება მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, აკრძალვა ძალაში დატოვეს. შემზღუდველი ბრძანება მხოლოდ 1976 წელს გაუქმდა, როდესაც საქმეზე ბოლო მორიგება დასრულდა.

აღნიშნული საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1979 წელს განიხილა. მომჩივანს წარმოდგენდა ინგლისური გაზეთი „სანდი ტაიმსი“, ხოლო მოპასუხეს – გაერთიანებული სამეფო.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: ევროსასამართლომ თავდაპირველად იმის განხილვა დაიწყო, იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „კანონი“ მოიცავს როგორც საკანონმდებლო აქტებს, ასევე პრეცედენტულ სამართალსაც. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ ნორმები საერთო სამართლის ნორმებია და არ არის ასახული საკანონმდებლო აქტებში. მოსარჩლე ამ საქმეში ამტკიცებდა, რომ „კანონით გათვალისწინებული“ გულისხმობს საკანონმდებლო აქტის არსებობას. სასამართლომ დაადგინა, რომ ტერმინი „კანონით გათვალისწინებული“ გულისხმობს ორ მოთხოვნას: კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩლეს საშუალება ჰქონდა, განეჭვრიტა საკუთარი ქმედების შედეგები. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით.

„სანდი ტაიმსის“ საქმეში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სტატიის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ სასამართლო ბრძანება გაამართლა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის დაცვით და სასამართლო თანამდებობის პირებისადმი ნდობის შენარჩუნებით. სასამართლო დაეთანხმა მოპასუხეს, რომ მას გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი, რათა დაეცვა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, – რადგან პუბლიკაციას წინასწარ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებაზე, ასევე სტატია ზენოლას მოახდენდა კომპანია „დისიტილერსზე“ მოლაპარაკებების პროცესში.

ამის შემდეგ სასამართლომ იმის გარკვევა დაიწყო, თუ რამდენად იყო შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ საკითხის განხილვა დაიწყო იმის შეხსენებით, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს“ და ეს რეალობა ესადაგება არამართო ისეთ ინფორმაციას, რომლის მიღება „სასამართლო ან უწყინარია, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკს მოჰგვრის ან ააფორიაქებს სახელმწიფოს თუ მოსახლეობის რომელიმე სექტორს“.

„ეს პრინციპები... თანაბრად შეესაბამება მართლმსაჯულების ადმინისტრირების სფეროს, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და მოითხოვს თანამშრომლობას საქმეში ჩახედულ ხალხთან. ეს იმ ფაქტის აღიარებაა, რომ

სასამართლოებს არ შეუძლიათ ვაკუუმში მოქმედება. უფრო მეტიც, სანამ მართლმსაჯულების ჭეშმარიტი ადმინისტრირებისათვის დაწესებულ საზღვრებს არ გადააბიჯებს, მანამ მასმედია ვალდებულია, გაავრცელოს ის ინფორმაცია და იდეები, რომლებიც განიხილება სასამართლოზე ან საჯარო ინტერესების მატარებელ სხვა სფეროებში. არამართო მასმედიას აქვს ინფორმაციისა და აზრების გაავრცელების ვალდებულება: ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ისინი“.

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ შენიშნა, რომ „სალიდომიდის უბედურება“ უეჭველად წარმოადგენდა საჯარო ინტერესის საგანს. დაბოლოს, ტრაგედიასთან დაკავშირებულ ოჯახებს, ისევე, როგორც ზოგადად საზოგადოებას, ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების გაცნობის უფლება.

ინტერესთა დაბალანსებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ გაზეთის წინააღმდეგ მიღებული ბრძანება „არ ეფუძნებოდა იმდენად ძლიერ სოციალურ მოთხოვნას, რომელიც ბალანსს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გადაწყვეტდა... შეზღუდვა არ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის პროპორციულს და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ავტორიტეტულობის შესანარჩუნებლად“.

1979 წელი

ბარტოლდი გერმანიის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნული საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1985 წელს განიხილა. მომჩივანი იყო გერმანელი ვეტერინარი ბარტოლდი, ხოლო მოპასუხე კი – გერმანია.

მომჩივანი, ქირურგი-ვეტერინარი, დაავადებული კატების პატრონების ბოლო ნუგეში იყო, რადგან ერთადერთი სასწრაფო დახმარება ჰამბურგში მხოლოდ მას ჰქონდა. ბარტოლდის მიერ მიცემული ინტერვიუს საფუძველზე, ჟურნალისტმა მოგვიანებით დაწერა სტატია რეგიონში ამ შინაური ცხოველის კეთილდღეობის შესახებ.

სტატია განიხილავდა ღამის საათებში ვეტერინარების ხელმისაწვდომობის პრობლემას. სტატია აღწერდა ერთ კონკრეტულ ინციდენტს, როდესაც კატის პატრონები ცდილობდნენ, დაკავშირებოდნენ ორ ვეტერინარს და სასწრაფო დახმარების სამსახურს, თუმცა ვერ შეძლეს მათგან დახმარების მიღება კრიტი-

კულ მდგომარეობაში მყოფი კატისთვის, ვიდრე საქმეში არ ჩაერია მომჩივანი. ამას შემდეგ სტატიამი განხილული იყო ლამის პერიოდში შესაბამისი ვეტერინარული დახმარების მიღების შესაძლებლობის საკითხი და გამოქვეყნებული იყო მომჩივანის ფოტო.

ბარტოლდის კონკურენტებმა აღძრეს სარჩელი მის წინააღმდეგ არაკეთილ-სინდისიერი კონკურენციის ბრალდებით, რადგან მან ხალხი თავის სასარგებლოდ განაწყო. გერმანიის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მართლაც ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერ რეკლამას. შესაბამისად, ვეტერინარს აეკრძალა მომავალში მსგავსი შინაარსის შემცველი რეკლამის განთავსება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბარტოლდმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაასაჩივრა.

გადაწყვეტილება: ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო რეკლამა უფრო საჯარო ინტერესის საგანს ეხებოდა, ვიდრე მხოლოდ კომერციულს, ამიტომ ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოდ ჩაითვა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: „...[ბარტოლდის განაჩენი] შეიცავს იმის რისკს, რომ თავისუფალი პროფესიის ადამიანებმა გული აიცილონ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის მიწოდებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთ ინფორმაციას ახასიათებს სიცრუის მალალი ალბათობა. ამავე თვალსაზრისით, იმ კრიტერიუმებს, რომელთაც შეიცავს განაჩენი, შეუძლიათ, ხელი შეუშალონ პრესას თავისი - როგორც ინფორმაციის მომპოვებლის და საზოგადოებრივი დარაჯის - როლის შესრულებაში.“

სასამართლოს აზრით, ზედსართავი „აუცილებელი“ არ არის სინონიმი სიტყვისა „indispensable“; ასევე, ის არ მიესადაგება ისეთ გამონათქვამებს, როგორიცაა „მისაღები“, „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „გონივრული“ ან „სასურველი“. ეს ზედსართავი „ძლიერ სოციალურ მოთხოვნილებას“ გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, ნევრი ქვეყნები დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობენ, მაგრამ ეს უფლებამოსილება მკაცრად ექვემდებარება ევროსასამართლოს ზედამხედველობას, რაც დიდწილად განისაზღვრება კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების შეფასებით; საბოლოო ჯამში, მაინც სასამართლოს გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ესადაგება კონკრეტული ჩარევა ამგვარ მოთხოვნილებას, რამდენად წარმოადგენს ის „კანონიერი მიზნის პროპორციულს“ და რამდენად არის „რელევანტური და საკმარისი“ ეროვნული მთავრობის მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები.

უფრო მეტიც, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფ-

ლებას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში, სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბაზისს და მისი პროგრესის ერთ-ერთ ბაზისურ პირობას. ამიტომ, ამ თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი მიზნები მკაცრად უნდა განისაზღვროს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აკრძალვის ბრძანება იყო შეზღუდული ხასიათის და მომავალში ის უნარჩუნებდა მომჩივანს მის უფლებას, რომ გამოეთქვა მოსაზრება ჰამბურგში ლამის საათებში ვეტერინარი ქირურგების მომსახურებასთან დაკავშირებით, თუნდაც, სახელი მიეთითებინა, ან ფოტო გამოექვეყნებინა და გაევერცხლებინა ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ვეტერინალური კლინიკის დირექტორი იყო.

თუმცა სასამართლომ არ გაამართლა აკრძალვის განჩინება იმ მოტივით, რომ ის მომჩივანს უკრძალავდა რაიმე სტატიის გამოქვეყნებას საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების შესახებ.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აკრძალვის ბრძანება არ იყო პროპორციული კანონიერი მიზნისა და შესაბამისად, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებების დასაცავად“.

1985 წელი

ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩელე ლინგენსმა, რომელიც ვენის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი იყო, 1975 წლის ოქტომბერში, ავსტრიის მთავარი არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა ორი სტატია, სადაც აკრიტიკებდა არჩევნებში გამარჯვებულ ფედერალურ კანცლერ ბრუნო კრაისკის. კრიტიკა ეხებოდა კანცლერის გადაწყვეტილებას, კოალიცია შეექმნა იმ პარტიასთან, რომელსაც ნაცისტური წარსულის მქონე ადამიანი ხელმძღვანელობდა. სტატიაში მხილებული იყო კანცლერის მიერ ყოფილი ნაცისტებისათვის სისტემატიური პოლიტიკური თანადგომის განცხადების მცდელობაც. კანცლერის ქცევა შეფასებული იყო, როგორც „ამორალური“ და „უღირსი“. კანცლერის კერძო საჩივრის საფუძველზე, ავსტრიის სასამართლოებმა ეს განცხადებები შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს და ჟურნალისტი დააჯარიმეს 15 000 შილინგით.

ევროპულმა სასამართლოებმა გადაწყვიტეს, რომ ჟურნალისტმა ვერ შეძლო

დამტკიცებინა თავისი ბრალდების სიმართლე. კანცლერის სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, თუმცა სასამართლოებმა გასცეს ბრძანება ჟურნალის ეგზემპლარების დაყადაღებისა და ჟურნალის ხარჯით სასამართლო გადანყვეტილების დაბეჭდვის შესახებ. მისტერ ლინგენსმა ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული ზომები არღვევდა მე-10 მუხლს. ავსტრიის მთავრობა კი ამტკიცებდა, რომ გამოყენებული ზომები გამიზნული იყო კანცლერის რეპუტაციის დასაცავად..

ლინგენსმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა.

გადანყვეტილება: ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი. სასამართლომ ავსტრიის სახელმწიფოს დააკისრა 284,538.60 შილინგის გადახდა ლინგენსის სასარგებლოდ.

მოტივაცია: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის სასამართლოების მიდგომა მცდარი იყო, რადგან მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია; ამიტომ, არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრებების სისწორის დამტკიცება დაევალოს. ჟურნალისტის ბრალდების საფუძველზე მითითებით, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა პოლიტიკური დებატების დროს პრესის თავისუფლების მნიშვნელობა: „ამ პრინციპებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს, რადგან პრესას ეხება. მაშინ, როდესაც პრესა მოვალეა, არ გადააბიჯოს დაწესებულ საზღვრებს, მათ შორის, „სხვათა რეპუტაციის დაცვის“ სახით, ის არასდროს არის ვალდებული, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდოს იმგვარადვე, როგორც ამას აკეთებს საჯარო ინტერესის სხვა სფეროებში. ინფორმაციის მიწოდების ამოცანა არამარტო პრესის წინაშე დგას: ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ არ გაიზიარა ვენის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში გამოხატული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „პრესის ამოცანა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაა, ხოლო ინტერპრეტირება მკითხველს უნდა მივანდოთ“.

იმავე გადანყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ პრესის თავისუფლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბოს აზრი ამა თუ იმ პოლიტიკოსის იდეების ან პოზიციის შესახებ; პოლიტიკური დებატების თავისუფლება კი დემოკრატიული საზოგადოების არსია. სწორედ ამიტომ ანიჭებს სასამართლო პრესას მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ძლიერ დაცვას პოლიტიკურ დისკუსიებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ლინგენსის საქმეში სასამართლომ პროპორციულობის პრინციპის საფუძველ-

ზე დააბალანსა სიტყვის, პრესის თავისუფლება და მაღალი თანამდებობის პირის უფლება რეპუტაციაზე.

იმის განხილვისას, აუცილებელი იყო თუ არა სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპი განავითარა და დაადგინა, რომ პოლიტიკოსებმა მედიის მხრიდან კრიტიკისას დიდი თავშეკავება უნდა გამოამჟღავნონ. მანვე განმარტა, თუ რატომ: „პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს საუკეთესო საშუალებას, პოლიტიკური ლიდერების პოზიციებისა და იდეების შესახებ საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს. უფრო ზოგადად, პოლიტიკური დებატების თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ბირთვს, რასაც კონვენციის უპირატესი ადგილი უკავია. ასატანი კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსისთვის გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ინდივიდისთვის. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, პირველი გარდაუვლად და გაცნობიერებულად დებს თავის ყოველ სიტყვას საზოგადოების სამსჯავროზე და, შესაბამისად, შემწყნარებლობის მაღალი ხარისხიც უნდა გამოავლინოს.“

პოლიტიკოსის რეპუტაციის დაცვა სასამართლომ არ გამორიცხა, მაგრამ განაცხადა, რომ „ასეთ შემთხვევებში დაცვის მოთხოვა შეპირისპირებული უნდა იყოს პოლიტიკური საკითხების შესახებ საჯარო დისკუსიის ინტერესებთან“. კანცლერის რეპუტაციის წინააღმდეგ სიტყვის თავისუფლების დაბალანსებისას სასამართლომ ყურადღება მიაქცია დაპირისპირებული საკითხების პოლიტიკურ კონტექსტს: „სადავო გამოხატვები განხილულ უნდა იქნეს პოსტსაარჩევნოდ განვითარებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე. ამ ბრძოლაში თითოეულმა გამოიყენა ის იარაღი, რაც გააჩნდა; და მწვავე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, ამაში უჩვეულო არაფერია“.

პრესის თავისუფლებაზე მოსარჩლის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის შეფასებისას სასამართლომ განაცხადა: „როგორც მთავრობამ აღნიშნა, სადავო სტატიები იმ დროს უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, ასე რომ, თუმცა ავტორის წინააღმდეგ მიღებული სანქცია, უხეშად რომ ვთქვათ, ვერ შეუშლიდა მას ხელს საკუთარი თავის გამოხატვაში, ეს სანქცია მაინც გადაიქცეოდა ერთგვარ შეზღუდვად, რაც ჟურნალისტს აიძულებდა, მომავალში ამგვარი კრიტიკისაგან თავი შეეკავებინა. მსგავსი სანქცია ჟურნალისტს გადააფიქრებინებს, რომ საჯარო დისკუსიაზე გაიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზეგავლენის მქონე საკითხები. ამგვარ სანქციას შეუძლია, ხელი შეუშალოს ჟურნალისტს, როგორც ინფორმაციის მომპოვებელსა და საზოგადოებრივ დარაჯს.“

ავსტრიის სასამართლოების მიდგომა ფაქტების სიზუსტის მტკიცებასთან და-

კავშირებით სასამართლომ არასწორად მიიჩნია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა „ფაქტებსა“ და „შეფასებით მსჯელობებს“ შორის არსებული განსხვავება და დასძინა, რომ „შეფასებითი მსჯელობის“ სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. მოსარჩლის მოსაზრებები კანცლერის პოლიტიკური ქცევების შესახებ წარმოადგენდა უფრო აზრებისა და შეტყობინების მარტივ გამოხატულებას, ვიდრე ინფორმაციის გაცემის უფლებას. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება, მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობების სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე. სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ ფაქტები, რომლებზეც მისტერ ლინგენსმა თავისი შეფასებითი მსჯელობა დააფუძნა, არ იყო საკამათო, რადგანაც იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. დაბალანსების პროცესის დასრულებისას სასამართლომ დაადგინა, რომ მისტერ ლინგენსის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა რეპუტაციის დასაცავად; ის იყო არაპროპორციული კანონიერი მიზნისა».

1986 წელი

მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ

ფაქტები: 1981 წელს შვეიცარიის ქალაქ ფრაიბურგში რამდენიმე მხატვარმა მოაწყო თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, რომელიც დაემთხვა ფრაიბურგის კანტონის შვეიცარიის კონფედერაციასთან შეერთების იუბილეს. გამოფენის გახსნამდე მასმედიით და სხვა საშუალებებით მისი ფართო რეკლამირება ხდებოდა. გამოფენაზე, სხვა ნამუშევრებთან ერთად, ბატონმა მიუღერმა გამოიტანა სამი ტილო, რომლებზეც აღწერილი იყო ორალური სექსი, ზოოფილური და სოდომური სცენები. გამოფენა ასაკის შეუზღუდავად, უფასოდ იყო ხელმისაწვდომი ფართო პუბლიკისათვის. გამოფენის გახსნის დღეს ოლქის პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა გამოძიების მოსამართლეს და მოითხოვა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად, გამოფენის დახურვა და ნამუშევრების კონფისკაცია. პროკურორი ეყრდნობოდა ერთ-ერთი მამაკაცის ჩვენებას. მისი შვილი იმდენად შეურაცხყოფილი დარჩა ნამუშევრების ხილვით, რომ საკმაოდ აგრესიული და ძალადობრივი რეაქცია გამოავლინა. იმავე დღეს გამოძიების მოსამართლემ მოინახულა გამოფენა, მის ორგანიზატორებს

ტილოების ჩამოსხნა უბრძანა და დააყადაღა ისინი. ამ გადაწყვეტილების აპელაცია ზემდგომმა სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. მოგვიანებით, მიუღერი და სხვები სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად (კოდექსის ეს მუხლი დანაშაულად აცხადებს შეურაცხმყოფელი ხელნაწერების, სურათების და ფილმების ქონას მათი გაყიდვის, გავრცელების ან საჯაროდ გამოფენის მიზნით), დამნაშავეებად ცნეს და დააჯარიმეს. რაც შეეხება ტილოებს, ისინი თავდაპირველად დააყადაღეს, შემდეგ კი დააბრუნეს. დაყადაღებული ნახატები შესანახად ხელოვნების მუზეუმში გადაგზავნეს, თუმცა როცა ეს ტილოები ბატონ მიუღერს მაინც დაუბრუნეს, მან და გამოფენის ორგანიზატორებმა კომისიაში იჩივეს. მათ განაცხადეს, რომ დაჯარიმებით, ისევე, როგორც დაყადაღებით, დაირღვა მათი სიტყვის თავისუფლება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა და ეროვნული მოსამართლეების მოსაზრება ნახატების მავნე სექსუალური ზეგავლენის შესახებ გონივრული იყო.

მოტივაცია: თავდაპირველად სასამართლო შეეხო მეათე მუხლის გავრცელებას ხელოვნების სახვით გამოხატვაზე. სასამართლომ აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ მეათე მუხლში არაფერია ნათქვამი ხელოვნების სახვით გამოხატვის თავისუფლებაზე, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მეათე მუხლი გამოხატვის სხვადასხვა ფორმას არ ასხვავებს. ამრიგად, სასამართლოს წინაშე წარმდგარი ყველა მხარე აცნობიერებს იმას, რომ მეათე მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ხელოვნების სახვით გამოხატვასაც, რადგან ინფორმაციის გავრცელება და მიღება, რაც მეათე მუხლშია აღნიშნული, მოიცავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას კულტურის, პოლიტიკის, სოციალურ საკითხებს და ხელოვნების სფეროს შესახებ.

სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა ამ კონკრეტულ საქმეში კანონით იყო დადგენილი. სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი აკმაყოფილებდა სასამართლოს მიერ შემუშავებულ სტანდარტებს კანონის განჭვრეტადობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ეს დასკვნა გააკეთა იმის საფუძველზე, რომ სადავო კანონის მუხლი მრავალჯერ იყო გამოყენებული და განმარტებული ფედერალური სასამართლოების მიერ და შესაბამის გადაწყვეტილებებს საზოგადოებაც იცნობდა. ამ განმარტებებით ხელმძღვანელობდნენ ქვედა ინსტანციის სასამართლოებიც.

სასამართლომ ასევე დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა განეხორციელებინა. ეს ლეგიტიმური ინტერესი მდგომარეობდა სხვათა ინტერე-

სების და მორალის დაცვაში, რაც, სასამართლოს თვალთახედვით, გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერმინი „აუცილებელი“ გულისხმობს „ძლიერი სოციალური აუცილებლობის“ არსებობას. წევრ სახელმწიფოებს თავისუფალი მოქმედების გარკვეული ფარგლები აქვთ იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აღნიშნული აუცილებლობა. თუმცა, ეს დისკრეცია არსებობს ევროპულ ზედამხედველობასთან ერთად, რომელიც მოიცავს სასამართლოების გადანყვეტილებებს და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებს. მიუღერის საქმეში ეროვნული ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა სასამართლომ მიიჩნია გონივრულად და, „მორალის“ დაცვის მიზნიდან გამომდინარე, „საჭიროდ დემოკრატიულ სახელმწიფოში“.

იმის დასადგენად, იყო თუ არა სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო შეეხო მორალის ერთიანი კონცეფციის არარსებობას წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ „მორალის“ საკითხის გადანყვეტის დროს ეროვნული სასამართლოები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეები, რადგან ეროვნულ მოსამართლეს პირდაპირი შეხება აქვს საკუთარი ქვეყნის რეალობასთან. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „ნახატები უხეშად გამოხატავდნენ სექსუალურ ურთიერთობას, კერძოდ კი - ადამიანებსა და ცხოველებს შორის... მთელ საზოგადოებას ჰქონდა თავისუფალი დასწრების საშუალება, რადგან ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს რაიმე ასაკობრივი ან ფინანსური შეზღუდვა. ნახატები გამოფენაზე გამოტანილი იყო შეუზღუდავად, მთელი საზოგადოების წინაშე“.

სასამართლომ გადანყვიტა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა კანონიერი უფლება, რომ „მორალის“ დაცვის „აუცილებელ“ ზომად ჯარიმის დაკისრება განესაზღვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნახატების დაყადაღება ასევე „აუცილებელი“ იყო მათი საჯარო დემონსტრირების აღსაკვეთად. როდესაც სასამართლომ ეს გადანყვეტილება მიიღო, იქვე აღნიშნა, რომ მხატვარს ნებისმიერ დროს შეეძლო, მოეთხოვა ნახატის დაბრუნება, რადგან ყადაღა დროებითი იყო.

1988 წელი

Markt Intern Verlag GmbH-ი და კლაუს ბირმანი გერმანიის წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩლე, რომელიც საგამომცემლო კომპანიას წარმოადგენდა, გამოსცემდა ჟურნალს, რომელიც განკუთვნილი იყო მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტებისთვის. ამგვარ ობიექტებს დიდ კონკურენციას უწევდნენ მსხვილი სუპერმარკეტები და დიდი სავაჭრო ქსელები. 1975 წელს ჟურნალში დაიბეჭდა სტატია ინგლისური კომპანიის შესახებ, რომელიც საფოსტო შეკვეთებით პარფიუმერიას ყიდდა. სტატიაში მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ ვერ მიიღო ვერც პარფიუმერია, ვერც საკუთარი ფული და ვერც რაიმე კომპენსაცია ადგილობრივმა გერმანელმა ქიმიკოსმა ქალბატონმა, რომელმაც კომპანიას პროდუქცია ფოსტით შეუკვეთა. ჟურნალმა კომენტარი სთხოვა ამ კომპანიას, რომლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არაფერი იცოდა ამ ფაქტის შესახებ და პირობა დადო, რომ აუცილებლად გამოიძიებდა მას. გერმანულმა სასამართლომ, ინგლისური კომპანიის მოთხოვნით, მოსარჩლის წინააღმდეგ გასცა შემზღუდველი ბრძანება, რითიც მათ აეკრძალათ მსგავსი ინფორმაციის გაცემა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა გერმანიის კანონს „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“. მოსარჩლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა არც აპელაციისას და არც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

მოსარჩლეებმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართეს, სადაც დაობდნენ, რომ შემზღუდველი ბრძანების გაცემით დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი.

საჩივრის წარმდგენის აზრით, განხორციელებული ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“ არ ყოფილა, რადგან ასეთი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. გერმანიის კანონმდებლობაში ნათლად არ არის გამიჯნული სიტყვის თავისუფლება და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

მთავრობის წარმომადგენელი კი ამტკიცებდა, რომ 1909 წელს მიღებული კანონის ამ კუთხით გამოყენების მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა არსებობს, რაც საჩივრის წარმდგენსაც უნდა სცოდნოდა.

გადანწყვეტილება: სასამართლომ ცხრა ხმით ცხრის წინააღმდეგ (თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმით) დაადგენა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხშირად კანონები აბსოლუტური სიზუსტით არ არის ჩამოყალიბებული. ეს განსა-

კუთრებით ეხება ანტიმონოპოლურ კანონმდებლობას, სადაც სიტუაცია მუდმივად იცვლება საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით კი გერმანიაში საკმარისი სასამართლო პრაქტიკა არსებობს, რათა კომერციის სფეროში მომუშავე პირებმა შეძლონ საკუთარი ქმედების შედეგების წინასწარ განჭვრეტა.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს 1980 წლის გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ „ჩარევის“ მიზანი იყო „სხვათა უფლებების“ დაცვა. ეს მიზანი კი კანონიერია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 მუხლის შესაბამისად.

საჩივრის წარმდგენი ამტკიცებდა, რომ ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. კომისიამ ეს პოზიცია გაიზიარა.

მთავრობის მოსაზრებით, საჩივრის წარმდგენის მიერ გამოქვეყნებული ბიულეტენი მიზნად არ ისახავდა საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე დისკუსიის გამართვის ხელშეწყობას. მთავრობა ბიულეტენში გამოქვეყნებულ ინფორმაციას განიხილავდა არაკეთილსინდისიერ კონკურენციად, რომლის შესაბამისადაც, გამომცემლობა მოქმედებდა კონკრეტული ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ – ბაზარზე სხვა კომპანიის შესავინროებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ წვერი სახელმწიფოებისთვის დისკრეციული უფლებამოსილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომერციულ სფეროში, რათა სახელმწიფოებმა შეძლონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვა.

მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, იყო თუ არა ჩარევა მიზნის პროპორციული. ამისთვის მას ერთმანეთისათვის უნდა შეეპირისპირებინა „სხვათა რეპუტაციისა და უფლებების“ დაცვის მნიშვნელობა და ამ ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნების უფლება.

საჩივრის წარმდგენის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ გარკვეული დადებითი შედეგი გამოიწვია. თავის მხრივ, კომპანიამ თავისი დაპირება შეასრულა და მომხმარებელთა 11 870 საჩივარი დააკმაყოფილა. გერმანიის შესაბამისმა სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას პროპორციულობის პრინციპი გამოიყენა.

ბიზნესის სფეროში ამა თუ იმ პირის საქმიანობაზე ინფორმაციის მიღება კონკურენტი კომპანიების ბუნებრივი ინტერესის საგანია. კომპანიის კომერციული სტრატეგია და მისი აღსრულების საკითხი, შესაძლებელია, მომხმარებელთა მხრიდან კრიტიკის ობიექტიც გახდეს. ამიტომ, სპეციალიზებულ პრესას შესაძლებლობა უნდა მიეცეს, მომხმარებელთათვის საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნოს და ამით ბიზნესის გამჭვირვალობას შეუწყოს ხელი.

ამავე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება უნდა შეიზღუდოს, თუნდაც, ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ეს განპირობებულია სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობისა

და კომერციული საიდუმლოს დაცვის აუცილებლობით. ცალკეული გამოჩვეულებების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, რათა ეს გამოჩვეულებები საზოგადოებამ ზოგად წესად არ აღიქვას. კომერციულ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების შეფასებისას უნდა მოხდეს ყველა ამ ასპექტის გათვალისწინება.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის წარმდგენი ინგლისური კომპანიის კონკურენტი არ ყოფილა, თუმცა იგი მიზნად ისახავდა აფთიაქებისა და პარფიუმერული მალაზიების მფლობელთა ინტერესების დაცვას. მართალია, სტატიაში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი სინამდვილეს შეესაბამებოდა, მაგრამ ავტორი ეჭვქვეშ აყენებდა ინგლისური კომპანიის სანდოობას. სტატია სხვა მომხმარებლებსაც მოუწოდებდა, პირადი გამოცდილების საფუძველზე მოეწოდებინათ ინფორმაცია რეალური სიტუაციის შესახებ იმის შემდეგ, რაც კომპანიამ მომხმარებელთა პრეტენზიების დაკმაყოფილება იკისრა.

გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება არ იყო აუცილებელი, რადგან ინგლისურმა კომპანიამ პასუხისმგებლობა აიღო ყველა მომხმარებლის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე. თავად გამომცემლობისთვისაც კარგად იყო ცნობილი ის გარემოება, რომ ასეთ სიტუაციაში ინფორმაციის ნაადრევად გავრცელება გაუმართლებელი იქნებოდა და ინგლისურ კომპანიას არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ასეთი წინასწარი ინფორმაციის გავრცელება მცირე სავაჭრო ობიექტების უპირატესობას გამოკვეთდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს დისკრეციულ უფლებამოსილებათა საზღვრები არ დაურღვევიათ. კონვენციის მე-10 მუხლი ვალდებულებასა და პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მიღებული ზომები აუცილებელი იყო და, შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

1989 წელი

Autronic AG-ი შვეიცარიის წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩლეს ამ საქმეში წარმოადგენდა შვეიცარიაში ელექტრონიკის სფეროში ლიცენზირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Aut-

ronik-ი. 1980 წლისათვის კომპანია ყიდდა 90 სანტიმეტრიან სატელევიზიო ანტენებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სატელიტით გადაცემული პროგრამების მიღება. ამ პერიოდისთვის მსგავსი ანტენებით მიიღებოდა საბჭოთა კავშირის საკომუნიკაციო სატელიტის – ჰორიზონტის – მიერ გადაცემული პროგრამები. 1982 წლის გაზაფხულზე მოსარჩელემ მიმართა ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მთავარი ოფისის თანამდებობის პირს – იმ პროგრამების ნახვის ნებართვისთვის, რომელთა მიღებაც შესაძლებელი იყო ზემოხსენებული ანტენებით. კომისიამ ამის შესახებ მისწერა ბერნში საბჭოთა კავშირის საელჩოს, რომელმაც პროგრამების ტრანსლაციის ნებართვა მხოლოდ გამოფენის მიმდინარეობის პერიოდისათვის გასცა. 1982 წლის ზაფხულში მოსარჩელემ მსგავსი თხოვნით კვლავ მიმართა კომისიას სხვა სავაჭრო გამოფენასთან დაკავშირებით. თხოვნა კვლავ გაეგზავნა საბჭოთა კავშირის საელჩოს, მაგრამ მათ პასუხი არ გაუციათ. ამიტომ კომისიამ მოსარჩელეს შეატყობინა, რომ მას არ შეეძლო ნებართვის გაცემა, რადგან საბჭოთა მთავრობის თანხმობის გარეშე ტრანსლირება შვეიცარიის რადიონესების დარღვევა იყო. მოსარჩელემ კომისიას განუმარტა, რომ არაკოდირებული სატელევიზიო პროგრამების პერსონალურ მიღებას არ ესაჭიროებოდა სახელმწიფოს წარმომადგენლების თანხმობა და მოითხოვა გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, კომისიამ უარი განაცხადა და მოსარჩლის შემდგომი სააპელაციო განცხადებებიც არ დაკმაყოფილდა.

კომპანია Autronic AG ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ ჯერ კომისიის და შემდგომ სასამართლოების გადაწყვეტილებებით დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა.

მოტივაცია: თავდაპირველად სასამართლო საქმის განხილვა დაიწყო იმ კითხვით, იყო თუ არა ეს საქმე დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, თუ იგი მხოლოდ სატელიტური ანტენების კომერციულ გაყიდვას ეხებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს ყველა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირიც; და სასამართლოს პრეცედენტებიდან კარგად ჩანს, რომ ეს უფლება კომერციულ დაწესებულებებზეც ვრცელდება. სასამართლომ აქვე დაამატა, რომ მეათე მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსსა და იდეებს, არამედ – მისი გადაცემის ფორმებს და მეთოდებსაც.

ამ საქმეში მოსარჩლე დაობდა, რომ დაირღვა მისი უფლება, რომელიც მო-

იცავს ინფორმაციის მიღებას და გავრცელებას, საზღვრების მიუხედავად. სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სატელევიზიო პროგრამების მიღება მეათე მუხლის დაცვით სარგებლობს.

ამის შემდეგ, სასამართლო შეუდგა იმის განხილვას, იყო თუ არა ჩარევა „განსაზღვრული კანონით“. ამ საკითხზე სასამართლოს არ უმსჯელია, მაგრამ აღინიშნა, რომ სასამართლოს აზრით, ჩარევა არ არის გამართლებული.

რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, სახელმწიფო დაობდა, რომ ის ჩარევით ორ კანონიერ მიზანს იცავდა. პირველი მიზანი ტელეკომუნიკაციების სფეროში არეულობის და ქაოსის თავიდან აცილებაა. ამგვარი მიზნის დაცვა, თავის მხრივ, განპირობებულია სამი მიზეზით: 1. არსებული სიბშირეების შეზღუდული რიცხვი; 2. იმ ანარქიის თავიდან აცილება, რაც ინფორმაციის შეზღუდვამ გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს; 3. კულტურული და პოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა. მეორე ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც შვეიცარიის მთავრობა ეყრდნობოდა, მდგომარეობდა კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებაში: ტელეკომუნიკაციების საიდუმლო, რომელიც სატელევიზიო გადაცემებს მოიცავს, დაცულია ტელეკომუნიკაციების შესახებ საერთაშორისო კონვენციით. სასამართლო დაეთანხმა მთავრობის პოზიციას და აღნიშნა, რომ ამ საკმეში არსებობდა ლეგიტიმური მიზნის დაცვა.

ამის შემდეგ სასამართლო შეუდგა იმის განხილვას, აუცილებელი იყო თუ არა ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოსარჩლე თავდაპირველად დაობდა, რომ მისთვის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა არ იყო განპირობებული მძაფრი სოციალური მოთხოვნებით. იმის შემდეგ, რაც სამაჟისტრატული კომპანიები მოახდენდნენ პროგრამების კოდირებას, შეზღუდვა აღარ იქნებოდა აუცილებელი კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული დისკრეციით, რათა განსაზღვრონ ჩარევის აუცილებლობა; თუმცა, ეს დისკრეცია უნდა განხორციელდეს ევროპული ზედამხედველობის ქვეშ და ფასეულობების დაცვით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მან გადაწყვეტილების გადასინჯვისას მხედველობაში უნდა მიიღოს იმ დროისათვის არსებული რამდენიმე გარემოება, განსაკუთრებით კი უნდა გაითვალისწინოს ის ცვლილებები, რაც ბოლოხანს მოხდა სამართლებრივი და ტექნიკური განვითარების კუთხით. სამართლებრივი კუთხით განვითარება კი განპირობებულია 1989 წლის 5 მაისს ევროპის ტრანსსასაზღვრო მაჟისტრატის კონვენციის ხელმოწერით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ დროისათვის რამდენიმე სახელმწიფომ უკვე დაუშვა არაკოდირებული სატელევიზიო პროგრამების მიღება იმ სახელმწიფო წარმო-

მადგენლების თანხმობის გარეშე, სადაც სატელიტური მონყობილობებია განლაგებული. ეს უკანასკნელი რელევანტურია, რადგან საერთაშორისო ტრანს-სასაზღვრო ორგანიზაციებს ამაზე უარი არ განუცხადებიათ. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევას.

1990 წელი

Groppera Radio AG-ი შვეიცარიის წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩელეს წარმოადგენდა რადიოსადგური, მოპასუხეს კი – შვეიცარია.

წარდგენილი იყო კანონპროექტი, რომლითაც მოსარჩლის რადიოსადგურს ეკრძალებოდა საკაბელო გადამცემების გამოყენება. მოსარჩლე სამაუწყებლო კომპანიას ჰქონდა ძლიერი გადამცემი და ანტენა მთის მწვერვალზე იტალიაში, შვეიცარიის საზღვრიდან 6 კილომეტრის დაშორებით. მან დაიწყო რადიოპროგრამების გადაცემა შვეიცარიაში. მაუწყებლობა ხორციელდებოდა მხოლოდ ადგილობრივ შვეიცარულ დიალექტზე. მათ გადაეცათ სადგური კომპანიისგან, რომელსაც შეეძლო ლიცენზიის მოპოვება ადგილობრივი რადიოგადამცემებისთვის შვეიცარიაში, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა სახელმწიფო სამაუწყებლო მონოპოლია. მოსარჩლის მაუწყებლობის მიღება შეეძლოთ ავტომანქანებში რადიომიმღებებისა და სხვა პერსონალური მონყობილობების მფლობელებს, ისევე, როგორც საკაბელო კომპანიებს, რომლებიც შემდეგ სიგნალს საკუთარ მომხმარებლებს გადასცემდნენ. მოსარჩელეთა მიერ მაუწყებლობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ შვეიცარიის თანამდებობის პირებმა გამოსცეს ორდონანსი, რომელიც კერძო და საჯარო რადიომიმღებებისთვის, არსებული ლიცენზიის გარდა, მოითხოვდა ცალკე ლიცენზიას საერთო ანტენის ინსტალაციისთვის. საერთო ანტენის ლიცენზია უფლებას აძლევდა მის მფლობელს, რადიომაუწყებლობა განეხორციელებინა საერთაშორისო გადამცემების მეშვეობით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამებოდა საერთაშორისო წესებს. შედეგად, შვეიცარიის საკაბელო კომპანიების უმეტესობამ შეწყვიტა მოსარჩლის პროგრამების გადაცემა, თუმცა, ზოგიერთი საზოგადოებრივი გაერთიანება განაგრძობდა მათ ეთერში გაშვებას. მოგვიანებით ადგილობრივი ტელეკომუნიკაციების ოფისმა შეატყობინა ერთ-ერთ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომ მას მოუხდებოდა

მოსარჩლის მაუწყებლობის გადაცემის შეწყვეტა, ვინაიდან ეს არ შეესაბამებოდა მოქმედ საერთაშორისო ნორმებს. ამ გაერთიანებამ და მისმა ორმა ხელმომწერმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. მათ მოსარჩელებიც შეუერთდნენ. თუმცა საჩივრის განხილვამდე გადაცემს მეხი დაეცა და გადაცემა დროებით შეწყდა. გასაჩივრება უშედეგო აღმოჩნდა იმის გამო, რომ მაუწყებლობა არ ხორციელდებოდა და, შესაბამისად, აპელანტების ინტერესი საქმეში არ ფიქსირდებოდა.

წამოიჭრა საკითხი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩლის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვას. მოპასუხე სახელმწიფო მიუთითებს, რომ გადაცემა არ უკავშირდება თავისუფალ გამოხატვას და, ამასთან, სადგურის მიერ გაშვებული მუსიკა არ შეიძლება ჩაითვალოს „ინფორმაციად ან მოსაზრებებად“.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: ეთერში პროგრამების გაშვებასა და ამავე პროგრამების კაბელის მეშვეობით გადაცემაზე ვრცელდება თავისუფალი გამოხატვის უფლება და არ არის საჭირო განსხვავების გაკეთება პროგრამის შინაარსის მიხედვით.

ამასთანავე, გამოყენებული ზომები წარმოადგენდა თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვას, რაც ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. სადავო იყო, თუ რამდენად „შეესაბამებოდა ეს კანონს“ და რამდენად „აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვის“.

სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიება დაშვებული უნდა იყოს კანონით, რომელიც იმდენად ხელმისაწვდომი და ზუსტია, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, ის შეიძლება ჩაითვალოს „კანონით გათვალისწინებულად“. სასამართლომ განმარტა, რომ ეს ცნება სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება:

წინასწარ განსაზღვრულობისა და ხელმისაწვდომობის ცნებების ფარგლები, გარკვეულწილად, დამოკიდებულია განსახილველი საშუალების შინაარსზე, სფეროზე, რომლისთვისაც ის განკუთვნილია და იმ პირთა სტატუსსა და რაოდენობაზე, რომლებზეც ვრცელდება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ საქმეში საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების სამართლის შესაბამისი დებულებები საკმაოდ რთული და ტექნიკური ხასიათის იყო; გარდა ამისა, ისინი ძირითადად განკუთვნილი იყო სპეციალისტებისთვის, რომლებიც ერკვეოდნენ ამ მექანიზმებში. ამასთან, ბიზნეს კომპანიისგან, რომელსაც, მოსარჩელის მსგავსად, საზღვარს მიღმა სურდა მაუნ-

ყებლობის განხორციელება, მოსალოდნელი იყო, რომ მოეპოვებინა სრული ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმის შესახებ; საჭიროების შემთხვევაში კი იურისკონსულტანტების დახმარება გამოეყენებინა. შესაბამისი ხელშეკრულებები და ორდონანსები სრულად იყო გამოქვეყნებული და მოსარჩლეს ადვილად შეეძლო, საჭირო ნორმებს გაცნობოდა; მით უმეტეს, რომ ეს ნორმები საკმარისად გასაგებად და ზუსტად იყო ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდვა იყო „კანონით გათვალისწინებული“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ორდონანსის ამოქმედების შემდეგ საკაბელო კომპანიათა უმეტესობამ შეწყვიტა მოსარჩლის სადგურის ეთერში გაშვება. ამასთან, შვეიცარიას არ შეუშლია ხელი მწვერვალის გადამცემიდან მაუნყებლობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი სწვდებოდა როგორც იტალიას, ასევე საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირსაც. სადავო აკრძალვა დაუნესდა შვეიცარიის კომპანიას, რომლის ყველა ხელმომწერი შვეიცარიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და კვლავაც იღებდა პროგრამებს რამდენიმე სხვა სადგურიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიება შეიძლებოდა მიჩნეულიყო აუცილებლად კანონის უგულვებლყოფის თავიდან ასაცილებლად. ეს იყო არა ცენზურის ერთ-ერთი სახე, მიმართული აღნიშნული პროგრამების შინაარსის ან ტენდენციების წინააღმდეგ, არამედ იმ რადიოსადგურის მიმართ გატარებული ღონისძიება, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოს თანამდებობის პირებს ნამდვილად შეეძლოთ ჩათვალათ შვეიცარულ სადგურად, რომელიც ფუნქციონირებდა საზღვრის მეორე მხარეს – რათა გვერდი აეგლო შვეიცარიაში მოქმედი კანონით დადგენილი სატელეკომუნიკაციო სისტემისთვის. ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეზღუდვა იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის“.

1990 წელი

ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (N1)

ფაქტები: განმცხადებელმა და სხვებმა შეიტანეს სარჩელი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომელიც დაობდა, რომ ავსტრიელი ქალებისთვის საოჯახო დახმარება 50%-ით უნდა გაიზარდოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური მიზეზით განპირობებული აბორტები; რაც შეეხება ემიგრანტ დედებს, მათი დახმარება 50%-ით უნდა შემცირდეს. განმცხადებელმა სარჩელი გამოაქვეყნა გა-

ზეთში, რომლის რედაქტორიც თავად იყო. მან პოლიტიკოსის წინადადება ნაცისტების გამოცდილებას შეაძარა. პოლიტიკოსმა სარჩელი შეიტანა ჟურნალისტის წინააღმდეგ – კერძო დევნის საფუძველზე. რეგიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ დაადგინა გამოქვეყნებული განცხადების სიმართლე; ამის გამო, მას 5000 შილინგის გადახდა დააკისრა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ობერშლიკმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ მისთვის თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმის დაკისრებით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ თავდაპირველად ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა პოლიტიკური დებატების დროს პრესის თავისუფლების მნიშვნელობა: „ეს პრინციპები განსაკუთრებულია, რადგან პრესას ეხება. მაშინ, როდესაც პრესა მოვალეა, არ გადააბიჯოს დაწესებულ საზღვრებს, მათ შორის, „სხვათა რეპუტაციის დაცვის“ სახით, ჟურნალისტი არ არის ვალდებული, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოიჩინოს იმდენივე სიფრთხილე, რამდენიც – საჯარო ინტერესის სხვა სფეროებში. ინფორმაციის მიწოდების ამოცანა არამარტო პრესის წინაშე დგას: ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია.“

სასამართლომ აღნიშნა, რომ პრესას აკისრია საზოგადოებრივი გუშაგის როლი და პოლიტიკოსებზე მზად უნდა იყვნენ მათი საქმიანობის მკაცრი კონტროლისთვის. პრესის თავისუფლება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ საზოგადოებამ ინფორმაცია მიიღოს პოლიტიკური ლიდერების შესახებ. შესაბამისად, დასაშვებია კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსებთან მიმართებაში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან დაკავშირებით: საჯარო პირები გაცნობიერებულად და განზრახ აქცევენ საკუთარ თავს საზოგადოების და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში.

აუცილებელი იყო თუ არა შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში? ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატია შეეხებოდა საჯარო დებატებს საზოგადოებისთვის საინტერესო პოლიტიკურ თემაზე. ამავე თემაზე მნიშვნელოვანი დებატები გაიმართა არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. საკითხი შეეხებოდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებისადმი განსხვავებული რეჟიმის შემოღებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის სტატია პროვოკაციული იყო, თუმცა, ის გამოქვეყნდა შოკის მომგვრელი

განცხადების საპასუხოდ. ამ შემთხვევაში, პოლიტიკოსს საკმაოდ მკაცრი პასუხის და კრიტიკის მოლოდინი უნდა ჰქონოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო განცხადებები ანალიზებდა პოლიტიკოსის პოზიციას, რაც მხოლოდ შეფასებით მსჯელობად ჩაითვლება. მისი განცხადებები წარმოიშვა პოლიტიკოსის იდეებისა და ნაციტური პარტიის პოლიტიკის შედარების შედეგად. ამრიგად, განმცხადებელმა გამოაქვეყნა სწორი ფაქტები, ამ ფაქტებთან დაკავშირებულ შეფასებით მსჯელობასთან ერთად. ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია ითქვას, რომ განმცხადებელმა გადააბიჯა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

1991 წელი

„ობზერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინაღმდეგ

ფაქტები: ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა, პიტერ რაითმა, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ დაწერა მემუარები, სათაურით „ჯაშუშთა შემკვრობი“. რაითმა ბრიტანული საიდუმლო სამსახურისაგან ნებართვის მიღების გარეშე დადო კონტრაქტები ამ პუბლიკაციის ავსტრალიის ტერიტორიაზე დასაბეჭდად და გასაავრცელებლად. წიგნში ნათქვამი იყო, რომ 1970-იანი წლების ბოლოს საიდუმლო სამსახური აწარმოებდა უკანონო მოქმედებებს, მათ შორის, მეგობარი ქვეყნების საელჩოების უკანონო მოსმენებს და საელჩოებში ფარულ შეჭრას. ამის შედეგად, სისხლისსამართლებრივი პროცედურები დაიწყო ავსტრალიაში, რათა აკრძალულიყო წიგნის გამოცემა ან მასში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის გაჟონვა. მაშინ, როდესაც ავსტრალიაში შესაბამისი პროცედურები მიმდინარეობდა, მომჩივნებმა – ყოველდღიურმა ბრიტანულმა გაზეთებმა – დაბეჭდეს მოკლე სტატიები. პუბლიკაციები შეეხებოდა ავსტრალიაში მოსალოდნელ სასამართლო პროცესს აღწერდნენ საქმეზე მოსმენას და აღწერდა „ჯაშუშთა შემკვრობის“ შინაარსის დეტალებს. ამის გამო სახელმწიფო სასამართლო პროცედურები დაიწყო ინგლისშიც, სადაც მოითხოვეს შუალედური გადაწყვეტილების გაცემა. ამ გადაწყვეტილებებით უნდა აკრძალულიყო მსგავსი შინაარსის მქონე ნებისმიერი პუბლიკაციის გავრცელება მანამ, ვიდრე ავსტრალიური სასამართლოები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. ინგლისში სასამართლომ სახელმწიფოს მოთხოვნა დააკმაყოფი-

ლა: გაიცა შუალედური შეზღუდვის ბრძანება, რითაც მომჩივან და სხვა გაზეთებს აკრძალათ მემუარების შინაარსის ან სხვა დეტალების გამოქვეყნება.

ამის შემდეგ, საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯაშუშთა შემპყრობის“ გამოცემა იგეგმებოდა აშშ-იც. სხვა გაზეთმა მოიპოვა ხელნაწერის ასლი ამერიკელი გამომცემლებისაგან და დაიწყო მათი ნაწილ-ნაწილ გამოცემა. ბრიტანეთის მთავრობამ წამოიწყო სასამართლოს უპატივცემულობის პროცედურები ამ გაზეთის წინააღმდეგ, რადგან დაირღვა სასამართლოს შუალედური შეზღუდვის ბრძანება. თუმცა სასამართლოს არ მიუღია რაიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც აკრძალავდა წიგნის დაბეჭდვას აშშ-ში. შესაბამისად, აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ბრიტანეთის მოქალაქეებმა ან იმ პირებმა, რომლებმაც საფოსტო შეკვეთის მომსახურებით ისარგებლეს, აშშ-ს წიგნის მაღაზიების მეშვეობით ბრიტანეთში შემოიტანეს წიგნის ეგზემპლარების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასობაში, ავსტრალიაში მიმდინარე სამართლებრივი პროცედურების შედეგად, ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და უარი თქვა გაეცა დროებითი აკრძალვა წიგნის გამოცემაზე. შესაბამისად, „ჯაშუშთა შემპყრობი“ ავსტრალიაშიც დაიბეჭდა და გავრცელდა. წიგნი ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში გამოიცა. თუმცა, წიგნის დეტალების დაბეჭდვასა და გავრცელებაზე დაწესებული სხვადასხვა სახის აკრძალვები კვლავ ძალაში რჩებოდა როგორც ავსტრალიაში, ასევე იმ გაზეთის მიმართ, რომელმაც მემუარების ნაწილ-ნაწილ გამოცემა დაიწყო.

გენერალური პროკურორის მოთხოვნით, 1986 წლის ივლისში ბრიტანეთის სასამართლოებმა გასცეს დროებითი ბრძანება, რომლის მიხედვითაც, „ობზერვერს“ და „გარდიანს“ აკრძალათ ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების შესახებ ინფორმაციის დაბეჭდვა. ინფორმაცია მოპოვებული იყო წიგნის ხელნაწერიდან, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „ჯაშუშთა შემპყრობი“. აკრძალვის მოთხოვნის მომენტისათვის წიგნი ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. გენერალური პროკურორის სარჩელი დაეფუძნა არგუმენტს, რომ თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული ეროვნული უშიშროების სისტემაში არსებული საიდუმლოს გამჟღავნება.

მისტერ რაითის წიგნი მოიცავდა ბრალდებებს საიდუმლო სამსახურისა და მისი აგენტების უკანონო მოქმედებების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ MI5-ის სამსახურები უსმენდნენ 1950-1960 წლებში ლონდონში ჩატარებულ ყველა დიპლომატიურ კონფერენციას, ისევე, როგორც ზიმბაბვეს დამოუკიდებლობის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებს 1979 წელს. წიგნში ასევე ნათქვამი იყო, რომ MI5-ი უსმენდა ფრანგ, გერმანელ, ბერძენ და ინდონეზიელ დიპლომატებს ისევე, როგორც ბატონი ხრუშჩოვის ბრიტანეთში ვიზიტისას 1950 წელს უსმენდა საბჭო-

თა კავშირის საზღვარგარეთულ საკონსულტაციებს; რომ MI5-მა სუეცის კრიზისის დროს წარუმატებლად განახორციელა მკვლევარების შეთქმულება ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის წინააღმდეგ; რომ MI5-ი აწყობდა შეთქმულებას ჰაროლდ ვილსონის წინააღმდეგ 1974-1976 წლებში მისი პრემიერ-მინისტრობის დროს; და რომ MI5-ი ფლანგავდა თავის რესურსებს ბრიტანეთის მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფების საქმიანობის გამოძიებაში. 1987 წლის ივლისში ნიგნი აშშ-ში დაიბეჭდა და მისი ეგზემპლარები დიდ ბრიტანეთშიც გავრცელდა. მიუხედავად ამ ფაქტისა, დროებითი სასამართლო აკრძალვა შენარჩუნდა 1988 წლის ოქტომბრამდე – სანამ ლორდთა პალატამ უარი არ განაცხადა გენერალური პროკურორის მიერ მოთხოვნილი მუდმივი აკრძალვის გაცემაზე.

„ოზბერვერმა“ და „გარდიანმა“ ადამიანის უფლებათა კომისიაში იჩივლეს და განაცხადეს, რომ დროებითმა სასამართლო აკრძალვამ დაარღვია მათი სიტყვის თავისუფლება. ბრიტანეთის მთავრობამ კომისიას განუცხადა, რომ ჩარევის საფუძველი იყო „მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება“. მთავრობამ სასამართლოზე გამოსვლისას ჩარევის საფუძველს დაუმატა „ეროვნული უსაფრთხოება“, იმაზე მითითებით, რომ დროებითი სასამართლო აკრძალვის გაცემის დროს პიტერ რაითის მიერ მოპოვებული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. თუკი ეს ინფორმაცია გამოქვეყნდებოდა, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურს, მის აგენტებსა და მესამე მხარეებს დიდი ზიანი მიადგებოდათ, რადგან ამას მოჰყვებოდა აგენტების ვინაობის გამხელა; დიდი ზიანი მიადგებოდა, ასევე, მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობას; ორგანიზაციებსა და ხალხს ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურისადმი ნდობა გაუქრებოდათ. დაბოლოს, მთავრობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისტერ რაითის მაგალითს მოქმედი ან ყოფილი აგენტებიც მიბაძავდნენ. ნიგნის გამოქვეყნების შემდეგ მთავრობა ეყრდნობოდა მხოლოდ „ეროვნული უშიშროების“ საფუძველს და აცხადებდა, რომ ეროვნული უშიშროება მართლაც საფრთხის წინაშე იდგა, რადგანაც ბრიტანეთს მოუხდებოდა, თავისი მოკავშირე ქვეყნებისათვის დაემტკიცებინა, რომ მის საიდუმლო სამსახურს საიდუმლო ინფორმაციის დაცვა შეეძლო. მთავრობა მიიჩნევდა, რომ პროცესს ეფექტურად შეაჩერებდა და დაუსჯელად არ დატოვებდა კონფიდენციალობის დარღვევას იმ ოფიცრების მხრიდან, რომლებსაც ევალუბოდათ, არ გაემყდებინათ საიდუმლო. მომჩივანი გაზეთი კი აცხადებდა, რომ ნიგნის აშშ-ში გამოქვეყნების შემდეგ მთავრობის ეს არგუმენტი უსაფუძვლო იყო.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: საქმეში „გარდიანი“ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ „აუცილებელი“ იმ მნიშვნელობით, როგორც ეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტშია, ესადაგება „ძლიერი სოციალური მოთხოვნების“ შინაარსს.

სასამართლომ გაითვალისწინა მთავრობის მიერ „კანონიერ მიზნებად“ დასახელებული ორივე საფუძველი და საქმის განხილვა განაგრძო იმის შემონმებით, წარმოადგენდა თუ არა დროებითი სასამართლო აკრძალვა „აუცილებელს დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლომ მოუხმო სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული თავისი სასამართლო პრაქტიკის ძირითად პრინციპებს: „სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარია. სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო იმგვარ ინფორმაციას ან იდეას, რომელსაც კეთილგანწყობით ხვდებიან ან რომელიც ნეიტრალურია, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაღლევებელია. ეს პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც პრესას ეხება. არა მარტო პრესაა ვალდებული, ინფორმაცია გაავრცელოს საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების შესახებ, არამედ ხალხსაც აქვს მათი მიღების უფლება. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, პრესა ვერ შეძლებდა „საზოგადოებრივი დარაჯის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. სასამართლომ მოგვიანებით აღნიშნა, რომ გამოქვეყნებამდე აკრძალვების დაწესება სასამართლოს მხრიდან მოითხოვს ძალზე ფრთხილ შესწავლას: „წინასწარი აკრძალვებიდან მომდინარე საფრთხე იმდენად დიდია, რომ სასამართლოსგან ყურადღებით შესწავლას მოითხოვს. მით უმეტეს, როდესაც ეს პრესას ეხება. ახალი ამბები, როგორც „მალეფუჭებადი პროდუქტი, შეყონების შემთხვევაში სწრაფად კარგავს არსებით ფასეულობასა და ინტერესს“. ამ პრინციპების გათვალისწინებით და მთავრობის მიერ მოყვანილი განმარტებების შემონმებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დროებითი აკრძალვა გამართლებული იყო მანამ, ვიდრე წიგნი გამოქვეყნდებოდა. მას შემდეგ, რაც წიგნი გამოქვეყნდა აშშ-ში, ინფორმაციამ დაკარგა კონფიდენციური ხასიათი და, შესაბამისად, „ჯამშუთა შემპყრობში“ მოყვანილმა მონაცემებმა დაკარგა მისი საიდუმლოდ შენახვის ინტერესი. ამ პირობების გათვალისწინებით, არ არსებობდა „საკმარისი“ საჭიროება იმისთვის, რომ სასამართლო აკრძალვა გაცემულიყო. გენერალური პროკურორის იმგვარი არგუმენტები, როგორიცაა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების რეპუტაციისა და ეფექტურობის შენარჩუნება და პიტერ რაითის მაგალითის მიბაძვისაგან ბრიტანეთის სხვა მოქმედი თუ გადამდგარი საიდუმლო აგენტების დაცვა, სასამართლომ მიიჩნია არასაკმარისად, რათა გაემართლებინა ჩარევა. მანვე

დასძინა, რომ: „1987 წლის შემდეგ ჩარევა აღარ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ნაწილობრივ **განსხვავებულ მოსაზრებაში** მოსამართლე პეტიტიმ განაცხადა, რომ დროებითი აკრძალვა არ იყო გამართლებული წიგნის ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებამდე: „როდესაც მიმდინარე მოვლენების გადაცემის დაყოვნება ეხება პრესას, ეს ჟურნალისტის სტატიას დიდწილად უკარგავს ინტერესს“.

ბატონ პეტიტის მოსაზრებით, ჩარევა წარმოადგენდა ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვას, რადგან „საზოგადოებისთვის სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მიღების აკრძალვა წარმოადგენს დემოკრატიის ფუნდამენტური უფლების დარღვევას“. მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლო აკრძალვის გახანგრძლივება იქნებოდა ცენზურის შენიღბული ფორმა და პრესის თავისუფლების გაუქმება. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი დასაშვები კრიტიკისას მოსამართლემ განაცხადა, რომ „სიტყვის თავისუფლება ერთ რომელიმე ქვეყანაში არ შეიძლება იყოს იმის განმსაზღვრელი, დაიბეჭდოს თუ არა მასალა სხვა ქვეყანაში. სატელიტური ტელევიზიის ხანაში შეუძლებელია, დავყოთ ტერიტორიები და შევზღუდოთ იმ ქვეყნის მოქალაქეთა ინფორმაციის თავისუფლება, სადაც აკრძალულია გაზეთის დაბეჭდვა“. ამგვარად, მოსამართლე პეტიტიმ დაასკვნა, რომ მე-10 მუხლი დროებითი აკრძალვის მოქმედების მთელ პერიოდში იყო დარღვეული.

მეორე ნაწილობრივ **განსხვავებულ მოსაზრებაში** მოსამართლე დე მეიერი დაეთანხმა მოსამართლე პეტიტის და დასძინა: „პრესა უნდა იყოს თავისუფალი ახალი ამბების დაბეჭდვის დროს, მიუხედავად წყაროსი, ნებისმიერი სახის ცენზურისა, სასამართლო აკრძალვების ან წინასწარ შეზღუდვისა.“

„ობზერვერის“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ორი მნიშვნელოვანი პრინციპია შემუშავებული:

პირველი პრინციპი გულისხმობს, რომ თუკი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია თუნდაც ერთხელ გახდა საჯარო, შემდგომში მისი ბრუნვიდან ამოღება, აკრძალვა ან გამავრცელებლის დასჯა არ შეიძლება.

მეორე პრინციპი გულისხმობს, რომ ზოგიერთი ინფორმაცია ეროვნული უშიშროების შესახებ მართლაც შეიძლება იყოს კონფიდენციალურად მიჩნეული, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ ასეთი ინფორმაციის საჯაროობა ზიანს მიაყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. უფრო მეტიც, ინფორმაციის სტატუსი შეიძლება განისაზღვროს გარკვეული ვადით და ამ სტატუსის შენარჩუნ-

ნების საკითხი პერიოდულად გადაისინჯოს. ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კლასიფიცირებისას მხედველობაშია მისაღები ამგვარი ინფორმაციისადმი საზოგადოების ინტერესი.

1991 წელი

კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეზე მომჩივანს წარმოადგენდა ესპანეთის მოქალაქე მიგელ კასტელსი, ხოლო მოპასუხეს კი – ესპანეთი.

ბატონი კასტელსი იყო ესპანეთის პარლამენტის სენატორი, რომლის პოლიტიკური ორგანიზაცია მხარს უჭერდა ბასკეთის დამოუკიდებლობას. 1979 წელს ყოველკვირეულ „Punto y Hora de Euskalherria“-ში მან გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „აღმამფოთებელი დაუსჯელობა“. ბ-ნი კასტელსი მთავრობას ადანაშაულებდა ბასკეთში მომხდარი მკვლელობების გამოუძიებლობის გამო და აცხადებდა: „ამ დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენი, ტოტალური დაუსჯელობის გამო, დღესაც აგრძელებენ მუშაობას პასუხისმგებელ თანამდებობებზე. მათ დასაპატიმრებლად არავითარი საფუძველი არ გამოიძენა“. იმავდროულად, იგი ბრალს სდებდა მთავრობას, როგორც თანამონაწილეს ამ დანაშაულში: „მემარჯვენეებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ყველა ბერკეტი (პოლიცია, სასამართლოები, ციხეები) აქვთ, რათა მოძებნონ და დასაჯონ ამდენი დანაშაულის ჩამდენი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ[...]. ეს უფლებამოსილებები წესრიგის დასაცავად და დამნაშავეების დასასჯელად დღესაც იმგვარია, როგორიც ადრე იყო“.

დანაშაულთა ჩადენაში ბრალეულ ხალხზე მან დასძინა, რომ: „მათ აქვთ იარაღისა და ფულის მნიშვნელოვანი მარაგი. მათ აქვთ შეუზღუდავი სახსრები და წყაროები და მოქმედებენ სრული დაუსჯელობით... შეიძლება ითქვას, რომ მათ წინასწარვე აქვთ გარანტირებული სამართლებრივი იმუნიტეტი.“

ბატონმა კასტელსმა ასევე დასძინა: „ამ აქტების უკან შეიძლება იდგეს მხოლოდ მთავრობა, მისი პარტია და პერსონალი. ჩვენ ვიცით, რომ ისინი აპირებენ, გამოიყენონ პოლიტიკური ინსტრუმენტები ბასკ დისიდენტებზე სანადიროდ და მათ ფიზიკურად გასანადგურებლად“...

ბატონი კასტელსი მთავრობის შეურაცხყოფისათვის გაამტყუნეს. პროცესის

დროს ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მოსარჩლის მოთხოვნა მონმეების დაკითხვისა და დოკუმენტების დასაშვებობის შესახებ. სასამართლოები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი მტკიცებულებები არ იყო დასაშვები, როდესაც ბრალდება მოიცავდა მთავრობის (და არა მისი რომელიმე წევრის) შეურაცხყოფას, და რომ სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ინდივიდები.

მას მიესაჯა ერთნობიანი პატიმრობა, რომელიც არასდროს მოუხდია. კასტელსმა ევროპის ადამინის უფლებათა სასამართლოს მიმართა.

სასამართლოს წინაშე მომჩივანმა განაცხადა, რომ შეილახა მისი სიტყვის თავისუფლება. ხოლო ესპანეთის ხელისუფლებამ შეზღუდვის კანონიერ მიზნად დაასახელა „არეულობის და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება“. მოსარჩლის აზრით, განაჩენის გამოტანის ერთადერთ მიზანს მთავრობის ღირსების დაცვა წარმოადგენდა.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: იმ საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ დაადგინა: „მაშინ, როდესაც სიტყვის თავისუფლება აუცილებელია ყველასთვის, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის იძენს. იგი წარმომადგენს თავის ელექტორატს, ანგარიშს უწევს მათ პოზიციას და იცავს მათ ინტერესებს. შესაბამისად, მოსარჩლის – როგორც პარლამენტის ოპოზიციის წარმომადგენლის – სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ყურადღებით შესწავლას“.

სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ ბატონმა კასტელსმა საკუთარი მოსაზრებები გამოხატა არა სენატის ტრიბუნლიდან, რაც ყოველგვარი სანქციების დაკისრების გარეშე შეეძლო გაეკეთებინა, არამედ ამოიჩინა პერიოდიკის ფურცლები. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან დაკარგა მთავრობის კრიტიკის უფლება.

სასამართლომ ხაზი გაუსვა ასევე პრესის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში: „პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს საუკეთესო საშუალებას, აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს აზრი პოლიტიკური ლიდერების იდეებსა და პოზიციებზე. პოლიტიკოსებს კი საშუალება ეძლევათ, წარმოაჩინონ და კომენტარი გაუკეთონ საზოგადოებრივ აზრს. ეს კი, თავის მხრივ, ყველას აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დებატებში, რაც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია“.

შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მოსარჩლის ბრალდებები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, რაც დაადასტურა გამოცემის ტირაჟის რეალიზაციის მაჩვენებლებმა. პოლიტიკური კრიტიკის შეზღუდვასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა: „დასაშვები კრიტიკის საზღვრები მთავრობის შემთხვევაში გაცილებით ფართოა, ვიდრე კერძო მოქალაქის ან, თუნდაც, პოლიტიკოსის მიმართ. დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავრობის მოქმედება თუ უმოქმედობა უნდა გახდეს დაწვრილებითი განხილვის ობიექტი არამარტო საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების, არამედ, პრესისა და საზოგადოებრივი აზრის მხრიდან.“

სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ასევე იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაუშვებლად მიიჩნიეს მოსარჩელის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებები. შესაბამისად, სასამართლომ მე-10 მუხლში ჩარევა გაუმართლებლად შეაფასა.

1992 წელი

ტორგეირ ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ

ფაქტები: ტორგეისონის საქმეში მოსარჩლემ (მისტერ ტორგეისონმა) პრესაში გააკეთა განცხადება, რომელიც ისლანდიაში გავრცელებულ პოლიციურ სიმხეცეს ეხებოდა. მან პოლიციის ოფიცრები „უნიფორმიან მხეცებს“ შეადარა. ბრალდებები ეხებოდა იმ „ინდივიდებს, რომლებიც, ოფიცრების მიერ სპონტანურად განხორციელებული უცნაური დაკავებების შედეგად, ახალშობილი ბავშვის ჭკუის მქონე ადამიანებად გადაიქცნენ.“ პოლიციის ქცევა დახასიათებული იყო, როგორც „დაშინებითი, გაყალბებული, უკანონო, ცრუმორწმუნეობითი, დაუდევარი და უნიჭო“.

მოსარჩლემ (მწერალმა) ყოველდღიურ გაზეთში გამოაქვეყნა ორი სტატია პოლიტიკური სიმხეცის შესახებ. პირველი სტატია იყო ღია წერილი იუსტიციის მინისტრის მიმართ, რომელსაც მოუწოდებდნენ, შეექმნა კომისია „რეკვიავიკის პოლიციის სიმხეცის შესახებ ხალხში გავრცელებული ქორების“ გამოსაძიებლად. მოსარჩლეს არ დაუსახელებია პოლიციის უკანონო ქმედების რომელიმე მსხვერპლის სახელი, გარდა ერთი ყურნალისტისა. მისტერ ტორგეისონი პოლიციის ოფიცრების სისასტიკეს აღწერდა და მინისტრს მიმართავდა: „თქვენ ბრძანდე-

ბით იუსტიციის მინისტრი და, მაშასადამე, უფროსი იმ უნიფორმიანი მხეცებისა, რომლებიც ჩვენი ქალაქის ლამის ჯუნგლებში უხმოდ ან ხმაურთან დაძრწიან. ერთი ახალგაზრდა კაცის თანამაცხოვრებლებმა მიამბეს, რომ ზიანი მას რესტორნის დაცვამ და პოლიციელმა მიაყენეს. თავიდან ამის დაჯერება გამიჭირდა; ამიტომაც ამ შემთხვევის შესახებ ცნობები საავადმყოფოს თანამშრომლებში მოვიძიე და – დიახ, სწორედ ისინი იყვნენ იმ ლამეს; ჩვენ სახეზე გვყავს რეიკი-ავიკის ლამის რაზმის მსხვერპლი... შემდეგ დავადგინე, რომ ადამიანებმა იციან ისტორიები უნიფორმიანი მხეცების ასეთ და ამაზე უფრო ცუდ გამოცდილებაზე. ამ ისტორიების მშვიდად მოსმენა შეუძლებელია.“

ამ სტატიის შინაარსი სატელევიზიო პროგრამებმაც განიხილეს. ორმა პოლიციელმა უარყო ყველა ბრალდება და წარმოადგინა იმ ადამიანის წერილი, რომელიც ბატონ ტორგეისონს მოიხსენებდა, როგორც თაღლითს და არასანდო ადამიანს. მოსარჩლემ გამოაქვეყნა მეორე სტატია, რომელიც აცხადებდა, რომ: „[პოლიციის] ქცევა სწორედ იმგვარი იყო, როგორი წარმოდგენაც არსებობს ხალხში პოლიციის თვითდაცვითი ძალადობის შესახებ: დაშინება, გაყალბება, უკანონო მოქმედებები, ცრუმორწმუნეობა, დაუდევრობა და უუნარობა“.

რეიკიავიკის პოლიციის ასოციაციის თხოვნით, სახალხო ბრალმდებელმა მოსარჩლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მას ბრალი ედებოდა პოლიციის არაკონკრეტიზებული წევრების ცილისწამებაში.

პროცესის განმავლობაში მოსარჩლემ უარი განაცხადა პოლიციის მიერ უფლებადარღვევების იდენტიფიცირებაზე. მან სასამართლოს განუცხადა, რომ „ადამიანისთვის იმის მოთხოვნა, რომ გაიხსენოს შვიდი წლის წინ შემთხვევით ნანახი პიროვნება, სრული აბსურდია და მიმართულია ადამიანის გონების ბუნების წინააღმდეგ“.

ეროვნულ დონეზე მისტერ ტორგეისონი დამნაშავედ ცნეს პოლიციის იმ წევრების ცილისწამებისთვის, რომლებიც სადავო გამონათქვამში ცალსახად იდენტიფიცირებულები არ იყვნენ. მოსარჩლეს ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

მისტერ ტორგეისონმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა.

ევროპის სასამართლოს წინაშე მთავრობამ განაცხადა, რომ განაჩენიც და სასჯელიც მიმართული იყო „სხვათა... რეპუტაციის“, კონკრეტულად კი – პოლიციის ოფიცრების დასაცავად.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩლემ წამოჭრა საკუთარ ქვეყანაში პოლიციური მხეცობის თემა, ხოლო „პრესა ვალდებულია,

ხალხს შეატყობინოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია და იდეები“. სასამართლომ დაადგინა, რომ „მის პრეცედენტულ სამართალში არ არსებობს რაიმე საფუძველი, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ... პოლიტიკური და საჯარო ინტერესის მქონე სხვადასხვა სფეროს დისკუსიები“. საბოლოოდ, სასამართლომ განაჩინა დაახასიათა როგორც: „საჯარო ინტერესის საკითხებზე დისკუსიის გამართვის შემზღუდავი“.

ტორგეისონის საქმეში პოლიციის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები შეგროვებული იყო მრავალი წყაროდან, თუმცა, ძირითადად, სტატია შეიცავდა ხალხში გავრცელებულ ჭორებს. მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ მოსარჩლის სტატიას აკლდა ობიექტური და ფაქტობრივი საფუძველი, რადგან მას არ შეეძლო განცხადებულის სისწორის დამტკიცება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სიმართლის მოთხოვნა იქნებოდა არაგონივრული, შეუძლებელიც კი, და განაცხადა, რომ პრესა თითქმის ვერაფერს ვერ დაბეჭდავდა, თუკი მას მოსთხოვდნენ მხოლოდ სრულიად დამტკიცებული ფაქტების გამოქვეყნებას.

მოცემულ საქმეში სასამართლომ პრესის თავისუფლება განიხილა სამოქალაქო მოხელეების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის კონტექსტში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ „ყურადღება, უნდა გამახვილდეს პრესის პრიორიტეტულ როლზე სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც კანონის უზენაესობაა. სანამ პრესა არ გადააბიჯებს „სხვათა... რეპუტაციის დაცვის“ საზღვრებს, მანამ ის ვალდებულია, რომ გაავრცელოს საჭირო ინტერესის შემცველი ინფორმაცია. არამარტო მედიას აკისრია ასეთი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, ხალხსაც აქვს მისი მიღების უფლება. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, პრესა ვერ შეასრულებდა „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს. მთავრობის იმ განცხადებაზე, რომ დასაშვები კრიტიკის ფართო საზღვრები მხოლოდ პოლიტიკური გამოსვლებისთვის არის გათვალისწინებული, სასამართლომ შენიშნა, რომ მის პრაქტიკაში არ მოიძებნება რაიმე საფუძველი პოლიტიკური დისკუსიისა და საჯარო ინტერესის მიკუთვნებულ საკითხებზე დისკუსიების განსასხვავებლად.

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია მთავრობის მტკიცება, რომლის მიხედვითაც, მოსარჩლის სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს აკლდა ფაქტობრივი საფუძველი. უდავოა, რომ ეს ინციდენტი [პოლიციის მხეცობის მსხვერპლ ჟურნალისტთან დაკავშირებით] ნამდვილად მოხდა. სტატიის ფაქტობრივი ელემენტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სტატია არსებითად შედგებოდა „ისტორიების“ ან „ჭორებისაგან“, – რომლებიც მომდინარეობდა არა მოსარჩლისაგან,

არამედ, სხვა ადამიანებისაგან – ან „საზოგადოებრივი აზრისაგან“, რომელიც შეიცავდა ბრალდებებს პოლიციურ სიმბეცეზე[...] და კვლავაც, პირველი სტატიის მიხედვით, მოსარჩლემ უამრავი ადამიანისაგან შეიტყო მსგავსი ისტორიები, რაც ძნელად დასაჯერებელია, რომ სიცრუე ყოფილიყო. ამდენად, მოსარჩლე მხოლოდ ახმოვანებდა იმას, რაც სხვებისგან მოისმინა პოლიციის სისასტიკესთან დაკავშირებით[...] სასამართლოს აზრით, მოსარჩლე აღმოჩნდა არაგონივრული და, შესაძლოა, გადაუჭრელი ამოცანის წინაშე მაშინ, როდესაც მას საკუთარი განცხადებების სისწორის დამტკიცება დაავალეს.

სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის იმ მოსაზრებასაც, თითქოს, მოსარჩლის მიზანი იყო რეიკიავიკის პოლიციის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩლე ცდილობდა, იუსტიციის მინისტრისათვის დამტკიცებინა გამოძიების დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობდა პოლიციის სისასტიკეზე არსებული საჩივრების გამოძიებას. რაც შეეხება მოსარჩლის მიერ გამოყენებულ გამომხატველობით ენას, სასამართლომ განაცხადა, რომ „ორივე სტატია სავსე იყო მკვახე ტერმინებით. თუმცა იმ მიზნისა და შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით, რომლის გამოც სტატია დაიწერა, სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოყენებული ენა არ შეიძლება შეფასდეს ზღვარგადასულად“.

საბოლოო შეფასებისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ „განაჩენს და სასჯელს შეეძლო გამოეწვია საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი მოვლენების შესახებ საჯარო დისკუსიისათვის ხელის შეშლა“, და რომ მთავრობის მიერ წამოყენებული მიზეზები ვერ ამტკიცებდა ჩარევის პროპორციულობას მის კანონიერ მიზანთან. შესაბამისად, მოსარჩლის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

1992 წელი

Informationsverein Lentia და სხვები

ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: ავსტრიის კანონმდებლობამ ავსტრიის სამაუწყებლო კომპანია ერთადერთ ნაციონალურ მაუწყებლობად აღიარა. ეს არის ავტონომიური საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელსაც ევალება მიმდინრე მოვლენების, მათ შო-

რის, ახალი ამბების, კომენტარების და კრიტიკული მოსაზრებების ამომწურავი, ობიექტური და მრავალფეროვანი გადმოცემა. მასში მაუწყებლობს ორი სატელევიზიო არხი და სამი რადიოსადგური. მოსარჩლეები, რომელთაგან ყველამ უარი მიიღო დამოუკიდებელი ტელევიზიის და რადიოსადგურების გახსნის ლიცენზიაზე, ჩიოდნენ, რომ ეს იყო თავისუფალი გამოხატვის უფლებასთან შეუსაბამო მონოპოლია. მოპასუხე სახელმწიფო კი აღნიშნავდა, რომ ეს ისევე აუცილებელი იყო მაუწყებლობის ხარისხის, მრავალფეროვნების, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, როგორც კერძო კომპანიისთვის მონოპოლიის ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: პლურალიზმის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაუწყებლო მედიასთან მიმართებაში:

სასამართლო ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს გამოხატვის თავისუფლების არსებით როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრესის საშუალებით ის ემსახურება საინტერესო ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას, რომელთა მიღების მოთხოვნის უფლება საზოგადოებას კიდევ აქვს. ასეთი პასუხისმგებლობა სათანადოდ ვერ განხორციელდება, თუ მას საფუძვლად არ უდევს პლურალიზმის პრინციპი, რომლის ძირითადი გარანტი სახელმწიფოა. ეს მინიშნება განსაკუთრებით მიესადაგება აუდიო-ვიზუალურ მედიას, რომლის პროგრამები ხშირად ძალიან ფართო მასშტაბით გადაიცემა.

მეათე მუხლის პირველი პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, სახელმწიფოებმა შეიძლება შემოიღონ ლიცენზირების სისტემა სამაუწყებლო მედიისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გამართლებული უნდა იყოს მეორე პუნქტის შესაბამისად. ამასთან, იმ დროს, როდესაც მონოპოლიური სისტემა (რომელიც საჩივრის საგანს წარმოადგენს) კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა და მოქმედებდა გადაცემების ხარისხისა და ბალანსის უზრუნველსაყოფად, გასარკვევი იყო ასეთი სისტემის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოპასუხე სახელმწიფოს მონოპოლიური სისტემა გამოხატვის თავისუფლების სერიოზული შეზღუდვაა:

ამ ფასეულობათა პატივისცემის უზრუნველსაყოფ ყველა საშუალებას შორის მონოპოლია ერთადერთია, რომელიც აწესებს უდიდეს შეზღუდვებს გამოხატვის თავისუფლებაზე; კერძოდ, სრულიად შეუძლებელს ხდის ნაციონალური სისტემისგან დამოუკიდებლად მაუწყებლობას, – მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, ძალიან შეზღუდულ ფარგლებში უშვებს ადგილობრივი საკაბელო სადგურების

ფუნქციონირებას. ასეთი შეზღუდვების ფართოდ გამოყენება კი გამართლებულია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

ტექნიკური პროგრესი იმას ნიშნავს, რომ „სამაუწყებლო სიხშირეების ხელმისაწვდომობის“ გამართლებას აღარ აქვს ისეთი ძალა, როგორც რამდენიმე ათწლეულის წინ ჰქონდა. ამასთან, უცხოური სატელევიზიო პროგრამები ავსტრიელ მაყურებელს უკვე მიეწოდება კაბელის საშუალებით და სხვა ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა, რომ კერძო მაუწყებლობების ბაზარზე დაშვება ავტომატურად არ ინვესტს „კერძო მონოპოლიების“ ჩამოყალიბებას. გადაცემების მრავალფეროვნების და ხარისხის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს ისეთი ნაკლებად შემზღუდავი საშუალებებით, როგორცაა სხვადასხვაგვარი შინაარსის პირობებით ლიცენზიების გაცემა, ანდა ნაციონალური კორპორაციის საქმიანობაში კერძო პირების მონაწილეობის ფორმების დადგენა. ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის სახელმწიფო მონოპოლიურმა სისტემამ განახორციელა თავისუფალი გამომხატვის შეზღუდვა, რაც არ იყო მიზნის პროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი.

1993 წელი

ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: განმცხადებელი ინსტრუქტი, ტიროლის ოლქში დაარსებული კერძო ასოციაცია იყო. ოტო პრემინგერის ინსტიტუტს ჰქონდა კინოს სახლი, სადაც დროდადრო ფილმებს აჩვენებდა. ინსტიტუტმა გამოაცხადა რამდენიმე ფილმის ჩვენება, მათ შორის, ფილმისა, რომელსაც ერქვა „სამოთხის საბჭო“. ფილმის ჩვენების შესახებ საზოგადოებას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებამ აუწყა. კინოთეატრში კი გამოქვეყნდა აფიშა, რომელზეც აღნიშნული იყო, რომ 17 წლამდე ასაკის პირებს ფილმის ნახვა ეკრძალებოდათ. აფიშაზე ქრისტიანული რელიგიის ტრივიალური და აბსურდული იმიჯი კარიკატურის სტილში იყო მოცემული. კათოლიკურმა ეკლესიამ პროკურორს მიმართა, რათა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე ოტო პრემინგერის ინსტიტუტის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ფილმი დააყადაღეს და მოგვიანებით მოახდინეს მისი კონფისკაცია: დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, რომელთა მიხედვითაც, დასჯადაც ცხადდება რელიგიური წეს-ჩვეულებების დამცირება.

ევროპის სასამართლომ თავდაპირველად განიხილა, ისახავდა თუ არა ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: სასამართლომ დაასკვნა, რომ მიღებული ზომების მიზანი იყო მოქალაქეთა იმ უფლების დაცვა, რომლის თანახმადაც, საჯარო გამოხატვამ არ უნდა შეურაცხყოს მათი რელიგიური გრძნობები და შეხედულებები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო ლეგიტიმური მიზანი: სხვათა უფლებების დაცვა.

სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება იცავს შოკის მომგვრელ და შეურაცხმყოფელ იდეებსაც; თუმცა იმ პირებს, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ, ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან კონვენციის მეათე მუხლის მეორე ნაწილში მოყვანილი ვალდებულებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მეათე მუხლის მეორე ნაწილი მოიცავს ვალდებულებას – მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული ისეთი გამოხატვა, რომელიც გაუმართლებლად შეურაცხმყოფელია სხვებისათვის, ლახავს მათ უფლებებს და არ შეაქვს წვლილი საჯარო დებატებში. ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სავსებით დასაშვებია სანქციების დაწესება და არასათანადო კრიტიკის შეზღუდვა, როცა საქმე ეხება რელიგიურ დოქტრინას და წეს-ჩვეულებებს; თუმცა, იმ შენიშვნით, რომ ასეთი შეზღუდვა პროპორციული უნდა იყოს და ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

იმის გამო, რომ შეუძლებელია მთელ ევროპაში ერთიანი შეხედულების შექმნა რელიგიის მნიშვნელობაზე, სახელმწიფოებს რჩებათ გარკვეული დისკრეცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

სადავო ფილმის ჩვენება განიხილება, როგორც საჯარო ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვებს. ტიროლელების უმეტესობა – სადაც ფილმის ჩვენება მოხდა – კათოლიკეა. ფილმის კონფისკაციისას სახელმწიფომ უზრუნველყო რელიგიური სიმშვიდე და დაიცვა მოქალაქეთა რელიგიური გრძნობები შეურაცხყოფისგან.

1994 წელი

კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ

ფაქტები: ამ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა ესპანელი ადვოკატი კასადო კოკა, ხოლო მოპასუხეს – ესპანეთი.

1982 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ესპანეთის ქალაქ ვალდორეისტის მცხოვრებთა და საკუთრების მფლობელთა ასოციაციის გაზეთში იბეჭდებოდა

განცხადებები, რომლებიც დეტალურ ინფორმაციას სთავაზობდა მკითხველს განმცხადებლის იურიდიული პრაქტიკის შესახებ. ხსენებული განცხადებები გვერდის დაახლოებით ერთ მესამედს იკავებდა და მოიცავდა განმცხადებლის სახელსა და გვარს, პროფესიას – იურისტი, ოფისის მისამართსა და ტელეფონის ნომერს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ადვოკატთა საბჭომ ერთხელ წამოიწყო დისციპლინარული პროცესი ბატონი პაბლო კასადოს წინააღმდეგ. 1983 წლის 6 აპრილს მან კვლავ მიიღო წერილობითი გაფრთხილება პროფესიული რეკლამის აკრძალვის უგულებელყოფის გამო⁷. ადვოკატთა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ამ ჯარიმას დაეთანხმა, მიიჩნია, რომ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული განცხადებები გასცდა ბარსელონას ადვოკატურის მიერ დაწესებული შესაბამისი წესებით დაშვებულ საზღვრებს. ბარსელონას ტერიტორიულმა სასამართლომაც, იმავე მოსაზრებების საფუძველზე, ჯარიმას მხარი დაუჭირა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული წესები უშვებს რეკლამირებას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში – კონკრეტულად, პრაქტიკის დაწყების ან წევრობის, მისამართის ან ტელეფონის ნომრის შეცვლისას. ამის გამო, აკრძალვა არ იყო აბსოლუტური.

კასადო კოკამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ 10-ე მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: პირველ რიგში, სასამართლომ განაცხადა, რომ 10-ე მუხლი უზრუნველყოფს „ყველას“ გამოხატვის თავისუფლებას. ის არ არჩევს მიზანს – კომერციულს თუ არამომგებიანს⁸. თუმცა, ამ ორი სფეროსადმი განსხვავებულმა მიდგომამ შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოგვიყვანოს მე-14 მუხლთან.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 1985 წელს განხილულ საქმეში – ბარტოლდი გერმანიის წინააღმდეგ⁹, სასამართლომ არ უპასუხა კითხვას იმის თაობაზე, ხვდება თუ არა კომერციული რეკლამა მე-10 მუხლის დაცვის არეალში. თუმცა, შემდგომში, პრეცედენტულმა სამართალმა ამ საკითხში სიცხადე შეიტანა. 10-ე მუხლი არ შეეხება მხოლოდ გარკვეული ტიპის ინფორმაციას, იდეას ან გამოხატვის ფორმას¹⁰, განსაკუთრებით კი – პოლიტიკური ხასიათისას; როგორც კომისიამ სამართლიანად აღნიშნა, ის ასევე მოიცავს მხატვრულ გამო-

⁷ 1982 წლის 24 ივლისს გამოცემული სამეფო განკარგულების №2090/82 მუხლი 31 საფუძველად უდევს ადვოკატთა შესახებ კანონს – იხ. პუნქტი 22.

⁸ იხ. Autronic AG შვეიცარიის წინააღმდეგ, გვ. 280.

⁹ გვ. 270.

¹⁰ Markt Intern Verlag GmbH-ი და კლაუს ბირმანი გერმანიის წინააღმდეგ. გვ. 278.

ხატვას, კომერციული ბუნების ინფორმაციას და ტელევიზიით გადაცემულ მსუბუქ მუსიკასა და რეკლამებსაც კი¹¹.

მოცემულ საქმეში განმცხადებლის სახელის, გვარის, მისამართის და ტელეფონის ნომრის გამოქვეყნებას, რა თქმა უნდა, წმინდა სარეკლამო მიზანი ჰქონდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო საჭირო ინფორმაცია იმ ადამიანებისთვის, ვისაც იურიდიული დახმარება ესაჭიროებოდა და, შესაბამისად, ვისთვისაც სამართლის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუხლი 10 ამ საქმეზე ვრცელდება.

მთავრობამ და კომისიამ მიიჩნიეს, რომ ადვოკატურის წევრების მიერ ადვოკატთათვის პროფესიული რეკლამის აკრძალვის მიზანს წარმოადგენდა „სხვების უფლებების დაცვა“. კონკრეტულად, ეს ეხება საზოგადოებისა და ადვოკატურის სხვა წევრების უფლებებს. მთავრობამ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ რეკლამა ყოველთვის მიჩნეული იყო შეუთავსებლად ამ პროფესიის ღირსებასთან, ადვოკატურის წევრების სათანადო პატივისცემასთან და საზოგადოების ინტერესთან.

მოქალაქეებისათვის რეკლამირება წარმოადგენს მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტების მახასიათებლების აღმოჩენის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ რეკლამა შესაძლოა, აიკრძალოს. განსაკუთრებით კი – არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ან არასწორი და მცდარი ინფორმაციის გავრცელების ალკვეთის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ობიექტური და მართებული რეკლამის აკრძალვაც, თუკი ეს მიზნად ისახავს სხვა პიროვნების უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფას. აკრძალვა შეიძლება ეფუძნებოდეს, აგრეთვე, ბიზნესის საქმიანობის ან პროფესიის განსაკუთრებულ გარემოებებს. თუმცა, ყოველი ამგვარი აკრძალვა ყურადღებით უნდა იყოს შესწავლილი სასამართლოს მიერ, რომელმაც უნდა გაარკვიოს ამ განსაკუთრებული გარემოებების აუცილებლობა. ჩვენს შემთხვევაში, სასამართლომ სადავო ჯარიმა ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს.

განმცხადებელმა და კომისიამ იკამათეს იმ განსხვავებაზე, რაც არსებობს იურიდიულ კომპანიებისა და კერძო ადვოკატების მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

სასამართლოს აზრით, იურიდიული კომპანიები ვერ შეედრებიან კერძო ადვოკატებს, რომელთაც განსაკუთრებული სტატუსი აქვთ სასამართლოში საქმის წარმართვის პროცესში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამგვარი მდგომარეობა ხსნის ადვოკატურის წევრების ქცევასთან და-

¹¹ Groppera Radio AG შვეიცარიის წინააღმდეგ. გვ. 283.

კავშირებით დანესებულ ჩვეულ შეზღუდვებს და, ასევე, ადვოკატთა საბჭოებისათვის მინიჭებულ საზედამხედველო და კონტროლის უფლებამოსილებას.

მიუხედავად ამისა, პროფესიის მარეგულირებელი წესები, განსაკუთრებით კი – რეკლამირების განხრით, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, გამომდინარე მათი კულტურული თავისებურებებიდან. მეტიც, კონვენციის მრავალ წევრ ქვეყანაში, მათ შორის, ესპანეთშიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდა ტენდენცია, რომ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ წესები შეესუსტებინათ.

მთავრობამ მაგალითად მოიტანა ევროგაერთიანების იურისტთა ქცევის კოდექსი (სტრასბურგი, 28 ოქტომბერი, 1988) და ევროპის ადვოკატთა კონფერენციის გადაწყვეტილება (კრაკოვო, 24 მაისი, 1991); რეკლამირების პრინციპის მხარდაჭერასთან ერთად, ეს დოკუმენტები ადვოკატურის წევრებს უფლებამოსილებას ანიჭებს, გამოხატონ საკუთარი თვალსაზრისი მასმედიით, გააცნონ საკუთარი თავი საზოგადოებას და მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში. ამ ინსტრუქციების თანახმად, კატალონიის ადვოკატთა საბჭოს მიერ მიღებული კანონი რეკლამაზე (1991 წლის 4 ივლისი) მის წევრებს უფლებას აძლევს, გამოსცენ პროსპექტები, სტატიები, მათ შორის, პრესაშიც. ამ კანონის შემდეგ მთავრობამ დაიწყო ახალი კანონპროექტის შესწავლა, რომელიც ამ მხრივ მეტ თავისუფლებას ითვალისწინებს.

წესების ფართო სპექტრი და ევროპის საბჭოს წევრების ცვლის განსხვავებული ტემპი ამ საკითხის სირთულეზე მიუთითებს. თავის წევრებთან პირდაპირი, უწყვეტი კონტაქტის გამო ადვოკატურის ხელმძღვანელები და ქვეყნის სასამართლოები უკეთეს პოზიციაში არიან საერთაშორისო სასამართლოებთან შედარებით, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ინტერესის სწორ დაბალანსებას; – კონკრეტულად, ამ ინტერესებს შორის არის: სამართლის მართებული ადმინისტრირების მოთხოვნა; პროფესიული ღირსება; ნებისმიერი პირის უფლება, მიიღოს ინფორმაცია იურიდიული დახმარების შესახებ; ადვოკატურის წევრებისათვის მათი საქმიანობის რეკლამირების უფლების მიცემა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროცესის პერიოდში – 1982-83 წლები – შესაბამისი ხელისუფლების რეაქცია არ შეიძლება მიჩნეულიყო არასათანადოდ დასახულ მიზანთან მიმართებაში.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ 10-ე მუხლი არ დარღვეულა.

1994 წელი

ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ

ფაქტები: ჯერსილდის საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა ტელევიზიის ჟურნალისტი, რომელიც ადგილობრივმა სასამართლოებმა გაასამართლეს რასისტული გამონათქვამების გავრცელებისათვის ხელშეწყობის ბრალდებით. მან საკუთარ თავზე აიღო იმ პროგრამის მომზადება, სადაც მოიწვიეს რასისტული იდეების მატარებელი სამი ახალგაზრდა. ჟურნალისტიმა იცოდა, რომ ინტერვიუს დროს შეიძლება გაკეთებულიყო რასისტული განცხადებები. ინტერვიუ გადაიცა სერიოზულ სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც გამიზნული იყო ფართო სოციალური და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებული აუდიტორიისათვის, ისევე, როგორც იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით კარგად ინფორმირებული აუდიტორიისათვის. მაყურებელს საშუალება ჰქონდა, მოესმინა მსგავსი განცხადებები: „რასისტად ყოფნა კარგია. ჩვენ გვჯერა, რომ დანია მხოლოდ დანიელებისთვისაა“; „ხალხს უფლება უნდა მიეცეთ, იყოლიონ მონები“. „მხოლოდ აიღეთ გორილას ფოტო... შემდეგ შეხედეთ ზანგს, ეს არის სხეულის ერთი და იგივე სტრუქტურა... თავიდან ბოლომდე“; ახალგაზრდებს ასევე ჰქონდათ მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებისა და კრიმინალური წარსულის შესახებ.

მაღალი იერარქიის მღვდლის მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე მისტერ ჯერსილდის საქმე გამოიძიეს. მოსარჩლე პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ მან ხელი შეუწყო სამ ახალგაზრდას, ტელეეთერით გაეკეთებინათ რასისტული განცხადებები. ადგილობრივი სასამართლო გამოიძიების დროს მოსარჩლემ განაცხადა, რომ მის მიზანს სულაც არ წარმოადგენდა სხვების დაყოლიება ამგვარი მოსაზრებების გასაზიარებლად, უფრო პირიქით. პროგრამა წარმოადგენდა მხოლოდ ახალგაზრდების გულწრფელ პასუხებს მათთვის დასმულ კითხვებზე. ამან კი სიბრალული გამოიწვია იმ ახალგაზრდების მიმართ, რომელთაც თავი გაიმასხარავეს. მოსარჩლემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ტრანსლირებული იყო საჯარო დებატების კონტექსტში. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეროვნულმა სასამართლოებმა მოსარჩლე ბრალეულად ცნეს, ის იყო, რომ ჟურნალისტიმა გადაცემის დასკვნით ნაწილში არ გააკრიტიკა ინტერვიუს დროს გამოთქმული რასისტული ფრაზები. მოსარჩლემ ევროპულ სასამართლოში იჩივლა მისი სიტყვის თავისუფლების დარღვევის გამო. მთავრობამ მოსარჩლის მიმართ გამოტანილი განაჩენი დაასაბუთა იმ პირთა უფლებების დაცვის აუცილებლობით, რომლებიც შეურაცხყოფილი დარჩნენ რასისტული გამონათქვამებით.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის 10-ე მუხლი.

მოტივაცია: სასამართლო – რომელმაც მხედველობაში მიიღო ეს არგუმენტები, როგორც კანონიერი მიზანი – პროპორციულობის წესის საფუძველზე შედგა. იმის გარკვევისას, იყო თუ არა განაჩენი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ ხაზი გაუსვა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის აუცილებლობას და იმ ფაქტს, რომ მოსარჩლის მიერ გაცემული ინფორმაცია – საზოგადოების დიდი ინტერესის საგანია. რაც შეეხება პროგრამის მომზადებასა და მისი წარმოდგენის მანერას, სასამართლომ აღნიშნა: „ობიექტურად არ ჩანს, იყო თუ არა პროგრამის მიზანი რასისტული იდეების პროპაგანდა. მეორე მხრივ, აშკარაა ეროვნული სასამართლოების მიდგომა ყურნალისტის მიერ რასისტული გამონათქვამების კრიტიკასთან დაკავშირებით. სასამართლომ განაცხადა, რომ ობიექტური და დაბალანსებული რეპორტაჟის მომზადების მეთოდები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. არც ამ სასამართლოს და არც ეროვნული სასამართლოების გადასაწყვეტია, რეპორტაჟის გადმოცემისას, რა ტექნიკა უნდა გამოიყენოს ყურნალისტმა“.

ინტერვიუს საფუძველზე მომზადებული მასალის გაშუქების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას სასამართლომ დაასკვნა, რომ ინფორმაციის ამ ფორმით გავრცელება წარმოადგენდა „ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან მიზეზს, რის გამოც პრესას შეუძლია, შეასრულოს საზოგადოებრივი დარაჯის როლი“. საბოლოო შეფასებისას სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩლის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ იყო „აუცილებელი“ ზომა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ინტერვიუში სხვა პიროვნების მიერ გაკეთებული განცხადების გამო ყურნალისტის დასჯა „სერიოზულად შეუშლის ხელს პრესას საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების გატანაში საზოგადოებრივ დისკუსიაზე; ყურნალისტის დასჯა არ შეიძლება მანამ, ვიდრე ამისთვის არ არსებობს ძალზე სერიოზული მიზეზები. ამის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის მოსაზრებას ჯარიმის შეზღუდული ბუნების მართებულობის შესახებ“.

შესაბამისად, სასამართლომ დაადასტურა ევროკონვენციის 10-ე მუხლის დარღვევა.

1994 წელი

Vereniging Weekblad Bluf!-ი ჰოლანდიის წინააღმდეგ

ფაქტები: მოცემულ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა ჰოლანდიური ჟურნალი „*Bluf!*“-ი, ხოლო მოპასუხეს – ჰოლანდია.

ამსტერდამში დაფუძნებული ასოციაცია, ბეჭდავდა ყოველკვირეულ ჟურნალს „*Bluf!*“. აღნიშნული ჟურნალი გათვალისწინებული იყო მემარცხენე ფრთის მკითხველთათვის. 1987 წელს „*Bluf!*“-მა მოიპოვა ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურის პერიოდული მოხსენება. 1981 წლით დათარიღებულ მოხსენებას ჰქონდა გრიფი „საიდუმლო“ და შეიცავდა ინფორმაციას ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურების მაშინდელი ინტერესების შესახებ. მოხსენება ეხებოდა ჰოლანდიის კომუნისტურ პარტიასა და ანტიბირთვულ მოძრაობას; მასში აღნიშნული იყო, რომ არაბული ლიგა გეგმავდა ჰააგაში ოფისის გახსნას; იძლეოდა ინფორმაციას ასევე პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის საიდუმლო სამსახურების ჰოლანდიაში მოქმედების შესახებ.

ჟურნალის გამომცემელმა გამოაქვეყნა მოხსენება კომენტარითურთ. იმავე დღეს ჰოლანდიის შიდასაიდუმლო სამსახურმა სახალხო პროკურორს გაუგზავნა წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ მოხსენების გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაული იყო. მოხსენებაში არსებული საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის გათვალისწინებით, მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „თუმცა ... ფაქტები ცალკე აღებული არ (ან აღარ) შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოს, ერთად აღებული და ერთმანეთთან კავშირში არსებული, წარმოადგენს სახელმწიფოს ან მის მოკავშირეთა საიდუმლო ინფორმაციას. ფაქტების შედარება საშუალებას იძლევა, შეგვიქმნას წარმოდგენა საიდუმლო სამსახურებისა და BLD-ს საქმიანობისა და მეთოდების შესახებ.“

შედეგად, ჟურნალის დაბეჭდვამდე და დისტრიბუციამდე გამოძიების მოსამართლის ბრძანების საფუძველზე გაიჩხრიკა „*Bluf!*“-ის სათავსოები. ხოლო ჟურნალის 29 აპრილის ეგზემპლარები, დანართების ჩათვლით, დააყადაღეს.

ლამით, ხელისუფლების ორგანოებისაგან ფარულად, „*Bluf!*“-ის თანამშრომელმა გაამრავლა ჟურნალი 2500 ეგზემპლარად და მეორე დღეს ქუჩებში დაურიგა ამსტერდამის მოსახლეობას. ხელისუფლების ორგანოებმა არ შეაჩერეს დისტრიბუცია. 1987 წლის მაისში გამოძიების მოსამართლემ „*Bluf!*“-ის თანამშრომლის წინააღმდეგ აღძრული საქმე ყოველგვარი სასჯელის დაკისრების გარეშე შეწყვიტა. ამასობაში, ჟურნალმა მოითხოვა კონფისკებული ეგზემპლარების უკან დაბრუნება, მაგრამ თხოვნა არ დაკმაყოფილდა. 1988 წლის მარტში, სა-

ხალხო პროკურორის მოთხოვნით, ჰოლანდიის სასამართლოებმა „Bluff“-ის ყველა ეგზემპლარის ბრუნვიდან ამოღების გადაწყვეტილება გამოიტანეს. სასამართლოებმა ბრძანებას საფუძვლად დაუდეს *ეროვნული უშიშროების დაცვა* და აღნიშნეს, რომ ამ მასალების არაუფლებამოსილი ფლობა წარმოადგენდა კანონდარღვევას და მიმართული იყო საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ.

ჟურნალმა ეროპის ადამიანის უფლებათა კომისიაში იჩივლა და განაცხადა, რომ ჰოლანდიის ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლება, გათვალისწინებული კონვენციის მე-10 მუხლით. მთავრობამ განაცხადა, რომ მოსარჩლის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა კანონიერად განპირობებული იყო „ეროვნული უსაფრთხოების დაცვით, რადგან იმ ინდივიდებისა ან ჯგუფებისათვის, რომელთაც სურთ, ეროვნულ უსაფრთხოებას მიაყენონ საფრთხე (ზიანი), მოხსენების წაკითხვით ნათელი გახდება ჰოლანდიის საიდუმლო სამსახურის მოქმედების თავისებურებანი, მისი სისუსტეები და ძლიერი მხარეები“.

გადაწყვეტილება: სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში დაირღვა მე-10 მუხლი.

მოტივაცია: „Bluff“-ის ეგზემპლარების დაყადაღებასთან და მისი ბრუნვიდან ამოღების „კანონიერ მიზანთან“ დაკავშირებით სასამართლომ გააცნობიერა, რომ დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის (არსებობისათვის) აუცილებელია საიდუმლო სამსახურების კონფიდენციალურობის დაცვა. სასამართლოს აზრით, ეს იძლევა საშუალებას, სახელმწიფომ თავი დაიცვას იმ ინდივიდებისა და ჯგუფების საქმიანობისაგან, რომელთაც სურთ, ძირი გამოუთხარონ დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ღირებულებებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაყადაღებასა და ბრუნვიდან ამოღებას ჰქონდა „ეროვნული უსაფრთხოების“ „კანონიერი მიზანი“.

ამის შემდეგ სასამართლომ შეაფასა, იყო თუ არა დაყადაღება და ბრუნვიდან ამოღება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და დაასკვნა, რომ: მსჯელობის საგანია, იყო თუ არა მოხსენებაში მოყვანილი ინფორმაცია საკმარისად მგრძობიარე, რათა გაგვემართლებინა მისი გავრცელების აკრძალვა. დოკუმენტი იყო 6 წლის სიძველის... უშიშროების სამსახურის უფროსმა 1987 წელს განაცხადა, რომ ინფორმაციის შემადგენელი ერთეულები, ცალ-ცალკე აღებული, აღარ წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოს; მეორეც, მოხსენება დასათავურებული იყო, როგორც „კონფიდენციალური“, რაც საიდუმლოების ყველაზე დაბალ ხარისხს განეკუთვნება[...]. მიმოქცევიდან ამოღება... განხილულ უნდა იქნეს მოვლენებთან ურთიერთკავშირში. მას შემდეგ, რაც გაზეთი დააყადაღეს,

გამომცემლებმა გადაბეჭდეს მისი მრავალი ეგზემპლარი და გაავრცელეს ამსტერდამის ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებში. შესაბამისად, ჟურნალის მიმოქცევიდან ამოღებისას ინფორმაცია უკვე ფართოდ იყო გავრცელებული[...]. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უკვე აღარ არის საჭირო ინფორმაციის გასაიდუმლოებისთვის ხელის შეშლა, რადგან ის გახდა საჯარო და დაკარგა საიდუმლო ხასიათი[...]. ინფორმაცია ხელმისაწვდომი და განსჯადი გახდა ბევრი ადამიანისთვის. უფრო მეტიც, ეს მოვლენები გაშუქდა მედიის მიერ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის – როგორც სახელმწიფო საიდუმლოების მატარებელის – დაცვა აღარ იყო გამართლებული (აუცილებელი) და „Bluff“-ის ბრუნვიდან ამოღება აღარ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის მიღწევის საშუალებას [...]. შესაბამისად, რადგანაც ეს ზომა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, დაირღვა მე-10 მუხლი.

1995 წელი

გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეზე მომჩივანს წარმოადგენდა ინგლისელი ჟურნალისტი ბატონი გუდვინი, ხოლო მოპასუხეს - გაერთიანებული სამეფო.

The Engineer-ის საქმეში ჟურნალისტიმა, მისტერ გუდვინმა კომერციული ორგანიზაცია *Tetra Ltd*-ს შესახებ ინფორმაცია მიიღო „წყაროსაგან“ ტელეფონის მეშვეობით. წყარო ამტკიცებდა, რომ კომპანია აპირებდა, აელო დიდი კრედიტი სერიოზული ფინანსური პრობლემების შექმნის გამო. ინფორმაციის გაცემისთვის წყაროს ფული არ აუღია. სტატიის მომზადებისას ჟურნალისტიმა კომპანიას სთხოვა, გაეკეთებინა კომენტარი ამის შესახებ. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია იკითხებოდა „მკაცრად კონფიდენციალურის“ გრიფით დასათაურებულ დოკუმენტში, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ ანგარიშების ასლი სადღაც გამქრალიყო. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტიმა კომპანიას კომენტარი სთხოვა, *Tetra Ltd*-მ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბრძანების მისაღებად, რადგან თუკი ინფორმაცია საჯარო გახდებოდა, ეს ზიანს მიაყენებდა მის ფინანსურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ბრძანება გამოიცა და კომპანიამ მისი ასლები ყველა მთავარ გაზეთს გაუგზავნა.

შემდეგ კომპანიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ ჟურნალისტს

გაემხილა წყაროს ვინაობა. მოთხოვნა არგუმენტირებული იყო იმით, რომ კომპანიას ეს დაეხმარებოდა უსინდისო თანამშრომლის გამოვლენასა და მის წინააღმდეგ პროცესის დაწყებაში. ჟურნალისტიმა კატეგორიული უარი განაცხადა, გაემხილა წყაროს ვინაობა სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად. იგი დააჯარიმეს „მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის“ საფუძველზე.

ევროპული სასამართლოს წინაშე, მოსარჩლემ განაცხადა, რომ სასამართლოს ბრძანებამ წყაროს გამხელის შესახებ, ისევე, როგორც ამის შეუსრულებლობისათვის დაკისრებულმა ჯარიმამ, შელახა მისი სიტყვის თავისუფლება.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: სასამართლომ გაიზიარა, რომ ჩარევა გამიზნული იყო „სხვათა უფლებების“ (კომპანიის უფლებების) დასაცავად. ამის შემდეგ შეუდგა იმის გარკვევას, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გაითვალისწინა რა, რომ „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს და რომ პრესისათვის ძლიერი დაცვის მინიჭება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია“, სასამართლომ დაადგინა, რომ „როგორც წევრი ქვეყნების კანონებსა და პროფესიული ქცევის კოდექსებშია მოცემული, ჟურნალისტური წყაროების დაცვა პრესის თავისუფლების უმთავრესი პირობაა. [...] წყაროს კონფიდენციალურობის გარანტიის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, თავს შეიკავებს ჟურნალისტებთან თანამშრომლობაზე. შედეგად კი პრესა ვეღარ შეძლებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციის შესრულებას და საზოგადოების უზრუნველყოფას ზუსტი და სანდო ინფორმაციით“.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისათვის ჟურნალისტური წყაროების მნიშვნელობისა და წყაროს გამჟღავნების შესახებ ბრძანების „გამყინავი ეფექტის“ შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლომ განაცხადა, რომ ამგვარი ზომა შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლთან, სანამ ის არ იქნება გამართლებული „ძლიერი სოციალური ინტერესით“.

სასამართლომ განაცხადა, რომ განსაიდუმლოების ბრძანება იყო ფართო შინაარსის და ბუნდოვანი, სწორედ იმგვარი, როგორც კომპანიის საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის შესახებ მიღებული სასამართლო ბრძანება. სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა „გონივრული პროპორციულობის კავშირი განსაიდუმლოების შესახებ ბრძანების კანონიერ მიზანსა და

ამ მიზნის მიღწევისთვის გამოყენებულ საშუალებას შორის. შესაბამისად, მოსარჩლე ჟურნალისტის სიტყვის თავისუფლებაზე მოქმედი განსაიდუმლოების შესახებ ბრძანება არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში... *tetras* უფლებების დასაცავად... შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ორივე – როგორც ჟურნალისტისთვის წყაროს გამჟღავნების შესახებ ბრძანება, ისე მისი დასჯა ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის – წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების უფლების დარღვევას.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ზომების მიღება უეჭველად ნიშნავს პრესის თავისუფლებაში ჩარევას და დაადგინა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია ევროკონვენციის მე-10 მუხლი.

გუდვინის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, 2000 წლის 8 მარტს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია *WoR (2000)7*, რომელიც ეხება ჟურნალისტის უფლებას, არ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.

1996 წელი

დე ჰაესი და გიჯელსი ბელგიის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეზე მომჩივნები იყვნენ ყოველკვირეული ჟურნალ „ჰუმოს“ რედაქტორი და იმავე ჟურნალის ჟურნალისტი, ხოლო მოპასუხე – ბელგია.

მომჩივანმა ჟურნალისტებმა გაზეთის მეშვეობით განიხილეს სასამართლოში მიმდინარე პროცესი. მათ ხუთ სტატიაში გესლიანი ტერმინებით გააკრიტიკეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები. საქმე ეხებოდა განქორწინებას, რომელშიც სააპელაციო სასამართლომ ბავშვები მამას მიაკუთვნა. მამა, საქვეყნოდ ცნობილი ნოტარიუსი, ადრე მისი ცოლისა და ცოლის მშობლების მიერ ბრალდებული იყო ორი ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობაში. განქორწინების მომენტისთვის ნოტარიუსის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიება შეწყვეტილი იყო საბრალდებო დასკვნის შედგენის გარეშე.

დე ჰაესისა და გიჯელსის საქმემ სასამართლოს წინაშე დასვა საკითხი პრესის თავისუფლებისა და სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის დაბალანსების შესახებ.

სამმა მოსამართლემ და პროკურორმა გაზეთის ორ ჟურნალისტს უჩივლეს და ცილისმამებლური განცხადებების გამო მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლებრივი წესით. სამოქალაქო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ამ ორმა ჟურნალისტმა ძლიერი ეჭვის ქვეშ დააყენა მოსამართლეების მიუკერძოებლობა, რადგან მათ სასამართლოს დააბრალეს საქმის გადანყვეტა ნოტარიუსის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელთან ახლო პოლიტიკური კავშირების გამო. ჟურნალისტებს დაევალიათ ზიანის ანაზღაურება (სიმბოლური თანხით) და სასამართლო გადანყვეტილების საკუთარი ხარჯით დაბეჭდვა ექვს გაზეთში. ჟურნალისტებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს და განაცხადეს, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ განაცხადა, რომ პრესა ასრულებს მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში: „მისი მოვალეობაა... საკუთარ პასუხისმგებლობებთან შეთავსებით, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ყველა საკითხის შესახებ... ჟურნალისტური თავისუფლება ასევე ფარავს გაზვიადებას ან, თუნდაც, პროვოკაციას... ეროვნული მთავრობის დისკრეცია შეზღუდულია საზოგადოებრივი ინტერესით, რაც გულისხმობს პრესის – როგორც საზოგადოებრივი დარაჯის – ფუნქციას“.

ამასთან დაკავშირებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრესა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობით იმართება. თუმცა მან არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ფარგლებს, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებთან და რეპუტაციასთან დაკავშირებით, მის მოვალეობას წარმოადგენს – საკუთარი ვალდებულებების და პასუხისმგებლობების შესაბამისად – მოსაზრებებისა და ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით¹².

პოლიტიკური დებატების თავისუფლება თავისი ბუნებით უდავოდ აბსოლუტურია. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, ის შეზღუდვებსა და სასჯელებს დაუქვემდებაროს, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ სასამართლო წყვეტს აღნიშნული ზომების შესაბამისობას მე-10 მუხლში გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებასთან¹³. დასაშვები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა მთავრობასთან, ვიდრე ცალკეულ მოქალაქესთან ან თუნდაც ცალკეულ პოლიტიკოსთან მიმართებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავრობის ქმედებები დეტალურად უნ-

¹² იხ. „სანდი ტაიში“ (№1) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. გვ. 268.

¹³ იხ. „ოზბერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. გვ. 287.

და გაანალიზდეს არა მხოლოდ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ, არამედ პრესაში საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. მეტიც, ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც პრესა ასრულებს, ავალდებულებს მას, განიხილოს სისხლის სამართლებრივი დევნა (პროცესი) იმის გათვალისწინებით, რომ პრესას აქვს სხვა საშუალებებიც, რათა პასუხი გასცეს უსამართლობასა და კრიტიციზმს თავისი მტრების მხრიდან. სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის გარანტს, უფლება აქვთ, აირჩიონ, თუნდაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბუნებიდან გამომდინარე, მოახდინონ თუ არა რეაგირება ცილისმწამებლურ ბრალდებებზე, რომლებიც მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს, ან ჩამოყალიბებულია არაკეთილსინდისიერად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება ემყარებოდა ყველა იმ სტატიას, რომლებიც 1986 წლის 26 ივნისიდან 7 ნოემბრამდე დაიბეჭდა X-ის საქმის საკითხებზე. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს გასაჩივრებული ჩარევის აუცილებლობისა და მასშტაბის შეფასებისას.

სტატიები შეიცავს უამრავ დეტალურ ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მოხდა გადაწყვეტილების მიღება ბ-ნი X-ის ბავშვების მეურვეობის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია ემყარებოდა ბ-ნი X-ის წინააღმდეგ ბრალდებებისა და იმ ექსპერტთა მოსაზრებების სერიოზულ კვლევებს, რომლებიც განმცხადებლებს აწვდიდნენ ინფორმაციას ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. თვით ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოც კი ადგენს, რომ „ბატონი X-ის მეუღლესა და მეუღლის მშობლებს, რომელთა წინააღმდეგ აღიძრა საქმე კრიმინალური ცილისწამებისათვის, არ ჰქონდათ მიზეზი, ეჭვი შეეტანათ ბრალდებების სიმართლეში“.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განმცხადებლების დადანაშაულება იმაში, რომ მათ, თითქოსდა, უღალატეს თავის პროფესიულ ვალდებულებას, როდესაც გამოაქვეყნეს ის, რაც აღნიშნული საქმის შესახებ შეიტყვეს. ინფორმაციისა და მოსაზრებების გადაცემა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე პრესის მოვალეობაა. და, ასევე, საზოგადოებასაც აქვს მათი მიღების უფლება¹⁴. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით – ბრალდებების სერიოზულობიდან გამომდინარე, როცა საქმე ეხება როგორც ბავშვების ბედს, ისე ანტვერპენის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას. მეტიც, განმცხადებლებს ამ კუთხით აბსოლუტურად ნათელი პოზიცია უკავიათ, როდესაც

¹⁴ ჯერსილი დანიის წინააღმდეგ, გვ. 304; გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, გვ. 308.

1986 წლის 18 სექტემბრის სტატიის ნერენ: „პრესამ ნამდვილად არ უნდა მოახდინოს მოსამართლის როლის უზურპაცია, მაგრამ ამ სკანდალურ სიტუაციაში შეუძლებელი და დაუშვებელია ჩვენი დუმილი“.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატს, რომლებსაც პროცესი მიჰყავდათ, ბრიუსელის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში არც წერილობით და არც ზეპირ არგუმენტაციაში დაუყენებიათ ეჭვქვეშ X-ის ბავშვების ბედის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია, გარდა იმ განცხადებისა, რომ მოხდა აღნიშნული საქმის გამოტანა ანტვერპენის სასამართლოდან. მაგრამ ამ უკანასკნელი პუნქტის მნიშვნელობა მთელ სადავო საკითხთან შედარებით და თვით ის ფაქტიც, რომ განმცხადებლებმა თვითონვე შეასწორეს აღნიშნული განცხადება, მიუთითებს, რომ ეს ინციდენტი ეჭვქვეშ ვერ დააყენებს ჟურნალისტების მიერ ჩატარებული სამუშაოს სანდოობას.

თუმცა ბატონების დე ჰაესის და გიფსელის კომენტარები უდავოდ მეტისმეტად კრიტიკულია, ისინი სავსებით შეესაბამება იმ აღშფოთებასა და აურზაურს, რაც სტატიებში ასახულმა ბრალდებებმა გამოიწვია. რაც შეეხება ჟურნალისტების აგრესიულ და პოლემიკურ ტონს, რაც სასამართლომ არ მოიწონა, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ მუხლი 10 იცავს არა მხოლოდ გამომხატული ინფორმაციისა და მოსაზრებების არსს, არამედ, მათი გამომხატვის ფორმასაც.

საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გააცნობიერა, რომ მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით და, მაშასადამე, ისინი დაცული უნდა იყვნენ ფაქტობრივი საფუძვლის არმქონე დესტრუქციული თავდასხმებისაგან. უფრო მეტიც, მათ აქვთ დისკრეციული ვალდებულება, – მოსამართლეებს არ შეუძლიათ, საჯაროდ უპასუხოთ თავდასხმას, მაშინ როცა, მაგალითად, პოლიტიკოსებს ამის გაკეთება ხელენიფებათ. შემდგომ სასამართლომ განიხილა სტატიები და აღნიშნა, რომ მათში მოცემულია ბევრი დეტალი, მათ შორის, ექსპერტების მოსაზრებები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჟურნალისტებმა სერიოზული გამოძიება ჩაატარეს, ვიდრე ამ საკითხს საჯაროდ გამოიტანდნენ. ეს სტატიები მხოლოდ ნაწილი იყო საზოგადოებაში გამართული იმ საჯარო დებატებისა, რომელიც სასამართლოს მიერ ინცესტის საქმის გადაწყვეტამ გამოიწვია. გაითვალისწინა რა საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლება – იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი ინტერესების მომცველი მოვლენების შესახებ – სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და, მაშასადამე, წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას.

ინკალი თურქეთის წინააღმდეგ

ფაქტები: მომჩივანს აღნიშნულ საქმეში წარმოადგენდა თურქი პოლიტიკოსი ინკალი, ხოლო მოპასუხეს კი – თურქეთი.

ინკალის საქმეში ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა სიტყვის თავისუფლება შეზღუდეს „არეულობის თავიდან აცილების“ საბაბით. ბ-მა ინკალმა – ეროვნებით თურქმა და 1993 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული სახალხო ლეიბორისტული პარტიის წევრმა – გაავრცელა პროკლამაციები, რომლებიც შეიცავდა თურქეთის სამთავრობო პოლიციის შესახებ დვარძლიან ცნობებს და მოუწოდებდა ქურთი ეროვნების მოსახლეობას ერთად დგომისაკენ და ერთიანი პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებისაკენ. პროკლამაციები ხალხს მოუწოდებდა, ამხედრებულიყვნენ თურქეთის უსაფრთხოების პოლიციისა და ადგილობრივი მთავრობების მიერ წამოწყებული ანტიქურთული კამპანიის წინააღმდეგ. ამ კამპანიას იგი აფასებდა, როგორც „ქურთი ხალხის წინააღმდეგ ქვეყანაში გაჩაღებული საგანგებო ომის ნაწილს“. პროკლამაციებში სახელმწიფოს მოქმედება შეფასებული იყო, როგორც „თურქი და ქურთი პროლეტარების წინააღმდეგ მიმართული ტერორი“. თუმცა, ამის მიუხედავად, პროკლამაციები მკვლევობებისა და სიძულვილის მოწოდებებს არ შეიცავდა. თურქეთის უშიშროების პოლიციამ მიიჩნია, რომ პროკლამაციები შეიძლებოდა შეფასებული ყოფილიყო, როგორც სეპარატიზმის პროპაგანდა. ბ-ნ ინკალს დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის ეროვნული სასამართლოების მიერ მიენიჭა 6-თვიანი პატიმრობა. მას ასევე აეკრძალა სამოქალაქო სამსახურში შესვლა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ასოციაციებსა და სავაჭრო გაერთიანებებში საქმიანობა.

თურქეთის სასამართლოების აღნიშნული გადაწყვეტილება ბ-ნმა ინკალმა გაასაჩივრა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და განაცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ დაარღვია ევროკონვენციის მე-10 მუხლი.

ევროპული სასამართლოს წინაშე თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოსარჩლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება აუცილებელი იყო არეულობის თავიდან ასაცილებლად, რადგან პროკლამაციების ენა იყო აგრესიული, პროვოკაციული და სტიმულის მიმცემი ქურთი მოსახლეობისათვის, რათა მათ დაეჯერებინათ, რომ „საგანგებო ომის“ მსხვერპლნი იყვნენ და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ თავდაცვის კომიტეტების ჩამოყალიბება გამართლებული იყო. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ „პროკლამაციების შინაარსი ერთ ეთნიკურ ჯგუფს ამკარად განაწყობდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ“.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 და მე-6 მუხლები.

მოტივაცია: იმის შესაფასებლად, იყო თუ არა მოსარჩლის მიმართ გამოტანილი განაჩენი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ დაადგინა, რომ „უპირველეს ყოვლისა, სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისა და მისი აქტიური წევრებისათვის“. სასამართლომ დასძინა, რომ მან ვერ შეძლო, დაედგინა ვერც ერთი საფუძველი, რომლის გათვალისწინებითაც ბატონი ინკალი შეიძლება, მიგვეჩნია პასუხისმგებლად თურქეთში არსებული ტერორიზმის პრობლემების გამო[...]; დაბოლოს, ბატონი ინკალის განაჩენი იყო არაპროპორციული მიზნისა და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა აუცილებელს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მე-10 მუხლის დარღვევასთან ერთად, სასამართლომ დაადასტურა მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაც, რადგან მოსარჩლე გასამართლებული იყო სამი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლოს მიერ, რომლის ერთი წევრიც სამხედრო მოსამართლე გახლდათ.

1999 წელი

იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ

ფაქტები: განმცხადებელი იყო პოლონეთის მოქალაქე, ქალაქ ზდუნსკა ვოლაშის მცხოვრები ჟურნალისტი იანოვსკი. 1992 წლის 2 სექტემბერს მან ქალაქის მოედანზე დაინახა რამდენიმე მუნიციპალური მცველი, რომლებიც ქუჩაში მოვაჭრეებს აიძულებდნენ, მოედანი დაეტოვებინათ და უახლოეს ბაზარში გადაენაცვლათ. განმცხადებელი მუნიციპალურ მცველებს მიუახლოვდა და უთხრა, რომ ისინი საკუთარ უფლებებს ამეტებდნენ, რადგან მუნიციპალიტეტს შესაბამისი რეზოლუცია არ მიუღია. განმცხადებელსა და მცველებს შორის შელაპარაკებას არაერთი ადამიანი შეესწრო. რამდენიმე დღის შემდეგ ოლქის პროკურორმა სასამართლოში საბრალდებო აქტი წარადგინა, რომლითაც, სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, იანოვსკის ბრალად ედებოდა საჯარო მოსამსახურეების სიტყვიერი შეურაცხყოფა; ხოლო ამავე კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად – ხულიგნობა. განმცხადებელს მიუსაჯეს რვა თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის აღსრულებაც გადავადდა პირობით ორი წლის გან-

მავლობაში; მას დააკისრეს 1 500 000 ზლოტის გადახდა, აგრეთვე, – 400 000 ზლოტის გადახდა საქველმოქმედო დაწესებულებებისთვის და 346 000 ზლოტისა – სასამართლო ხარჯებისათვის.

განმცხადებელმა საქმე გაასაჩივრა რეგიონულ სასამართლოში, სადაც დაობდა, რომ მას პასუხისმგებლობა არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე დააკისრეს. რეგიონულმა სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია განმცხადებლის პასუხისმგებლობა ხულიგნობისთვის, რადგან აღნიშნა, რომ განმცხადებელი ქუჩაში მოვაჭრეებს იცავდა მცველებისგან, რომელთა ქმედებაც, მისი აზრით, უკანონო იყო. რეგიონული სასამართლო დაეთანხმა განმცხადებელს, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არ გამოუცია წერილობით რეზოლუცია, რომელიც მუნიციპალურ მცველებს ზემოაღნიშნული ქმედების უფლებას მისცემდა. თუმცა რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ იყო მოხსენიებული ის სიტყვები, რომლითაც განმცხადებელმა მცველებს მიმართა. ამ ორი სიტყვის საფუძველზე („სულელი“ და „ვირი“) სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა გადააბიჯა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და შეურაცხყო საჯარო მოხელეები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი სამართლიანად დაისაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის საფუძველზე, რომლის მიზანია, აღკვეთოს საჯარო მოხელეებისთვის მუშაობაში ხელის შეშლა.

იანოვსკიმ ევროპის ადამინის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა, რომ მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება, რაც ევროპული კონვენციის მეათე მუხლით არის გათვალისწინებული.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა და ჩარევა ეფუძნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით.

მოტივაცია: სახელმწიფოს მოჰყავდა ორი არგუმენტი ლეგიტიმური მიზნის არსებობის ასახსნელად. პირველი – ეს იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მეორე – საჯარო მოხელეების ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა. სასამართლო დაეთანხმა სახელმწიფო წარმომადგენლებს, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა ლეგიტიმური მიზანი, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სასამართლო ამის შემდეგ იმის განხილვას შეუდგა, აუცილებელი იყო თუ არა ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. გამოხატვის თავი-

სუფლება წარმოადგენს ინდივიდის განვითარების საფუძველს. გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც სასიამოვნო მოსასმენია, ან შეფასებულია როგორც უწყინარი და ინდიფერენტულობის ობიექტი, არამედ გამოხატვის თავისუფლება იცავს იმ ინფორმაციასა და იდეებსაც, რომლებიც წყენას მოგაყენებენ, შოკს მოგგვრიან ან აგაფორი-აქებენ (ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ).

სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერმინი „აუცილებელი“ გულისხმობს „ძლიერი სოციალური აუცილებლობის“ არსებობას. ნევრ სახელმწიფოებს გაჩნიათ თავისუფალი მოქმედების ფარგლები იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აღნიშნული აუცილებლობა. თუმცა ეს დისკრეცია არსებობს ევროპულ ზედამხედველობასთან ერთად, რომელიც მოიცავს სასამართლოების გადაწყვეტილებებს და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონმდებლობას. მიუღერის საქმეში ეროვნული ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევა სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა გონივრულად და „საჭიროდ დემოკრატიულ სახელმწიფოში“ – „მორალის“ დასაცავად (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ).

სასამართლომ დაადგინა, რომ იანოვსკი გამოხატვის დროს არ იყო ჩართული საჯარო დებატებში და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდა ორი სიტყვის წარმოთქმის გამო. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საქმეში ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში და სახელმწიფოს გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის პატიმრობის პირობითი სასჯელი აპელაციისას გაუქმდა და ჯარიმა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

საქმეში მეთათე მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

1999 წელი

სურეკი თურქეთის წინააღმდეგ (N1)

ფაქტები: მოსარჩლეს ამ საქმეში წარმოადგენდა ბ-ნი სურეკი, ხოლო მოპასუხეს კი – თურქეთის მთავრობა.

მოსარჩლეს ეკუთვნოდა ძირითადი წილი კომპანიაში, რომელიც გამოსცემდა ყოველკვირეულ ჟურნალს. გამოქვეყნდა ორი მკითხველის სტატია, სადაც სახელ-

მნიფო მოხელეები მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებულნი იმისათვის, რომ ნვლილი მიუძღოდათ „ქურთისტანში“ – სამხრეთ თურქეთში – განხორციელებულ მასობრივ მკვლელობაში. მოსარჩლე დამნაშავედ ცნეს სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის გავრცელებასა და ხალხში მტრობისა და სიძულვილის გაღვივებაში. მას ჯარიმა დაეკისრა.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: საჯარო მოხელის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსარჩლის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვას; ეს განხორციელდა კანონის ფარგლებში და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და არეულობისა და დანაშაულის თავიდან აცილებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; როგორც მე-10(2) მუხლის დაცვის საგანი, ვრცელდება სანყენ, შოკის მომგვრელ და შემამოფოთებელ ინფორმაციასა და იდეებზეც. თავისუფალი გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებული ყოველგვარი გამოწვევის უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და შეზღუდვების აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა ჩამოყალიბდეს.

ზედსართავი „აუცილებელი“, მე-10(2) მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას.

მთლიანად საქმის ფონზე, საკამათო ფრაზებისა და მათი კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად პროპორციული იყო განსახილველი შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიმართ და რამდენად შესაფერისი და საკმარისია ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები... სახელმწიფო თანამდებობის პირებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ გამოიყენეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისი სტანდარტები და, ამასთანავე, ეყრდნობოდნენ სათანადო ფაქტების მისაღებ შეფასებას.

სადავო შეზღუდვა განხილულ უნდა იქნეს პოლიტიკური დემოკრატიის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფაში პრესის არსებითი როლის გათვალისწინებით. პრესის მოვალეობაა, გაავრცელოს პოლიტიკური ინფორმაცია და იდეები, რომელთა შორის შეიძლება იყოს უთანხმოების გამომწვევი მოსაზრებებიც; საზოგადოებას კი აქვს მათი მიღების უფლება.

მე-10(2) მუხლის მიხედვით, პოლიტიკური გამოსვლისა და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე დებატების შეზღუდვა შეიძლება მცირე ფარგლებში. დასაშვები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა ხელისუფლებასთან მიმართე-

ბაში, განსხვავებით კერძო პირისაგან. ხელისუფლების მოქმედების ან უმოქმედობის მართებულობა უნდა შემოწმდეს საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. დომინანტური პოზიცია აიძულებს ხელისუფლებას, ნაკლებად მიმართოს სისხლის-სამართლებრივ პროცედურებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს სხვა საშუალებები ოპონენტების უსამართლო შეტევებისა და კრიტიკის საპასუხოდ. თუმცა კომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეებს მაინც შეუძლიათ, მოახდინონ შესაბამისი რეაგირება ასეთ შენიშვნებზე და მიიღონ სხვადასხვა, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი ხასიათის ზომებიც კი. როდესაც ასეთი გამონათქვამები მოუწოდებენ კერძო პირის, საჯარო მოხელის ან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიმართ ძალადობისკენ, სახელმწიფო თანამდებობის პირებს აქვთ უფრო ფართო განმარტების შესაძლებლობა, რათა შეამოწმონ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმის გარემოებები, კერძოდ, ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემები. სადავო წერილებში „სისხლისღვრაზე“, „ჟლეტასა“ და „სისასტიკეზე“ მითითების გარდა, გამოყენებული იყო ისეთი განსაზღვრებებიც, როგორცაა “ფაშისტური თურქული არმია” და „მკვლელების ბანდა“. სასამართლოს აზრით, ეს იყო სისხლიანი შურისძიების მოთხოვნა უარყოფითი ემოციების აღძვრისა და სასტიკ ძალადობაში უკვე გამოვლენილი გაბოროტებული გრძნობების გამძაფრების მეშვეობით. წერილები გამოქვეყნდა სერიოზული მღელვარების ფონზე, როდესაც დიდი იყო მსხვერპლი და გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა. გარდა ამისა, ამ წერილებს შეუძლიათ, კვლავ ბიძგი მისცენ ძალადობას. ერთ-ერთ წერილში პიროვნებები მოხსენიებულნი იყვნენ სახელებით, რაც მათზე ძალადობის განხორციელების საფრთხეს ქმნიდა. მოსარჩელისთვის დაკისრებული ჯარიმა მოკრძალებული იყო. ქვეყნის თანამდებობის პირების მიერ წამოყენებული არგუმენტები მოსარჩლის დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სათანადო და საკმარისი იყო და შეზღუდვაც პროპორციულად შესაბამებოდა მის ლეგიტიმურ მიზანს.

1999 წელი

ფრესოზი და რუა საფრანგეთის წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩლეებმა ფრანგულ სატირულ გაზეთ „Canrad Enchainé“-ში გამოაქვეყნეს სტატია, სადაც საუბარი იყო შემდეგზე: კომპანია „პეფოს“ გენე-

რალურ დირექტორს, ბატონ კავატს, ხელფასი სერიოზულად გაეზარდა მაშინ, როდესაც კომპანიის მენეჯმენტის სამსახური უარს ეუბნებოდა თანამშრომლებს ხელფასის მომატებაზე. ბატონი ფრესოზი, რომელიც სატირული გამოცემის დირექტორი იყო, და ბატონი რუა, ჟურნალისტი, რომელმაც სტატია გამოაქვეყნა, დამნაშავედ ცნეს. ისინი დაადანაშაულეს კონფიდენციალობის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტის გამოქვეყნებაში. თავად დოკუმენტი მიღებულ იქნა საგადასახადო სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომლისგან, რომლის ვინაობაც დადგენილი არ არის.

მოსარჩელებმა მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს, სადაც დაობდნენ, რომ მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტები ვალდებული არიან, დაემორჩილონ სისხლის სამართლის კანონებს საკუთარ ქვეყანაში. ისინი ამ ვალდებულებისგან არ თავისუფლდებიან მეათე მუხლის დაცვის გამო. თუმცა ამ კონკრეტულ სიტუაციაში, საზოგადოებრივმა ინტერესმა და პრესის არსებითმა როლმა, შესაძლოა, გაამართლოს პროფესიული საიდუმლოს დარღვევით მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნება. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საგაზეთო სტატიამ წვლილი შეიტანა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხის ირგვლივ დებატებში, ასევე იმ ფაქტის გამო, რომ ბატონი კავატის ხელფასის შესახებ ინფორმაცია არ ეხებოდა მის პირად ცხოვრებას და, თანაც, ეს ინფორმაცია უკვე ცნობილი იყო ადამიანთა საკმაოდ ფართო წრისათვის, – სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში არ არსებობდა სადავო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროება. სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ მოსარჩელებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება დაეფუძნა იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელთა გამჟღავნებაც კანონს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა დოკუმენტების შინაარსი არ იყო კონფიდენციალური.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მეათე მუხლი იცავს ჟურნალისტის უფლებას, გამოაქვეყნოს ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იმის გათვალისწინებით, რომ იმოქმედებს კეთილსინდისიერად, ზუსტ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს სანდო და უტყუარ ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის ნორმების შესაბამისად.

დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ

ფაქტები: ბატონმა დალბანმა, რომელიც რუმინეთში ყოველკვირეულ გაზეთს გამოსცემდა, გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ბატონი ჯ.ს. ჩართული იყო ფინანსურ მაქინაციებში, რის შედეგადაც კომპანიამ 23 000 000 ლეი დაკარგა. დალბანი ამავე სტატიაში საუბრობდა სენატორ რ.ტ.-ს შესახებ, რომელიც ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო და რომელმაც უკანონოდ ისარგებლა საკუთარი თანამდებობით. ბატონი დალბანი დამნაშავედ ცნეს ცილისწამებისთვის. მას დანიშნული სასჯელი გადაუვადეს და დააკისრეს სასამართლო პროცესის ხარჯების ანაზღაურება. აპელაციისას უზენაესმა სასამართლომ გაამართლა დალბანი ბატონ ჯ.ს.-სთან დაკავშირებით, რადგან დაადგინა, რომ იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა; ამავდროულად, სასამართლომ ძალაში დატოვა წინა ინსტანციის გადაწყვეტილება სენატორის ცილისწამებასთან დაკავშირებით, თუმცა დახურა საქმე ბატონი დალბანის სიკვდილის გამო. ბატონი დალბანის ქვრივმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევის გამო და კომპენსაციას ითხოვდა.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონ დალბანთან მიმართებაში დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი.

მოტივაცია: სასამართლომ თავდაპირველად კიდევ ერთხელ აღნიშნა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, კერძოდ კი – პრესის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში; თუმცა იქვე დასძინა, რომ პრესამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ზღვარს; რომ ჟურნალისტური თავისუფლება მოიცავს გაზვიადების და პროვოკაციის გარკვეულ ხარისხსაც. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მიუღებელი იქნებოდა, თუკი ჟურნალისტი ვერ შეძლებდა კრიტიკული შეფასებების გამოთქმას მათი სიმართლის დამტკიცების გარეშე. საქმიდან გამომდინარე, ვერ მტკიცდება, რომ დალბანის სტატიაში მოყვანილი ფაქტები მცდარი იყო და მიზნად ისახავდა ჯ.ს.-ს და სენატორ რ.ტ.-ს წინააღმდეგ კამპანიის დაწყებას. სახელმწიფოს წარმომადგენელს სადავოდ არ გაუხდია კომისიის დასკვნა, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ დალბანისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით დაირღვა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება.

ამ საქმეში ასევე წარმოიშვა მნიშვნელოვანი საკითხი მსხვერპლის სტატუსთან

დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ დალბანის სასარგებლოდ გადანყვეტილების გამოტანა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დალბანისთვის მსხვეპლის სტატუსი გაეუქმებინათ, თუკი სახელმწიფო ორგანოები კონვენციის დარღვევას ღიად არ აღიარებდნენ და არ უზრუნველყოფდნენ დარღვეული უფლების აღდგენას. რუმინეთის უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებით, დალბანი გაამართლეს ჯ.ს.-სთან დაკავშირებით, თუმცა, მისი უფლებები არ აღუდგენიათ. უზენაესი სასამართლოს მიერ სენატორ რ.ტ.-სთან დაკავშირებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება და საქმის დახურვა დალბანის გარდაცვალების გამო, არ წარმოადგენდა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევის აღიარებას.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ცოლს შეუნარჩუნდება მსხვერპლის სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის.

1999 წელი

„ბლადეტ ტრომსო“ და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ

ფაქტები: პირველი განმცხადებელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც ყოველდღიურ გაზეთს გამოსცემდა, მეორე განმცხადებელი კი – ამ გაზეთის რედაქტორი.

გაზეთ „ბლადეტ ტრომსო“-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ეყრდნობოდა სპეციალურად დანიშნული ინსპექტორის მოხსენებას. ეს ინსპექტორი ვეშაპებზე მონადირე გემზე მოგზაურობდა წესების დაცვის შესამოწმებლად. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მონადირეებმა, სავარაუდოდ, დაარღვიეს საკმაოდ მკაცრი წესები, რომლებიც დადგენილი იყო ამ სახეობაზე ნადირობისათვის. მოხსენების გამოქვეყნება თევზჭერის სამინისტრომ დროებით გადადო. ხომალდის წევრებმა გაზეთის წარმომადგენლებს ცილისწამებისთვის უჩივეს. სასამართლომ ზოგიერთი განცხადება შეაფასა, როგორც ცილისწამებლური და განმცხადებლებს ხომალდის წევრებისათვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო მეათე მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ თავდაპირველად კიდევ ერთხელ აღნიშნა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, კერძოდ კი, პრესის როლი დემოკრატიულ

საზოგადოებაში; თუმცა, იქვე დასძინა, რომ პრესამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ საზღვრებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟურნალისტური თავისუფლება მოიცავს გაზვიადების და პროვოკაციის გარკვეულ ხარისხსაც. ხოლო სახელმწიფომ პრესას უნდა მისცეს საშუალება, რომ იმოქმედოს, როგორც საზოგადოების გუშაგმა და გამოაქვეყნოს ინფორმაცია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

სადავო განცხადებები ბრალს სდებდა ხომალდის წევრებს სისხლის სამართლის დანაშაულებების ჩადენაში. ნორვეგიული სასამართლოს გადაწყვეტილება ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ კი – ხომალდის წევრების უფლებების დაცვას. რაც შეეხება გადაწყვეტილების შესაბამისობას, აქ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო იმ დროისათვის ნორვეგიაში ვეშაპებზე ნადირობის თემის ირგვლივ წარმოქმნილი გარემოებები და წინააღმდეგობრივი დებატები. ფაქტებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გაზეთმა დაბალანსებულად გააშუქა ეს თემა და წარმოაჩინა სხვადასხვა შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, როდესაც საქმე ეხება სანქციის დაწესებას ან სხვა ისეთი ზომების მიღებას, რომლებსაც შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პრესის მონაწილეობაზე საზოგადოებრივად მნიშვნელოვან დებატებში.

კონვენციის მეათე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია მოვალეობები, რომელიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. ამასთან, ხომალდის წევრებს, კონვენციის მეექვსე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იცავს უდანაშაულობის პრეზუმფცია, სანამ მათი ბრალეულობა არ დადგინდება სასამართლო წესით. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე.

გამოხატვა ამ საქმეში მოიცავდა არა შეფასებით მსჯელობას, არამედ – ფაქტებს, რომლებიც არ იყო გამაგრებული დამოუკიდებელი კვლევით ან გამოძიებით. ფაქტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: 1. განცხადებები სტატიაში ცილისმწამებლური იყო არა იმიტომ, რომ ხომალდის წევრებს ბრალად ედებოდათ ვეშაპებისადმი გამოჩენილი სისასტიკე, არამედ იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ ვეშაპებზე ნადირობა არალეგალური იყო; 2. სტატიაში მოთხრობილი იყო სისასტიკის შესახებაც, მაგალითად ის, რომ ხო-

მალდის წევრებმა ცოცხლად გაატყავეს ვეშაპები და ცემით დაემუქრნენ ინსპექტორს. მაგრამ ეს ინფორმაცია გადმოცემული იყო ზოგადი მსჯელობით, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, სტატიის შესაბამისი მონაკვეთი შეფასებულიყო, როგორც გარკვეულწილად გაზვიადებული. 3. სტატიაში გამოქვეყნებული იყო ხომალდის იმ წევრთა სახელები, რომლებსაც ინსპექტორი ესაუბრა, თუმცა არ იყო ნახსენები არც ერთი სახელი იმ პირთაგან, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სადავო ქმედებები; 4. რადგან მოხსენება შედგენილი იყო ოფიციალური პირის მიერ, გაზეთს უფლება ჰქონდა, დაყრდნობოდა მას; 5. სახელმწიფოს არ გაუკეთებია რაიმე განცხადება, რომელიც საექვოს გახდიდა სადავო მოხსენებას.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლოს არ შეუძლია განაცხადოს, რომ ხომალდის წევრების უფლებების დაცვამ გადაწონა საზოგადოების ინტერესი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ არსებობდა ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

1999 წელი

News verlags GmbH & CoKG-ი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეში მოსარჩლეს წარმოადგენდა მედია ორგანიზაციის მფლობელი კომპანია *News verlags GmbH*-ი და *CoKG*-ი, ხოლო მოპასუხეს კი – ავსტრია.

ბ-ს დაკავების შემდეგ, იმ სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც დაკავშირებული იყო პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო პირების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასთან, მოსარჩლემ გამოაქვეყნა სპეციალური პუბლიკაცია და მოგვიანებით კი წერილი, რომლებშიც საუბარი იყო ასაფეთქებელ წერილებზე, რომელთაც ეჭვმიტანილი „ბ“ აგზავნიდა. გამოქვეყნდა ბ-ს რამდენიმე სურათი, რომელთაც თან ახლდა შემდეგნაირი წარწერები: „დამნაშავეთა შემლილი სამყარო“, „ფიურერის ტერორი“ და „მსხვერპლი და ფაშისტები“. სურათებს მოსდევდა ტექსტი, რომელიც მიუთითებდა, რომ ბ-ს ბრალი მიუძღოდა დანაშაულებრივ ქმედებებში, რომელთა გამოც იგი დააპატიმრეს. საავტორო უფლებათა აქტის შესაბამისად, ბ-მ მოიპოვა სასამართლოს დადგენილებები, რომლებიც უკრძალავდნენ მოსარჩლეს მისი სურათის გამოქვეყნებას მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით. ვენის სააპელაციო სასამართლომ დაად-

გინა, რომ მოსარჩლის მიერ გამოქვეყნებული ბ-ს ფოტოებისა და თანდართული ტექსტის კომბინაციის გამო გამართლებული იყო მოსარჩლე კომპანიისთვის აბსოლუტური აკრძალვის დაწესება. მოსარჩლე კომპანია ჩიოდა, რომ ამით დაირღვა მისი თავისუფალი გამოხატვის უფლება.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: საჯარო თანამდებობის პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსარჩლის თავისუფალი გამოხატვის უფლების შეზღუდვას. ეს განხორციელდა კანონის ფარგლებში და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების, აგრეთვე, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას. შეზღუდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ სტატიები დაწერილი იყო საჯარო პირებისადმი მიმართული წერილებით აფეთქების სერიის წინააღმდეგ. ამრიგად, ისინი წარმოადგენდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ახალი ამბების აქტუალურ ნაწილს. სტატია შეეხებოდა ექსტრემისტ მემარჯვენებს და განსაკუთრებით კი ბ-ს, რომელიც დაპატიმრებული იყო.

დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებშიც იგი იყო ექვმიტანილი, წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკური ხასიათის დანაშაულს. არც ერთ ფოტოში აღბეჭდილი არ ყოფილა მისი პირადი ცხოვრების დეტალები; ამასთან, აღმკვეთ დადგენილებებს არ მოექმნებოდა გამართლება ბ-ს პირადი საიდუმლოების უფლების საფუძველზე.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის არსებითი როლის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა: „პრესა უფლებამოსილია, გააშუქოს და კომენტარი გაუკეთოს სასამართლო პროცესებს, რაც, იმ შემთხვევაში, თუ არ სცილდება გარკვეულ საზღვრებს, ხელს უწყობს მათ საჯაროობას და, ამდენად, შესაბამისობაში მოდის კონვენციის მე-6(1) მუხლის მოთხოვნასთან – სასამართლოში საქმის მოსმენა იყოს საჯარო. გარდა იმისა, რომ მედიას აკისრია ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელება, საზოგადოებასაც აქვს მათი მიღების უფლება. ეს განსაკუთრებით აშკარაა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ისეთ პიროვნებას, რომელიც თვითონ გამოვიდა საზოგადოების სამსჯავროზე და ექსტრემისტული მოსაზრებები გამოხატა. თუმცა მიმდინარე პროცესების შესახებ დასაშვები კომენტარების საზღვრები არ შეიძლება გავრცელდეს გამონათქვამებზე, რომლებიც განზრახ თუ უნებლიეთ წინასწარმეტყველებენ სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგენილი ადამიანის შანსებს, ან აკნინებენ საზოგადოების რწმენას სამართალწარმოებისას სასამართლოების როლისადმი.“

იმ დროს, როდესაც შეიძლებოდა არსებულიყო არგუმენტები ექვმიტანილის სურათის გამოქვეყნების სრული აკრძალვისთვის, ვენის სააპელაციო სასამართლომ თუნდაც ერთი ასეთი არგუმენტი არ მოიყვანა. სასამართლომ არც ბ-ს ინტერესებისა და საზოგადოების ინტერესების ურთიერთშეფარდება განახორციელა. დადგენილებებით შეიზღუდა მოსარჩლის არჩევანი, შეტყობინებების გადმოცემასთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც მედიის სხვა წარმომადგენლებს თავისუფლად შეეძლოთ გაეგრძელებინათ ბ-ს სურათის გამოქვეყნება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ბ-ს სურათის გამოქვეყნების სრული აკრძალვა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობასთან მიმართებაში ზედმეტი იყო.

2000 წელი

„Bergens Tidende“ ნორვეგიის წინააღმდეგ

ფაქტები: ყოველდღიურმა გაზეთმა „Bergens Tidende“-მ გამოაქვეყნა მასალათა სერია ვინმე ექიმ R-ის მიერ კლინიკაში ჩატარებულ წარუმატებელ პლასტიკურ ოპერაციებზე; ამასთან, ზოგიერთ მათგანს თან ახლდა დოკუმენტური ფოტომასალა. ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ „Bergens Tidende“ დამნაშავედ ცნო დიფამაციაში, რამდენადაც სტატიებში მოყვანილი მრავალი მტკიცებულება სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

ექიმი R იყო სპეციალისტი კოსმეტიკურ ქირურგიაში და ამ სფეროში 1975 წლიდან მუშაობდა. 1986 წელს, ახალი კლინიკის გახსნის შემდეგ, პირველმა მომჩივანმა დაბეჭდა სტატია, რომელიც აღწერდა ექიმი R-ის სამუშაოს და კოსმეტიკური ქირურგიის უპირატესობას. შესაბამისად, გაზეთს დაუკავშირდა რამდენიმე ქალბატონი, რომელთაც თავის დროზე ექიმმა R-მ უმკურნალა. ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას განეული სამედიცინო მომსახურების გამო. გაზეთმა დაბეჭდა რამდენიმე საჩივარი და თან დაურთო ფოტოები, სადაც ოპერაციის ხარვეზები იყო ნაჩვენები. ანალოგიური შინაარსის სტატიები გამოქვეყნდა გაზეთის შემდეგ ნომრებშიც. როგორც დისკუსიის ნაწილი, გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ საავადმყოფოს პლასტიკურ ქირურგთან. ინტერვიუში ქირურგი აცხადებდა, რომ პლასტიკურ ქირურგიაში წარმატებულ და წარუმატებელ ოპერაციებს შორის ძალიან მცირე ზღვარია. სტატიაში გამოქვეყნებული იყო, ასევე, ინტერვიუ ექიმ R-სთან.

თუმცა ექიმმა უარი განაცხადა, კომენტარი გაეკეთებინა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პაციენტებმა იგი საიდუმლოს დაცვის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს. სტატიებში იყო ინტერვიუები იმათთანაც, ვინც კმაყოფილი იყო ექიმ R-ის პლასტიკური ოპერაციით.

გასაჩივრებული სტატიები შეეხებოდა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ასპექტს და იხილავდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სერიოზულ საკითხებს. სტატიები ეხებოდა წარმოუდგენელ მოპყრობას იმ კერძო ექიმის მხრიდან, რომელმაც რვა ათასამდე ოპერაცია ჩაატარა. ამგვარად, სტატიებში წამოჭრილი იყო მომხმარებელთა დაცვის ადგილობრივი და ნაციონალური დონის პრობლემა.

სტატიები უნდა განვიხილოთ იმავე გაზეთის მიერ ექიმ R-ის სასარგებლო წინა სტატიის კონტექსტში. როდესაც ეროვნული მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს შეუძლია გამოიწვიოს პრესის მიერ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების გამოქვეყნებისაგან თავის შეკავება, საჭიროა ძალზე ფრთხილი მიდგომა. 10(2)-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების საფუძველზე ჟურნალისტებისათვის გარანტირებულია დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი მოვლენების გაშუქებას. ეს გულისხმობს, რომ ჟურნალისტები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, რათა გადასცენ სწორი და სანდო ინფორმაცია – რაც შეესაბამება ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს.

სტატიების გამოქვეყნების შემდეგ ექიმ R-სთან იკლო პაციენტების რიცხვმა და, შედეგად, 1989 წელს მან კლინიკა დახურა. ექიმმა წამოიწყო სასამართლო საქმე მომჩივნების წინააღმდეგ. უზენაესმა სასამართლომ საქმე ექიმის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მომჩივანებს ზარალის ანაზღაურება დააკისრა.

ჯარიმა მთავარი რედაქტორისთვის და სტატიების ავტორი ჟურნალისტებისთვის 4 709 861 ნორვეგიული კრონის ოდენობით განისაზღვრა (დაახლოებით 900 000 ამერიკული დოლარი).

გადაწყვეტილება: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლომ ერთსულოვნად აღიარა, რომ ნორვეგიის მთავრობამ დაარღვია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროკონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ გამოსატყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს. ის ისეთ ინფორმაციასა და იდეებზეც ვრცელდება, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან ამაფორიაქებელია. „აუცილებლობა“ 10 (2)-ე მუხლის მიხედვით, გულისხმობს ძლიერ სოცი-

ალურ მოთხოვნილებას. სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად იყო ჩარევა კანონიერი მიზნის პროპორციული და შეიძლებოდა თუ არა მთავრობის მიერ მოხმობილი მიზეზების მიჩნევა რელევანტურად და საკმარისად.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სტატიები შეიცავდა ცნობებს იმის თაობაზე, რომ ექიმ R-ს აკლდა ქირურგიული გამოცდილება და, ამიტომ, მისი პაციენტები ცუდად ხდებოდნენ მკურნალობის შემდეგ; თანაც, ექიმი განზრახ ჩადიოდა ამას. სასამართლოს მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად იყო უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ზომები კანონიერი მიზნის პროპორციული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ გაზეთს არ დაუმახინჯებია რესპონდენტი ქალების ინტერვიუები. არც ერთი სტატია არ შეიცავდა მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ოპერაციის არასასურველი შედეგები გამოწვეული იყო დაუდევარი მკურნალობით. სტატიების საერთო ხაზი ამტკიცებდა მხოლოდ იმას, რომ ექიმმა R-მ არ განახორციელა ადეკვატური პოსტოპერაციული მკურნალობა წარუმატებელი ოპერაციების შემდეგ.

აუცილებლობა. ყურადღება უნდა გამახვილდეს, აგრეთვე, ობიექტური და დაბალანსებული რეპორტაჟის პრინციპის დაცვაზე. გასაჩივრებული სტატიები წარმოადგენს არგუმენტების მხოლოდ ერთ ნაწილს, რომელიც დაბეჭდა გაზეთში. ერთი მხრივ, ექიმ R-ს საშუალება მიეცა, დაეცვა საკუთარი პოზიციები, ხოლო მეორე მხრივ, დაიბეჭდა ასევე სხვა პირთა მოსაზრებები. სახელმწიფოს მიერ მოყვანილი მიზეზები იყო რელევანტური, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რათა დაედასტურებინა ჩარევის აუცილებლობა.

რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, სასამართლომ თავდაპირველად ხაზგასმით აღნიშნა იმ ლიმიტების შესახებ, რომლებიც ჟურნალისტური თავისუფლებისათვის არის დადგენილი:

„[გამოხატვის თავისუფლების] გარანტიები, რომლებიც ვრცელდება ჟურნალისტებზე იმ საკითხების გაშუქებისას, რაც განეკუთვნება საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს, ეყრდნობა პირობას, რომ ჟურნალისტები მოქმედებენ კეთილსინდისიერად (good faith), რათა, ჟურნალისტური ეთიკის დაცვით, საზოგადოებას სწორი და სანდო ინფორმაცია მიაწოდონ...“

სასამართლოს შეფასებით, სამართლებრივი დაცვის არქონა არ არღვევდა მომჩივანის უფლებას სამართლიან სასამართლოზე. შესაბამისად, ეს არ წარმოადგენდა ჩარევას არც მისი გამოხატვის თავისუფლებაში.

რაც შეეხება მონშეთა ამორიცხვას, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანსა და მის წარმომადგენელს პროცესის მიმდინარეობისას საშუალება ჰქონ-

დათ, გაესაჩივრებინათ ეს პროცესუალური მოქმედება. უფრო მეტიც, რადგან მომჩივანმა მოწმეთა გამოძახება უკანასკნელ მომენტში მოითხოვა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამორიცხვზა აუცილებელი იყო პროცესის მეორე მხარის უფლების (გონივრულ ვადებში მოემზადებინა საქმე) დასაცავად.

რაც შეეხება მომჩივანის მითითებას იმის თაობაზე, რომ მასზე იყო სტატიაში მოყვანილი განცხადებების მტკიცების ტვირთი, სასამართლომ აღნიშნა:

„აუცილებელია, არსებობდეს განსაკუთრებული მიზეზები, ვიდრე გაზეთი გათავისუფლდება მისი ჩვეული მოვალეობისაგან – დაადასტუროს იმ ფაქტობრივი განცხადებების ნამდვილობა, რომელიც შინაარსობრივად დიფამაციას წარმოადგენს. იმის გარკვევისას, თუ რამდენად არსებობდა აღნიშნული მიზეზები, უნდა შეფასდეს დიფამაციური განცხადებების ბუნება და ხასიათი, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს, რამდენად სარწმუნოა გაზეთის წყაროები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს არ გადაუმოწმებია მისი წყაროების ნამდვილობა სტატიების გამოცემამდე.

ამ საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სადავო სტატიათა სერიალში აღწერილი იყო კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ეფუძნებოდა იმ ადამიანების გამოცდილებას, რომელთა კოსმეტიკური ოპერაციები წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ამიტომ, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მსგავსი მასალის გამოქვეყნება გამართლებულია. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ შესაძლოა, ჟურნალისტური ეთიკის დაცვის თვალსაზრისით, ჟურნალისტები არასაკმარისად კორექტულად მოქმედებენ; მაგრამ სასამართლო დაეყრდნო სამართლებრივი ნორმების სტანდარტულ მიდგომას, რომლის თანახმადაც, „არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია უკარნახოს ჟურნალისტს, როგორი მეთოდები გამოიყენოს მოვლენების აღწერისას.“

2000 წელი

ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ

ფაქტები: ფუნტეს ბობო იყო თანაავტორი 1993 წელს გაზეთ „დიარიო 16“-ში გამოქვეყნებული სტატიისა, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ესპანეთის საზოგა-

დოებრივი სამაუწყებლო სისტემის საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მმართველობითი პროცესი. მოგვიანებით, ფუნქციონირებდა ბოლომდე ორ რადიოპროგრამაში გააკრიტიკა TVE-ის ზოგიერთი მენეჯერის საქმიანობა, რის გამოც იგი დისციპლინარულ პასუხისგებაში მისცეს, ხოლო 1994 წელს სამსახურიდან დაითხოვეს.

გადანწყვეტილება: ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან სამსახურიდან დათხოვნა წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-10 მუხლის დაცვა ვრცელდება როგორც თანამშრომელზე, ასევე დამქირავეებზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ TVE-ის საქმიანობის შესახებ კრიტიკული გამონათქვამები ნაწილი იყო ღია დისკუსიისა, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაკნინებას ესპანეთში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ბოლოს მიერ ინტერვიუს დროს გაკეთებული ზოგიერთი განცხადება მეტ-ნაკლებად პროვოცირებული იყო იმ თოქ-შოუს მსჯელობის მიმართულებით, რომელშიც იგი მონაწილეობდა. რამდენადაც სარჩელი არ იყო აღძრული ბოლოს გამონათქვამების შინაარსის გამო, სასამართლომ მისი სამსახურიდან დათხოვნა ჩათვალა გამოხატვის თავისუფლების დარღვევად კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით.

2000 წელი

„ოზგურ გუნდემი“ თურქეთის წინააღმდეგ

ფაქტები: „ოზგურ გუნდემი“ არის გაზეთი, რომელიც 1992-1994 წლებში სტამბულში ყოველდღე გამოიცემოდა. მასში აისახებოდა თურქეთში მცხოვრები ქურთების შეხედულებები ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. თუმცა იმ ტერაქტების, გატაცებების, მკვლელობის შემდეგ, რომლებიც თურქ ქურთებთან იყო დაკავშირებული, გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. რედაქციამ ეს ამბავი იმით ახსნა, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა მათ მხარდაჭერა შეუწყვიტეს, რადგან ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ქურთთა შეხედულებების გავრცელებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სამთავრობო სტრუქტურებმა მიიჩნიეს, რომ მსგავსი გაზეთის გამოცემას შესაძლოა რასობრივი და ნაციონალური შუღლი გამოეწვიოს.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ ჩათვალა, რომ თურქეთის ხელისუფლებას უფრო კვალიფიციურად უნდა დაეცვა „ოზგურ გუნდემი“. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს კრიტიკა მისი საქმიანობის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს კრიტიკა პროვოკაციული ხასიათისაა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში არსებულ პრობლემებზე სხვადასხვა შეხედულების შესახებ. ევროპის სასამართლოს ერთსულოვანი აზრით და გადაწყვეტილებით, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

2000 წელი

ნადრეას ვაბლი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: ავსტრიის პარლამენტის ნევრმა ვაბლმა ბრალი დასდო გაზეთ „კრონენ-ცაიტუნგს“ (Kronen-Zeitung) „ჟურნალისტურ ფაშიზმში“, რამდენადაც აღნიშნულმა გაზეთმა ციტირება მოახდინა პოლიციელის სიტყვებისა, რომელმაც ვაბლისგან მოითხოვა, გაეველო ტესტი სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე (BUZ). ერთ-ერთი საპროტესტო მიტინგის დროს ვაბლმა ამ პოლიციელს ხელი მოსტეხა. ვაბლის წინააღმდეგ აღძრული საქმე დამთავრდა შემდეგი გადაწყვეტილებით: ვაბლმა აღარ უნდა გამოიყენოს თავის გამონათქვამებში „ჟურნალისტური ფაშიზმის“ ბრალდება. თუმცა, „კრონენ-ცაიტუნგში“ გამოქვეყნებული მასალები შეფასდა, როგორც შეურაცხმყოფელი, მაგრამ ავსტრიის კანონებისგან განსხვავებით, არ შეფასდა, როგორც ნაციონალურ-სოციალისტური ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაული. ვაბლმა მოახერხა თავისი შეხედულებების გამოთქმა, მაგრამ არა ისეთი ექსპრესიით და ისეთი ტერმინის გამოყენებით, როგორცაა „ჟურნალისტური ფაშიზმი“.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

2000 წელი

ფელდეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ

ფაქტები: 1991 წელს დუნკან სლობოდიჩმა, რომელიც დამოუკიდებელ კვლევებს აწარმოებდა, გამოაქვეყნა ავტობიოგრაფია, სათაურით „პოლარული წრე“. მან ავტობიოგრაფიაში სხვა თემებთან ერთად აღწერა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრა საბჭოთა სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1945 წელს. დუნკან სლობოდიჩს ბრალი იმ საფუძვლით წაუყენეს, რომ, თითქოს, იგი საბჭოთა არმიაში ჯაშუშად იყო შეგზავნილი. მან ასევე აღწერა საკუთარი რეაბილიტაცია 1960 წელს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს მიერ. 1992 წელს დუნკან სლობოდიჩი სლოვაკეთის კულტურის და განათლების მინისტრი გახდა.

განმცხადებელმა 1992 წელს გამოაქვეყნა ლექსი „გაზეთ ტელეგრაფში“. ლექსი წარმოადგენდა კომენტარს ქვეყანაში მთავრობის შეცვლზე და აღნიშნული იყო, რომ ყოფილი „SS“ და „ST“ (ყოფილი საიდუმლო პოლიცია ჩეხოსლოვაკიაში) ერთმანეთს შეეკვრნენ. ეს ლექსი რამდენიმე სხვა გაზეთმაც გამოაქვეყნა, ხოლო ორმა ჟურნალისტმა დამოუკიდებლად გააკეთა კომენტარი, რომ „SS“ ლექსში ნიშნავდა დუნკან სლობოდიჩს, რადგან საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს იგი გერმანელების მიერ ორგანიზებულ სამხედრო წვრთნაში მონაწილეობდა. განმცხადებელმა მოგვიანებით გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „სლოვაკეთის უკეთესი მომავლისთვის – ფაშისტური წარსულის მქონე მინისტრის გარეშე“. სტატიაში განმცხადებელი შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ფაშისტური წარსულის მქონე პირი სლოვაკეთის ახალ მთავრობაში იყო. დუნკან სლობოდიჩმა განმცხადებელს ცილისწამებისთვის უჩივლა. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მინისტრის სარჩელი, თუმცა მეორე ინსტანციაში განმცხადებელს მინისტრის სასარგებლოდ თანხის გადახდა დააკისრეს. თავად მინისტრს უფლება მიეცა, სასამართლოს გადაწყვეტილება მის მიერ არჩეულ ხუთ გაზეთში გამოექვეყნებინა.

გადაწყვეტილება: ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგანაც შიდა სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა ჩარევას გამოხატვის თავისუფლებაში, რომელსაც ლეგიტიმური მიზეზი ჰქონდა, კერძოდ, სხვათა უფლებების და რეპუტაციის დაცვა.

მოტივაცია: კანონით დადგენილი ჩარევა – სასამართლომ განავითარა დოქტრინა, რომელიც კანონით დადგენილ ჩარევას ეხება. „ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც კანონით დადგენილი ჩარევისთვის არსებობს, არის კანონის განჭვრეტა-

დობა. ნორმა ვერ ჩაითვლება კანონად, თუ ის ჩამოყალიბებული არ არის იმგვარი სიზუსტით, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეს, საკუთარი ქცევა დაარეგულიროს. მოქალაქეს უნდა შეეძლოს, თუ საჭიროა, გარკვეული კონსულტაციის შედეგად – განჭვრიტოს, რა შედეგები მოჰყვება მის ქცევას. არ არის აუცილებელი, ეს შედეგები აბსოლუტურად განჭვრეტადი იყოს, რადგან გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი მიზანი მიუღწეველია. თუმცა სიზუსტე კანონში დიდად სასურველია, რადგან ბევრი კანონი მეტ-ნაკლებად ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული და მისი ინტერპრეტაცია, ისევე, როგორც შეფარდება, პრაქტიკის საქმეა.“

სასამართლომ გამოიკვლია, რომ ჩარევა ამ კონკრეტულ საქმეში სანქცირებული იყო სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. კოდექსის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ არც კანონი და არც სასამართლო პრაქტიკა არ ცდებოდა იმ საზღვრებს, რომლებიც სასამართლოს მიერ დადგინდა. შესაბამისად, ჩარევა კანონით იყო დადგენილი.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა გამოსატვის თავისუფლების მნიშვნელობა. გამოსატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და პროგრესის ერთ-ერთი საფუძველიც არის. მეათე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გამოსატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ იდეებსა და ინფორმაციაზე, რომლებიც საზოგადოების მხრიდან დადებითად აღიქმება, არამედ იმათზეც, რომლებიც შოკს ჰგვრის, შეურაცხყოფს ან აწუხებს საზოგადოებას. გამოსატვის თავისუფლება იცავს ინფორმაციის ან იდეების არა მხოლოდ შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. ეს თავისუფლება ექვემდებარება გარკვეულ გამონაკლისებს, რომლებიც მკაცრად უნდა იყოს ფორმულირებული.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური დებატები უმნიშვნელოვანესია, ხოლო პოლიტიკური დებატების თავისუფლების ხელშეწყობა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოსატვის თავისუფლებას პოლიტიკური დებატების კონტექსტში და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დებატების შესაზღუდად მეტად მყარი მიზეზებია საჭირო.

სასამართლომ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა „აუცილებლობის“ ტესტი.

ტესტი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მოითხოვს, სასამართლომ დაადგინოს, ესადაგება თუ არა „ჩარევა“ „ძლიერ სოციალურ მოთხოვნილებას“ და იყო თუ არა ჩარევა პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე, არის თუ არა სახელმწიფოს მიერ მოყვანილი მიზეზები რელევანტური და სათანადო.

გამოხატვის თავისუფლება ძალიან ვიწრო არეალს ტოვებს პოლიტიკური დებატების შესახლად. უფრო მეტიც, დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა პოლიტიკოსებისთვის, ვიდრე კერძო ინდივიდებისთვის, რადგან პოლიტიკოსები საკუთარი ნებით აქცევენ თავს საჯარო კრიტიკის სფეროში და მათი მოვალეობაა, უფრო მეტი ტოლერანტობა გამოიჩინონ.

როგორც ზოგადი პრინციპი, ჩარევის აუცილებლობა ყველა კონკრეტულ საქმეში ზუსტად უნდა დადგინდეს. შიდასახელმწიფო სტრუქტურებისთვის პირველი მოთხოვნაა, რომ მათ დაადგინონ, არსებობდა თუ არა „ძლიერი სოციალური მოთხოვნილება“ ჩარევისათვის.

ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის სტატია გამოქვეყნდა საპარლამენტო არჩევნების და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, რომლის წევრიც იყო საქმეში ჩარეული მინისტრი. სადავო განცხადებაში განმცხადებელი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა დემოკრატიული მთავრობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. იგი აკრიტიკებდა მინისტრს, რომელსაც, სავარაუდოდ, ფაშისტური წარსული ჰქონდა და აღნიშნავდა მის შეუთავსებლობას ახალ მთავრობასთან. სადავო სტატია გამოქვეყნდა პოლიტიკური დებატების კონტექსტში. თავად დებატები ქვეყნის წარსულს ეხებოდა და, შესაძლოა, დებატების შედეგები ქვეყნის მომავალზეც ასახულიყო. მეტიც, სტატია ეხებოდა საჯარო ფიგურას, მინისტრს, რომლისთვისაც დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოა, კერძო ინდივიდთან შედარებით. სასამართლომ აღიარა, რომ განმცხადებლის სტატია შეიცავდა მკაცრ შეფასებებს, თუმცა ის არ იყო მოკლებული ფაქტობრივ გარემოებებს. განმცხადებელი ნამდვილად კეთილსინდისიერად მოქმედებდა, ვინაიდან ესწრაფვოდა ლეგიტიმურ მიზანს – ახლად შექმნილი სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განმცხადებლის მოსაზრებები შეფასებითი მსჯელობა იყო, რომელთა სიმართლის დადგენა შეუძლებელია და ამგვარი მოთხოვნა ეწინააღმდეგება აზრის თავისუფლებას.

სასამართლომ არ განიხილა, წარმოადგენდა თუ არა ფრაზა „ფაშისტური წარსული“ ფაქტს. ფრაზა საკმაოდ ფართოა და, შესაძლოა, სხვადასხვა შინაარსს მოიცავდეს. მაგალითად, პირი, შესაძლოა, იყოს ფაშისტური ორგანიზაციის წევრი და, შესაძლოა, ეს წევრობა არც გულისხმობდეს ფაშისტური იდეების პროპაგანდას.

სლოვაკეთის უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა იმ მოტივს, რომ განმცხადებლის მიერ გაკეთებულ შეფასებებს არ ჰქონდა ფაქტობრივი საყრდენი. სასამართლო ადგენს, რომ ეს არის გამოხატვის თავისუფ-

ლების არასწორი ინტერპრეტაცია: „სასამართლო არ ეთანხმება აზრს, რომ, როგორც ზოგადი პრინციპი, მოსაზრება მხოლოდ ფაქტებს უნდა ემყარებოდეს. ფაქტის და მოსაზრების ურთიერთკავშირი განსხვავდება კონკრეტული საქმის მიხედვით და კონკრეტული გარემოებების შესაბამისად.“

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ჩარევის აუცილებლობა და დაირღვა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ განმცხადებლის სასარგებლოდ სლოვაკეთის სახელმწიფოს დააკისრა 65 000 სლოვაკური კრონის გადახდა პირადი არაქონებრივი ზიანისთვის, ხოლო 500 000 კრონის გადახდა – სასამართლო ხარჯებისათვის.

2001 წელი

პერნა იტალიის წინააღმდეგ

ფაქტები: მომჩივანმა, ჟურნალისტმა ჯანკარლო პერნამ, ყოველდღიურ იტალიურ გაზეთ „ჯორნალში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა პალერმოს პროკურორის ბ-ნ კასელის „კომუნისტურ რადიკალიზმს“.

იმის გამო, რომ პროკურორი იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი იყო, პერნამ ეჭვი შეიტანა მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. მან ასევე ბრალი დასდო კასელს, რომ იგი გარკვეულ სტრატეგიას აგებდა, რათა დაენწესებინა კონტროლი მთელი რიგი ქალაქების პროკურატურებზე; აგრეთვე დაადასტურა პროკურორი ინფორმატორ ბუშეტის გამოყენებაში იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯულიანო ანდრეოტის წინააღმდეგ. პერნა გაასამართლეს ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის კოდექსისა და პრესის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლებით.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: იმისათვის, რომ გარკვეულიყო, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროკონვენციის მე-10 მუხლი, ევროპის სასამართლომ კიდევ ერთხელ გამოიჭნა განსხვავება ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის. ფაქტების დამტკიცება შესაძლებელია, ხოლო შეფასებითი მსჯელობა დამტკიცებას არ ექვემდებარება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კრიტიკა ეფუძნებოდა კასელის, როგორც კომუ-

ნისტური პარტიის წევრის, „პოლიტიკური რადიკალიზმის“ ფაქტს. თავად ეს ფაქტი კი სადავო არ იყო. სასამართლოს მოხელის ასეთი საქციელი აუცილებლად იმსახურებს კრიტიკას იმ პრესის მხრიდან, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას სამართლიანად მიიჩნევს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ძირითად პრობლემად. სასამართლომ აღიარა, რომ პერნას მიერ გამოყენებული გამოთქმები გადაჭარბებული იყო, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალისტური თავისუფლება საკუთარ თავში მოიცავს გაზვიადებას და პროვოკაციის მოშველიებასაც კი. ამრიგად, პერნა გაამართლეს და სახელმწიფო გაამტყუნეს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევისათვის, რამდენადაც ჟურნალისტის დასჯა სასამართლოს მოხელის ამგვარი კრიტიკისათვის არ წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

პერნას მტკიცებულებებთან დაკავშირებით – რომ კასელი საექვო სტრატეგიით ცდილობდა, გაეკონტროლებინა ზოგიერთი ქალაქის პროკურატურა და გამოეყენებინა ინფორმატორი ბუშეტი ანდრეოტის სამართლებრივი დევნისათვის – სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩლის დადანაშაულება ვერ დაეფუძნებოდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. კრიტიკისაგან განსხვავებით, ეს ბრალდებები მოსარჩლეს კონკრეტულ ქმედებებს მიაწერდა. სტატიის ამ ნაწილში არც ერთი მტკიცებულება და არც რომელიმე საინფორმაციო წყაროს ციტატა იყო გამოყენებული. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ბრალდებები არ ექცეოდა კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ. დაეყრდნო რა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ასეთი განსაკუთრებით სერიოზული ხასიათის ბრალდებების წაყენებას, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სტატიის ამ ნაწილში პერნამ გადაამეტა დასაშვები კრიტიკის ზღვარს.

2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის დადანაშაულება იმის მტკიცების გამო, რომ სასამართლოს ერთ-ერთმა მთავარმა მოხელემ ერთგულება შეჰფიცა იტალიის კომუნისტურ პარტიას, ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა იყო.

2001 წელი

ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეში მომჩივანი, ვენის მუნიციპალური საბჭოს წევრი ქ-ნი სუზენ ჯერუსალემი ამტკიცებდა, რომ სასამართლო განჩინებამ, რომელიც უკრძალავდა მას გარკვეული განცხადების კვლავ განმეორებას, დაარღვია მისი უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. სიტყვით გამოსვლისას მუნიციპალურ საბჭოში,

რომელიც იხილავდა ადგილობრივი საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის დოტაციის გამოყოფის საკითხს, ქ-მა ჯერუსალემმა მკაცრად გააკრიტიკა ორი ორგანიზაცია. მან ამ ორგანიზაციებს „ტოტალიტარული ხასიათისა“ და „ფაშისტური მიდრეკილებების სექტები“ უწოდა. ადგილობრივი სასამართლოს ბრძანებით, ქ-ნ ჯერუსალემს აღნიშნული განცხადებების გამოორება აეკრძალა. სასამართლო აკრძალვა ძალაში დატოვა სააპელაციო და უზენაესმა სასამართლომ, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ ისეთი განცხადებები, როგორცაა „ფაშისტური მიდრეკილებები“ და „ტოტალური ნიშნების მატარებელი სექტები“ – წარმოადგენდა დამტკიცებად ფაქტებს, რომლის დასაბუთებაც განმცხადებელს არ შეეძლო.

გადაწყვეტილება: ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ ერთსულოვნად აღიარა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე იყო; აგრეთვე, აღნიშნა ის ფაქტიც, რომ გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის.

მომჩივანის განცხადება გაკეთდა პოლიტიკური დებატების პროცესში. და თუმცა მუნიციპალურ საბჭოში წარმოქმული მოსაზრებები არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან ისე, როგორც ადგილობრივი პარლამენტის სხდომებზე გამოქმული მოსაზრება, მუნიციპალური დებატები მაინც შეიძლება შევადაროთ პარლამენტისას იმდენად, რამდენადაც, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, თვალსაზრისის თავისუფლების დაცვა ორივე შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია. სასამართლომ აღნიშნა, რომ „პარლამენტი ან მასთან გათანაბრებული ინსტიტუტები საუკეთესო ადგილია პოლიტიკური დებატებისათვის. უნდა არსებობდეს ძალზე დამაჯერებელი მიზეზები იმისათვის, რათა გავამართლოთ ჩარევა მათში რეალიზებულ გამოხატვის თავისუფლებაში.“

სასამართლომ ქ-ნ ჯერუსალემის განცხადებები შეფასებით მსჯელობად მიიჩნია და მხედველობაში მიიღო მისი მზადყოფნა, წარედგინა დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ ეს შეფასებითი მტკიცებულებები კეთილსინდისიერ კრიტიკას წარმოადგენდა. ავსტრიის სასამართლოს მოთხოვნა, რომ მომჩივანს დაემტკიცებინა თავისი განცხადებების სიმართლე, იმ დროს, როდესაც მას ფაქტობრივად არ ჰქონდა საშუალება, წარედგინა თავისი სიმართლის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ქ-ნ ჯერუსალემის გამოხატვის თავისუფლებაში უზომო ჩარევა იყო. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შეფასებითი მსჯელობების ნამდვილობის დამტკიცება შეუძლებელია და რომ ასეთი მოთხოვნა ზღუდავს აზრის თავისუფლებას – ძირითად უფლებას, რომელიც კონვენციის მე-10

მუხლით არის გარანტირებული. სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ სადავო განცხადებების განმეორების აკრძალვა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და, აქედან გამომდინარე, არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

2001 წელი

VGT შვეიცარიის წინააღმდეგ

2001 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაკომერციული ტელერეკლამების ტრანსლირების უფლების დაშვებასთან დაკავშირებით საგანგებო მიდგომა გამოიყენა.

ფაქტები: 1994 წელს კომერციულმა ტელეკომპანია „Publisuisse“-მა „ცხოველთა ხელოვნური მოშენების მრეწველობის მონინააღმდეგე ასოციაციის“ (VGT) მოთხოვნის მიუხედავად, უარი განაცხადა, ეთერში გაეშვა რეკლამა ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებზე. ტელერეკლამა წარმოადგენდა ხორცპროდუქტების მწარმოებელთა საპასუხო რეკლამას და მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „მოიხმარეთ ნაკლები ხორცი და შეინარჩუნებთ ჯანმრთელობას, ცხოველებს და გარე სამყაროს“.

„Publisuisse“-მა უარი განაცხადა ამ რეკლამის განთავსებაზე იმ მოტივით, რომ მას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა; მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობა კი კრძალავს პოლიტიკურ რეკლამას როგორც ტელევიზიით, ისე რადიოთი. ფედერალურმა სასამართლომ, რომელიც, სხვა დანარჩენთან ერთად, ეყრდნობოდა რადიოსა და ტელევიზიების შესახებ ფედერალური კანონის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ პოლიტიკური რეკლამის აკრძალვის აუცილებლობას, უარყო ასოციაციის საჩივარი.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: ევროპის სასამართლო დაეთანხმა აზრს, რომ პოლიტიკური რეკლამის, როგორც ასეთის, აკრძალვა შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად იმდენად, რამდენადაც მიზნად ისახავს, აიცილოს მძლავრი ფინანსური დაჯგუფებების მიერ უპირატესობის მოპოვება პოლიტიკურ სფეროში; ამასთან, მიზნად ისახავს, პოლიტიკურ პროცესებს ბიზნესის გადაჭარბებული გავლენა ააშოროს. ასეთი

აკრძალვები, იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების შესაძლებლობების გარკვეულ თანასწორობას და მხარს უჭერს მედია საშუალებებს, თავად გადაწყვიტონ, გამოაქვეყნონ თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური რეკლამა. Vgt-ს სარეკლამო შეტყობინება ევროსასამართლომ პოლიტიკურ რეკლამებს მიაკუთვნა.

რადიოსა და ტელევიზიის შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, იმის მაგივრად, რომ აუდიტორია პროდუქციის შექმნისთვის განაწილოს, ეს რეკლამა გამოხატავდა ზოგიერთ სადავო აზრს საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემის შესახებ.

გადამწვევტი მომენტის განხილვისას – იყო თუ არა გადაცემის ტრანსლირების აკრძალვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში – სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი ფაქტორები: სასამართლომ აღნიშნა, რომ მძლავრი ფინანსური ჯგუფები ფინანსური რეკლამების მეშვეობით უპირატესობას აღწევენ. ამიტომ, მათ შეუძლიათ, განახორციელონ ზენოლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და, საბოლოო ჯამში, შეკვეცონ კომერციული რეკლამის გამავრცელებელი რადიოსა და ტელევიზიის თავისუფლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი სიტუაციები ეჭვქვეშ აყენებს გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში, მომჩივანი ასოციაცია არ წარმოადგენდა მძლავრ ფინანსურ ჯგუფს. მისი მიზანი იყო, მონაწილეობა მიეღო ცხოველთა დაცვის შესახებ საკითხების საზოგადოებრივ განხილვაში და არა ის, რომ გამოეყენებინა რეკლამა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის. გარდა ამისა, თუმცა, პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა თავსებადია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროკონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სწორედ ამ საქმეში მოხდა ფედერალური კანონის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის რადიოსა და ტელევიზიის შესახებ გამოყენება ევროკონვენციის მე-10 მუხლის სულისკვეთების საპირისპიროდ. სასამართლოს აზრით, შვეიცარიის ხელისუფლებამ ვერ დაადასტურა, რომ საფუძველი, რომელიც ზოგადად გამოყენებულია პოლიტიკური რეკლამის აკრძალვის მხარდასაჭერად, ამ კონკრეტულ საქმეს მისადაგება.

მხედველობაში მიიღეს, რომ „Publisuisse“ – წარმოადგენდა ერთადერთ იურიდიულ პირს, რომელიც დაკავებული იყო რეკლამების განთავსებით საზოგადოების მოთხოვნილების დონის მიხედვით, ხოლო პოლიტიკური ელფერის მქონე რეკლამის უეცარმა აკრძალვამ შეზღუდა მაცურებელთა ფართო მასების ინფორმირება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთსულოვნად გადწყვიტა, რომ ეთერში გადაცემის აკრძალვა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და, შესაბამისად, ეს აკრძალვა არღვევს ევროკონვენციის მე-10 მუხლს.

2001 წელი

ტომა ლუქსემბურგის წინააღმდეგ

ფაქტები: საქმე აღიძრა RTL-ის რადიოჟურნალისტის მარკ ტომას წინააღმდეგ, რომელმაც მიიჩნია, რომ მისთვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მსჯავრის დადება ერთ-ერთ პროგრამაში გაპარული დიფამაციური მოსაზრებების გამო, დაარღვია მისი უფლებები გამოხატვის თავისუფლებაზე.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთ პროგრამაში ჟურნალისტმა გაავრცელა ინფორმაცია ტყის რესურსების აღდგენის სფეროში არსებული საეჭვო ხასიათის პრაქტიკის შესახებ. ამასთან, მისი გადაცემა ეყრდნობოდა გაზეთ „Tageblatt“-ში გამოქვეყნებულ სტატიას. აღნიშნული რადიოპროგრამის ეთერში გასვლის შემდეგ, სატყეო საქმეების კომისიის სამოცდასამი თანამშრომლის საჩივრის საფუძველზე, ლუქსემბურგის სასამართლომ ჟურნალისტი გაასამართლა დიფამაციისათვის. ტომამ საჩივრით მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს.

გადწყვეტილება: სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

მოტივაცია: თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა უმთავრესი პრინციპები, რომლითაც ის ხელმძღვანელობს განაჩენის გამოტანის დროს; ხაზი გაუსვა პრესის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა კი განმცხადებლის ზოგიერთი გამონათქვამი სერიოზულ საფუძვლად ჩათვალა დიფამაციაში დასადასაშაულებლად; ასევე, მიიჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია ამ მასალებში გადაკვრით მოხსენიებული სატყეო კომისიის თანამშრომლების იდენტიფიცირება. იმავდროულად, სასამართლომ შენიშნა, რომ რადიოპროგრამაში დასმული საკითხი საზოგადოებრივ ინტერესებს ეხებოდა და ლუქსემბურგის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფართოდ განიხილებოდა.

ამასთან, ევროსასამართლოს მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოტანისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ თავის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებში ტომა ეყრდნობოდა მისი კოლეგა-ჟურნალისტის მიერ უკვე გამოქვეყნებულ სტატიას. სასამართლომ გაიმეორა თავისი უწინდელი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტის მხრიდან მესამე პირის მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების გავრცელების გამო მისი პასუხისგებაში მიცემა სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის პრესას, შეიტანოს თავისი წვლილი საზოგადოებრივად საინტერესო პრობლემების გაშუქებაში. ამიტომ, მსგავს სიტუაციებში ჟურნალისტის პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობა არ უნდა განიხილებოდეს მანამ, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი განსაკუთრებით სარწმუნო საბუთები ამ ზომის გამოყენების სასარგებლოდ.

ხოლო ლუქსემბურგის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც, ჟურნალისტი, რომელმაც უკვე გამოქვეყნებული სტატიიდან მოახდინა დიფამაციური გამონათქვამების ციტირება, სავალდებულო წესით დაუქვემდებარა პასუხისმგებლობას მის მიერ თავად დიფამაციის ფაქტის დაშვებისათვის; ერთადერთი გარემოება, რაც მას დაეხმარებოდა, თავი დაეღწია პასუხისმგებლობისაგან, იქნებოდა ის, რომ თავი შორს დაეჭირა სტატიის გამოთქმული აზრებისაგან.

თავის მხრივ, ევროპის სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ მსგავსი მოთხოვნების წაყენება ჟურნალისტებისათვის – არაორაზროვნად და ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნონ გამოყენებული სტატიის შინაარსს, რომელსაც შეუძლია ცილი დასწამოს, სახელი გაუტეხოს ან ზიანი მიაყენოს მესამე პირს – არ შეესაბამება პრესის საყოველთაოდ მიღებულ როლს – გაავრცელოს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების, შეხედულებებისა და იდეების შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩლემ მიიღო უსაფრთხოების ზომები, როდესაც განაცხადა, რომ გადასცემს ციტატას უკვე გამოქვეყნებული სტატიიდან და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ხსენებული ციტატა შეიცავს ზოგიერთ „მწვავე გამონათქვამს“. სასამართლომ გაითვალისწინა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამოართვა ტყით დაფარული მხარეების მესაკუთრე მესამე პირებს იმის თაობაზე, შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს მტკიცებულება ტყის აღდგენის სექტორში თაღლითობის შესახებ.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩლის გასამართლება მესამე პირის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მოტივით, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

2001 წელი

კოლომბანი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ

ფაქტები: იმისათვის, რომ მაროკოს ევროკავშირის წევრობის საკითხის განხილვა დაწყებულიყო, ევროპულმა კომისიამ გადაწყვიტა, დეტალურად და ზუსტად შეესწავლა ინფორმაცია ქვეყანაში მარიხუანას წარმოების და მისი აღმოფხვრის მიზნით გატარებული ზომების შესახებ. ამ მიზნისათვის კომისიამ ნარკოტიკების გეოგრაფიულ ობსერვატორიას დაავალა, მოხსენება მოემზადებინა მაროკოში ნარკოტიკების წარმოებისა და მიმოქცევის შესახებ. ობსერვატორიამ კომისიას მოხსენება 1994 წლის თებერვალში წარუდგინა. მასში მოხსენიებული იყო იმ პირთა სახელები, რომლებიც გამოვლინდნენ, როგორც მაროკოში ნარკოტიკების წარმოებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული პირები. საბოლოოდ, კომისიამ მოითხოვა, რომ ამ პირთა სახელები მოხსენებიდან წაშლილიყო, რათა კომისიას ამ დოკუმენტით მოლაპარაკება დაეწყო მაროკოს მთავრობასთან. მოხსენების ამგვარად შესწორებული ვარიანტი საბოლოოდ გამოქვეყნდა წიგნის ნაწილად (*State of drugs drugs of states*). ეს წიგნი მოხსენიებულ იქნა „ლე მონდის“ 1994 წლის 25 თებერვლის ნომერში. იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად მოხსენება კონფიდენციალური დოკუმენტი იყო, მისი გავრცელება მაინც დაიწყო. ეს „ლე მონდმა“ 1995 წლის შემოდგომაზე შეიტყო. 1995 წლის 3 ნოემბერს „ლე მონდში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „მაროკო – მარიხუანის ექსპორტის მსოფლიო ლიდერი“ და ქვესათაურით: „მეფე ჰუსეინ მეორის ანტიურაჟი კონფიდენციალურ მოხსენებაში გამოვლინდა“. სტატიაში მოყვანილი იყო ინფორმაცია მოხსენებიდან, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი: მაროკო, ევროპული კომისიის მოხსენების თანახმად, მარიხუანის წარმოებაში მსოფლიო ლიდერი და ევროპული ბაზრის მთავარი მომარაგებელია. მოხსენებას ეჭვი შეაქვს მაროკოს მთავრობის რეალურ ძალისხმევაში, აღმოფხვრას ნარკოტიკების წარმოება და მიმოქცევა, მიუხედავად იმისა, რომ 1992 წელს საჯაროდ გამოცხადდა ნარკოტიკებთან ბრძოლა. კორუფციის გამო, ნარკოდილერებს იცავენ ოფიციალური პირები, რომელთა წრე ერთ უბრალო ოფიცრიდან მეფის უშუალო გარემოცვამდე მიდის.

მაროკოს მეფემ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა ოფიციალური წერილობითი მოთხოვნით, რომ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე „ლე მონდის“ წინააღმდეგ. „ლე მონდის“ რედაქტორისა და ჟურნალისტის წინააღმდეგ საქმე აღიძრა უცხო ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფის ბრალდებით. სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ ცნო რედაქტორი და ჟურნალისტი, დააკისრა ჯარიმა 5000 ფრანკის ოდენობით და დაავალა სასამართლოს

გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

საკასაციო სასამართლომ კოლომბანის და ინკიანის კასაცია განსახილველად არ მიიღო. მათ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში იჩივლეს, სადაც დაობდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებით როლს თამაშობს, თუმცა, მან გარკვეულ საზღვრებს არ უნდა გადააბიჯოს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სხვათა რეპუტაციას და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. არა მარტო პრესას გააჩნია ვალდებულება, რომ გაავრცელოს ინფორმაცია, არამედ საზოგადოებასაც აქვს უფლება, მიიღოს ეს ინფორმაცია. რაც შეეხება დასაშვები კრიტიკის ფარგლებს, ეს ფარგლები პოლიტიკოსებისათვის უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ინდივიდებისთვის.

შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „აუცილებლობა“ დამაჯერებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. შიდასახელმწიფო სტრუქტურისთვის აუცილებელია, რომ შეაფასოს, არსებობს თუ არა „ძლიერი სოციალური მოთხოვნილება“ შეზღუდვის დასაწესებლად. ამგვარი შეფასებისას წევრი სახელმწიფო გარკვეული დისკრეციით სარგებლობს.

წინამდებარე საქმეში განმცხადებლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრეს უცხო ქვეყნის მეთაურის შეურაცხყოფისთვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უდავოდ არის ჩარევა განმცხადებლების გამოხატვის თავისუფლებაში. ამის შემდგომ სასამართლომ უნდა გაარკვიოს – ამართლებს თუ არა აღნიშნულ ჩარევას კონვენციის მეათე მუხლის მეორე ნაწილი. პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვებს: დადგენილი იყო თუ არა ჩარევა კანონით? ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს? იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“?

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივმა სასამართლომ გამოიყენა 1881 წლის 29 ივლისის პრესის თავისუფლების აქტი, რომელიც ადასტურებს ჩარევის კანონიერებას. რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა სასამართლოს წინაშე დაიცვეს პოზიცია, რომ სხვათა რეპუტაციის დაცვა ლეგიტიმური მიზანია.

თუმცა სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამართლებულია თუ არა ეს ლეგიტიმური ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში – ანუ განსაზღვროს, რამდენად მართებულად გამოიყენა შიდა სასამართლომ საკუთარი დისკრეცია, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუფარდა განმცხადებელს.

სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოებას და, მათ შორის, საფრანგეთის მოსახლეობას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, იცოდეს ევროპული კომისიის შეხედულებები ნარკოტიკების მიმოქცევასთან დაკავშირებით მაროკოში, რომელმაც ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთა და რომელსაც საფრანგეთთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა აკავშირებს.

სასამართლომ გაიმეორა, რომ „მოვალეობების და პასუხისმგებლობების“ გამო, რაც გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, ჟურნალისტიკა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად; მან უნდა უზრუნველყოს ზუსტი და სანდო ინფორმაციის გავრცელება. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნარკოტიკების გეოგრაფიული ობსერვატორიის მოხსენება სანდო დოკუმენტი იყო და მისი განხილვა უსათუოდ უნდა მომხდარიყო განმცხადებლების სასამართლო პროცესზე. საზოგადოებრივი დებატების პროცესში, პრესას უფლება აქვს, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების გარეშე გამოიყენოს ოფიციალური დოკუმენტები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ „ლე მონდს“ უფლება ჰქონდა, დაყრდნობოდა ნარკოტიკების გეოგრაფიული ობსერვატორიის მოხსენებას. მეტიც, განმცხადებლებს საშუალება არ მიეცათ, რომ თავი ემართლებინათ ცილისწამების კანონის საფუძველზე. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ შიდა სასამართლოს ქმედება გასცდა პირის რეპუტაციის დაცვას.

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ „ძლიერი სოციალური მოთხოვნების“ გარეშე, რომელიც გაამართლებდა შეზღუდვას, პასუხისმგებლობის დაკისრება უცხო ქვეყნის მეთაურის შეურაცხყოფისთვის არღვევს გამოხატვის თავისუფლებას.

სასამართლომ სახელმწიფოს 6900 ფრანკის გადახდა დააკისრა განმცხადებლების სასარგებლოდ.

2002 წელი

ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნულ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა ჰელსინკელი ადვოკატი ნიკულა, ხოლო მოპასუხეს კი – ფინეთი.

მოცემული საქმე შეეხება მოსარჩლის – ადვოკატის – კრიმინალურ დიფამაციაში ბრალდებას იმ განცხადებების გამო, რომლებიც მან გააკეთა სასამართლოში თავისი კლიენტის სისხლისსამართლებრივი ბრალდებებისგან დასაცავად. განცხადებები ზეპირი იყო და წერილობითიც, მემორანდუმის სახით. მათში

მოსარჩლე მოითხოვდა ერთ-ერთი მონმის ჩვენების საქმიდან ამოღებას. მოთხოვნაში იგი ეწინააღმდეგებოდა ამ პირის ბრალდების მოწმედ გამოყვანას და აკრიტიკებდა ბრალმდებლის მიერ საქმის წარმართვის ხერხს – აღნიშნავდა, რომ იგი ბოროტად იყენებდა თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას და მანიპულირებდა. ბრალმდებელმა კი მოსარჩლის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი კრიმინალური დეფამაციის თაობაზე. საბოლოოდ, მოსარჩლე ცნეს დამნაშავედ გაუფრთხილებლობით დიფამაციაში და მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა გადაწყვეტილება მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ, ზიანის ანაზღაურება და სასამართლო ხარჯების გადახდა დაევალა.

1996 წელს ჰელსინკელმა ადვოკატმა ანნე ნიკულამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სარჩელი აღძრა ფინეთის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ მისი გასამართლება დიფამაციისთვის სასამართლოში ადვოკატის რანგში პროკურორის მისამართით გამოთქმული კრიტიკის გამო, მისი სიტყვის თავისუფლების დარღვევა იყო. მემორანდუმში, რომელიც მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა, პროკურორი, ბ-ნი თ, დადანაშაულებული იყო „სასამართლოს მსვლელობის მანიპულირებისა და მტკიცებულებების უკანონო წარდგინებისათვის“. ამის შემდგომ ბ-მა თ-მ კერძო საჩივარი შეიტანა ადვოკატის წინააღმდეგ და 1994 წ. ქ-ნი ნიკულა გაასამართლეს ბოროტი განზრახვის გარეშე ჩადენილი საჯარო დიფამაციისთვის. 1996 წ. უმაღლესმა სასამართლომ დაამტკიცა მსჯავრდება სისხლის სამართლის წესით, ოღონდ, შეამცირა სასჯელის ზომა და განსაზღვრა ის სასამართლოს ხარჯებისა და სხვა სახის დანახარჯების გადახდით.

გადაწყვეტილება: ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

მოტივაცია: სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სტატუსი ადვოკატებს მართლმსაჯულების აღსრულების ეპიცენტრში აყენებს. ისინი შუამავლები არიან საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ადვოკატთა ამ საკვანძო როლის გათვალისწინებით, ლოგიკურია მათგან ველოდოთ საზოგადოების ნდობის გამართლებას. სასამართლომ მიუთითა, აგრეთვე, იმის აღბათობაზე, რომ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, სასამართლო პროცესის მოსმენების დროს ადვოკატის ჩარევამ სიტყვის თავისუფლებაში შესაძლოა, შეამციროს მისი კლიენტი-ბრალდებულის უფლება – სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნის შესახებ. სასამართლოს აზრით, პრინციპი „სამართლებრივი საშუალებების თანასწორობისა, რომლითაც პროცესის ორივე მხარეა შეიარაღებული“ და, უფრო ზოგადად, პრინციპი სამართლიანი სასამართლო გან-

ხილვისა, მონოდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალ და დაუნდობელ პაექრობასაც კი მხარეებს შორის; თუმცაღა, ეს არ უნდა გადაიზარდოს სიტყვის შეუბღალავ თავისუფლებაში დაცვის მხარისათვის.

მოსარჩლის მსჯელობის კანონიერების შეფასებისას სასამართლომ, რომელიც დაეყრდნო სამართალდამცავი ორგანიზაციის „ინტერაიტისის“ მოხსენებას, კიდევ ერთხელ გამიჯნა მოსამართლისა და პროკურორის – როგორც ბრალდებულის ოპონენტის – როლი. საჭიროა, უზრუნველვყოთ პროკურორის უფრო მაღალი დონის დაცვა ბრალდებულის კრიტიკული განცხადებებისაგან, განსხვავებით იმ სიტყვიერი თავდასხმებისაგან, რომლებიც მიმართულია მოსამართლისადმი ან, ზოგადად, სასამართლოსადმი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო დაეთანხმა მომჩივანისა და სასამართლოს მეგობრის არგუმენტებს და განაცხადა, რომ კრიმინალური დიფამაციის შესახებ მომჩივანის მიმართ წაყენებული ბრალდება სიტყვის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენდა. სასამართლომ განაცხადა, რომ ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სიტყვის შედარებით ფართო თავისუფლებით, ვიდრე ჩვეულებრივი პირი, თუკი მისი გამონათქვამები დაკავშირებულია მის წარმოებაში არსებულ საქმესთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩლის კრიტიკა შემოიფარგლებოდა სასამართლოს დარბაზით იმ დროს, როდესაც მოსამართლესა და ადვოკატს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აკრიტიკებდნენ. სასამართლოს აზრით, ხსენებული მოვლენების შემდეგ ადვოკატის მიერ პროკურორის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოხატვის აკრძალვა ძნელად უთავსდება ადვოკატის მოვალეობას – თავგამოდებით დაიცვას თავისი კლიენტების ინტერესები. დაცვის მხრიდან წარმოდგენილ საბუთებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს დასჯის შიშმა, აგრეთვე, მიყენებული ზარალის კომპენსაციისა და სასამართლო ხარჯების გადახდის საფრთხემ. სასამართლო მიიჩნევს, რომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, თუნდაც, მცირე სისხლის სამართლებრივი სასჯელით, შესაძლებელია დასაშვები იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის, როგორც აუცილებელი ღონისძიება, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. სასამართლოს თვალთახედვით, საქმეში არ არსებობდა არავითარი საფუძველი იმისა, რომ ასეთი უკიდურესი ზომებისთვის მიემართათ. ამრიგად, ქ-ნ ნიკულასათვის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა არ შეესაბამებოდა ძლიერ სოციალურ მოთხოვნას.

მაკვიკარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ფაქტები: დავა ეხებოდა ცნობილი სპორტსმენის შეურაცხყოფას.

1995 წლის სექტემბერში ჟურნალ „სპიკიდ“-ში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ჯონ მაკვიკარის სტატია, რომლის მიხედვითაც, მძლეოსანი ლინფორდ კრისტი აკრძალულ სამკურნალო პრეპარატებს იყენებდა ხოლმე. ბატონმა კრისტიმ უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმე აღძრა მაკვიკარის წინააღმდეგ – ცილისწამების მუხლით. დიფამაციის ბრალდებით მიმდინარე სასამართლო პროცესის დროს და სასამართლოშიც ჟურნალისტი თავად იცავდა საკუთარ ინტერესებს, რამდენადაც მას არ ჰქონდა საშუალება, ადვოკატი დაექირავებინა, ან რაიმე სახის იურიდიული დახმარება მიეღო. მაკვიკარმა დაცვა ააგო თავისსავე სტატიაში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებიც სიმართლეს შეესაბამებოდა როგორც არსებითად, ასევე – ფაქტობრივად. მოსამართლემ უარი განაცხადა, მოესმინა ორი მონმის ჩვენება. თუ რწმუნებით აღჭურვილ ორივე მონმეს ექნებოდა ჩვენებების მიცემის შესაძლებლობა, ეს უსამართლობა გამოვიდოდა ბატონი კრისტის მიმართ, რამდენადაც მას აშკარად არ ჰქონდა დრო, გამოეძახებინა მონმეები თავისი მხრიდან. უფრო მეტიც, აკრძალული პრეპარატების ვითომდა მიღების დეტალები სპორტსმენისთვის ცნობილი გახდებოდა მხოლოდ მაკვიკარის მიერ მონვეული მონმეებისა გამოსვლის შედეგად. 1998 წ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადგინა, რომ სტატია შეიცავდა შეურაცხმყოფელი ხასიათის მტკიცებულებებს, რომელთა ნამდვილობა ჟურნალისტმა არსებითად ვერ დაამტკიცა. სასამართლომ განკარგულება გასცა, რომ მაკვიკარს გადაეხადა სასამართლოს ხარჯები და აუკრძალა მას მსგავსი განცხადებების გამეორება.

მაკვიკარმა საჩივარი ევროსასამართლოში შეიტანა. იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ საქმეში იურიდიული დახმარების არქონა არღვევდა ადამინის უფლებათა დაცვის ევროკონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფს (სამართლიანი სასამართლო პროცესი) და მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება). იგი აგრეთვე აცხადებდა, რომ მონმეთა ჩვენებების სასამართლოში დაუშვებლობა და მტკიცების მთელი ტვირთის მასზე გადატანა, ასევე, სასამართლო დანახარჯების დაკისრება და მსგავსი პუბლიკაციების მომავალში აკრძალვა კიდევ მეტად არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 და მე-6 მუხლები არ დარღვეულა.

მოტივაცია: ევროსასამართლოს აზრით, მაკვიკარს არაფერი უშლიდა ხელს, თავისი უკმაყოფილება დიფამაციაში დადანაშაულებისთვის უზენაეს სასამართლოში გამოეხატა, ხოლო სასამართლო პროცესის მიჩნევა უსამართლოდ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მოსარჩლე ძალზე განათლებული და გამოცდილი ჟურნალისტიკა, რომელსაც შეუძლია, სასამართლოს დამაჯერებელი არგუმენტები წარუდგინოს, – არ არის მართებული. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება მონმეთა ჩვენების დაუშვებლობას, გადაწყვეტილებას დიფამაციის პროცესის ხარჯების დაფარვისა და შემდგომი პუბლიკაციების აკრძალვის შესახებ, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ძალზე სერიოზულად მიიჩნია სტატიაში გაკეთებული ბრალდებების შესაძლო უარყოფითი შედეგები იმ ადამიანისთვის, რომელმაც თავისი სპორტული კარიერის მანძილზე წარმატებას და დიდებას მიაღწია. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავად სტატიაში არ არის მოყვანილი არც ერთი სარწმუნო საბუთი დოკუმენტური საშუალებების მიღების შესახებ. ამ მიზეზებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

2002 წელი

გადაწყვეტილება საფრანგეთის წინააღმდეგ მე-10 მუხლის დარღვევის გამო

ფაქტები: საქმე ეხებოდა გაზეთის რედაქტორის და ჟურნალისტის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას. გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ემიგრანტი მუშების საერთო საცხოვრებლების მმართველმა კომპანიამ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის წინააღმდეგ აღძრა სასამართლო დავა. ხსენებული ვერდიქტი ეყრდნობოდა 1931 წლის 2 ივლისის კანონის მე-2 მუხლს, რომლის მიხედვით, ფიზიკური პირის მიერ აღძრული სასამართლო პროცესის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გამოქვეყნება აკრძალულია, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგაც კი. საქმე გადაეცა პარიზის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მიიჩნია, რომ 1931 წლის კანონში მოცემული აკრძალვა შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლს, რამდენადაც ის უზრუნველ-

ყოფდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას და ამიტომ თავსდებოდა ამ აქტით დაშვებულ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში.

საკასაციო სასამართლომ არ მიიღო განაჩენის გამოტანის შემდგომ აღძრული საჩივარი და მომჩივანებმა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს მიმართეს. სასამართლომ პირველ რიგში დაადასტურა, რომ ჟურნალისტები, რომლებიც მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესს აშუქებენ, პატივს უნდა სცემდნენ მონაწილე მხარეთა უფლებებს. ხოლო როდესაც სასამართლომ განიხილა საკითხი, მოხდა თუ არა ჩარევა მართლმსაჯულების მსვლელობაში, მან შენიშნა, რომ ნებისმიერი ტიპის ინფორმაციაზე გავრცელებული სადავო აკრძალვა – აბსოლუტური და ზოგადი ხასიათისა – ეხებოდა ფიზიკური პირის მიერ ინიცირებულ განხილვას და არა პროკურატურის მიერ ან ჩვეულებრივი საჩივრის საფუძველზე აღძრულ საქმეს. მოსამართლეებმა გამოხატეს გაკვირვება იმ განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო, რომელიც არ ეფუძნებოდა რაიმე ობიექტურ მიზეზებს – რამდენადაც აკრძალვა მიმართული იყო პრესის მიერ აუდიტორიის გასაფრთხილებლად იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვიონ (მაგალითად, ასეთია პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ აღძრული საქმეები, რომლებშიც მათ თაღლითურ მოქმედებებს მიანერენ იმ პერიოდში, როდესაც ისინი საზოგადოებრივი სექტორის კუთვნილ კომპანიებს მართავდნენ).

გადანწყვეტილება: „Canard Enchainé“-ის საქმიდან თითქმის ორი წლის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო ხელახლა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საფრანგეთმა დაარღვია ევროკონვენციის მე-10 მუხლით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

მოტივაცია: სასამართლომ გადანწყვიტა, რომ არსებობს სხვა მექანიზმები გამოძიებისა და მისი პროცედურების საიდუმლოს დასაცავად; მაგალითად, ისეთი, როგორიც შემოთავაზებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 და 91-ე მუხლებით, განსაკუთრებით კი სამოქალაქო კოდექსის მე-9-1 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თითოეული ადამიანის უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციაზე. უკანასკნელი ვითარება ადგენს, რომ კერძო ან საჯარო ბრალდების შემთხვევაში, განაჩენის გამოტანამდე, მოსამართლეს შეუძლია, გაცეს განკარგულება, რათა შესაბამის საინფორმაციო წყაროში გამოქვეყნდეს ცნობა საქმის გარემოებების შესახებ – ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაცავად.

მოთხოვნა სრული აკრძალვის შესახებ, რომელიც 1931 წლის კანონის მიხედვით სასამართლომ საკმარისად მიიჩნია, სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა.

ამრიგად, აღიარებულ იქნა საფრანგეთის მიერ მე-10 მუხლის დარღვევა, რამდენადაც აკრძალვა არ შეესაბამებოდა სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერ მიზანს.

2002 წელი

დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: აღნიშნული საქმეში მოსარჩლეს წარმოადგენდა ბ-ნი დიჩანდი, ხოლო მოპასუხეს – ავსტრიის მთავრობა.

1993 წლის ივნისში მოსარჩლეთა გაზეთში გამომცემლის ფსევდონიმით გამოქვეყნდა სტატია ბატონი გრაფის შესახებ. გარდა იმისა, რომ მას იმ დროისათვის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, ბატონი გრაფი, როგორც კერძო ადვოკატი, მოსარჩლის ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი იყო. თავისი საპარლამენტო უფლებამოსილების ფარგლებში ბატონმა გრაფმა წარადგინა კანონპროექტი, რომელიც საგრძნობლად ზრდიდა ფინანსურ პასუხისმგებლობას სასამართლოს დადგენილებების შეუსრულებლობისთვის: იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ასრულებდა სასამართლოს დადგენილებას, ჯარიმები გამოცემული აღსრულების ბრძანებების რიცხვის მიხედვით უნდა გაზრდილიყო. მოსარჩლის საგაზეთო სტატია მიუთითებდა, რომ ბატონმა გრაფმა ეს კანონპროექტი წარადგინა თავისი კერძო კლიენტის სასარგებლოდ. ავტორი აკრიტიკებდა მას იმის გამო, რომ ბატონმა გრაფმა არ მიატოვა თავისი კერძო საადვოკატო პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო სამსახურში დაიწყო მუშაობა.

ბატონმა გრაფმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიიღო კიდეც დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა მოსარჩლეს, თავი შეეკავებინათ ისეთი ფრაზების გამოქვეყნებისგან, რომლებიც მიუთითებდა ინტერესთა კონფლიქტზე – ბატონი გრაფის, როგორც კერძო ადვოკატისა და როგორც პარლამენტის წევრის – უფლებამოსილებებთან მიმართებაში. ავსტრიის სასამართლომ ბატონ გრაფთან დაკავშირებული ფრაზები განმარტა, როგორც შეურაცხყოფა და ისეთი ფაქტების დაფიქსირება, რომელთა ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს მოსარჩლის მიერ და არა სუბიექტური შეფასებით. გარდა ამისა, ავსტრიის სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატია შეიცავდა არასწორ ფაქტობრივ მონაცემს იმის შესახებ, რომ ბატონი გრაფი იყო მთავრობის წევრი. მოსარჩლემ გაასაჩივრა ეს დადგე-

ნილება ავსტრიის ორ ზემდგომ სასამართლოში, მაგრამ არც ერთ აპელაციას შედეგი არ მოჰყოლია.

დიჩანდიმ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: ბატონ გრაფთან დაკავშირებულ ფრაზებთან მიმართებაში ეს დადგენილებები ზღუდავდა თავისუფალი გამოხატვის უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა კანონიერი იყო, მიუხედავად მოსარჩლის სხვაგვარი პოზიციისა, რადგან ამ საკითხზე არსებობდა მნიშვნელოვანი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პრეცედენტი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შეზღუდვა შეესაბამებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ კი – სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვას, მიუხედავად მოსარჩლის განსხვავებული პოზიციისა. კამათს მხოლოდ ის იწვევდა, თუ რამდენად „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ეს შეზღუდვა. „აუცილებლობის“ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა მისი ძირითადი პრინციპები:

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებითი საფუძველი და მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის თვითგამოხატვის ერთ-ერთ ძირითად პირობაა. გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ლეგიტიმურ შეზღუდვებს ექვემდებარება, გამოიყენება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციასა“ თუ „იდებთან“ მიმართებაში, რომლებიც დადებითად მიიღება, ანდა აღიქმება როგორც უვნებელი, არამედ იმ შემთხვევებშიც, როდესაც „ინფორმაცია“ ან „იდები“ სანყენი, შოკის მომგვრელი ან შემანუხებელია. თავისუფალი გამოხატვის უფლებით დაცულია არა მხოლოდ გადმოცემული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსი, არამედ მათი გამოხატვის ფორმაც. შეიძლება, არსებობდეს გამონაკლისებიც, რომლებიც ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს.

იმის შესამოწმებლად, იყო თუ არა ესა თუ ის გამოხატვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, გასაჩივრებული „შეზღუდვა“ რამდენად შეესაბამებოდა „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“; იყო თუ არა ის ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და რამდენად შესაფერისი და საკმარისი ქვეყნის თანამდებობის პირების მიერ მის გასამართლებლად შემოთავაზებული არგუმენტები. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური გამოსვლის ან დებატების შეზღუდვები მცირე ფარგლებშია შესაძლებელი. ამასთან, მისაღები კრიტიკის საზღვრები, კერძო პირისგან განსხვავებით, უფრო ფართოა პოლიტიკოსთან მიმართებაში, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს; ვინაიდან ეს უკანასკნელი გარდაუფ-

ლად და გაცნობიერებულად მზად არის იმისათვის, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება დეტალურად შემოწმდეს როგორც ჟურნალისტების, ასევე მთელი საზოგადოების მიერ. ამიტომ, მან დიდი ტოლერანტობა უნდა გამოიჩინოს. პოლიტიკოსმა მართლაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი რეპუტაცია დაცული იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის არ მოქმედებს პირადი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ ასეთი დაცვის მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესს...

პრესა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, მან არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ საზღვრებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სხვების რეპუტაციასა და უფლებებს; და მაინც, მისი ვალია, საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა საკითხზე. ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელება მარტო პრესის ვალდებულება არ არის, საზოგადოებას აქვს მათი მიღების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრესა ვერ შეძლებდა „საზოგადოებრივი დარაჯის“ სასიცოცხლო როლის შესრულებას.

მეათე მუხლი იცავს არა მხოლოდ გადმოცემული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმასაც. ჟურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს გაზვიადების გარკვეული ხარისხის ან თვით პროვოკაციის შესაძლო გამოყენებას.

თავის პრაქტიკაში სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს ფაქტების გადმოცემას და სუბიექტურ შეფასებას. იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას, რომელიც თავისუფალი გამოხატვის უფლების ძირითადი ნაწილია.

როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისთვის; ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე, შეიძლება ზედმეტი იყოს.

პუბლიკაციის პოლიტიკური კონტექსტის ფონზე სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩლის პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ფრაზა უფრო სუბიექტური შეფასება იყო, ვიდრე ფაქტის გადმოცემა. შესაბამისად, მოსარჩლეს არ უნდა მოეთხოვოს ასეთი ფრაზების ჭეშმარიტების მტკიცება.

ევროსასამართლო არ დაეთანხმა ავსტრიის სასამართლოების დასკვნას, რომ

სტატიაში არასწორად იყო წარმოდგენილი ფაქტი ბატონი გრაფის მთავრობის წევრობის შესახებ. სასამართლომ თქვა, რომ მოცემულ კონტექსტში ასეთი განმარტება არ იყო გამართლებული. მართლაც, მათ განაცხადეს, რომ ბატონი გრაფის ზუსტი ფუნქცია გარკვევით იყო აღწერილი სტატიაში.

სტატიაში ინტერესთა კონფლიქტზე მითითებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ცნობები იყო სუბიექტური შეფასებები, რომელთათვისაც საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არსებობდა და შესაბამისად, მათი მტკიცების აუცილებლობაც არ არსებობდა.

ინტერესთა კონფლიქტზე მითითებების შესახებ სასამართლომ აღნიშნა: ბატონი გრაფი იყო გავლენიანი პოლიტიკოსი და საზოგადოებაში შეიძლება დისკუსია გამოიწვიოს ფაქტმა, რომ პოლიტიკოსი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც ბიზნესი და პოლიტიკური საქმიანობა ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, თანამდებობრივი შეუთავსებლობის პრობლემა არ წარმოიშვება.

რაც შეეხება მოსარჩლის გამონათქვამების უხეშობას, სასამართლომ დასძინა: მოსარჩლეებმა მწირ ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით მართლაც გამოაქვეყნეს ძლიერი პოლემიკური ენით დაწერილი მწვავე კრიტიკა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი გამოსატყვის უფლება ასევე იცავს ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც იწვევენ წყენას, შოკს ან შეშფოთებას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ავსტრიამ უგულბებლყო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში წევრ სახელმწიფოთა მიერ აღიარებული ფასეულობების ფარგლები და დადგენილება არ იყო მიზნის პროპორციული.

2002 წელი

იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ

ფაქტები: ტოდორ ანტიმოვ იანკოვი 1943 წელს დაიბადა ქალაქ პლოვდივში, ბულგარეთი. იგი იყო მიწის საინვესტიციო ფონდის და ფინანსური კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. იგი წარსულში ასევე მუშაობდა ეკონომიკის მასწავლებლად და ჰქონდა ამ საგანში დოქტორის ხარისხი.

1996 წელს იგი დააპატიმრეს უკანონო ფინანსურ გარიგებებში მონაწილეობის

ბრალდებით. ივანკოვი დაკავებული იყო და სასამართლო პროცესს ელოდა ორი წლისა და თითქმის ოთხი თვის განმავლობაში. დაკავებაში ყოფნისას ბ-ნმა იანკოვმა წარუმატებლად შეიტანა რამდენიმე განცხადება გათავისუფლების თხოვნით. სხვა მოტივთა შორის იგი აცხადებდა შემდეგს: ის გარემოება, რომ ყველა მტკიცებულება შეგროვდა გამოძიების პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში, ამცირებდა მის მიერ გამოძიების შეფერხების რაიმე საფრთხეს; მას არ ჰქონდა ნასამართლობის ისტორია; და არ არსებობდა მისი გაუჩინარების საფრთხე, მისი ასაკის, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მან განაცხადა, რომ სხვა მიზეზებთან ერთად იტანჯებოდა მაღალი წნევით, ათერო-სკლეროზით, თირკმელებში კენჭის გავლით, დიაბეტითა და დეპრესიით. იგი ასევე აცხადებდა, რომ მის მიმართ მტკიცებულებები იყო მეტად სუსტი და ბრალდებები ეფუძნებოდა შესაბამისი კანონის ყალბ ინტერპრეტაციას. შედეგად, 1998 წლის თებერვალში იგი გააგზავნეს ჰოსპიტალში სპეციალური სამედიცინო მკურნალობისთვის.

1998 წლის 10 მარტს ადვოკატებთან შეხვედრის წინ გაჩხრეკისას, ციხის ოფიცერმა მოახდინა იმ წიგნის კონფისკაცია, რომელსაც იგი წერდა, იმ მოტივით, რომ ივანკოვი აპირებდა ამ წიგნის ადვოკატისათვის გადაცემას. ტექსტში, რომელიც აღწერდა განმცხადებლის დაკავებას და მის წინააღმდეგ წარმოებულ პროცესს, ციხის მცველებს უწოდებდა „კარგად-დანაყრებულ უსაქმურებს“ და „უბრალო სოფელებს“, ხოლო ციხის ოფიცერს უწოდებდა „პროვინციელს“ და პროკურორებსა და გამომძიებლებს აშკარად მოიხსენიებდა, როგორც „ძალაუფლების მქონე უნამუსო ადამიანებს“. იგი აცხადებდა, რომ აპირებდა, მხოლოდ ადვოკატისათვის წაეკითხვა თავისი ხელნაწერიდან რამდენიმე ფრაგმენტი, ვინაიდან ეს მხოლოდ მასალის შავი ვერსია იყო.

იმავე დღეს ციხის უფროსმა გამოსცა და აღასრულა ბრძანება განმცხადებლის წინააღმდეგ „ოფიცრების, გამომძიებლების, მოსამართლეების, პროკურორებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებებისათვის“. ივანკოვს თავი გადაპარსეს და მოათავსეს იზოლაციაში 17 მარტამდე. მის საკანს არ ჰქონდა ტელეფონი და საკმარისი სინათლე. იგი იმყოფებოდა მეტად მძიმე ჰიგიენურ პირობებში.

აპლიკანტი საავადმყოფოში მოათავსეს 1998 წლის 25 მარტს. 1998 წლის 10 ივლისს იგი გამოუშვეს გირაოთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

1998 წლის 30 ოქტომბერს პლოვდივის რაიონულმა სასამართლომ ცნო ბრალდებულის ბრალეულობა საზღვარგარეთ თანხების უკანონო გადარიცხვებში და მიუსაჯა მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. 2000 წლის 5 ივნისს მისი

განაჩენი გაუქმდა და განახლდა წინასწარი გამოძიება. 2002 წლის ნოემბერში წარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაში ივანკოვმა განცხადება 1997 წლის 5 სექტემბერს შეიტანა. აპლიკანტი ჩიოდა, რომ ციხეში მის მიმართ მოპყრობა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მთელ რიგ მუხლებს, კერძოდ მე-3 მუხლს (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) ვინაიდან იგი მოათავსეს იზოლატორში და გადაპარსეს თავი. იგი ასევე აცხადებდა, რომ წიგნის დანერისათვის მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომა არღვევდა მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება), ასევე მისი დაკავება ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და რომ სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო არამიზანშენიანი და არღვევდა მე-6(1) მუხლს (სასამართლო პროცესის გონივრული ვადების უფლება). იგი ასევე მიუთითებდა მის მიმართ მე-13 მუხლის (ეფექტური დაცვის უფლება) დარღვევის ფაქტზე.

2000 წლის 11 მაისს ივანკოვის საქმე ნაწილობრივ დაუშვებლად ცნეს, ხოლო 2002 წლის 12 სექტემბერს სასამართლომ განცხადების დანარჩენი ნაწილიც დასაშვებად გამოაცხადა.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10, მე-13, მე-5(3), მე-5(4), მე-5(5) და მე-6(1) მუხლები.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმარს, რომელსაც თავს ძალით გადაპარსავდნენ, აუცილებლად ექნებოდა არასრულფასოვნების შეგრძნება. მსგავსი მოპყრობის მაგალითი სხვებისთვისაც, მათ შორის ციხის პერსონალის, დაკავებულებისა და ვიზიტორების თუ საზოგადოებისთვის, დაუყოვნებლივ გახდებოდა თვალსაჩინო, თუ პატიმარი გათავისუფლდებოდა ან მას მალე საჯაროდ გამოიყვანდნენ. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკავებულთა თავის ძალით გადაპარსვა პრინციპში წარმოადგენდა მოქმედებას, რომელსაც შეეძლო დამცირებინა ადამიანის ღირსება ან მათში გამოეწვია არასრულფასოვნების შეგრძნება, რაც მათ უდავოდ დამამცირებდა.

გასაჩივრებულ მოქმედებას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და არ იყო მყარად დასაბუთებული. თუნდაც იგი არ ყოფილიყო მიმართული დამცირებისაკენ, აპლიკანტისათვის თმების გადაპარსვა სპეციფიური დასაბუთების გარეშე თავისთავად იყო თვითნებობა და დასჯადი ქმედება და აქედან გამომდინარე მიმართული იყო მისი დამცირებისაკენ. აპლიკანტსაც ჰქონდა მიზეზი ეფიქრა, რომ მიზანი სწორედ მისი დამცირება იყო, ვინაიდან მას თავი გადაპარსეს სასჯელის კონტექსტში კრიტიკული და შეურაცხმყოფელი შენიშვნების დანერისათ-

ვის, სხვებთან ერთად ციხის მცველების შესახებ. აქ ასევე მნიშვნელობა ჰქონდა აპლიკანტის ასაკს (55 წელი იმ დროისთვის) და იმ ფაქტს, რომ იგი საჯარო განხილვაზე გამოიყვანეს თავის გადაპარსვიდან მეცხრე დღეს.

აპლიკანტისათვის თემების გადაპარსვა იზოლატორში მოთავსების კონტექსტში კრიტიკული და შეურაცხმყოფელი შენიშვნების დაწერისათვის წარმოადგენდა გაუმართლებელ მოპყრობას, რაც შესაძლებელი იყო შეფასებულიყო, როგორც დამამცირებელი. სასამართლომ ეს მიიჩნია მე-3 მუხლის დარღვევად.

კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ აპლიკანტს შეუფარდა სასჯელი ისე, რომ გადაწყვეტილებებში არც კი მიუთითებიათ, თუ რატომ მიიჩნევდნენ მის განცხადებებს შეურაცხმყოფელად. მიუხედავად იმისა, რომ გაკეთებული კომენტარები შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო შეურაცხმყოფელად, ისინი ნამდვილად არ იყო ძიმე ხასიათის მქონე. ისინი ასევე იყო ხელნაწერის ფორმით დაწერილი იმ ენაზე და იმ სტილით, რაც ახასიათებდა პერსონალურ მემუარებს თუ მსგავს ლიტერატურულ ფორმებს და იგი შეიცავდა მართლმსაჯულების აღსრულებისა და მასში მონაწილე პირების არსებით კრიტიკას. ამიტომაც ბულგარელ ხელისუფალთ უნდა ეჩვენებინათ თავშეკავება თავიანთ რეაქციებში.

სასამართლო ასევე განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ აპლიკანტი დასაჯეს საკუთარი ფიქრების პირად ხელნაწერზე გადატანისათვის, რაც მას ამკარად არავისთვის არ უჩვენებია ჩამორთმევის მომენტისათვის. მას არც „უთქვამს“ და არც „გაუვრცელებია“ რაიმე შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი განცხადებები. კერძოდ, არ ყოფილა არავითარი ბრალდება იმაში, რომ მან გაავრცელა ტექსტი სხვა დაკავებულებს შორის. ასევე, მანუსკრიპტი, როგორც დოკუმენტის პროექტი არ იყო მზად გამოქვეყნებისთვის და არ არსებობდა მისი დაუყოვნებლივი გავრცელების საფრთხე, თუნდაც იგი გატანილი ყოფილიყო ციხიდან.

თუმცა ციხის ადმინისტრაციის წევრები, რომლებმაც წაიკითხეს ხელნაწერი, შეიძლებოდა პირადად შეურაცხყოფილი დარჩენილიყვნენ მათ შესახებ იქ გამოთქმული შენიშვნებით, მეტად რთული იყო ამ არგუმენტის საფუძველზე აპლიკანტის დასჯის გამართლება. საჯარო მოხელეებზე არასათანადო გავლენა არ უნდა მოახდინოს პირადმა გრძნობებმა. არ მომხდარა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნებასა და საჯარო მოხელეების რეპუტაციის დაცვას შორის. შეურაცხმყოფელი შენიშვნების გაკეთებისათვის სასამართლო სისტემის მაკრიტიკებელ პირად ხელნაწერში, რომელიც არ გავრცელებულა დაკავებულთა შორის, აპლიკანტისათვის სასჯელად სადისციპ-

ლინო საკანში შვიდდღიანი პატიმრობის შეფარდებით ხელისუფლებამ დაარღვია დასაშვები მოქმედების ფარგლები, ამგვარად დაარღვია მე-10 მუხლი.

აპლიკანტის გამოხატვის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ მანუსკრიპტის ამოღება ადგილზე მოხდა და იგი მოათავსეს იზოლატორში მის მიმართ დისციპლინური ბრძანების გამოცემისთანავე. არ დასაბუთებულა, რომ მას მისცეს გასაჩივრების გონივრული შესაძლებლობა სასჯელის აღსრულებამდე. იმ დროისთვის და 2002 წლამდე ბულგარეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საიზოლაციო საკანში პატიმრის მოთავსების ფაქტის გასაჩივრებას სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა მის წინააღმდეგ დამამცირებელ მოპყრობაზე ან მისი გამოხატვის თავისუფლებაზე ეფექტური რეაგირების საშუალება, შესაბამისად დაასკვნა, რომ დაირღვა მე-13 მუხლი.

დაპატიმრების შემდეგ, აპლიკანტი წარუდგინეს გამომძიებელს, რომელსაც არ ჰქონდა უფლება, მიეღო სავალდებულო გადაწყვეტილება მისი დაკავების შესახებ. არც გამომძიებელი, არც პროკურორი, რომელთაც დაამტკიცეს დაკავება, არ იყვნენ სათანადოდ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი მე-5(3) მუხლის მიზნებისათვის, ბრალდების პროცესში მათ მიერ შესრულებული პრაქტიკული როლის და სისხლის სამართალწარმოებაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა მე-5(3) მუხლის დარღვევას, ვინაიდან აპლიკანტი არ წარუდგინეს სასამართლოს თუ სხვა პირს, რომელიც კანონის შესაბამისად იქნებოდა უფლებამოსილი, განეხორციელებინა სასამართლო ხელისუფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა აპლიკანტმა წარმოადგინა არგუმენტაცია მისი დაკავების საფუძვლების არამიზანშეწონილობის შესახებ, საკუთარ გადაწყვეტილებებში ბულგარეთის სასამართლოებს არ განუხილავთ არც ერთი ამ არგუმენტთაგანი და ამკარად ჩათვალეს, რომ მათ კავშირი არ ჰქონდათ წინასწარი დაკავების კანონიერების საკითხთან. ეს წარმოადგენდა მე-5(4) მუხლის დარღვევას (უფლება, რომ დაკავების კანონიერება სწრაფად გადაწყდეს სასამართლოს მიერ).

სასამართლომ დაასკვნა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობა აპლიკანტს არ აძლევდა კომპენსაციის სავალდებულო უფლებას დაკავების გამო, რითიც დაირღვა მე-5(5) მუხლი (კომპენსაციის სავალდებულო უფლება).

სამართალწარმოება გრძელდებოდა სულ მცირე ექვსი წლისა და 5 თვის განმავლობაში, შესაბამისად სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-6(1) მუხლი (გონივრულ დროში სამართლიანი სასამართლოს უფლება).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიყენა 41-ე მუხლი (სამართლიანი დაკმაყოფილება) და აპლიკანტს კომპენსაციის სახით მიანიჭა 8, 000 ევრო არაქონებრივი ზიანისათვის და 4, 000 ევრო განუული ხარჯებისათვის.

2003 წელი

Scharsach and News Verlagsgesellschaft mbH-ი ავსტრიის წინააღმდეგ

ფაქტები: განმცხადებლებს წარმოადგენდნენ ვენაში მცხოვრები ავსტრიელი ჟურნალისტი ჰანს-ჰენინგ ჩარსაჩი და ახალი ამბების ყოველკვირეული გაზეთის *News* მესაკუთრე და გამომცემელი კომპანია *Scharsach and News Verlagsgesellschaft mbH*.

1995 წელს გაზეთმა დაბეჭდა სტატია, სათაურით „ყავისფერი შავის და წითლის ნაცვლად?“. ამ სტატიაში ბატონი ჩარსაჩი განმარტავდა, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა სამთავრობო კოალიციის შექმნას ავსტრიის თავისუფლების პარტიის მონაწილეობით, რომელსაც სათავეში იორგ ჰაიდერი ედგა. სტატია აკრიტიკებდა ავსტრიის თავისუფლების პარტიას იმის გამო, რომ მისმა მესვეურებმა ვერ შეძლეს გამიჯვნა ულტრა მემარჯვენეობისაგან; სტატიაში, აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ „ძველი ფარული ნაცისტები“, რომელთაც პარტია 1980-იან წლებში მიატოვეს, დაბრუნდნენ ჰაიდერის ხელმძღვანელობით. ამის დასტურად ავტორმა დაასახელა გარკვეული პირები, მათ შორის, ქალბატონი როზენკრანცი.

პოლიტიკოსი ქალბატონი როზენკრანცი იყო ქვემო ავსტრიის პარლამენტის რეგიონული პალატის (ლანდტაგი) წევრი და ქვემო ავსტრიის თავისუფლების პარტიის რეგიონული ოფისის თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლო წარმოების დაწყების მომენტისათვის იგი იყო ავსტრიის პარლამენტის წევრი და ქვემო ავსტრიის თავისუფლების პარტიის რეგიონული ოფისის თავმჯდომარე. მისი მეუღლეს საზოგადოება იცნობდა, როგორც ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსს და გაზეთ „Akten“-ის გამომცემელს.

ქალბატონმა როზენკრანცმა აღძრა სისხლის სამართალწარმოება პატივისა და ღირსების შელახვის გამო ბატონ ჩარსაჩის წინააღმდეგ და შეიტანა სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით „News Verlagsgesellschaft mbH“-ის წინა-

აღმდეგ. 1998 წლის 21 ივნისს სენტ პოლტენის რეგიონულმა სასამართლომ ბატონი ჩარსაჩი ბრალეულად ცნო პატივისა და ღირსების შელახვაში და დააკისრა ჯარიმა დაახლოებით 4, 360 ევროს ოდენობით. მედიის შესახებ კანონის შესაბამისად, „*News Verlagsgesellschaft mbH*“-ს მიეცა მითითება, მომჩივანისათვის 2,180 ევრო გადაეხადა. რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სტატიის მტკიცებით, ქ-ნი როზენკრანცი ჩართული იყო ფარულ ნეო-ნაციისტურ საქმიანობაში, მაგრამ სტატიის ავტორმა ფაქტი ვერ დაადასტურა.

განმცხადებელთა საჩივრის მიხედვით, მათ წინააღმდეგ გამოტანილმა განაჩენმა დაარღვია მათი გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაასკვნა, რომ მოხდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მოტივაცია: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა წინააღმდეგ გადანწყვეტილება წარმოადგენდა მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ეს ჩარევა დადგენილი იყო კანონით და ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, კერძოდ, სხვათა რეპუტაციისა თუ უფლებების დაცვა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატია დაწერილი იყო პოლიტიკურ კონტექსტში და მიმართული იყო პოლიტიკოსის წინააღმდეგ; შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირის მიმართ. ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლოებმა ვერ შეძლეს, სათანადო ყურადღება მიექციათ სტატიის პოლიტიკური კონტექსტისთვის, როდესაც ისინი აფასებდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვების მნიშვნელობას. ტერმინი „ფარული ნაცისტი“ („*Closet Nazi*“) გაგებულ უნდა ყოფილიყო ადეკვატურ კონტექსტში, იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მისცა თავისუფლების პარტიის პოლიტიკოსმა; კერძოდ, „ფარული ნაცისტი“ ავტორმა აღწერა, როგორც პირი, რომელსაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა ნაციონალური სოციალიზმის იდეებთან.

ავსტრიის სასამართლოებისგან განსხვავებით, ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერმინი „ფარული ნაცისტი“ მიჩნეული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ როგორც განცხადება ფაქტის შესახებ, არამედ როგორც შეფასებითი განცხადება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მნიშვნელოვან საკითხზე. თუმცა, არ იყო დადასტურებული ქ-ნი როზენკრანცის ნეო-ნაციისტობის ფაქტი, იგი იყო მეუღლე პოლიტიკოსისა, რომელიც ულტრამემარჯვენე გაზეთს გამოსცემდა. როგორც პოლიტიკოსი, იგი საჯაროდ არასოდეს გამიჯვნია მეუღლის პოლიტიკურ

შეხედულებებს და საჯაროდ აკრიტიკებდა „აკრძლის აქტს“ (Prohibition Act), რომლითაც ნაციონალურ-სოციალისტური საქმიანობა უკანონოდ გამოცხადდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქ-ნი როზენკრანცი იყო პოლიტიკოსი; ასევე ჟურნალისტთა და პრესის როლის გათვალისწინებით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მხრივ, სასამართლომ მიიჩნია, რომ „ფარული ნაცისტის“ ცნების გამოყენება არ სცილდებოდა სამართლიანი კომენტარის კატეგორიას. ამიტომაც განმცხადებლის უფლებებში ჩარევა დასახული მიზნის არაპროპორციული იყო და არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

2003 წელი

C.S.Y. თურქეთის წინააღმდეგ და იასარ ქემალ გოქჩელი თურქეთის წინააღმდეგ

ფაქტები: 2003 წლის 4 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ წარმოებაში გააერთიანა ორი საქმე და მიიღო საერთო გადაწყვეტილება.

საქმის გარემოებების მიხედვით, C.S.Y. იყო გამომცემლობა, კერძო კომპანია, რომლის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობდა სტამბოლში. იასარ ქემალი გოქჩელი კი იყო სტამბოლში მცხოვრები თურქი მწერალი.

1995 წლის 2 თებერვალს მომჩივანმა კომპანიამ დაბეჭდა იასარ ქემალ გოქჩელის ორი სტატია წიგნში „გამოხატვის თავისუფლება და თურქეთი“. სტატიები – „შავი ცა თურქეთის თავზე“ და „შესაძლოა, გაიზარდოს თქვენზე ზეწოლა“ უკვე გამოქვეყნებული იყო საზღვარგარეთ. წიგნი წარმოადგენდა სტატიების კრებულს, რომელშიც გაკრიტიკებული იყო და კომენტარი უკეთდებოდა თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკას „თურქულ პრობლემასთან“ დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკის დაარსების შემდგომ.

1995 წლის 2 თებერვალს ეროვნული უშიშროების სასამართლოს მოსამართლემ გასცა ბრძანება ამ წიგნის დაპატიმრების შესახებ იმ მოტივით, რომ აღნიშნული სტატიები აღვივებდნენ მტრობას და შულს რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე. იმავე დღეს, პოლიციის ოფიცრები მივიდნენ მომჩივანი კომპანიის ოფისში დაპატიმრების ორდერის აღსასრულებლად. თუმცა, ვინაიდან უკვე გავრცელებული იყო წიგნის ყველა ასლი, მათ ვერ შეძლეს ამ გამოცემის

დაპატიმრება. არ დაკმაყოფილდა გამომცემლის და სტატიების ავტორის საჩივარი გამოცემის დაყადაღების შესახებ ბრძანების გაუქმებასთან დაკავშირებით.

გამომცემლისა და სტატიების ავტორის წინააღმდეგ აღიძრა ორი სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის აღკვეთის შესახებ აქტის მე-8 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 313(2) მუხლის საფუძველზე. პირველი საქმე სტატია „შესაძლოა, გაიზარდოს თქვენზე ზეწოლას“-თან დაკავშირებით, დასრულდა 1995 წლის 1 დეკემბერს ეროვნული უშიშროების სასამართლოს მიერ ბრალდებულების გამართლებით. რაც შეეხება სამართალწარმოებას სტატიასთან – „შავი ცა თურქეთის თავზე“, 1996 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში ეროვნული უშიშროების სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. გამომცემელს დაეკისრა ჯარიმის გადახდა 3.491.666 თურქული ლირის ოდენობით, რომლის გამოყენება შეჩერდა, ხოლო ავტორს მიესაჯა პატიმრობა ერთი წლისა და რვა თვის ხანგრძლივობით და ჯარიმა 466.666 თურქული ლირის ოდენობით, რომლის გამოყენება ასევე შეჩერდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მთლიანობაში ეს სტატია მიზნად ისახავდა მტრობისა და შუღლის გაღვივებას თურქული და ქურთული წარმომავლობის მოქალაქეებს შორის და რასისა და წარმომავლობის ადგილის საფუძველზე. 1996 წლის 18 ოქტომბერს საკასაციო სასამართლომ დაადასტურა პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება.

საქმეში „ც.ს.ყ. თურქეთის წინააღმდეგ“ მომჩივანმა კომპანიამ განაცხადა, რომ წიგნის „გამოხატვის თავისუფლება და თურქეთი“ დაყადაღებით შეილახა მისი გამოხატვის თავისუფლება, გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით. საქმეში იასარ ქემალ გოქჩელი თურქეთის წინააღმდეგ, მომჩივანი კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ შეილახა მისი გამოხატვის თავისუფლება, ვინაიდან მის მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლებრივი დევნა სტატიის დაწერისათვის.

კონვენციის მე-6(2) მუხლის საფუძველზე, იგი ასევე ჩიოდა, რომ დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვინაიდან მოსამართლე და ეროვნული უშიშროების სასამართლო წიგნის დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილებით დაეყრდნენ პრეზუმფციას, რომ სადავო სტატიები წინააღმდეგობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან. დაბოლოს, მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი მსჯავრდება ეწინააღმდეგებოდა მე-7 მუხლს (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე).

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი და არ დარღვეულა მე-6(2) და მე-7 მუხლები.

მოტივაცია: ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ გა-

საჩივრებული ზომები წარმოადგენდა მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას და ისინი კანონით იყო დადგენილი. იასარ ჯემალ გოქჩელის მსჯავრდება ეფუძნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლს, ხოლო წიგნის დაყადლება თურქეთის კონსტიტუციის 28-ე მუხლს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლს. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული შეზღუდვები ორ მიზანს ისახავდა, რომლებიც შესაბამისობაში იყო მე-10(2) მუხლთან: ერთიანობა და ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სტატიები დაწერილი იყო პოლიტიკური გამოსვლის ფორმით, როგორც შინაარსობრივად, ასევე გამოყენებული ტერმინების გათვალისწინებით. მემარცხენე მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი სიტყვების გამოყენებით, ავტორი აკრიტიკებდა და გმობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ხელისუფლების სამხედრო აქციებს და მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას, რაც, მისი აზრით, გულისხმობდა საკუთარი მიწიდან ქურთების განდევნას, მათი წინააღმდეგობის მოძრაობის და ბრძოლის ჩახშობას ავტონომიისთვის, კულტურისა და თვითგამორკვევის კონტექსტში. სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატიებში გამოყენებული ტერმინები ფაქტებს ასახავდა და ჰქონდა მკაფიოდ აგრესიული ხასიათის ემოციული ტონი.

გარკვეული ნაწილები განსაკუთრებით ნეგატიურად წარმოაჩინდა თურქ ხელისუფალთ და ჰქონდა მტრული ტონი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო უფრო კონფლიქტის ერთი მხარის შეურიგებელი პოზიციის გამოხატულება, ვიდრე მოწოდება ძალადობისაკენ.

მთლიანობაში, სტატიების შინაარსი ვერ ჩაითვლებოდა ძალადობისაკენ, შეიარაღებული წინააღმდეგობისაკენ თუ ამბოხებისაკენ მოწოდებად: სასამართლოს აზრით, ეს იყო არსებითი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული. უფრო მეტიც, განსახილველი სტატიების ძირითადი იდეა შემდეგში მდგომარეობდა: „ქურთული პრობლემის გადაწყვეტა აუცილებელია მშვიდობიანი საშუალებებით“. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა ავტორზე დადებული ჯარიმის სიმკაცრის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ წიგნის დაყადლება და სტატიების ავტორის სისხლის სამართლებრივი მსჯავრდება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. მან აღნიშნულ საქმეებზე ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

რაც შეეხება იასარ ქემალ გოქჩელის განცხადებას, მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თაობაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ წიგნის დაყადლება იყო გარდამავალი ღონისძიება შემდგომი სამართალწარმოების გა-

მართვის პერსპექტივით. ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება მიუთითებდა „ექვსის არსებობის შესახებ“ და არ შეიცავდა ბრალდებას. უფრო მეტიც, შემდგომი სამართალწარმოებისას არ გამოვლენილა დადგენილი ექვსის საფუძვლიანობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ მომხდარა კონვენციის მე-6 (2) მუხლის დარღვევა.

ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვევის დაფიქსირება თავისთავად წარმოადგენდა სამართლიან დაკმაყოფილებას არა ქონებრივი ზიანი-სათვის, რომელიც განიცადეს მომჩივანებმა. სასამართლომ გამომცემლობა C.S.Y.-ის საკომპენსაციო თანხა დანიშნა 1500 ევროს ოდენობით.

2003 წელი

ლესნიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ

ფაქტები: განმცხადებელმა, 1940 წელს დაბადებულმა სლოვაკეთის მოქალაქე ალექსეი ლესნიკმა 1991 წლის 2 დეკემბერს მოითხოვა ერთი ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დაწყება სიყალბისათვის. მას შემდეგ, რაც ამ თხოვნაზე უარი მიიღო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან, ა. ლესნიკმა პოლიციაში იჩივლა იმ მოტივით, რომ მას ემუქრებოდნენ და ისმენდნენ მის სატელეფონო საუბრებს. ლესნიკის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ზემოაღნიშნული ბიზნესმენის ქონების ქურდობისთვის. 1993 წლის 6 დეკემბერს მან წერილი მისწერა რაიონის პროკურორს და ბრალი დასდო მის წინააღმდეგ საქმის გაყალბებაში, მისი საჩივრის უსამართლოდ უკუგდებასა და მისი ტელეფონის მოსმენის ბრძანების გაცემაში. ა. ლესნიკმა ასევე წერილი მისწერა გენერალურ პროკურორს, სადაც მიუთითა, რომ რაიონის პროკურორმა ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და სავარაუდოდ, იღებდა ქრთამს.

1995 წლის 25 აპრილს ა. ლესნიკს საჯარო მოხელეზე სიტყვიერი შეტყვის განხორციელებისთვის, 4 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მას ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა მისცეს. მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სავაჭრო ლიცენზია კი გაუუქმდა 1996 წლის 28 ოქტომბერს, მსჯავრდების მოტივით, თუმცა 1997 წლის 4 ივნისს მას კვლავ აღუდგა სავაჭრო ლიცენზია. ლესნიკმა გაირა რეგისტრაცია, როგორც ახალი ბიზნესის მესაკუთრემ და მიიღო ვაჭრობის ახალი ლიცენზია.

მან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) საფუძველზე. იგი ჩიოდა, რომ მისი მსჯავრდება მოხდა სახელმწიფო ბრალმდებელის იმ მოქმედებათა კრიტიკის გამო, რომლებსაც იგი უკანონოდ მიიჩნევდა. იგი ასევე ჩიოდა, რომ მის მიმართ გამოყენებული ზომები არაპროპორციული იყო, ვინაიდან მსჯავრდების შედეგად მას გაუუქმეს სავაჭრო ლიცენზია.

გადანყვეტილება: სასამართლომ, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ლესნიკის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – რაიონის პროკურორის რეპუტაციისა და უფლებების დაცვა. თუმცა საჯარო მოხელეთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირების კრიტიკის ფარგლები, ისინი მაინც არ უნდა ექვემდებარებოდნენ თავიანთი ყოველი სიტყვისა და მოქმედების ისეთ გაზრდილ კონტროლს, როგორსაც უნდა ექვემდებარებოდნენ პოლიტიკოსები. პროკურორები არიან საჯარო მოხელეები, რომელთა მიზანია, წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების სწორ განხორციელებაში და საზოგადოების მხრიდან მათადამი ნდობა საზოგადო ინტერესს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი დაცვა უსაფუძვლო ბრალდებებისაგან. ინდივიდები უფლებამოსილი არიან გააკრიტიკონ მართლმსაჯულების აღსრულება და ამ პროცესში ჩართული ოფიციალური პირები, მაგრამ მსგავსმა კრიტიკამ არ უნდა გადალახოს გარკვეული ფარგლები.

ლესნიკის წერილები შეიცავდა შეფასებით განცხადებებს, რომლებიც არ ექვემდებარება მტკიცებას, მაგრამ ისინი ასევე შეიცავდა უკანონო და შეურაცხმყოფელი მოქმედებების ჩადენის ბრალდებებს. ნაციონალურმა სასამართლოებმა მართებულად მოითხოვეს მისგან მსგავსი ბრალდებების გასამყარებლად მტკიცებულებების წარმოდგენა. მათ მიიჩნიეს, რომ ეს ბრალდებები იყო უსაფუძვლო და საქმეში არ არსებობდა არც ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებდა სასამართლოების მსგავსი დასკვნის თვითნებურ ხასიათს. უფრო მეტიც, პროკურორის რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება კიდევ უფრო დამძიმებულიყო გაზეთში მათი გამოქვეყნებით, რასაც თავად განმცხადებელმა შეუწყო ხელი შესაბამისი დოკუმენტების გავრცელებით.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაასკვნა, რომ ა. ლესნიკმა

ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ განიცადა რაიმე ზიანი მისი სავაჭრო ლიცენზიის გაუქმებით, და მას შეეძლო, ნებისმიერ შემთხვევაში მოეთხოვა კომპენსაცია შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს საკითხებში ნაციონალურ ორგანოებს აქვთ ჩარევის განსაზღვრული ფარგლები, გასაჩივრებული ჩარევა არ იყო ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული. აქედან გამომდინარე, მსგავსი ჩარევა აუცილებელი იყო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის.

2003 წელი

როუმენი და შმიტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ

ფაქტები: რობერტ როუმენი იყო ლუქსემბურგელი ჟურნალისტი, ან-მარი შმიტი კი, ასევე ლუქსემბურგის მოქალაქე, იყო მისი ადვოკატი ნაციონალურ საქმის წარმოებაში.

1998 წლის 21 ივლისს ყოველდღიურმა გაზეთმა *Lëtzebuurger Journal* გამოაქვეყნა რ. როუმენის სტატია, სათაურით „მინისტრი ვ. მსჯავრდებულია გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისათვის.“ სტატიაში იგი აცხადებდა, რომ მინისტრს დაეკისრა საგადასახადო ჯარიმა 100,000 ლუქსემბურგის ფრანკის (დაახლოებით 2,500 ევრო) ოდენობით გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისათვის და ასევე აღნიშნავდა, რომ მსგავსი მოქმედება განსაკუთრებით სამარცხვინო იყო იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც საზოგადოებისათვის მაგალითი უნდა მიეცა. აღნიშნულ ფაქტზე სხვა გაზეთებმაც გააკეთეს კომენტარი.

1998 წლის 4 აგვისტოს მინისტრმა შეიტანა სისხლისსამართლებრივი საჩივარი პირველი განმცხადებლის მიმართ პროფესიული საიდუმლოების დარღვევით მიღებული ინფორმაციის გამოყენებისთვის და ასევე იმ უცნობი პირის თუ პირების მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს პროფესიული საიდუმლოება. პროკურორის განცხადება მოითხოვდა, რომ ჩასატარებელ მოკვლევასა და გამოძიებას დაედგინა მინის რეესტრში და სახელმწიფო საკუთრების ბიუროში მომუშავე ის სამოქალაქო მოხელე თუ მოხელეები, რომლებიც კურირებდნენ შესაბამის ფაილს და რომელთათვისაც ხელმისაწვდომი იყო დოკუმენტაცია.

1998 წლის 19 ოქტომბერს, გამომძიებელი მოსამართლის ინსტრუქციების შესაბამისად, რ. როუმენის სახლში და სამუშაო ადგილზე ჩატარდა ჩხრეკები, ყველა

იმ ნივთის, დოკუმენტის, ნაწარმისა და/ან სხვა საგნის აღმოსაჩენად და ამოსაღებად, რომელთაც შეეძლოთ, ნათელი მოეფინათ ზემოაღნიშნული დარღვევებისთვის ან რომლებსაც შეეძლოთ გამოძიების დამაკმაყოფილებელი მსვლელობის შეფერხება.“ ჩხრეკამ ვერაფერი ვერ გამოავლინა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა საკითხთა შორის, შეილახა მისი როგორც ჟურნალისტის უფლება, დაეცვა მიღებული ინფორმაციის წყაროები, რ. როუმენმა შეიტანა რამდენიმე განაცხადი ჩხრეკის ორდერების გასაუქმებლად. მას უარი ეთქვა, როგორც ამ განაცხადების, ასევე მათზე საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

1998 წლის 19 ოქტომბერს გამოძიებელმა მოსამართლემ ასევე გასცა ბრძანება რ. როუმენის ადვოკატის ოფისის ჩხრეკის შესახებ. იქ აღმოაჩინეს პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილი მიწის რეესტრისა და სახელმწიფო საკუთრების ბიუროს დირექტორის წერილი, რომელზეც ხელით იყო წარწერილი: „დეპარტამენტების უფროსებს. კონფიდენციალური ინფორმაცია სახელმძღვანელოდ.“ ადვოკატმა ან-მარი შმიტმა შეიტანა განაცხადი ჩხრეკის ორდერის გასაუქმებლად. ვინაიდან ჩხრეკისა და ამოღების ოქმი არ შეიცავდა ადვოკატთა კოლეგიის ვიცეთავმჯდომარის მოსაზრებებს, რომელიც ესწრებოდა ჩხრეკას და ამოღებას, რაიონულმა სასამართლომ ამოღება გამოაცხადა ბათილად და გასცა ბრძანება წერილის ან-მარი შმიტისათვის დაბრუნების შესახებ. წერილის დაბრუნების დღეს ჩატარდა ახალი ჩხრეკა და წერილი ხელახლა ამოიღეს. ან-მარი შმიტმა შეიტანა განაცხადი ჩხრეკის ორდერის გასაუქმებლად ადვოკატის სამუშაო ადგილისა და კლიენტთან მისი მიმოწერის საიდუმლოების პრინციპის დარღვევის საფუძველზე. როგორც პირველმა, ასევე სააპელაციო ინსტანციამ არ დააკმაყოფილა ეს განაცხადი.

2001 წლის 30 ნოემბერს რ. როუმენს ბრალი დაედო „პროფესიული საიდუმლოების დარღვევით მიღებული ინფორმაციის გამოყენების გამო“. 2003 წლის იანვარში გამოძიებელმა მოსამართლემ მას უთხრა, რომ დამთავრდა სასამართლო გამოძიება.

როუმენმა და შმიტმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართეს. რ. როუმენმა თავის განაცხადში აღნიშნა, რომ ჩხრეკების შედეგად დაირღვა მისი, როგორც ჟურნალისტის უფლება, დაეცვა მიღებული ინფორმაციის წყაროები და შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლი. ან-მარი შმიტმა კი თავის განაცხადში აღნიშნა, რომ ჩხრეკების შედეგად დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (მე-8 მუხლი).

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი რ. როუმენთან მიმართებაში.

მოტივაცია: რ. როუმენის განაცხადთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის სახლში და სამუშაო ადგილზე ჩატარებული ჩხრეკები უდავოდ წარმოადგენდა მისი გამოხატვის თავისუფლების შელახვას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ჩხრეკების მიზანს წარმოადგენდა მტკიცებულებების მოძიება იმ პირთა გამოსავლენად, რომელთაც, შესაძლოა, გაამჟღავნეს პროფესიული საიდუმლოება და ასევე შემდგომ რ. როუმენის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას ჩადენილი უკანონო ქმედებების დასადგენად. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ზომები უდავოდ ექცეოდა ყურნალისტთა წყაროების დაცვის კონტექსტში.

რ. როუმენის სტატია შეეხებოდა დადგენილ ფაქტს საგადასახადო დარღვევისათვის მინისტრზე დაკისრებულ ჯარიმასთან დაკავშირებით. უდავო იყო, რომ სტატიაში განხილული იყო საზოგადო ინტერესის საკითხი. სასამართლო, ხელისუფლების მსგავსად, დაეთანხმა რ. როუმენის განცხადებას, რომ სახლისა და სამუშაო ადგილის გაჩხრეკვის გარდა სხვა ზომებს (მაგალითად, მიწის რეესტრისა და სახელმწიფო საკუთრების ბიუროს მოხელეთა დაკითხვა) შეეძლოთ, დახმარება გაენიათ გამომძიებელი მოსამართლისთვის იმ პირთა დადგენაში, რომლებმაც ჩაიდინეს პროკურორის განცხადებაში მითითებული დარღვევები. სასამართლოს აზრით, ჩხრეკის უფლების მქონე გამომძიებლებს, რომლებიც შეიჭრნენ ყურნალისტის სამუშაო ადგილას, ჰქონდათ მეტად ფართო უფლებები, კერძოდ მათთვის ხელმისაწვდომი გახდა როუმენის მფლობელობაში არსებული ყველა დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ დაამტკიცა, რომ დაიცვა ბალანსი ინტერესებს შორის, კერძოდ, ერთი მხრივ, ინფორმაციის წყაროების დაცვის ინტერესსა და მეორე მხრივ, დამნაშავეს დასჯის ინტერესს შორის. ეროვნული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მიზეზები მიიჩნიეს „შესატყვისად“, მაგრამ არა „საკმარისად“ პირველი განმცხადებლის (რ. როუმენი) სახლისა და სამუშაო ადგილის გაჩხრეკისათვის.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებული ზომები არაპროპორციული იყო და ამით დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული რ. როუმენის უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე.

2003 წელი

საბუ და პირცალაბი რუმინეთის წინააღმდეგ

ფაქტები: დონ კორნელიუ საბუ და კალინ დან პირცალაბი რუმინეთში დაიბადნენ 1971 და 1968 წლებში და იყვნენ რუმინეთის მოქალაქეები. აპლიკანტები ბაია მარეში (რუმინეთი) ცხოვრობდნენ, სადაც ისინი ადგილობრივ გაზეთში *Ziua de Nord Vest* ჟურნალისტებად მუშაობდნენ. 1997 წელს მათ გამოქვეყნეს სტატიების სერია, რომელიც ეხებოდა ბაია მარეს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დედის მიერ მიწის უკანონო შექენას. პირველი სტატია აკრიტიკებდა ამ გარიგებას და აცხადებდა, რომ იგი ულმენის მუნიციპალიტეტის ფერმერების ხარჯზე მოხდა. სხვა სტატიები მოგვითხრობდნენ იმაზე, თუ როგორ მიმართავდა მოსამართლე მუქარას და ცდილობდა ყალბი დოკუმენტების გამოყენებას მეზობლისათვის ქონების წასართმევად.

სტატიაში მოხსენიებულმა მოსამართლემ შეიტანა სისხლის სამართლებრივი საჩივარი ცილისწამებისათვის და შესაბამისად, აპლიკანტების წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 1997 წლის 15 დეკემბერს ნასაუდის რაიონულმა სასამართლომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა აპლიკანტებს. სასამართლომ საბუს მიუსაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ასევე აუკრძალა პროფესიული საქმიანობა, შეუჩერა მშობლის უფლება და საარჩევნო უფლებები პატიმრობის ვადის განმავლობაში. სასამართლომ, ასევე, დააკისრა ჯარიმა 500,000 რუმინული ლეის ოდენობით (62 ევრო) პირცალაბს და უბრძანა აპლიკანტებს, გაზეთთან ერთად სოლიდარულად გადაეხადათ მოსამართლისათვის კომპენსაცია 30 მილიონი ლეის (1,582.42 ევროს) ოდენობით.

საბუს და პირცალაბის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი ნასაუდის საოლქო სასამართლომ უარყო, რადგან დაადგინა, რომ ჟურნალისტები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და სახეზე იყო მოსამართლის რეპუტაციის შელახვა. 1998 წლის 20 აგვისტოს საბუ პატიმრობაში აიყვანეს. ამ პერიოდისთვის იგი ცხოვრობდა თავის პარტნიორთან და ორ ბავშვთან ერთად. ოთხი დღის შემდეგ მის პარტნიორს შეეძინა კიდევ ერთი ბავშვი. საბუ გაათავისუფლეს 1998 წლის 5 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილეს მისი თხოვნა სასჯელის აღსრულების შეჩერების შესახებ. 1999 წელს იგი შეინწყალეს. 2002 წლის მაისში გაზეთმა მოსამართლეს გადაუხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა. პირცალაბმა შემდგომში სრულად ანაზღაურა ეს თანხა ხელფასიდან ყოველთვიური დაქვითვებით.

ჟურნალისტებმა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს 1998 წლის 25 სექტემბერს მიმართეს, სადაც დაობდნენ, რომ დაირღვა მათი გამოხატვის

თავისუფლება, რომელიც გარანტირებული და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით. საბუ ასევე აცხადებდა, რომ მისთვის მშობლის უფლებების შეწყვეტით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. იგი ასევე აცხადებდა, რომ მე-13 მუხლის შესაბამისად, მას არ ჰქონდა ეფექტური საშუალება ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად.

გადანწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლები.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სტატიები აშკარად ეხებოდა საჯარო ინტერესს, კერძოდ კი, მიწის რესტიტუციის თემას და სავარაუდო კორუფციას ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებს შორის.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სტატიები ეხებოდა მოსამართლის საჯარო და საზოგადოებრივ სტატუსს და არა მის კერძო ცხოვრებას. ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნებული სტატიები ეფუძნებოდა ფაქტებს. არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღწერილი ფაქტები იყო სრულიად მცდარი და რომ ისინი მიმართული იყო მოსამართლის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ცილისწამების კამპანიის საწარმოებლად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებისას აპლიკანტების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ შეამოწმა სასამართლომ. იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტებმა სცადეს მოსამართლესთან დაკავშირება, ხოლო შემდეგ შეკითხვები დაუსვეს პრეფექტს და წარმოადგინეს მისი პოზიცია, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საფუძველი, ეჭვი შეეტანათ მათ კეთილსინდისიერებაში. რაც შეეხება შეფარდებულ სასჯელებს, სასამართლომ ისინი მიიჩნია განსაკუთრებით არაპროპორციულად: საბუმ, რომელსაც მიესაჯა 10 თვით პატიმრობა, ციხეში გაატარა 45 დღე, ხოლო პირცალაბმა გადაიხადა სისხლისსამართლებრივი ჯარიმა. ორივე ჟურნალისტს ასევე დაეკისრა ზიანის ანაზღაურება რუმინეთში საშუალო ხელფასის თორმეტმაგი ოდენობით.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტების მსჯავრდება იყო არაპროპორციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში და ხელისუფლების ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი და საკმარისი მიზეზები მათ გასამართლებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის დარღვევას.

რაც შეეხება მე-8 მუხლს, ამასთან დაკავშირებით მსჯელობა სასამართლომ დაიწყო ბავშვთა ინტერესებზე საუბრით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესს აქვს უპირატესობა ყველა სხვა ინტერესზე და პირისათვის მშობლის

უფლებების ჩამორთმევის გამართლება შესაძლებელი იყო მხოლოდ განსაკუთრებით უღირსი საქციელის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში კი დანაშაული, რისთვისაც საბუ იქნა მსჯავრდებული, არ უკავშირდებოდა რაიმენიარად მშობლის პასუხისმგებლობას და მოვალეობებს. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საბუ არასოდეს ყოფილა უყურადღებო მშობელი და მის მიმართ არასდროს ყოფილა წაყენებული რაიმე ბრალდება ბავშვების მიმართ არასათანადო ზრუნვის თუ ცუდი მოპყრობის გამო. რუმინეთის კანონებით, მშობლის უფლებების შეწყვეტა წარმოადგენდა დამატებით სასჯელს, რომელიც ავტომატურად შეეფარდებოდა ნებისმიერ პირს, რომელიც იხდიდა სასჯელს პატიმრობის სახით, სასამართლოს ზედამხედველობის განხორციელების და დანაშაულის ტიპის თუ ბავშვის ინტერესების მხედველობაში მიღების გარეშე. აქედან გამომდინარე, ეს აკრძალვა წარმოადგენდა მორალურ ზომას, რომელიც მიმართული იყო მსჯავრდებული პირის დასასჯელად და არა ბავშვის დასაცავად.

კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა ქონებრივი ზიანისათვის პირცალაბის სასარგებლოდ 1,582.42 ევროს, ხოლო არაქონებრივი ზიანისათვის 1, 000 ევროს გადახდა, საბუს სასარგებლოდ კი, არაქონებრივი ზიანისათვის 5, 000 ევროს გადახდა. სასამართლომ ასევე დაადგინა მათ სასარგებლოდ 4, 000 ევროს გადახდა განუული ხარჯებისათვის.

2004 წელი

პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ

ფაქტები: აპლიკანტი იყო მონაკოს პრინც რაინერ III-ის უფროსი ქალიშვილი, პრინცესა კაროლინა, რომელიც 1957 წელს დაიბადა. იგი მონაკოში ცხოვრობდა და მონაკოს მოქალაქე იყო, თუმცა, წელიწადის გარკვეულ დროს პარიზში ატარებდა.

1990-იანი წლების დასაწყისში პრინცესა კაროლინ ფონ ჰანოვერი სისტემატურად ცდილობდა, სასამართლოს მეშვეობით შეეჩერებინა მისი ფოტოების დაბეჭდვა გერმანულ პრესაში. მან რამდენიმეჯერ მიმართა გერმანიის სასამართლოებს შემზღუდველი ბრძანების გამოცემის თხოვნით, რომლითაც აიკრძალებოდა 1990-იან წლებში მისი ფოტოების მთელი სერიის გამოქვეყნება გერმანულ ჟურნალებში „Bunte“, „Freizeit Revue“ და „Neue Post“. პრინცესა კაროლინ ფონ

ჰანოვერი აცხადებდა, რომ შეილახა მისი პირადი ცხოვრების დაცვის უფლება და მისი უფლება, გაეკონტროლებინა საკუთარი გამოსახულების გამოყენება.

1999 წლის 15 დეკემბრის ცნობილ საქმეში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპლიკანტის მოთხოვნა იმ ფოტოებთან დაკავშირებით, რომლებშიც იგი საკუთარ ბავშვებთან ერთად იყო გადაღებული. მოთხოვნის დაკმაყოფილების მოტივი ის იყო, რომ ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვა უფრო მეტად აუცილებელია, ვიდრე სრულწლოვანის. თუმცა, პრინცესა კაროლინთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მას, როგორც საჯარო პირს, უნდა მოეთმინა მისი ფოტოების საჯარო ადგილებში გამოქვეყნება, – იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი ფოტოებზე აღბეჭდილი იყო ყოველდღიური საქმიანობის დროს და არა ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას. ამ მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა პრესის თავისუფლებაზე და საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესზე, იცოდეს, ზოგადად როგორ იქცევა ასეთი პირი საზოგადოებაში.

პრინცესა კაროლინმა ამის შემდეგ განცხადებით მიმართა ევროპის ადამინის უფლებების სასამართლოს, სადაც დაობდა, რომ გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილებები ხელყოფდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

გადანყვეტილება: სასამართლომ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

მოტივაცია: თავდაპირველად სასამართლომ წარმოებიდან ამოიღო რამდენიმე ფოტო, რომლებზეც აპლიკანტი გადაღებული იყო თავის შვილებთან ერთად და მსახიობთან ერთად რესტორანის შორეულ კუთხეში. ეს ფოტოები აღარ წარმოადგენდა განხილვის საგანს, ვინაიდან ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა მათი ნებისმიერი დამატებითი გამოქვეყნება იმ მოტივით, რომ ისინი ხელყოფდა აპლიკანტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

ამის შემდეგ სასამართლომ მიმოიხილა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია და აღნიშნა, რომ ის შედგება მრავალი ელემენტისგან, მათ შორის, პირის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისაგან, მისი იდენტიფიკაციისგან და სხვა ელემენტებისგან. სასამართლოს აზრით, გერმანიის სხვადასხვა ჟურნალის მიერ აპლიკანტის იმ ფოტოების გამოქვეყნება, რომლებზეც იგი გამოსახული იყო ყოველდღიური ცხოვრებისას თუ სხვა პირებთან ერთად, მართლაც შედიოდა აპლიკანტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კატეგორიაში. შესაბამისად, მოქმედებდა კონვენციის მე-8 მუხლი.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო აპლიკანტის პირადი ცხოვრების უფლების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლებით, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით.

სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება ფოტოების გამოქვეყნებაზეც, მაგრამ ეს ის სფეროა, სადაც სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის ეხება არა „იდევბის“, არამედ ისეთი გამოსახულებების გავრცელებას, რომლებიც შეიცავენ მეტად პირადულ ან სულაც ინტიმურ „ინფორმაციას“ ინდივიდის შესახებ. უფრო მეტიც, ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული ფოტოების გადაღება ხდებოდა მუდმივი გალიზიანების ფონზე, რაც შესაბამის პირში იწვევდა პირად ცხოვრებაში ჩარევის ან დევნის გამძაფრებულ შეგრძნებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირადი ცხოვრების დაცვასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის დაბალანსების გადამწყვეტი ფაქტორი ის იყო, თუ რას წარმოადგენდა გამოქვეყნებული ფოტოები და სტატიები საჯარო ინტერესის თვალსაზრისით და რა წვლილი შეჰქონდა მათ საჯარო დებატებში. მოცემულ საქმეში არსებულ ფოტოებში გამოსახული იყო კაროლინ ფონ ჰანოვერის ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების სცენები, რომლებსაც აშკარად პირადი ხასიათი ჰქონდა. ამ მიმართებით, სასამართლომ გაითვალისწინა გარემოებები, რომლებშიც მოხდა ფოტოების გადაღება: აპლიკანტის ცოდნისა და თანხმობის გარეშე და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფარულად. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ფოტოების გამოქვეყნებას რაიმე წვლილი არ შეუტანია საჯარო დებატებში, ვინაიდან აპლიკანტი არ ახორციელებდა ოფიციალურ ფუნქციას. შესაბამისად, ფოტოები და სტატიები დაკავშირებული იყო ექსკლუზიურად მისი პირადი ცხოვრების დეტალებთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, საზოგადოებას აქვს ინფორმაციის მიღების უფლება, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ეს უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საჯარო პირების პირად ცხოვრებასაც ეხება. თუმცა, ამ საქმეში მოცემული ფაქტები მსგავსი დასკვნის საშუალებას არ იძლევა: საზოგადოებას არ ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი, ცოდნოდა, თუ სად იმყოფებოდა კაროლინ ფონ ჰანოვერი ან როგორ იქცეოდა იგი პირად ცხოვრებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობდა მსგავსი ინტერესი – მაგალითად, ჟურნალების კომერციული ინტერესი – განპირობებული ფოტოებისა და სტატიების გამოქვეყნებით, სასამართლოს აზრით, ეს ინტერესები უნდა გადაეფარა აპლიკანტის მიერ პირადი ცხოვრების ეფექტურად დაცვის უფლებას.

სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა პირადი ცხოვრების დაცვის ფუნდამენტური მნიშვნელობა პიროვნების განვითარებისთვის და აღნიშნა, რომ ყველას, მათ შორის, საზოგადოებაში ცნობილ პირებს, უნდა ჰქონდეთ „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ დაცული იქნება მათი პირადი ცხოვრება. კრიტერიუმი, დადგენილი შიდა სასამართლოების მიერ თანამედროვე საზოგადოების გამოჩენილი ფიგურის განსასხვავებლად საჯარო პირისაგან – არ იყო საკმარისი აპლიკანტის პირადი ცხოვრების ეფექტურად დასაცავად. მას მოცემულ ვითარებაში უნდა ჰქონოდა „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ მისი პირადი ცხოვრება დაცული იქნებოდა.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით და ამ სფეროში სახელმწიფოების თავისუფალი განსაზღვრის პრინციპის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის სასამართლოებმა ვერ მოახდინეს სამართლიანი ბალანსი ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და არ არსებობდა საჭიროება, გამოეთანა გადაწყვეტილება ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

2004 წელი

ამიჰალაჩიო მოლდოვას წინააღმდეგ

ფაქტები: მოსარჩლე გეორგ ამიჰალაჩიო 1949 წელს მოლდოვაში დაიბადა და კიშინოვში ცხოვრობდა. იგი იყო იურისტი და მოლდოვას იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი.

2000 წლის 15 თებერვალს მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება დეპუტატთა ჯგუფის და ომბუდსმენის მიერ აღძრულ საქმესთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილების თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნეს კანონის დებულება, რომელიც იურისტებისგან მოითხოვდა მოლდოვას იურისტთა კავშირში განევრიანებას.

განმცხადებელმა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გააკრიტიკა ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ეკონომიკური ანალიზი“. 2000 წლის 6 მარტის საბოლოო გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმცხადებელს დააკისრა 36 ევროს ეკვივალენტური ადმინისტრაციის

რაციული ჯარიმა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვისათვის. ეს ჯარიმა მას დაეკისრა გამონათქვამისთვის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილები შედეგად „იურისპრუდენციის სფეროში სრული ქაოსი გამეფდებოდა“. ინტერვიუერის აზრით, მიღებული გადაწყვეტილება დღის წესრიგში აყენებდა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციურობის საკითხს. სასამართლომ მას ჯარიმა შეუფარდა ასევე გამონათქვამისთვის, რომ მოსამართლეები „სავარაუდოდ, ავტორიტეტულად არ მიიჩნევენ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს“.

განმცხადებლის საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი, აცხადებდა რა, რომ მასზე ზემოაღნიშნული ჯარიმის დაკისრება უსაფუძვლოდ ხელყოფდა მისი გამოხატვის თავისუფლებას.

გადაწყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის დაჯარიმება მართლაც ხელყოფდა მისი გამოხატვის თავისუფლებას, რაც გამყარებული იყო საკონსტიტუციო პროცედურის კოდექსის 82-ე მუხლით. სასამართლომ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მართალია, კანონმდებლობა აბსოლუტური სიზუსტით არ განსაზღვრავდა ქმედებებს, რომლებიც დაჯარიმებას ექვემდებარებოდა, მაგრამ მიღებული პროფესიული განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე განმცხადებელს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის შენიშვნებზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ეს დებულება. ასე რომ, ზემოაღნიშნულ ხელყოფას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის განცხადებები მოიცავდა ზოგად ინტერესს, კერძოდ: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იურისტთა სტატუსის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ქმნიდა საფრთხეს, რომ იურისტებს შორის დაიწყებოდა დაპირისპირება. აღნიშნული გადაწყვეტილებით დასრულდა იურისტთა გაერთიანება ერთ სტრუქტურაში, მოლდოვას იურისტთა კავშირში, რომლის პრეზიდენტიც თავად აპლიკანტი იყო.

თუნდაც ბ-ნ ამიჰალაჩიოს განცხადებები გარკვეული უპატივცემულობის შემცველი ყოფილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, ისინი არ უნდა მიეჩნიათ სერიოზულად ან ამ სასამართლოს მოსამართლეთა შეურაცხმყოფლად. უფრო მეტიც, ვინაიდან ბ-ნ ამიჰალაჩიომ შემდგომ უარყო ნაწილი განცხადებე-

ბისა, რომლებიც პრესამ მას მიაწერა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა ყველაფრისთვის, რაც პრესაში გამოქვეყნდა. ხოლო დაკისრებული ჯარიმა, მიუხედავად მცირე მოცულობისა, მაინც ადასტურებდა განმცხადებლის მკაცრად დასჯის განზრახვას, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმუმი.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა „გადაუდებელი სოციალური საჭიროება“ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად და ქვეყნის ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი ჩარევის გასამართლებლად. ვინაიდან აპლიკანტს არ დაურღვევია კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კრიტიკის ზღვარი, გასაჩივრებული ხელყოფა ვერ ჩაითვლებოდა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

2004 წელი

საფრანგეთის რადიო საფრანგეთის წინააღმდეგ

ფაქტები: 1997 წლის 31 იანვარს და 1 თებერვალს „*France Info*“-ს მიერ გადაცემულ სამოცამდე საინფორმაციო გამოშვებასა თუ ბიულეტენში მოხსენიებული იყო ყოველკვირეულ ჟურნალ „*Le Point*“-ში გამოქვეყნებული სტატია, რომლის მიხედვით, მიშელ ჟუნო, პიტივიერის (*Pithiviers*) პრეფექტი, 1942 და 1943 წლებში ათასი ებრაელის დეპორტაციას ზედამხედველობდა.

ამ ინფორმაციის გადაცემის გამო, პარიზის სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბოიონსა და გალიხერს ბრალად დაედოთ სახელმწიფო მოხელის საჯარო ცილისწამება, დაეკისრათ ჯარიმა – 3 048 ევროს ეკვივალენტი – 20 000 ფრანგული ფრანკი და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის – 7 622 ევროს ეკვივალენტი – 50 000 ფრანგული ფრანკი. აპლიკანტ კომპანიას დაეკისრა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ განცხადებების განთავსება „*France Info*“-ს ეთერში 24 საათის განმავლობაში, ყოველ ორ საათში ერთხელ.

1998 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, პარიზის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ეს განაჩენი. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ უარყო აპლიკანტების საკასაციო საჩივარი 1999 წლის 8 ივნისს.

1999 წლის 21 ივლისს აპლიკანტებმა განცხადებით მიმართეს ადამიანის უფ-

ლებათა ევროპის სასამართლოს. საჩივარი ნაწილობრივ დასაშვებად გამოცხადდა 2003 წლის 23 სექტემბერს.

კონვენციის მე-7 მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები გადამეტებული იყო. მათი განცხადებით, ვინაიდან სადავო ფაქტები თავსდებოდა 1982 წლის 29 ივლისის აუდიოვიზუალური კომუნიკაციების აქტის არეალში, შიდა სასამართლოებმა შექმნეს დანაშაულის ახალი კატეგორია „ანალოგიის“ პროცედურის მეშვეობით.

აპლიკანტებმა დამატებით აღნიშნეს, რომ 1982 წლის 29 ივლისის აქტმა შექმნა უდავო პრეზუმფცია, რომ საგამომცემლო დირექტორი ბრალეული იყო; ამით კი შეილახა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებული მისივე უდანაშაულობის პრეზუმფცია. უფრო მეტიც, აპლიკანტები მიიჩნევდნენ, რომ ეს აქტი ხელყოფდა იარაღთა თანასწორობის პრინციპს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

დაბოლოს, კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ შიდა სასამართლოების მიერ მათზე სანქციებისა და სხვა ზომების დადების გამო, დაირღვა მათი უფლება „ინფორმაციის გადაცემაზე“.

გადანყვეტილება: სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

მოტივაცია: სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალეულობის პრეზუმფცია, გამოყენებული საგამომცემლო დირექტორის წინააღმდეგ 1982 წლის 29 ივლისის აქტის 93-3 პუნქტის შესაბამისად, იყო შედეგი მისივე ვალდებულებისა, რომ გაეკონტროლებინა ინფორმაცია. ეს ბრალეულობა წარმოიშვა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდა სადავო განცხადების „წინასწარი ჩანერა“ მის გადაცემამდე.

„France Info“ მუშაობს რეგულარული ბიულეტენების მონაცვლეობით. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის სასამართლოებმა არ მიიჩნიეს საგამომცემლო დირექტორი ბრალეულად პირველი ბიულეტენის გამოქვეყნებისთვის, მაგრამ მიიჩნიეს, რომ მოგვიანებით ეს პირველი ბიულეტენი იქცა „წინასწარ ჩანერად“ შემდგომი მაუწყებლობისთვის. შესაბამისად, მათ ჩათვალეს, რომ საგამომცემლო დირექტორს შეეძლო, წინასწარ გაეკონტროლებინა მაუწყებლობა. რაკი მან ეს არ გააკეთა, ამის გამო ცნეს სისხლის სამართლებრივ ბრალეულად.

„France Info“-ს მუშაობის სტილის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის სასამართლოებმა განმარტეს „წინასწარი ჩანერის“ ცნება განსახილველი დანაშაულის შინაარსთან შესაბამისობით და იმგვარად, რომ ეს იყო „გონივრულობის ფარგლებში წინასწარ განჭვრეტადი“. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია მე-7 მუხლის დარღვევას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივარი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შე-საბამისად, ფარავდა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეტანილ საჩივარს და, აქედან გამომდინარე, არ არსებობდა საჭიროება, რომ ცალკე განხილულიყო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ფაქტები.

1982 წლის 29 ივლისის და 1881 წლის 29 ივლისის აქტების მიხედვით, საგამომცემლო დირექტორი სისხლის სამართლებრივად ბრალეულია დიფამაციური განცხადებების მაუწყებლობისთვის, რაკილა ადგილი ჰქონდა „წინასწარ ჩაწერას“ მის გადაცემამდე. ბრალეულობის ეს პრეზუმფცია გაიგივდა კიდევ ერთ პრე-ზუმფციასთან, რომელიც არ იყო აბსოლუტური და რომლის მიხედვითაც იგუ-ლისხმებოდა, რომ დიფამაციური განცხადებები კეთდება ბოროტი განზრახვით (bad faith).

საგამომცემლო დირექტორს შეეძლო, თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლო-ბა, თუკი დაამტკიცებდა, რომ სადავო განცხადებები გაკეთდა კეთილი განზრახ-ვით (Good Faith), ან, იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებდა, რომ ადგილი არ ჰქონია სადავო განცხადების „წინასწარ ჩაწერას“. სასამართლომ დაადგინა, რომ 1982 წლის 29 ივლისის აქტით შექმნილი პრეზუმფცია თავსდებოდა „გონივრულ ფარ-გლებში“ და საფრანგეთის სასამართლოებს არ გამოუყენებიათ სამართალი იმ-გვარად, რომ შეელახათ უდანაშაულობის პრეზუმფცია. შესაბამისად, სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

იმავედროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტებისათვის გამოტა-ნილი განაჩენით ილახებოდა მათი გამოხატვის თავისუფლება. ბოიონისა და გალიხერის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების, ასევე, უარყოფელი განცხადების ვალდებულების საფუძველი იყო სისხლის სამართალი. სასამართ-ლოს მიხედვით, აპლიკანტი კომპანიის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ემყარე-ბოდა ორ ფაქტორს: სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლს, რომელიც უკავშირ-დებოდა ყველას პასუხისმგებლობას საკუთარ მოქმედებებზე და, აგრეთვე, შიდა პრეცედენტულ სამართალს, რომელიც სასამართლოებს აძლევდა ექსკლუზიურ იურისდიქციას განცდილი ზარალის სათანადო დაკმაყოფილების შერჩევაში. აღმოჩნდა, რომ სასამართლო განცხადებების გამოქვეყნება პრესის მიერ მიყე-ნებული ზიანის გამოსწორების ზოგადი ფორმა იყო.

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ სადავო ჩარევას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა, კერძოდ, სხვათა უფლებებისა თუ რეპუტაციის შელახვა. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ჩარევა დასახული მიზნის პროპორციული, სასამართლომ აღ-ნიშნა, რომ დებატები შეეხებოდა საჯარო ინტერესის საკითხს, კერძოდ, მაღალი თანამდებობის პირების ქცევას ოკუპაციის დროს. უფრო მეტიც, სადავო პუბლი-

კაციები ქვეყნდებოდა ფართო საჯარო დებატების ფონზე, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში ბრალდებული მაურის პაპონის სასამართლო პროცესის პარალელურად.

რაც შეეხება სადავო გადაცემებს, მათი კვოტირება, წყაროებზე სისტემატური მითითებით, მოხდა დეტალური და კარგად დასაბუთებული სტატიიდან და ინტერვიუდან, რომელიც გამოქვეყნდა მაღალი რეპუტაციის მქონე ყოველკვირეულ ჟურნალში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლებოდა „France Info“-ს ჟურნალისტების დადანიშნულება კეთილი განზრახვის (Good Faith) გარეშე მოქმედებაში მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აღნიშნული გადაცემა ეთერში გაუშვეს. თუმცა, გადაცემაში აღნიშნული იყო, თითქოს, მიშელ ჟუნომ აღიარა, რომ „ორგანიზება გაუწია დეპორტირებულთა დრანსიში გადაყვანას“. სასამართლოს მიხედვით, ეს ბრალდება, რომელიც არ დაბეჭდილა „Le Point“-ში, სათანადოდ არ ასახავდა გამოქვეყნებულ სტატიას თუ ინტერვიუს. გადაცემის დანარჩენი ნაწილი, რომელიც ახდენდა გამოქვეყნებული ინფორმაციის კვოტირებას, რამდენიმე წინადადებაში აჯამებდა ვრცელ მასალას, ხაზგასმით აღნიშნავდა მის ყველაზე შთამბეჭდავ ასპექტებს და, ამგვარად, ფაქტებს გაცილებით უფრო კატეგორიულ ტონში წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ გადაცემა ოდნავ შეიცვალა და აღინიშნა, რომ შესაბამისი პირი უარყოფდა ბრალდებებს, თავდაპირველი ბიულეტენი მაინც რამდენჯერმე გადაიცა.

მიშელ ჟუნოსთან არასწორად დაკავშირებული ფაქტების განსაკუთრებული სერიოზულობის გათვალისწინებით, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებები მრავალჯერ გავიდა ეთერში, ჟურნალისტს უნდა გამოეველინა უკიდურესი სიფრთხილე და თავშეკავებულობა, ვინაიდან ბიულეტენი რადიოსადგურიდან მთელი საფრანგეთის მასშტაბით გადაიცემოდა. ამ პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აპლიკანტების მსჯავრდებისას აღნიშნული მიზეზები იყო „ადეკვატური და საკმარისი“.

რაც შეეხება აპლიკანტის განაჩენებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბოიონი და გალიხერი ცნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, მათ დაეკისრათ ზომიერი ჯარიმები და ზიანის ანაზღაურება. უფრო მეტიც, უბრძანეს რა 118 სიტყვისაგან შემდგარი სასამართლო განცხადების დღეში ოცჯერ „France Info“-ს ეთერში გაშვება, ამით სასამართლოები ცდილობდნენ, სასჯელი ყოფილიყო ზიანის თანაზომიერი. სასამართლოს აზრით, ეს წარმოადგენდა შესაბამისი არხის საგამომცემლო განრიგის მხოლოდ ლიმიტირებულ შეზღუდვას.

Freedom of Expression

Georgian non governmental organization Liberty Institute with financial support of United States Agency for International Development (USAID) and International Research and Exchange Board (IREX) has compiled a two-volume manual aimed at teaching media law as well as analysis of freedom of expression related judicial practice in Georgia.

First volume of the publication covers fundamental principles and standards of freedom of expression and case law of the United States and European Court of Human Rights.

Second volume analyzes new freedom of expression legislation in Georgia, offers comparative analysis of European and United States law, rulings related to freedom of speech by Georgian courts — first endeavor of drawing case studies in this field in Georgia.

One of the authors of Georgian Administrative Code, currently Prosecutor General of Georgia Zurab Adeishvili:

“This manual, created for future and acting journalists, judges and lawyers, is valuable in the sense that it covers freedom of expression related decisions made by Georgian courts for last eight years and their analysis thus being the first attempt of creating database of such cases in Georgia...

This work allows to compare American, European and Georgian experiences and, more importantly, understand why protection of freedom of expression both by state institutions and public at large is important for our country’s democratic development.”

Authors of the publication hope that the manual will be supportive for students of journalism, judges and lawyers.

Authors: **Maia Okruashvili, Irakli Kotetishvili**

Editor: **Tamar Kintsurashvili, Levan Ramishvili**

Designer: **Besik Danelia**